

**ვალდებულებითი და სახელმწიფო
სამართალი**

1. ვალის არსებობის აღიარება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-954-1260-07

23 იანვარი, 2008 წ., ქობილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ევროპული სერვის ცენტრის“ დირექტორმა გ. კიამ 2007წ. 14 თებერვალს თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით სარჩელი აღძრა შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ და განმარტა, რომ 2006წ. 15 აპრილს შპს „საქართველოს რკინიგზას“ და შპს „ევროპული სერვისცენტრს“ შორის დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №შს/06-066. ხელშეკრულებით შემსყიდველმა შპს „საქართველოს რკინიგზამ“ გამოაცხადა ტენდერი გარდაბნის სადგურის მისაღებ-გასაგზავნი პარკის მშენებლობაზე (სამომსახურეო შენობის მოდერნიზაცია) და მიიღო მიმწოდებლისაგან – შპს „ევროპული სერვის-ცენტრისაგან“ სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე თანხით 3 950000 ლარი დღე-ს ჩათვლით. ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხის მიერ გაიცა შესაბამისი ტექნიკური დავალება, რომლის საფუძველზე შესასრულებელი იყო შემდეგი სამუშაო: სალიანდაგო ნაწილი, შენობა ნაგებობები, საკონტაქტო ქსელი და ელ. მომარაგება, სივანლიზაცია, წყალმომარაგება, ადმინისტრაციულ შენობასთან მისასვლელი საავტომობილო გზის და ლიანდაგებს შორის ბეტონის ბილიკის მოწყობა. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 112 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 150 დღეში. შპს „ევროპული სერვის ცენტრის“ მიერ სამუშაოების დაწყება დაგვიანდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიზეზით, რადგან მისმა სამსახურებმა ვერ უზრუნველყვეს მიწის ვაკისის მომზადება და საპროექტო ნიშნულზე გასწორება სადგურ გარდაბნის პარკის სალიანდაგო სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად. აღნიშნული სამუშაოები მოპასუხემ დაასრულა მხოლოდ 2006წ. 12 სექტემბერს. ის სამუშაოები, რომელთა შესასრულებლადაც არ იყო საჭირო მიწის ვაკისის მომზადება და საპროექტო ნიშნულზე გასწორება მოსარჩელის მიერ შესრულებული იქნა დროულად და 2006წ. 8 აგვისტოს დასრულდა, რაც დასტურდება 2006წ. 8 აგვისტოს მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით. შპს „ევროპულმა სერვის ცენტრმა“ არაერთხელ ზეპირი ფორმით და სამჯერ წერილობით მოსთხოვა მოპასუხეს დროულად დაესრულებინა მის მიერ შესასრულებელი სამუშაოები, მაგრამ უშედეგოდ. შესაბამისად, ვადის დარღვევა არ არის გამოწვეული შპს „ევროპული სერვის ცენტრის“ ბრალით. მოპასუხემ 2006წ. 12 სექტემბერს დაასრულა მიწის ვაკისის მომზადება და საპროექტო ნიშნულზე გასწორება (რომელთა გარეშეც შეუძლებელი იყო არათუ სამუშაოების დასრულება, არამედ დაწყებაც) შპს „ევროპულმა სერვის ცენტრმა“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე 150 დღეზე ადრე დაასრულა სამუშაოები. კერძოდ, 2006წ. 15 დეკემბრისათვის, რაზედაც 2006წ. 29 დეკემბერს მხარეთა შორის შედგა შესაბამისი აქტი. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 4.1 პუნქტის შესაბამისად, შესყიდვის ყოველი ეტაპის შემდეგ, სამუშაოს მიღება-ჩაბარება ხორციელდებოდა მხარეებს შორის სათანადო აქტისა და შუალედური ანგარიშფაქტურების მეშვეობით, ხოლო 6.3 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლისათვის მიმდინარე ანგარიშსწორება ხორციელდებოდა 4.1 პუნქტით დადგენილი წესით წარმოდგენილ ეტაპობრივი მიღება-ჩაბარების აქტისა და შუალედური ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მათი გაფორმების დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. შპს საქართველოს რკინიგზას უნდა გადაეხადა 3 950000 ლარი, ნაცვლად ამისა მის მიერ გადახდილი 3 519 450 ლარი ანუ 430 550 ლარით ნაკლები. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 6.4 პუნქტის შესაბამისად, ექსპლუატაციაში საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში შემსყიდველი აწარმოებს მიმწოდებელთან საბოლოო ანგარიშსწორებას. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი შედგა 2006წ. 29 დეკემბერს, მოპასუხე

ვალდებული იყო საბოლოო ანგარიშსწორება მოეხდინა 2007წ. 13 იანვრამდე. შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა შპს „საქართველოს რკინიგზასა“ და შპს „ევროპული სერვის-ცენტრს“ შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №შს/06-066 ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზისათვის“ გადასახდელად 430 550 ლარის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ შპს „საქართველოს რკინიგზის“ ვალდებულება შეესრულებინა სამუშაოები იმისთვის, რომ მოსარჩელეს შეძლებოდა დაეწყო თავისი საქმიანობა არ არსებობს და არც რაიმე შეთანხმებით დასტურდება. ასევე მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი წერილები, რაზედაც აცხადებს, რომ შპს „საქართველოს რკინიგზაშია“ შესული, არ არის დამოწმებული შპს „საქართველოს რკინიგზი“ ბეჭდით, შესაბამისად არ დასტურდება მათი წარდგენა მოპასუხე ორგანიზაციაში. მოპასუხემ ასევე არ ცნო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აქტები, რომლებიც არ არის ორმხრივად ხელმოწერილი და მხოლოდ მოსარჩე მხარის ბრიგადის მიერაა შესდენილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 30 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ევროპული სერვის-ცენტრის“ სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენელმა თ. კ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 8 ნოემბრის განჩინებით შპს „საქართველოს რკინიგზის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 30 აპრილის გადაწყვეტილება.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის არსებობდა 2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მიერ სწორად იქნა დადგენილი მოსარჩელე „ევროპული სერვის ცენტრის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულება დასრულდა 2006წ. 28 დეკემბერს (№შს/06-066 ხელშეკრულების შემთხვევაში) და 2006წ. 15 ნოემბერს (№შს/06-067 ხელშეკრულების შემთხვევაში).

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მხრიდან დაირღვა ხელშეკრულების შესრულების ვადა, რამეთუ მან სამუშაოები დაასრულა შეთანხმებული დროიდან 65 დღის შემდგომ. სასამართლომ კანონის შესაბამისად იმსჯელა იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების შესრულების ვადის დარღვევა გამოწვეული იყო თავად შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბრალით, ვინაიდან მოპასუხემ არ შეასრულა სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი მოქმედება. 2006წ. 15 აპრილის №შს/06-066 ხელშეკრულების შემთხვევაში, მოსარჩელის მითითებით, ეს იყო მიწის ვაკისის საპროექტო ნიშნულზე გასწორება სადგურ გარდაბნის სალიანდაგო-სამშენებლო სამუშაოთა საწარმოებლად, ხოლო მეორე, 2006წ. 15 აპრილის №შს/06-067 ხელშეკრულების შემთხვევაში – ვაგონების გაუყვანლობა იმ ლიანდაგიდან, რომლებზეც უნდა განხორციელებულიყო სარემონტო სამუშაოები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 8 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“.

კასატორის აზრით, შპს „საქართველოს რკინიგზასა“ და შპს „ევროპული სერვის-ცენტრს“ შორის 2006წ. 15 აპრილს დაიდო ორი ხელშეკრულება №შს/06-066 რომლის ღირებულება შეადგენდა 3 950 000 ლარს და №შს/06-067 რომლის ღირებულებაც შეადგენდა 760 000 ლარს რომელთა თანახმადაც შპს „ევროპულმა სერვის-ცენტრმა“ იკისრა ვალდებულება გარდაბნის სადგურის მისაღებ-გასაგზავნი პარკის მშენებლობაზე და სადგურ სამტრედია 2-ის 7 ლიანდაგისა და 2 საისრე გადაყვანის აღდგენაზე. აღნიშნული ხელშეკრულებების მხარეები შეთანხმდნენ მის ყველა არსებით პირობებზე რომელთაგანაც ერთ-ერთი უმთავრესი პირობა იყო ხელშეკრულების შესრულების დრო. №შს/06-066 და №შს/06-067 ხელშეკრულებების სპეციფიკური პირობების 11.2 მუხლების შესაბამისად ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ანუ მისი ხელმოწერიდან 150 დღეში წინააღმდეგ შემთხვევაში ამავე პირობების 7.1 პუნქტების თანახმად ვალდებულების შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ შპს „ევროპულმა სერვის ცენტრმა“ დაარღვია ვალდებულების შესრულების დრო და სამუშაოები დაასრულა 65 დღის დაგვიანებით. მიაჩნიათ, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს.

ასევე კასატორმა არ გაიზიარა სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შპს „ევროპული სერვის-ცენტრი“ არ იყო თანახმა ჯარიმის გამოქვითვაზე და ეს იყო მხოლოდ კრედიტორის ცალმხრივი ნების გამოვლენა, ვინაიდან ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე როგორც აღინიშნა თავიდანვე იყო განსაზღვრული ხელშეკრულებაში რომელსაც ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით, ანუ ორივე მხარის ნება იყო გამოვლენილი და მოვალეს არანაირი პრეტენზია ამის შესახებ არ განუცხადებია. კასატორის განმარტებით, სასამართლოს მიერ სსკ-ის 51-ე მუხლის გამოყენება უმართებულოა. ანუ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს, კერძოდ კი იმას, რომ სამუშაოები შპს „ევროპული სერვის ცენტრის“ მიერ დასრულდა 65 დღის დაგვიანებით, რასაც მოჰყვა ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ შპს „ევროპულმა სერვის ცენტრმა“ 65 დღის დაგვიანებით შეასრულა ვალდებულება, მაგრამ სასამართლო უთითებს, რომ ვადის დარღვევა გამოწვეული იყო თვით შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბრალით. აღნიშნულის წინააღმდეგ კასატორი ვერ უთითებს ვერცერთ არგუმენტზე, ან მტკიცებულებაზე რაც გააბათილებდა ან საეჭვოს გახდიდა სასამართლოს მიერ მითითებულ ამ გარემოებას. სკ-ის 401ე მუხლის თანახმად კი ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუ ვალდებულება არ შესრულებულა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მითითებულ გარემოებებს.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს იმ მოსაზრებასაც, რომ შპს „ევროპული სერვის ცენტრი“ არ იყო თანახმა ჯარიმის გამოქვითვაზე და ეს იყო მხოლოდ კრედიტორის ცალმხრივი ნების გამოვლენა. კასატორის აზრით, ჯარიმის გადახდევინებას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ითვალისწინებს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება. აღნიშნულს პალატა ვერ გაიზიარებს. მართალია, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება მართლაც ითვალისწინებს ჯარიმის გადახდევინებას, მაგრამ მხოლოდ ის გარემოება, რომ მხარემ ვალდებულება დაგვიანებით შეასრულა, არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ეს გარემოება სამართლებრივი თვალსაზრისით მივიჩნიოთ სკ-ის მე-400 მუხლში მითითებულ გარემოებად. მე-400 მუხლი მართლაც უთითებს, რომ ვალდებულების ვადის გადაცილებად ითვლება შესრულება თუ შესრულებისთვის დადგენილ დროში ვალდებულება არ სრულდება. მაგრამ ამავე კოდექსის 401-ე მუხლი უთითებს, რომ თუ ვალდებულების შესრულებლობა მოხდება მოვალის ბრალის გამომრიცხავი გარემოების გამო ვადა გადაცილებულად არ ითვლება. ამ ორი ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ფიზიკურად ვადის გადაცილებასა და სამართლებრივი თვალსაზრისით ვადაგადაცილებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა და იგი დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, თუ რამ განაპირობა ასეთი შედეგი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევა გამოიწვია შპს „საქართველოს რკინიგზის“ ქმედებამ. ასეთ შემთხვევაში კი შეუძლებელია ჯარიმის გადახდევინება დაეკისროს მხარეს.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის თაობაზეც, რომ მხოლოდ საზოგადოების ღირებულებები არიან უფლებამოსილი განახორციელონ შპს-ს წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში. სასამართლოს ეს მოსაზრება გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.1 მუხლიდან, ხოლო რაც შეეხება საზოგადოების ბუღალტერს იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი უფლებამოსილების მატარებლად და მის მიერ ხელმოწერილი შედარების აქტი, თუნდაც საზოგადოების ბეჭდით დადასტურებული, არ შეიძლება მივიჩნიოთ ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი და იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 8
ნომბრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ვალის არსებობის აღიარება

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ ას-820-1137-07

15 აპრილი, 2008წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
რ. ნადირიანი

დავის საგანი: კომპენსაციის გადახდა.

აღწერილობითი ნაწილი:

2006წ. 24 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას
სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ჩ-შვილმა მოპასუხე სს ნავთობის ეროვნული
კომპანია „საქნავთობის“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ბინის კომპენსაციის
დაკისრება 36 939 აშშ დოლარის ოდენობით.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლები მდგომარეობს შემდეგში:

ნ. ჩ-შვილი 1981 წლიდან მუშაობდა საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გროზნოს კანტორის
„ნავთობმანქანათრემონტის“ საქართველოს განყოფილებაში, რომელიც წარმოადგენდა საწარმოო
გაერთიანება „საქნავთობის“ სტრუქტურულ ერთეულს. 1991 წელს, შრომითი ურთიერთობიდან
გამომდინარე, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე მყოფ სხვა პირებთან ერთად
საწარმოო გაერთიანება „საქნავთობმა“ მოსარჩელის ოთხსულიან ოჯახს რიგის მიხედვით გამოუყო
თბილისში, ... ქ. №29-ში მე-2 მშენებარე საუწყებო კორპუსის მე-8 სართულზე №30 და №31
ერთოთახიანი და ოროთახიანი ბინა. მოპასუხე ორგანიზაციამ, ნაცვლად იმისა, რომ დაემთავრებინა
სახლის მშენებლობა, ადმინისტრაციისა და პროფკომის პრეზიდიუმის 2002წ. 22 ოქტომბრის
№148/9-55 გადაწყვეტილებით დაადგინა ბინაში შესახლებულ პირთა თანხმობის გარეშე ... №29/2
კორპუსში სს „საქნავთობის“ მიერ განაწილებული ბინების მფლობელებისათვის საკომპენსაციო
თანხების გაცემა 1 კვ.მ ფართზე 150 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო მშენებარე კორპუსი და მიწის
ნაკვეთი მოპასუხემ გაასხვისა. დასახელებული გადაწყვეტილებით მოპასუხეს უნდა მოეხდინა ბინის
ფართის საკომპენსაციო თანხების ნაწილ-ნაწილ გადახდა. იმის მიუხედავად, რომ მოსარჩელემ
არაერთხელ მიმართა მოპასუხეს საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების მოთხოვნით, მისთვის არანაირი
თანხა არ გადაუხდიათ.

ბოლო წლებში ბინის ღირებულების მკვეთრი ზრდის გამო შეუძლებელია ზემომითითებული თანხის
გადახდის შემთხვევაშიც თუნდაც ერთოთახიანი ბინის ყიდვა. ინდივიდუალური აუდიტორის დასკვნის
შესაბამისად, 1 კვ.მ-ის აშენება ე.წ. „შავი კარკასის“ დონეზე შეადგენს 600-700 აშშ დოლარს,
მოპასუხის მიერ მშენებარე სახლში მისთვის გადასაცემი ერთოთახიანი ბინის ფართი შეადგენს 46.50
კვ.მ-ს, ხოლო ოროთახიანი ბინის ფართი – 76.63 კვ.მ-ს. მოსარჩელემ მოითხოვა 1 კვ.მ-ის 300 აშშ
დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა გადახდის დროისათვის არსებული კურსით, რაც შეადგენდა
36939 აშშ დოლარს.

მოპასუხე სს ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობმა“ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სკ-ის 316-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

რამდენადაც სს ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ ადმინისტრაციისა და პროფკომის გადაწყვეტილება წარმოადგენდა კომპანიის შიდასამსახურებრივ დოკუმენტს და მის საფუძველზე მოპასუხეს არ უკისრია რაიმე სახის ვალდებულება მესამე პირების მიმართ (ამ შემთხვევაში მოსარჩელისადმი), შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელეს არ ანიჭებდა უფლებას სს „საქნავთობისათვის“ მოეთხოვა რაიმე მოქმედების შესრულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006წ. 24 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ჩ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინდად მიიჩნია, რომ ნ. ჩ-შვილი 1981 წლიდან მუშაობდა საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გროზნოს კანტორის „ნავთობმანქანათრემონტის“ საქართველოს განყოფილებაში. 1991წ. მდგომარეობით იგი საწარმოში მომუშავე იმ პირთა შორის ირიცხებოდა, რომლებიც საბინაო პირობების გაუმჯობესებას საჭიროებდნენ. 1991წ. 20 თებერვალს ქ. თბილისის სამგორის რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა სხდომაზე განიხილა საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილება ნ. ჩ-შვილისათვის საცხოვრებელი სადგომის გამოყოფის შესახებ და თავისი №76/1 გადაწყვეტილებით დაამტკიცა საბინაო კომისიის წინადადება მოსარჩელისათვის ქ. თბილისში, ... ქ. №29-ში მდებარე მეორე კორპუსში, მე-8 სართულზე ორი ბინის მიკუთვნების თაობაზე. გადაწყვეტილებაში აღინიშნა იმის შესახებაც, რომ დიზაინისა და კეთილმოწყობის სამმართველოს ნ. ჩ-შვილისათვის განკუთვნილი ბინები უნდა გაეერთიანებინა შესაბამისი პროექტის და ხარჯთაღრიცხვის შედგენით, რის შემდეგაც მასზე უნდა გაცემულიყო ორდერი, თუმცა საცხოვრებელი კორპუსი არ აშენებულა, იგი დარჩა ე.წ. ნულოვან ნიშნულზე, ნ. ჩ-შვილზე საბინაო ორდერი არ გაცემულა, აღმასკომის ხსენებული გადაწყვეტილება დარჩა აღუსრულებელი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სკ-ის 317-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. საქმეზე დასტურდებოდა, რომ მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობდა. რაც შეეხებოდა უსაფუძვლო გამდიდრებას, რაც სკ-ის 976-991-ე მუხლებით რეგულირდებოდა, იგი გულისხმობდა ვალდებულების შესასრულებლად ან რაიმე მოქმედების შესრულების ან არშესრულების მიზნით სხვისთვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებას. სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს არც ამგვარი მოთხოვნის საფუძველი არ გააჩნდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჩ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა სს ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ მიმართ ბინის სანაცვლოდ კომპენსაციის გაცემის თაობაზე არ დააკმაყოფილა იმ ძირითადი მოტივით, რომ მხარეებს შორის არ არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა. სასამართლოს ამგვარი მსჯელობა არასწორია, რამდენადაც მოსარჩელე იმყოფებოდა ბინის მიღების აღრიცხვაზე კანონის საფუძველზე, კერძოდ, სკ-ის 35-ე, 36-ე, 38-ე, 39-ე, მე-40 მუხლების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სს ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობი“ ვალდებული იყო მოსარჩელისათვის მიეცა მშენებარე სახლში ბინები. აღნიშნული ვალდებულება მოპასუხის მიერ დადასტურებული და აღიარებულია ადმინისტრაციისა და პროფკომის პრეზიდიუმის 2002წ. 22 ოქტომბრის №148/9-55 გადაწყვეტილებით, რაც არ შესრულებულა.

სკ-ის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობის საფუძველია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. მოსარჩელის ბინის რიგში აყვანის ვალდებულება, ამ ვალდებულების განხორციელება და შემდგომში

ბინის ნაცვლად ფულადი კომპენსაციის გაცემის აღიარება წარმოადგენს სკ-ის 317-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების წარმოშობის საფუძველს.

სკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მოპასუხე მხარემ არ შეასრულა კანონით დაკისრებული და აღიარებული ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ მოპასუხეს მიწის ნაკვეთი გამოეყო იმ დროს მოქმედი კანონის შესაბამისად უსასყიდლოდ, მიზნობრივად, მისი მუშა-მოსამსახურეებისათვის მრავალბინიანი კორპუსის ასაშენებლად. მოპასუხემ მიწის ნაკვეთი გაასხვისა და ნახა სარგებელი ბინის მომავალ მფლობელთა ხარჯზე, რაც უსაფუძვლო გამდიდრებას წარმოადგენს. ამდენად, სასამართლომ არ გამოიყენა სკ-ის 361-ე მუხლი, არასწორად განმარტა ამავე კოდექსის 317-ე მუხლი, 796-991-ე მუხლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 13 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ჩ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006წ. 24 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ჩ-შვილის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „თელეთის ნავთობის კომპანიას“ ნ. ჩ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 18 469 აშშ დოლარის ეკვივალენტის ღირებულება ნ. ჩ-შვილის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინდა, რომ 1991წ. 20 თებერვლის თბილისის სამგორის რაიონის დეპუტატების საბჭოს აღმასკომის №76/1 გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა საბინაო კომისიის წინადადება, დამტკიცდა საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გროზნოს კანტორის „ნავთობმანქანათმშენებლის“ საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ბინების განაწილების სია და ნ. ჩ-შვილს ... ქ. №29-ში, მე-2 კორპუსის მე-8 სართულზე მიეცა ერთოთახიანი და ოროთახიანი №30 და №31 ბინები. მშენებარე ბინა მიწის ნაკვეთთან ერთად გასხვისდა. სს „საქნავთობის“ ადმინისტრაციის და პროფკომიტეტის პრეზიდიუმის 2002წ. 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების თანახმად, ნ. ჩ-შვილისათვის უნდა გაცემულიყო საკომპენსაციო თანხა საერთო 1 კვ.მ 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ღირებულებით. სახაზინო საწარმო სახელმწიფო კომპანია „საქნავთობის“ უფლებამონაცვლეს წარმოადგენს სს „საქნავთობი“, ხოლო ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლეა სს „თელეთის ნავთობის კომპანია“.

სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მტკიცება თბილისის სამგორის რაიონის დეპუტატების საბჭოს აღმასკომის 1991წ. 20 თებერვლის №76/1 გადაწყვეტილების საფუძველზე მისთვის ბინის გაცემის შესახებ მოპასუხე საწარმოს ვალდებულების წარმოშობის თაობაზე, რამდენადაც უშუალოდ მხარეთა შორის აღნიშნულის თაობაზე გარიგება არ დადებულია შესახლების ორდერის გაცემის სახით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეები სახელშეკრულებო შებოჭვის პირობებში არ იმყოფებოდნენ და სკ-ის 316-ე, 317-ე, 361-ე მუხლები ბინის გადაცემის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არ წარმოშობდა. სხვისი ქონების მისი თანხმობის გარეშე განკარგვის შემთხვევაში მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სკ-ის უსაფუძვლო გამდიდრების თავში შემავალი 982-ე და 991-ე მუხლების გამოყენებისათვის უნდა მომხდარიყო ყოფილიყო პირის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, მოცემულ შემთხვევაში კი არ დასტურდებოდა მოსარჩელის სამართლებრივი კავშირი მოპასუხის მიერ გასხვისებულ ქონებაზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებაზე მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა მხოლოდ სკ-ის 341-ე მუხლი. სს „საქნავთობის“ ადმინისტრაციის 2002წ. 22 ოქტომბრის №148/9-55 გადაწყვეტილება წარმოადგენდა ვალის აღიარების ხელშეკრულებას, რადგან სკ-ის 51-ე მუხლიდან გამომდინარე, არსებობდა მეორე მხარის ნების გამოვლენაც, ნ. ჩ-შვილმა შეიტყო თუ არა გადაწყვეტილების შესახებ, მასზე განაცხადა თანხმობა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ჯერ წერილობით მიმართა საწარმოს საკომპენსაციო თანხის გაცემის მოთხოვნით, ხოლო შემდგომ საჩივარი აღძრა სასამართლოში აღნიშნულის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხის მიერ მითითებული ის გარემოება, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საწარმოს ადმინისტრაციას არ გააჩნდა სამეთვალყურეო საბჭოსა და საერთო კრების თანხმობა, მესამე პირების მიმართ არ წარმოშობდა სამართლებრივ შედეგებს და არ წარმოადგენდა მესამე პირებთან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გამოვლენილი ნამდვილი ნების ბათილობის საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა საკომპენსაციო თანხის 1 კვ.მ-ზე 300 აშშ დოლარის, მთლიანობაში 36 936 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ და ჩათვალა, რომ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა თანხის გადახდა იმ ოდენობით, რისი გადახდის

ვალდებულებაც იკისრა, ანუ 1 კვ.მ-ზე 150 აშშ დოლარის, მთლიანობაში 18 469 აშშ დოლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჩ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება. კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში. მოპასუხე საწარმომ ბინის საკომპენსაციო თანხის გადახდის ვალდებულება იკისრა 2002წ. 22 ოქტომბერს და ეს თანხა შეადგენდა 150 ლარს ყოველი კვადრატული მეტრისათვის. თუ 2002წ. 22 ოქტომბრის მდგომარეობით მეტ-ნაკლებად შესაძლებელი იყო, რომ მოსარჩელეს დაეკმაყოფილებინა თავისი მოთხოვნა ფულადი კომპენსაციის დროული მიღებით, დღეისათვის მშენებარე კორპუსებში 1 კვ.მ-ის ღირებულება მერყეობს 600-1000 აშშ დოლარამდე და ზევით და ამდენად, მოპასუხის მხრიდან მოსარჩელემ თანხის არათავისდროული გადახდის გამო განიცადა ზიანი, რაც უნდა ანაზღაუროს მოპასუხემ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აგრეთვე სს „თელეთის ნავთობის კომპანიამ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 341-ე მუხლი. სასამართლოს მოსაზრება, რომ ვალის არსებობის აღიარება წარმოადგენს ახალ ხელშეკრულებას და იგი საერთოდ არ არის კავშირში ძირითად ვალდებულებასთან, ეწინააღმდეგება სკ-ის 341-ე მუხლს, რომლის თანახმად, ვალის აღიარებისათვის მხარეებს შორის უნდა არსებობდეს ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის შემდგომი აღიარება უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით.

სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, არსებობდა თუ არა მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია შემდგომში მომხდარიყო აღიარება.

სასამართლომ არ დაასაბუთა ვალის აღიარებისათვის ორმხრივი ხელშეკრულების მინიჭების საფუძველი. სასამართლომ ვალის არსებობის აღიარებად მიიჩნია სს ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ ადმინისტრაციისა და პროფკომის 2002წ. 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მაშინ როდესაც აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს შიდაორგანიზაციულ დოკუმენტს, იგი მიმართული არ ყოფილა მესამე პირებისადმი და შესაბამისად, არ შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულებად, ნების გამოვლენად სხვა პირებისადმი. აღნიშნული მათ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აღნიშნეს, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ამის თაობაზე მსჯელობა არ ყოფილა.

ზემოთითებული 2002წ. 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება რომც ჩაითვალოს სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ ნების გამოვლენად და შესაბამის გარიგებად, ამ შემთხვევაში სახეზე იქნება პირობითი გარიგება, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულება დამოკიდებული იყო გარკვეულ პირობაზე, კერძოდ, კომპანიის მხრიდან მოგების მიღებაზე. სკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, მხარის ნებაზე დამოკიდებული პირობა ბათილია და ბათილია ამ პირობით დადებული გარიგებაც. ის გარემოება, რომ კომპანიის მხრიდან საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება მოხდებოდა სააქციო საზოგადოებაში მიღებული მოგების ხარჯზე, არამართლზომიერი და უკანონოა, რადგან სააქციო საზოგადოებაში მოგების განაწილების საკითხს წვევტს საერთო კრება თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და არავის არა აქვს უფლება თვითნებურად განკარგოს საზოგადოების მოგება. საზოგადოების მოგებიდან საკომპენსაციო თანხების გადახდა წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო პირობას, ხოლო ის გარემოება, რომ გადაწყვეტილებას ხელს აწერენ კომპანიის გენერალური დირექტორი და პროფკომის თავმჯდომარე, ანუ ის პირები, რომლებიც უფლებამოსილი არ იყვნენ მიეღოთ ასეთი სახის გადაწყვეტილება და განეკარგათ კომპანიის მოგება, მიუთითებს აღნიშნული პირობის არამართლზომიერებაზე და უკანონობაზე, რაც, სკ-ის 91-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს გარიგების ბათილობის საფუძველს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ნ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ გარემოებებს: თბილისის სამგორის რაიონის დეპუტატების საბჭოს აღმასკომის 1991წ. 20 თებერვლის №76/1 გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა საბინაო კომისიის წინადადება, დამტკიცდა საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გროზნოს კანტორის „ნავთობმანქანათმშენებლის“ საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ბინების განაწილების სია და მოქალაქე ნ. ჩ-შვილს მიეცა ერთოთახიანი და ოროთახიანი ორი ბინა ... ქ. №29-ში, მე-2 კორპუსის მე-8 სართულზე. აღნიშნული საცხოვრებელი კორპუსი არ აშენებულა. მშენებარე ნაგებობა მიწის ნაკვეთთან ერთად გასხვისდა. სს „საქნავთობის“ ადმინისტრაციისა და პროფკომიტეტის პრეზიდიუმის 2002წ. 22 ოქტომბრის №148/9-55 გადაწყვეტილებით დადგინდა საკომპენსაციო თანხების გაცემა მშენებარე კორპუსის იმ ბინათმფლობელებზე, რომლებსაც გაუნაწილდათ ბინები საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ 1987წ. 3 სექტემბრის №84/22-1 გადაწყვეტილებით. საკომპენსაციო თანხების გაცემა დადგინდა საერთო 1 კვ.მ-ზე 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში. მოსარჩელე ნ. ჩ-შვილი მიეკუთვნება იმ ბინათმფლობელს, რომლის მიმართაც დადგენილია საკომპენსაციო თანხის გაცემა. დადგენილია, რომ მას საკომპენსაციო თანხა არ მიუღია. სახაზინო საწარმო სახელმწიფო კომპანია „საქნავთობის“ უფლებამონაცვლეს წარმოადგენს სს „საქნავთობი“, ხოლო ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლეს – მოპასუხე სს „თელეთის ნავთობის კომპანია“.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ სს „საქნავთობის“ ადმინისტრაციისა და პროფკომიტეტის პრეზიდიუმის 2002წ. 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიღებამდე მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობა არ არსებობდა. აღნიშნულ 2002წ. 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ 1987წ. 3 სექტემბრის №84/22-1 გადაწყვეტილებით საწარმოო გაერთიანება „საქნავთობა“ იკისრა ბინების განაწილების ვალდებულება, აღნიშნული 2002წ. 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საკომპენსაციო თანხების გაცემა დადგინდა მშენებარე კორპუსის სწორედ იმ ბინათმფლობელებზე, რომლებსაც გაუნაწილდათ ბინები საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ 1997წ. 3 სექტემბრის №84/22-1 გადაწყვეტილებით. მიუხედავად ამისა, მოცემულ შემთხვევაში სადავო ურთიერთობა შეეხება 2002წ. 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას. ამ შემთხვევაში 2002წ. გადაწყვეტილებით ვალდებულების აღიარება დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებისაგან, იგი ქმნის ახალ დამოუკიდებელ მოთხოვნას. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სკ-ის 341-ე მუხლის საფუძველზე ვალდებულების აღიარებას და დავა სწორედ აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის – სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ მიერ საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების დადგენის ნაწილში სს „საქნავთობის“ ადმინისტრაციისა და პროფკომიტეტის პრეზიდიუმის 2002წ. 22 ოქტომბრის №148/9-55 გადაწყვეტილების შიდაორგანიზაციულ დოკუმენტად შეფასებას. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის – გენერალური დირექტორის მიერ საწარმოს პროფკავშირთან ერთად საწარმოს სახელით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც საწარმო გამოხატავს ნამდვილ ნებას და გარკვეულ ვალდებულებას კისრულობს შესაძენი პირების, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ნ. ჩ-შვილის წინაშე. თავის მხრივ, ნ. ჩ-შვილისათვის ცნობილია საწარმოს ნება და ცნობს ვალის აღიარებას. ამდენად, ეს არ არის მხოლოდ შიდასაზოგადოებრივი მიზნებისათვის, საწარმოს შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში გამოსაყენებელი დოკუმენტი.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ მსჯელობას 2002წ. 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების გარიგებად მიიჩნევის შემთხვევაში მისი პირობით გარიგებად დაკვალიფიცირების შესახებ. მხარეთა ურთიერთობა ვერ შეფასდება სკ-ის 368-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობით გარიგებად. აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე პირობის დადგომაზე, მაშინ ვალდებულება შესასრულებელია იმ დღიდან, როდესაც ეს პირობა დგება. 2002წ. 22 ოქტომბრის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი, სადაც გენერალური დირექტორი საწარმოს ბუღალტერიას ავალებს, აღნიშნული საკომპენსაციო თანხები გაცემა სს „საქნავთობის“ ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით მის განკარგულებაში დარჩენილი მოგების ხარჯზე და რასაც კასატორი სს „თელეთის ნავთობის კომპანია“ პირობით გარიგებად მიიჩნევს, წარმოადგენს შიდასაზოგადოებრივი შინაარსის მქონე

დებულებას, რამდენადაც ეს არის ურთიერთობა საწარმოს შიგნით, საკომპენსაციო თანხების გაცემის კონკრეტული წყაროს მითითების თაობაზე, რაც არ შეეხება მესამე პირებს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ნ. ჩ-შვილის სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში. სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ 2002წ. 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების შინაარსი ნათლად მიუთითებს, რომ სს „თელეთის ნავთობის კომპანიამ“ მოსარჩელის მიმართ იკისრა მასზე განაწილებული იმ ბინების კომპენსაციის ანაზღაურება, რომლებიც ვერ აშენდა. გადაწყვეტილების გამოტანის მდგომარეობით აღნიშნული საკომპენსაციო თანხა განისაზღვრა 1 კვ.მ-ზე 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით, რაც მოსარჩელეზე იმ მდგომარეობით არ გაცემულა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს 46,50 კვ.მ ერთოთახიანი და 76,63 ოროთახიანი ბინის კომპენსაციის – 300 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება. სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ არც ერთი ინსტანციის სასამართლოში სადავოდ არ გაუხდია აღნიშნული ფასის – 300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის არარეალურობა და ამ ეტაპზე ბინის ფასთან შეუსაბამობა. სსკ-ის მე-4 მუხლის, 102-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მას არ მოუხდენია აღნიშნულთან დაკავშირებით თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ნ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 13 ივლისის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ნ. ჩ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს. სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ დაეკისროს ნ. ჩ-შვილის სასარგებლოდ 36 939 აშშ დოლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვალის არსებობის აღიარება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-286-543-08

29 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „პატიკოს“ სახელით ა. ს-ქემ გადახდის ბრძანების მიღების შესახებ მოთხოვნით განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ 2002წ. 3 იანვარს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მთავარ სამმართველოსა და შპს „პატიკოს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოსარჩელე ვალდებული იყო, სამხედრო ნაწილების პირადი

შემაღვენლობისათვის გაეწია აბანო-სამრეცხაო მომსახურება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ შპს „პატიკომ“ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, რაც დადასტურდა 2006წ. 28 თებერვლის მხარეთა შორის შედარების აქტით, რომლითაც აღიარებული იყო, რომ 2006წ. 1 იანვრის მდგომარეობით თავდაცვის სამინისტროს გააჩნდა შპს „პატიკოს“ დავალიანება 8053,11 ლარის ოდენობით, მაგრამ, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, მოპასუხე თავს არიდებდა დავალიანების გადახდას.

2007წ. 21 მაისის გადახდის ბრძანებით შპს „პატიკოს“ განცხადება დაკმაყოფილდა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ დაეკისრა 8053,11 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 242 ლარის გადახდა.

გადახდის ბრძანებაზე შესაგებელი შეიტანა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელშიც მოთხოვნა არ ცნო და მოითხოვა მისი სასარჩელო წესით განხილვა იმაზე მითითებით, რომ მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, იგი ძალაში შედიოდა მხარეთა ხელმოწერის შემდეგ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საზახინო სამსახურში რეგისტრაციის დღიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 19 ივნისის განჩინებით გადახდის ბრძანება გაუქმდა და დადგინდა შპს „პატიკოს“ მოთხოვნის საერთო სასარჩელო წესით განხილვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 11 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს „პატიკოს“ (დირექტორ ა. გ-ის) სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა 8053,11 ლარის გადახდა შპს „პატიკოს“ სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 10 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 11 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგ გარემოებათა გამო: კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ სკ-ის 341.1 მუხლის საფუძველზე არასწორად ჩათვალა ვალის აღიარებად 2006წ. 28 თებერვლის შედარების აქტი და სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2007წ. 4 აპრილისა და 2007წ. 4 ივლისის წერილები, ამდენად დაირღვა სსკ-ის 105-ე და 102.3-ე მუხლები.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, არ გამოიყენა სკ-ის 129.2-ე მუხლი, არასწორად გამოიყენა და განმარტა სკ-ის 137-ე მუხლი.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სადავო ურთიერთობა განიხილა არაგანსჯადმა სასამართლომ, ვინაიდან სადავო ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან, ხოლო მოთხოვნას შეადგენს ხელშეკრულების შესრულება, კერძოდ, თანხის გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, კერძოდ, დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (დამკვეთი) და შპს „პატიკოს“ (შემსრულებელი) შორის 2002წ. 3 იანვარს დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „პატიკოს“ იღებდა სამხედრო ნაწილის პირადი შემაღვენლობის აბანო-სამრეცხაო მომსახურების ვალდებულებას. შესრულებული სამუშაოს ღირებულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უნდა გადაეხადა უნაღლო ანგარიშსწორების წესით ანგარიშფაქტურის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2002წ. 31 დეკემბრამდე.

აღნიშნული ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა ორჯერ. პირველად 2003წ. 1 ივლისამდე, მეორედ 2003წ. 31 დეკემბრის ჩათვლით.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხის მხრიდან სადავო არ გამხდარა ის გარემოება, რომ შპს „პატიკოს“ შესრულებული აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო.

კასატორი საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უფროსის 2007წ. 4 აპრილის და 4 ივლისის წერილები არ წარმოადგენენ ვალის აღიარებას.

ამასთან კასატორი აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან საქმეში მოიპოვება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის №18-01-12/265/2589 03.07.2007წ. წერილი დანართებით, საიდანაც დგინდება, რომ მას შპს „პატიკოსთან“ დაფარული აქვს ვალდებულება.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ საქმე განიხილა არაკანონიერმა შემადგენლობამ, რადგან აღნიშნული საქმე წარმოადგენს ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯად საქმეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სკ-ის 341-ე მუხლის თანახმად, ვალის არსებობის აღიარება წარმოადგენს ცალმხრივ, აბსტრაქტულ ხელშეკრულებას, ამდენად ვალის აღიარებას ახასიათებს ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულების ყველა ნიშანთვისება იმ თავისებურების გათვალისწინებით, რაც მოცემულია განსახილველ ნორმაში.

ამდენად, კონკრეტული სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ ვალის არსებობის აღიარებისათვის არ არის საკმარისი სამართალურთიერთობის მხარეთა მიერ მხოლოდ მათ შორის წარსულში წარმოშობილი ვალდებულების კონსტანტაცია, უნდა არსებობდეს ისეთი წინაპირობები, რომლებიც მიუთითებენ მომავალში კონკრეტულ შემთხვევაში უკვე არსებული სამართალურთიერთობის მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რადგან კასატორი უთითებს იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რაც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უფროსის 2007წ. 4 აპრილისა და 4 ივლისის წერილების შეუფასებლობაში, რამაც გამოიწვია სკ-ის 341-ე მუხლის არასწორად გამოყენება და განმარტება.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი და კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის №18-01-12/265/2589 03.07.2007წ. წერილი დანართებით, საიდანაც, კასატორის მოსაზრებით დგინდება, რომ მას შპს „პატიკოსთან“ დაფარული აქვს ვალდებულება.

აღნიშნული წარმოდგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს საქართველოს სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კერძოდ, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებებთან ერთობლიობაში უნდა შეაფასოს და გამოარკვიოს დგინდება თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შპს „პატიკოს“ მიმართ არა მხოლოდ წარსულში წარმოშობილი ვალდებულების, არამედ მომავალში მოვალის მიერ ამ ვალდებულების შესრულების ფაქტი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში არსებული და საკასაციო საჩივარში მითითებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის №18-01-12/265/2589 03.07.2007წ. წერილი დანართებით და გამოარკვიოს შესრულებული აქვს თუ არა კასატორს შპს „პატიკოს“ მიმართ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 10 იანვრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ხელშეკრულებიდან გასვლა; ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა *

№ ას-678-1008-07

22 აპრილი, 2008წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

2004წ. 19 ნოემბერს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ვ., ა., გ., ნ., ვ. და ნ. მ-შვილებმა მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხისათვის საგარანტიო წერილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დაკისრება, მოსარჩელებისათვის იმავე დასახლებულ ტერიტორიაზე საგარანტიო წერილით გათვალისწინებული ბინების ყიდვა ან მათთვის ბინების შესაბამისი კომპენსაციის ანაზღაურება.

მოსარჩელებმა თავიანთი სასარჩელო მოთხოვნა იმით დაასაბუთეს, რომ არიან ერთი ოჯახის წევრები. მთელი ოჯახი ცხოვრობდა ქ. თბილისში, ... ქ. №84-ში მდებარე სახლში. 1991-1994 წლებში საქართველოს რკინიგზის საუწყებო სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით აღებულ იქნა მათი საცხოვრებელი სახლი. 1993 წელს მოპასუხე ორგანიზაციის რკინიგზის თბილისის ტერიტორიულმა სამმართველომ და აღნიშნული საწარმოს რაიპროფკომიტეტმა გაცეს №57 და №58 საგარანტიო წერილები, რომელთა საფუძველზეც მოსარჩელებს – ვ. და ა. მ-შვილებს უნდა მისცემოდათ იმავე ადგილზე აშენებულ სახლში №4 ოთახნახევრიანი ბინა ფართით 29.1 კვ.მ №1 ბლოკში პირველი სადარბაზოს მეორე სართულზე, ხოლო გ. მ-შვილს, ნ. მ-შვილს, ვ. და ნ. მ-შვილებს უნდა მისცემოდა იმავე სახლში №3 სამოთახიანი ბინა ფართით 42.75 კვ.მ №1 ბლოკში პირველი სადარბაზოს მეორე სართულზე. მოპასუხე ორგანიზაციამ 1994 წელს ააშენა მხოლოდ ორი სართული, რაც ამ დრომდე დაკონსერვებულია. მოსარჩელებმა არაერთხელ მიმართეს მოპასუხე ორგანიზაციას და მოითხოვეს საგარანტიო წერილის შესაბამისად ბინების გაცემა ან კომპენსაციის ანაზღაურება, რაზეც პასუხად მიიღეს, რომ მათი მოთხოვნა მშენებლობის დამთავრებამდე ვერ დაკმაყოფილდებოდა. პასუხში არ მიუთითებიათ, თუ როდის განახლდებოდა ან როდის დამთავრდებოდა მშენებლობა. მოსარჩელებმა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითეს სკ-ის 327-ე, 328-ე და 361-ე მუხლებზე.

2004წ. 27 ოქტომბერს იმავე სასამართლოში სარჩელი აღძრა თ. ს-ქემ მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ოთხოთახიანი ბინის საფასურის – 34 428 აშშ დოლარის, ასევე 1993 წლიდან 2004 ოქტომბრამდე გადახდილი ბინის ქირის – 5 000 აშშ დოლარის დაკისრება.

სარჩელში აღნიშნულია, რომ თ. ს-ქე 1993 წლამდე ცხოვრობდა ქ. თბილისში, ... ქ. №84-ში მეუღლესთან და ოთხ შვილთან ერთად. 1993 წელს რკინიგზის დეპარტამენტმა, რომლის უფლებამონაცვლეა შპს „საქართველოს რკინიგზა“, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გასცა საგარანტიო წერილი, რომლითაც იკისრა მისი ბინის სანაცვლოდ იმავე ტერიტორიაზე დეპარტამენტის მიერ აშენებულ სახლში ოთხოთახიანი ბინის გამოყოფის ვალდებულება. საგარანტიო წერილის გაცემიდან გასულია 11 წელი, მაგრამ საცხოვრებელი სახლი არ აშენებულა და

* ამ საქმესთან დაკავშირებით იხ. სუსგ 2006, № 5, სამოქ., გვ. 90-96.

მოპასუხისადმი გაგზავნილ წერილებს დაპირების გარდა სხვა შედეგი არ მოჰყოლია. მოსარჩელემ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სკ-ის 394-ე მუხლზე. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2005წ. 20 იანვრის საოქმო განჩინებით ვ. ა., გ., ნ., ნ. და ვ. მ-შვილებისა და თ. ს-ძის სარჩელები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზამ“ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ 1993 წელს მოსარჩელების სახელზე გაიცა საგარანტიო წერილები, რომლითაც მათ მიეცათ ქ. თბილისში, ... ქ. №84-ში აშენებულ რკინიგზის საუწყებო სახლში საცხოვრებელი ფართის გამოყოფის გარანტია. საგარანტიო წერილებში არ არის მითითებული, თუ როდის დასრულდებოდა სახლის მშენებლობა, ანუ არ განსაზღვრულა ვალდებულების შესრულების დრო, რის გამოც, სკ-ის 368-ე მუხლის შესაბამისად, დადებულია პირობითი გარიგება, რომლის შესრულების პირობა ჯერ არ დამდგარა. ამასთან, საქმეში არ მოიპოვება საცხოვრებელ სახლებზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და არც საგარანტიო წერილიდან ირკვევა, რომ მოსარჩელებს საცხოვრებელი ფართი უნდა გამოეყოთ საკუთრების უფლებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელებმა წარადგინეს დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვეს მოპასუხისათვის თ. ს-ძის სასარგებლოდ 71372 ლარის დაკისრება. მ-შვილების მოთხოვნა სამ ოთახიან ბინაზე განისაზღვრა 53529 ლარის ოდენობით, ხოლო ოთახნახევრიან ბინაზე 26764 ლარით.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2005წ. 25 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. ს-ძის, ვ. ა., გ., ნ., ვ. და ნ. მ-შვილების სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზას“ თ. ს-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 63 004 ლარის, ხოლო ვ. ა., გ., ნ., ვ. და ნ. მ-შვილების სასარგებლოდ – 23626 ლარისა და 47253 ლარის (სულ – 70879) გადახდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტმა, რომლის უფლებამონაცვლესაც შპს „საქართველოს რკინიგზა“ წარმოადგენდა, 1993წ. 3 ნოემბერს ქ. თბილისში, ... ქ. №84-ში მრავალბინიანი რკინიგზის საუწყებო სახლის ასაშენებლად აღებული საცხოვრებელი სახლის სანაცვლოდ ოთხოთახიანი ბინის მიღების თაობაზე თ. ს-ძეს (ხუთსულიანი ოჯახზე) მისცა საგარანტიო წერილი. 1993წ. 3 ნოემბერს მოპასუხე ორგანიზაციის მიერ ასევე გაიცა საგარანტიო წერილი თბილისში, ... №84-ში გ. მ-შვილის ოთხსულიან ოჯახზე სამოთახიანი ბინის, ხოლო ვ. მ-შვილისათვის (ორსულიან ოჯახზე), იმავე სახლში ოთახნახევრიანი ბინის მიღებაზე. მითითებული საგარანტიო წერილებით მოსარჩელები ვალდებულებას იღებდნენ, სასწრაფოდ გაეთავისუფლებინათ მათ მიერ დაკავებული ბინები.

მოსარჩელებმა შეასრულეს საგარანტიო წერილით ნაკისრი ვალდებულება და გაათავისუფლეს ნგრევაში მოყოლილი მათი კუთვნილი საცხოვრებელი ფართი.

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ საგარანტიო წერილში მითითებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა არ დასრულებულა. მართალია, დაწყებითი სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა, თუმცა მრავალი წელია, რაც მშენებლობა შეჩერებულია. შესაბამისად, მოსარჩელები უფლებამოსილი არიან, მოსთხოვონ მოპასუხეს საგარანტიო წერილით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სკ-ის 368-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობით გარიგებას და რომ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რკინიგზის საუწყებო სახლის აშენებაზე.

სასამართლოს მითითებით, მოპასუხემ თავის წერილობით პასუხებში არაერთხელ დაადასტურა მის მიერ მოსარჩელეთა წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა 1993 წლიდან დღემდე მიუხედავად მრავალჯერის მოთხოვნისა, მოსარჩელები არც საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილდნენ და არც საკომპენსაციო თანხები მიუღიათ. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა, რომ მოსარჩელებს საკუთარი სხვა საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელები უფლებამოსილი იყვნენ, უარი განეცხადებინათ მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებაზე, რასაც უკავშირდებოდა სკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები. ვინაიდან აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მიღებული შესრულებისა და სარგებლის მხარეებისათვის დაბრუნება შეუძლებელი იყო, მოსარჩელებს უნდა მისცემოდათ ფულადი ანაზღაურება.

საქმეში არსებული სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წერილის მიხედვით, ქ. თბილისში 2004წ. სექტემბერს ერთოთახიანი ბინის საშუალო საცალო საბაზრო ფასი შეადგენდა 15751 ლარს. აქედან გამომდინარე, შპს „საქართველოს რკინიგზას“ უნდა დაკისრებოდა თ. ს-ძის სასარგებლოდ

საგარანტიო წერილში მითითებული ოთხთახიანი ბინის ღირებულების ფულადი კომპენსაცია (4X15751) 63 004 ლარი, ხოლო მ-შვილების სასარგებლოდ კი საგარანტიო წერილით განსაზღვრული ოთახნახევრიანი და ერთოთახიანი ბინების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის 70 879 ლარის (23626 + 47 253) გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩევეებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006წ. 17 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს რკინიგზის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2005წ. 25 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. ს-ძის, ვ. და ა. მ-შვილების, გ., ნ., ვ. და ნ. მ-შვილების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „საქართველოს რკინიგზას“ თ. ს-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 63004 ლარის, ვ. და ა. მ-შვილების სასარგებლოდ – 23 626 ლარის, ხოლო გ., ნ., ვ. და ნ. მ-შვილების სასარგებლოდ – 47253 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამწარმოო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006წ. 24 ოქტომბრის განჩინებით შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006წ. 17 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 30 მარტის განჩინებით მოცემულ საქმეზე დაინიშნა სასამართლო საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007წ. 25 მაისის დასკვნის მიხედვით, თბილისში, წერეთლის გამზირზე, გამოფენამდე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მრავალსართულიან კორპუსებში მე-2 სართულზე მდებარე ოთახნახევრიანი ბინის ღირებულება შეადგენს 35000 აშშ დოლარს, ეროვნულ ვალუტაში – 59000 ლარს; მე-2 სართულზე მდებარე სამოთახიანი ბინის ღირებულება შეადგენს – 55000 აშშ დოლარს, ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 92700 ლარს; მე-3 სართულზე მდებარე ოთხოთახიანი ბინის ღირებულება შეადგენს – 75000 აშშ დოლარს, ეროვნულ ვალუტაში – 126 500 ლარს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების პროცესში გარდაიცვალა ვ. მ-შვილი და 2007წ. 13 ივლისის საოქმო განჩინებით მის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა მეუღლე – ა. მ-შვილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 13 ივლისის გადაწყვეტილებით თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2005წ. 25 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. ს-ძის, ვ. მ-შვილის უფლებამონაცვლე ა. მ-შვილის, ა. მ-შვილის, გ., ნ., ვ. და ნ. მ-შვილების გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; შპს „საქართველოს რკინიგზას“ თ. ს-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 75000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; შპს „საქართველოს რკინიგზას“ ა. მ-შვილისა და ვ. მ-შვილის უფლებამონაცვლე ა. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა – 35000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარ გადახდა; შპს „საქართველოს რკინიგზას“ გ., ნ., ვ. და ნ. მ-შვილების სასარგებლოდ დაეკისრა – 55000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოწინააღმდეგე მხარის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა სკ-ის 352-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ აპელანტის მიერ წლების განმავლობაში არ სრულდება მოწინააღმდეგე მხარის მიმართ ნაკისრი ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარეს სკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად დამატებითი ვადის დაწესების გარეშე შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე და სკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად

მოთხოვოს ფულადი ანაზღაურება, რადგან გამორიცხულია მოსარჩელების კუთვნილი დანგრეული ბინების დაბრუნება. იმის გათვალისწინებით, რომ მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნას წარმოადგენს საგარანტიო წერილში მითითებული გარკვეული ფართის ბინების საფასურის აპელანტი სათვის დაკისრება, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ბინების გარკვეული საფასური განსაზღვრულ უნდა იქნეს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007წ. 25 მაისის დასკვნის მიხედვით და შპს „საქართველოს რკინიგზას“ თ. ს-ძის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ოთხოთახიანი ბინის საფასური 75000 აშშ დოლარის ოდენობით, ა. მ-შვილისა და ვ. მ-შვილის უფლებამონ-შ ა. მ-შვილის სასარგებლოდ ოთახნახევრიანი ბინის ღირებულების 35000 აშშ დოლარის ოდენობით და გ., ნ., ვ. და ნ. მ-შვილების სასარგებლოდ სამოთახიანი ბინის საფასურის 55000 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო საგარანტიო წერილით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა. კერძოდ, 1993წ. 3 ნოემბერს საქართველოს რკინიგზის ტერიტორიული სამმართველოს უფროსისა და რაიბროფკავშირების თავმჯდომარის თანხმობით გაიცა საგარანტიო წერილები, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარეს მიეცა გარანტია იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისში, ... №84-ში მშენებარე 97 ბინიან რკინიგზის საუწყებო სახლში გამოეყოფოდათ საცხოვრებელი ფართი. შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გაცემული საგარანტიო წერილები თავისი ბუნებით წარმოადგენს სკ-ის 368-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობით გარიგებას, როდესაც გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე სამომავლო პირობის დადგომაზე. კონკრეტულ შემთხვევაში სამომავლო პირობაა რკინიგზის საუწყებო სახლის აშენება და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამთავრდება საუწყებო სახლის მშენებლობა, მოსარჩელებს წარმოეშობათ მოთხოვნის უფლება შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ საგარანტიო წერილით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. საგარანტიო წერილში არ არის მითითებული ვალდებულების შესრულების დრო, თუ როდის დასრულდება საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და შესაბამისად, ვალდებულების შესრულების ვადა. მითითებულ წერილში ნათლადაა აღნიშნული, რომ საცხოვრებელი ფართი მოქალაქეებს გამოეყოფოდათ საკუთრების უფლებით. ამასთან, საქმეში არ მოიპოვება რკინიგზის საუწყებო სახლის მშენებლობის დაწყებამდე არსებულ სახლზე მოსარჩელეთა საკუთრების დამადასტურებელი მტკიცებულება.

სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო ბრუნვაში არსებული საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, რომ კრედიტორის უფლება შეზღუდულია მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულებებით, მიაკუთვნა რა მოწინააღმდეგე მხარეს იმაზე მეტი უფლება, ვიდრე გათვალისწინებული იყო საგარანტიო წერილში. მხარეებს შორის არსებული ურთიერთობები გამოდინარეობს საგარანტიო წერილით ნაკისრი ვალდებულებებისაგან და არა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან, შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სკ-ის 405-ე და 352-ე მუხლები, რომლებიც მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა კანონის ნორმები, რომლებიც გამოიყენა, რაც სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

უკანონოა აგრეთვე ის, რომ სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელების გაზრდილი მოთხოვნა და შპს „საქართველოს რკინიგზას“ თ. ს-ძის სასარგებლოდ დააკისრა 75000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ღირებულებაში გადახდა, რაც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხებზე გაცილებით მეტია. სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 381-ე მუხლი, რითაც არ დაკმაყოფილდებოდა მოსარჩელეთა გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა. გაურკვეველია ასევე, სამოქალაქო საპროცესო კანონის რომელი ნორმის თანახმად დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეთა გაზრდილი მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტს წარმოადგენდა შპს „საქართველოს რკინიგზა“, ხოლო თ. ს-ძე, ა., ნ., გ. მ-შვილები წარმოადგენდნენ მოწინააღმდეგე მხარეს, სააპელაციო სასამართლომ 2007წ. 3 იანვრის განჩინებით სსკ-ის 397-ე მუხლის საფუძველზე თ. ს-ძის, გ. მ-შვილის შეგებებული სარჩელი გაზრდილ სასარჩელო მოთხოვნაზე დატოვა განუხილველი. ეს განჩინება მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ და შესულია კანონიერ ძალაში. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს 2006წ. 17 თებერვლის გადაწყვეტილებით მოწინააღმდეგე მხარეს უარი ეთქვა გაზრდილ სასარჩელო მოთხოვნაზე, რაც საკასაციო სასამართლოში გასაჩივრებული არ ყოფილა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „საქართველოს რკინიგზის“, საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2006წ. 24 ოქტომბერს მოცემულ საქმეზე მიღებულ განჩინებაში მითითებულია:

„საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მოდავე მხარეთა ურთიერთობა უნდა შეეფასებინა სკ-ის 368-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობით გარიგებად. აღნიშნული ნორმით, თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე პირობის დადგომაზე, მაშინ ვალდებულება შესასრულებელია იმ დღიდან, როდესაც ეს პირობა დგება. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე პირობაზე. სამოქალაქო კოდექსი, აწესრიგებს რა პირობითი გარიგების საკითხს, მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ პირობითი გარიგება დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, ე.ი პირობითი გარიგების შესრულების გადავადება ხდება მხარეთა შორის შეთანხმებული ამ პირობის დადგომამდე ან ამ პირობის დადგომით გარიგება წყდება. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის შეთანხმებული გარიგება რაიმე პირობის დადგომას არ უკავშირდება და კასატორის ვალდებულება – საცხოვრებელი სახლის აშენება სამომავლო და უცნობ პირობად ვერ მიიჩნევა. შესაბამისად, აღნიშნული ნორმა მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით არ უნდა იქნეს გამოყენებული. ასევე ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის მოსაზრება, რომ სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან საგარანტიო წერილში არ არის მითითებული ვალდებულების შესრულების დრო და საცხოვრებელი ფართის მოწინააღმდეგე მხარისათვის საკუთრების უფლებით გადაცემა. სკ-ის 365-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება. აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა მოთხოვნა კანონიერია.

მიზანშეუწონელია კასატორის იმ მოსაზრების გაზიარება, რომ ვინაიდან სადავო სახლის მშენებლობის დაწყებამდე არსებულ სახლზე მოსარჩელებს საკუთრების უფლების დამადასტურებელი მტკიცებულება არ გააჩნიათ, სასამართლომ კანონდარღვევით მათ იმაზე მეტი უფლება მიანიჭა, ვიდრე გათვალისწინებული იყო საგარანტიო წერილით. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა უთითებს იმ გარემოებაზე, რომ საგარანტიო წერილით კასატორმა ნამდვილი ნების გამოვლენით იკისრა ვალდებულება საცხოვრებელი ფართების გადაცემის თაობაზე და მის მიერ შემოხსენებული სადავო მტკიცებულების წარმოდგენა გარიგების დადებისას აუცილებლად არ მიუჩნევიან.

საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის არგუმენტის საწინააღმდეგოდ თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის დავის გადასაწყვეტად მართებულად მიუთითა სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებზე.“

სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებისას გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს აღნიშნული სამართლებრივი მოსაზრებები და ამ თვალსაზრისით რაიმე დასაბუთებული პრეტენზია წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად კასატორის პრეტენზია, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სკ-ის 405-ე და 352-ე მუხლები, რომლებიც მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს წარმოადგენს, არ უნდა იქნეს გაზიარებული. ასევე ვერ იქნება გაზიარებული პრეტენზია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 381-ე მუხლი, რითაც არ დაკმაყოფილდებოდა მოსარჩელეთა გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა და გაურკვეველია სამოქალაქო საპროცესო კანონის რომელი ნორმის თანახმად დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეთა გაზრდილი მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2006წ. 24 ოქტომბერს მოცემულ საქმეზე მიღებულ განჩინებაში ასევე მითითებულია: საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სასამართლოს, ვინაიდან სადავო ურთიერთობასთან დაკავშირებით გამოსაკვლევი ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სრულად და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს მტკიცებულება, რომლითაც განისაზღვრა

მხარისთვის დასაკისრებელი თანხა. იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო არასარწმუნოდ მიიჩნევს მტკიცებულებას, მან უნდა იმსჯელოს ამ მტკიცებულების უტყუარობაზე. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნას წარმოადგენს გარკვეული ფართის ბინების საფასურის მხარისთვის გადახდის დაკისრება და არა რაიმე კონკრეტული თანხა, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივითაც იმსჯელოს მოცემულ საკითხთან მიმართებით საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური ცოდნის გამოყენების თაობაზე.

381-ე მუხლის თანახმად დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

სარჩელის საგანი არის მოსარჩელის კონკრეტული მოთხოვნა მოპასუხის მიმართ. სარჩელის საგანი იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე თავდაპირველი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის ნაცვლად მოპასუხის მიმართ წარადგენს სხვა მოთხოვნას. სარჩელის საგნის რაოდენობრივ შეცვლაში იგულისხმება მოთხოვნის რაოდენობრივი გაზრდა-შემცირება. დავის საგნის გადიდება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც თავდაპირველი მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას ემატება სხვა მოთხოვნა. რაც შეეხება სარჩელის საგნის დაზუსტებას, აღნიშნული შეიძლება მოხდეს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის სარჩელის საგანი იყო ბინების გადაცემა ან გადასაცემი ბინის საფასურის ანაზღაურება. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაუდო სკ-ის 352-ე მუხლი და მიუთითა, რომ ვინაიდან ამ მუხლით გათვალისწინებული შესრულების და სარგებლის მხარეებისათვის დაბრუნება შეუძლებელია, მოსარჩელებს უნდა მიეცეთ ფულადი ანაზღაურება.

მოპასუხე მის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარში უთითებდა, რომ ბინების საკომპენსაციო ანაზღაურება არასწორად იქნა დადგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. მოპასუხე სადავოდ ხდიდა მეთოდს, რომლითაც გამოანგარიშებული იქნა საკომპენსაციო თანხა.

შპს „საქართველოს რკინიგზა“ სააპელაციო სასამართლოს 2006წ. 10 თებერვლის გადაწყვეტილებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარში მუთითებდა რომ სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემით, რომელიც საცხოვრებელი ფართის ღირებულების ოდენობას განსაზღვრავდა ოთახების ოდენობაზე დაყრდნობით და არა საცხოვრებელი ფართობზე მითითებით, რაც აღნიშნული იყო საგარანტიო წერილში.

აღნიშნული გარემოებიდან იკვეთება, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელის საგანი იყო ბინების ღირებულების ანაზღაურება გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის.

პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მოპასუხემ გაასაჩივრა. მისი პრეტენზიები კომპენსაციის ოდენობის გამოთვლის მეთოდთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა, თუმცა ბაზარზე დავის ობიექტის ღირებულების გათვალისწინებით, სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით მხარეს მიაკუთვნა მისი უფლების შესაბამისად ნივთის რეალური ღირებულება, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოში დავის საგნის შეცვლა ან გადიდება არ განხორციელებულა. დავის საგანი – ბინების ღირებულების ანაზღაურება, უცვლელი დარჩა. აპელანტის მოთხოვნისა და საკასაციო სასამართლოს მითითების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ შეცვალა დასაკისრებელი კომპენსაციის გამოთვლის მეთოდი. დავის გადაჭრის პრინციპის ან კონკრეტული ურთიერთობისადმი სასამართლოს მიდგომის შეცვლა დავის საგნის შეცვლად ვერ ჩაითვლება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავად აპელანტი ამტკიცებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში განხორციელებული გამოთვლის მცდარობას. სააპელაციო სასამართლომ საკომპენსაციო თანხის გამოთვლის ის პრინციპი დაადგინა, რომელსაც მოპასუხე ითხოვდა, შესაბამისად, ვერ იქნება გათვალისწინებული მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ აპელანტის მდგომარეობა გააუარესა. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოყენებული მეთოდით ხელმძღვანელობის შემთხვევაში, მოპასუხეს გაცილებით მეტი თანხის გადახდა დაეკისრებოდა, ვიდრე გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაა გათვალისწინებული. საბაზრო ფასის გათვალისწინებით მოსარჩელის კანონიერი უფლების რეალიზაცია განხორციელდა, რაც კანონის დარღვევად ვერ ჩაითვლება და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძვლად ვერ დაედება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:
პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 13 ივლისის გადაწყვეტილება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

3. ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-196-461-08 10 სექტემბერი, 2008წ., ქთბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

2006წ. 4 იანვარს ზესტაფონის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ სარჩელით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – თ. მ-შვილისა და ა. შ-ძის მიმართ, მესამე პირი – ზესტაფონის რაიონის გამგეობა და მოითხოვა მხარეთა შორის 1995წ. 5 ივნისისა და 1996წ. 10 დეკემბრის ხელშეკრულების, 1995წ. 2 ივლისის მიღება-ჩაბარების აქტის, 1996წ. 10 დეკემბრის საკუთრების მოწმობისა და 1999წ. 3 ივნისს ა. შ-ძესა და თ. მ-შვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელის განმარტებით, ზესტაფონის სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილებასა და ზესტაფონის კულტურისა და დასვენების პარკის ამხანაგობის უფლებამოსილ პირ ა. შ-ძეს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება კულტურისა და დასვენების პარკში არსებული შენობა-ნაგებობის პრივატიზების მიზნით. 1999წ. 10 დეკემბერს ა. შ-ძეზე გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რომლითაც ა. შ-ძე, როგორც ამხანაგობის უფლებამოსილი პირი, გახდა პარკში მდებარე ობიექტების მესაკუთრე. ხელშეკრულების თანახმად, არ უნდა შეცვლილიყო ხელშეკრულების ობიექტის მუშაობის პროფილი, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო პარკის დასუფთავება და შესაბამისი შეღავათებით უნდა ესარგებლათ მოსახლეობის შეჭირვებულ ფენებს. 1999წ. 9 ივნისს ა. შ-ძესა და თ. მ-შვილს შორის დაიდო პარკის იმ შენობა-ნაგებობის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლებიც თავის დროზე გადაეცა ა. შ-ძეს. არც ა. შ-ძის მიერ ობიექტის გასხვისებამდე და არც გასხვისების შემდეგ, თ. მ-შვილს არ შეუსრულებია 1996წ. 10 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, არ ფუნქციონირებს და ნაგვის ბუდედ არის ქცეული პრივატიზებული ობიექტები.

მესამე პირმა – ზესტაფონის რაიონის გამგეობამ შესაგებლად სასარჩელო მოთხოვნას მხარი დაუჭირა.

რაიონულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე ა. შ-ძემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ ზესტაფონის კულტურისა და დასვენების პარკში არსებული შენობა-ნაგებობები სახელმწიფო ქონების მართვის ზესტაფონის განყოფილებისაგან შეიძინა პრივატიზების გზით და ფლობდა თ. მ-შვილზე გასხვისებამდე. ხოლო აღნიშნული პროფილის შენარჩუნება ვერ მოახერხა იმ პერიოდში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

სარჩელი ასევე არ ცნო თ. მ-შვილმა იმ საფუძველით, რომ სადავო ქონება ა. შ-ძისაგან შეიძინა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ხოლო 1996წ. 10 დეკემბრის პრეზატივების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ სრულდება, ხელშეკრულებაში არსებული აბსურდული პირობების გამო, შესაბამისად, არ არსებობს ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007წ. 25 იანვრის გადაწყვეტილებით ზესტაფონის სახელმწიფო აღრიცხვისა და პრეზატივების სამმართველოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ა. შ-ძესა და სახელმწიფო ქონების მართვის ზესტაფონის რაიონულ განყოფილებას შორის 1995წ. 5 ივნისის ხელშეკრულება, 1995წ. 2 ივნისის №38 მიღება-ჩაბარების აქტი, 1996წ. 10 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება და 1996წ. 10 დეკემბრის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრეზატივების სამხარეო სამმართველომ და მოითხოვა ა. შ-ძესა და თ. მ-შვილს შორის 1999წ. 3 ივნისს დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრეზატივების სამხარეო სამმართველოს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007წ. 25 იანვრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი – 1999წ. 3 ივნისს ა. შ-ძესა და თ. მ-შვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მხარეთა შორის დავის საგანია 1999წ. 3 ივნისს თ. მ-შვილსა და ა. შ-ძეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება;

სადავო ხელშეკრულების თანახმად, ა. შ-ძემ გაყიდა, ხოლო თ. მ-შვილმა იყიდა ზესტაფონის კულტურისა და დასვენების პარკის შენობა - ნაგებობები, რომელიც მდებარეობს ზესტაფონში, ... ქ. №33-ში;

სანოტარო ბიუროს მიერ 1996წ. 10 დეკემბერს გაცემული ხელშეკრულებისა და ტექნიკურის 1999წ. 3 ივნისის №165 ცნობა-დახასიათების თანახმად, გასაყიდი ქონება ეკუთვნოდა ა. შ-ძეს. აღნიშნული დაფიქსირებულია სადავო ხელშეკრულებაშიც. ხელშეკრულება დამოწმებულია სანოტარო წესით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრეზატივების სამხარეო სამმართველომ განმარტა, რომ ა. შ-ძესა და თ. მ-შვილს შორის დადებული ხელშეკრულებით დაირღვა კანონით დადგენილი წესი, კერძოდ, ა. შ-ძემ დაარღვია სკ-ის 361-ე მუხლი, არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და თ. მ-შვილთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მყიდველი სამართალმემკვიდრე უნდა გამხდარიყო შ-ძის მიერ ქონების მართვის სამმართველოს წინაშე აღებულ ვალდებულებებზე, შესაბამისად, სადავო ხელშეკრულება აპელანტმა ბათილად მიიჩნია. აღნიშნული არგუმენტაცია არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ და მიუთითა, რომ ა. შ-ძესა და თ. მ-შვილს შორის 1999წ. 3 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი არ არსებობდა იმ მოტივით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების დადებით, მხარეებს არ დაურღვევიათ არანაირი „კანონით დადგენილი წესი და აკრძალვები“.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს ერთუთრის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულებაზე არ გამოუთქვამთ პრეტენზია და ასეც რომ ყოფილიყო, აღნიშნული გარემოება შეიძლება გამხდარიყო არა ხელშეკრულების ბათილობის, არამედ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ თ. მ-შვილი განსახილველ შემთხვევაში კეთილსინდისიერი შემძენია, რომლისთვისაც დავის წარმოშობამდე უცნობი იყო ის დათქმები, რაც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ზესტაფონის რაიონულ განყოფილებასა და ა. შ-ძეს შორის 1996წ. 10 დეკემბერს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში იყო ჩადებული. აღნიშნული სადავო არ გამხდარა არც რაიონულ და არ სააპელაციო სასამართლოს სხდომებზე.

რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრეზატივების სამხარეო სამმართველოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ რაიონულ სასამართლოს საქმის განხილვისას არ უმსჯელია ა. შ-ძესა და თ. მ-შვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად

ცნობაზე, რაც სარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა და აღნიშნულ ნაწილში გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დააკმაყოფილა მითითებული მოთხოვნა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველომ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით 1999წ. 3 ივნისს ა. შ-ძესა და თ. მ-შვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, არ გამოიყენა სკ-ის 54-ე და 361-ე მუხლები. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველები.

სასამართლომ არაობიექტურად შეისწავლა და შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, არ გაითვალისწინა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსა და ა. შ-ძეს შორის 1996წ. 10 დეკემბრს დადებული ხელშეკრულების მე-11 მუხლი, რომლის მიხედვითაც ქონების გაყიდვის შემთხვევაში, ახალი მყიდველი ხდებოდა სამართალმემკვიდრე ხელშეკრულებაში მითითებული პირობების შესრულებაზე. არცერთი პირობა 1999წ. 3 ივნისს ა. შ-ძესა და თ. მ-შვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ გათვალისწინებულა, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს სკ-ის 361-ე და 54-ე მუხლების თანახმად, სადავო ხელშეკრულება ბათილად უნდა ეცნო.

სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან თ. მ-შვილისათვის დავის წარმოშობამდე უცნობი იყო ის დათქმები, რაც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ზესტაფონის რაიონულ განყოფილებასა და ა. შ-ძეს შორის 1996წ. 10 დეკემბერს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში იყო ჩადებული, იგი კეთილსინდისიერი შემძენია. კასატორის განმარტებით, აღნიშნული განმარტება საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან მ-შვილსა და შ-ძეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ მისი გაფორმების საფუძველს წარმოადგენდა სამმართველოსა და შ-ძეს შორის არსებული ნასყიდობის ხელშეკრულება, შესაბამისად, თ. მ-შვილისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და სასამართლოს იგი კეთილსინდისიერ შემძენად არ უნდა მიეჩნია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კასატორმა მიუთითა, რომ ა. შ-ძესა და სახელმწიფო ქონების მართვის ზესტაფონის რაიონულ განყოფილებას შორის 1995წ. 5 ივნისის ხელშეკრულების, 1995წ. 2 ივნისის №38 მიღება-ჩაბარების აქტის, 1996წ. 10 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 1996წ. 10 დეკემბრის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაუქმება მნიშვნელოვანი საფუძველია, ა. შ-ძესა და თ. მ-შვილს შორის 1999წ. 3 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს 1999წ. 3 ივნისს თ. მ-შვილსა და ალ. შ-ძეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. სადავო ხელშეკრულების თანახმად, ა. შ-ძემ გაყიდა, ხოლო თ. მ-შვილმა იყიდა კულტურისა და დასვენების პარკის შენობა-ნაგებობები, მდებარე ქ. ზესტაფონი, ... ქ. №33-ში. ხელშეკრულება დამოწმებულია სანოტარო წესით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

კასატორის მოსაზრებით სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, სადავო ხელშეკრულება ბათილია, ვინაიდან ამ გარიგებით დაირღვა კანონით დადგენილი წესი, რაც გამოიხატა სკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევაში.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას და თვლის, რომ კასატორის მიერ მითითებული არგუმენტები ვერ გახდება სადავო ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი.

სკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სკ-ის 54-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე გარიგების ბათილობას იწვევს ნების გამოვლენის შეუსაბამობა კანონის იმპერატიულ დანაწესებთან. ხოლო 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი კი ითვალისწინებს მოვალის მიერ ვალდებულების ძალით წარმოშობილ მოთხოვნათა შესრულებას. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა არ წარმოადგენს გარიგების ბათილობის საფუძველს, არამედ კანონი

ვალდებულების დარღვევას უკავშირებს სულ სხვა შედეგებს, კერძოდ, ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, ზიანის ანაზღაურება (სკ-ის 394-ე, 405-ე, 408-ე მუხლები) და ა.შ.

კასატორი ვერ მიუთითებს ისეთ კანონზე, რომლის დანაწესსაც ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მხარეთა ნების გამოვლენა და, რომელიც უნდა გამოეყენებინა სააპელაციო სასამართლოს და არ გამოიყენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა და შესაბამისად არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმის იმერეთის სამხარეო სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 4 დეკემბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ვალდებულების დარღვევა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-533-875-07

22 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ხანძრის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2003წ. 30 სექტემბერს ა. ც-იამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ ცხოვრობს ზუგდიდის რაიონის სოფ. ... მეუღლე გარდაეცვალა 1995 წელს, დარჩა ერთადერთი ვაჟიშვილი, რომელიც არის 16 წლის და იმყოფება მის კმაყოფაზე. მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენდა ზუგდიდის რაიონის სოფ. ... 3 სართულიანი კაპიტალური სახლი, გაბარიტებით, 14 X 25 მ, მესამე სართული კი მანსარდული სტილით. ელექტროსისტემა გაყვანილი იყო უსაფრთხოების ყველა ზომების დაცვით, ხოლო იგი, როგორც აბონენტი, ე. ენერჯით მარაგდებოდა ფილიალიდან და სისტემატურად უხდიდა მას მიწოდებული ენერჯის საფასურს. სახლი მოწყობილი იყო საცხოვრებლად და მასში ინახებოდა დიდი ოდენობის ოჯახის პირადი ქონება. 2003წ. 28 ივლისს ნაშუადღევს ცეცხლი გაუჩნდა სახლის მესამე სართულს, რომელიც მეზობლებისა და სახანძრო მანქანების მონღომების მიუხედავად მოედო მთლიანად სახლს. ექსპერტიზის დასკვნით ხანძარი გამოიწვია სახლის მე-3 სართულის დამხმარე სათავსოში ელ. ნათურის ბუდის მოკლე ჩართვამ. ზუგდიდის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით საცხოვრებელი სახლის აღდგენისათვის საჭირო თანხამ შეადგინა 165113 ლარი, ხოლო პირად ქონებაზე ხანძრით მიყენებული ზარალის ღირებულებამ შეადგინა 83835 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაზე“ 248948 ლარის დაკისრება, რადგან იგი იყო მისი აბონენტი და მის მიერ იქნა მიწოდებული არასტანდარტული, მაღალი ძაბვის ელექტრო ენერგია.

მოპასუხე სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ“ სარჩელი არ სცნო უსაფუძვლობის გამო და აღნიშნა, რომ ხანძარი შეეძლო გამოეწვია ჭექა-ქუხილს, ექსპერტიზის დასკვნა დაუსაბუთებელია და მოსარჩელე ითხოვს გაზრდილ თანხებს.

საქმეზე ჩატარდა საინჟინრო-ტექნიკური და ელ. ტექნიკური ექსპერტიზა.

თბილისის კრჭ-ში-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004წ. 13 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხე სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის - 41917 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში სარჩელს ეთქვა უარი დაუსაბუთებლობის გამო. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრებული იქნა, როგორც ა. ც-იას, ასევე, სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მიერ. სასამართლო სხდომაზე ა. ც-იამ შეამცირა მოთხოვნის ოდენობა და 248 000 ლარის ნაცვლად მოითხოვა 124000 ლარი.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2005წ. 1 მარტის განჩინებით ა. ც-იასა და სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას“ სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის კრჭ-ში-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004წ. 13 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნდა იმავე სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006წ. 25 მაისის გადაწყვეტილებით ა. ც-იას სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას“ დაეკისრა მოსარჩელე ა. ც-იას სასარგებლოდ 124 000 ლარის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ გენერალურ დირექტორმა დ. უ-ითმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 5 აპრილის განჩინებით სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006წ. 25 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი და სწორად შეაფასა გარემოება, რომ ხანძრის დაუძლეველი ძალის, ჭექა-ქუხილის შედეგად გაჩენის შემთხვევაშიც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მოპასუხეს, სკ-ის 1000-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით. პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე სწორად არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი მოსარჩელის არასათანადობასთან დაკავშირებით და სწორად მიიჩნია მოსარჩელე სარჩელის აღძვრაზე უფლებამოსილ პირად, სკ-ის 1421-ე, 1433-ე მუხლების საფუძველზე.

პალატამ განმარტა, რომ მართებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობა არ არის დამოკიდებული იმაზე ხანძრის შედეგად განადგურებული სახლი მიღებული იყო ექსპლოზაციაში, თუ არა.

პალატამ ასევე განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა ზიანის ოდენობის 124.000 ლარით განსაზღვრის თაობაზე დასაბუთებულია და ემყარება საქმის მასალებს, კერძოდ, ზუგდიდის რაიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის 2003წ. 17 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად ხანძრის შედეგად მოსარჩელისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა შეადგენს 248 000 ლარს; ასევე მოწმეთა ჩვენებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ შედგენილი აქტების საფუძველზე დასაბუთებულია მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 124 000 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 5 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ დირექტორმა დ. უ-ითმა.

კასატორის აზრით, აღნიშნული განჩინება კანონის დარღვევით არის მიღებული, დაუსაბუთებელია და უსაფუძვლო.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ მტკიცების ტვირთი მთლიანად მას დააკისრა და დადასტურებულად ჩათვალა (თუმცა საფუძველს არ უთითებს, მოტივაციას არ უკეთებს), რომ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ ც-იას მიაწოდა უხარისხო ელ.ენერგია.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა ც-იას განცხადებას ზუგდიდის რაიონის გამგებლისადმი – (30.07.03 №ც-356), საიდანაც ცალსახად იკვეთება დაზარალებულის ბრალი. სასამართლოს სათანადოდ, რომ შეეფასებინა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, იგი აუცილებლად იმსჯელებდა შერეულ ბრალზე და გამოიყენებდა სკ-ის 415-ე მუხლს.

კასატორის აზრით, გასაჩივრებული განჩინება არ გამოძინარეობს საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევიდან. სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ახორციელებს სისტემაში არსებული ელ.ენერგიის განაწილებას გარკვეული გრფიკით, რომელიც წინასწარ არის დადგენილი და შეთანხმებული. ასეთი გრაფიკი არ ითვალისწინებდა 14.00 სთ-დან 15 სთ-მდე (ხანძრის გაჩენის დროს) ჩართვებს. სასამართლომ კი ამ ფაქტს იგნორირება გაუკეთა.

კასატორის აზრით, მათ სააპელაციო საჩივარში სადავო გახადა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ იქნა გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მიერ. კერძოდ, სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალია, რომ მხარეები იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში (მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ქვითრების საფუძველზე) და ერთმანეთთან შეთანხმებული იყვნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე. მე-1000 მუხლით პასუხისმგებლობა დგება დელიქტური (და არა სახელშეკრულებო) ვალდებულებით. სასამართლომ ზიანის ანაზღაურება დააკისრა სკ-ის მე-1000 მუხლზე დაყრდნობით, რაც არამართებულია. ვინაიდან, იგი შეეხება პასუხისმგებლობას ნაგებობიდან გამოძინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის. საფრთხე მომეტებულად უნდა ჩაითვალოს, თუ იგი ქმნის ზიანის მიყენების მომეტებულ ალბათობას იმის გამო, რომ შეუძლებელია მასზე ადამიანის მხრივ სრული კონტროლის განხორციელება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო ზიანის ოდენობას დასაბუთებულად თვლის მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ შედგენილი აქტების საფუძველზე. რაც არასწორია. თვით სავაჭრო-სამრეწველო პალატის დასკვნაც არასრულფასოვანია, ვინაიდან იგი დაყრდნო მხოლოდ იმ ჩამონათვალს, რაც დაზარალებულმა წარუდგინა, ხოლო თუ რა ქონება იყო უშუალოდ ხანძრის დროს განადგურებული, არ ყოფილა დადგენილი. სასამართლოს უნდა დაედგინა ფაქტობრივად მიყენებული ზიანის ოდენობა, რაც მას არ განუხორციელებია.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტები ც-იას არასათანადო მოსარჩელობასთან დაკავშირებით. ხანძრის გაჩენის დროს - 28.07.03 - სახლის მესაკუთრე ც-ია არ იყო, ასეთი უფლება მან მოიპოვა 2004წ. 31 აგვისტოდან, ანუ ც-ია უკვე დამწვარი სახლის მესაკუთრეა და შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არ გააჩნია.

სასამართლოს არ უმსჯელია იმ წინააღმდეგობაზე, რაც იკვეთება ექსპერტის დასკვნასა და სახანძროს მიერ შედგენილ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებს შორის. კერძოდ, ექსპერტი ხანძრის გაჩენის შესაძლო მიზეზებიდან გამორიცხავს მეხის ზემოქმედებას იმ მოტივით, რომ მეხის დაცემას გააჩნია უზარმაზარი ენერგეტიკული ბალანსი და მის შემდეგ შენობას უნდა ეტყობოდეს რკინის კონსტრუქციების დნობის, შენობის ნგრევის კვალი, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ფიქსირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოში.

საქმის განხილვის პერიოდში სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ შეიცვალა სს „ენერგია XXI-ით“.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2003წ. 28 ივლისს ნაშუადღევს, დაახლოებით 14-დან 15 საათამდე დროის მონაკვეთში ზუგდიდის რაიონის სოფ. ... ა.ც-იას ფაქტობრივ მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული სამსართულიან საცხოვრებელ სახლს გაუჩნდა ხანძარი და სახლი იქ განთავსებული საოჯახო დანიშნულების და პირადი მოხმარების საგნებთან ერთად სრულად დაიწვა და განადგურდა. ხანძრის შემდგომ შენარჩუნდა მხოლოდ შენობის კედლები ხანძრის შემდგომი შესაბამის სახეცვლილებით

დადგენილია რომ ხანძრის წარმოშობის კერა მდებარეობდა შენობის მესამე სართულზე განთავსებულ სათავსოში. ხანძარი ტექნიკური და ელექტროტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად

გამოიწვია ელნათურის ცოკოლის და განათებული პატრონის ბუდეს შორის მოკლე ჩართვამ. აღნიშნული თავის მხრივ გამოიწვია ელ. ქსელში დასაშვებ პარამეტრებზე მაღალი ძაბვის მოწოდებამ, რასაც მოჰყვა ნათურის ცოკოლის გავარვარება, ელ.სადენის დნობა და სათავსოში არსებული წვადი მასალის აალება.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ მთლიანად გამორიცხა მოსარჩელის ბრალი. საქმეზე წარმოდგენილი ტექნიკური და ელექტროტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა მთლიანად გამორიცხავს მოსარჩელის ბრალს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ მისი მტკიცების ტვირთიდან გამომდინარე სარჩელში მითითებული ეს გარემოება დაადასტურა მოცემული მტკიცებულებით. საპირისპიროს დადასტურება კი მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. ის გარემოება, რომ ხანძარმა მეორე დღესაც იფეთქა, არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული წარმოადგენს მოსარჩელის ცალსახა ბრალს. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეს არ წარმოუდგენია, ამიტომ იგი ვერ იქნება გაზიარებული. ამასთან ის გარემოება, რომ ც-იას გამართულ მდგომარეობაში არ ჰქონდა ელექტროგაყვანილობა ექსპერტის დასკვნაში მითითებული არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტი ვალდებული იყო მიეთითებინა ასეთის არსებობის თაობაზე. კასატორის განმარტებით, ხანძრის დროს ელექტროენერგია სოფელს მის მიერ არ მიეწოდებოდა. ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული არ არის რომ ა.ც-იას ჰქონდა ელ. ენერგიის მიწოდების სხვა საშუალებები. ასეთი გარემოება არ დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებითაც. ამიტომ აღნიშნული გარემოება ვერ იქნება უარყოფილი სასამართლოს მიერ.

კასატორი თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს არა დელიქტურ ვალდებულებას, არამედ ვალდებულების დარღვევით მიყენებულ ზიანს. სკ-ის 394-ე მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. მართალია, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ნორმები, მაგრამ პალატა მიიჩნევს, რომ ზემოთ მითითებული ნორმაც ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას და არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ აღნიშნული ნორმის გამოყენება გამორიცხავს მოპასუხის პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება ზიანის ოდენობას, ენერგოდისტრიბუციას არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის მტკიცებულებებით დადგენილი ზიანის ოდენობის უსაფუძვლობას. ხოლო რაც შეეხება შეუსაბამობას ექსპერტის დასკვნას და სახანძროს მიერ შედგენილი შემთხვევის ადგილის დათვალიარების ოქმებს შორის, აღნიშნულიც ვერ იქნება გაზიარებული სასამართლოს მიერ. კასატორი უთითებს, რომ დათვალიერების ოქმში მითითებულია დეფორმირებული რკინის ძელების არსებობა, რაც ადასტურებს მეხის დაცემის კვალს. სასამართლო აღნიშნულს ვერ გაიზიარებს, რადგან დეფორმაცია ცალსახად არ გულისხმობს რკინის კონსტრუქციის დნობას (რაც შეიძლება იყოს მეხის ჩამოვარდნის შედეგი), ხოლო ის გარემოება, რომ დათვალიერებისას აღმოჩენილია გამდნარი ლითონის კვალი, საქმის მასალებით არ დგინდება.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ა.ც-ია არ წარმოადგენდა დაზიანებული სახლის მესაკუთრეს და ამიტომ მას არ უნდა აუნაზღაურდეს ზიანი, სასამართლო ვერ გაიზიარებს რადგან ა.ც-იამ ფაქტობრივი ფლობით მიიღო მეუღლის სამკვიდრო ხოლო სკ-ის 1433-ე მუხლის თანახმად სამკვიდრო ა. ც-იას საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1320-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ე.ი. ა. ც-ია მითითებულ ქონებაზე მესაკუთრედ ითვლებოდა მეუღლის გარდაცვალების დღიდან.

რაც შეეხება ა. ც-იას წარმომადგენლის მითითებას უფლებამონაცვლეობასთან მიმართებაში, აღნიშნული ცალსახად არ დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით. რაც შეეხება სამეწარმეო რეესტრის ამონაწერს, ამ მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ სს „ენერგია-პრო ჯორჯია“ არის სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ უფლებამონაცვლე. ხოლო მის მიერ მითითებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, იგი წარმოადგენს ცალკე დავის საგანს და იგი არ შეიძლება განხილული იქნეს მოცემულ დავასთან ერთად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს „ენერჯია XXI-ის“ საკასაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 5 აპრილის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-540-773-08

5 დეკემბერი, 2008წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2004წ. 18 მაისს შ. ხ-შვილმა სარჩელი აღძრა გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის სარკინიგზო სალოკომოტივო დეპოს წინააღმდეგ და მოითხოვა სარჩოს დანიშვნა, საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანისა და დამატებითი ხარჯების ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელის განმარტებით, იგი წლების განმავლობაში მუშაობდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის სალოკომოტივო დეპოში – მემანქანედ. 2001წ. 9 სექტემბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გახდა ცუდად, რის გამოც მატარებლის შემადგენლობა გაჩერდა გრაფიკით გაუთვალისწინებელ სადგურზე. სადგურის უფროსმა მიიყვანა სახლში, სადაც სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მეშვეობით იგი მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში.

2002წ. 29 ივნისის შრომის საექიმო საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე, განვითარებული დაავადების შედეგად მოსარჩელე დაწუნებულ იქნა მემანქანედ მუშაობისათვის და დაუდგინდა მეორე ჯგუფის ინვალიდობა უვადოდ.

შ. ხ-შვილის განმარტებით, მოპასუხე ორგანიზაციის მხრიდან შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესებისა და სხვა ნორმატიული აქტის დარღვევამ გამოიწვია მისი გადაღლილობა და ჯანმრთელობის მოშლა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შ. ხ-შვილმა მოითხოვა 2001წ. 9 სექტემბრის ფაქტის აღიარება საწარმოო ტრავმად, ასევე მოპასუხისათვის ზიანის სახით ყოველთვიური სარჩოს დაკისრება 2002წ. 11 მარტიდან, დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, კერძოდ, წამლების შეძენისათვის ყოველთვიურად 2001წ. ოქტომბრიდან 219,95 ლარის, მომვლელის ხარჯის – 40 ლარის გადახდა და ერთჯერადი დახმარება 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

აღნიშნულ საქმეზე შეჩერდა წარმოება სხვა სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე და 2007წ. პირველ თებერვლის განჩინებით საქმის წარმოება განაზღაურდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 14 მარტის საოქმო განჩინებით საქმეში სათანადო მოპასუხედ ჩართულ იქნა შპს „საქართველოს რკინიგზა“.

2007წ. 10 მაისს შ. ხ-შვილმა დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მოითხოვა ყოველთვიური სარჩო 616 ლარის ოდენობით, 2002წ. პირველი მარტიდან 2007წ. პირველი იანვრის მიუღებელი შემოსავლის სახით 30061,80 ლარის, 2004წ. აპრილამდე დამატებითი ხარჯების სახით 6570

ლარის, ხოლო 2004წ. აპრილიდან 2007წ. აპრილამდე 4184,72 ლარის გადახდა, ასევე ერთჯერადი დახმარება ხუთი წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით შ. ხ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზას“ მოსარჩელე შ. ხ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად სარჩოს სახით 616 ლარის გადახდა, ხოლო ზიანის ანაზღაურების სახით 14193 ლარისა და დამატებითი ხარჯების ანაზღაურების სახით 219 ლარისა და 95 თეთრის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. შ. ხ-შვილმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. შპს „საქართველოს რკინიგზამ“ მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 12 მარტის გადაწყვეტილებით შ. ხ-შვილისა და შპს „საქართველოს რკინიგზის“ სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 25 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. შ. ხ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „საქართველოს რკინიგზას“ შ. ხ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩოს გადახდა 2002წ. მარტიდან 2007წ. თებერვლის ჩათვლით ერთდროულად 16 903,2 ლარი, ხოლო 2007წ. მარტიდან ყოველთვიურად 492,8 ლარი, შპს „საქართველოს რკინიგზას“ დაეკისრა შ. ხ-შვილის სასარგებლოდ 2004წ. მარტიდან მკურნალობის ხარჯები ყოველთვიურად 116 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შ. ხ-შვილი მუშაობდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის სალოკომოტივო დეპოში – მემანქანედ. 2001წ. 9 სექტემბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გახდა ცუდად, დიაგნოზით – მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი და გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „საქართველოს რკინიგზას“ უბედური შემთხვევის აქტი №ტ-1 არ შეუდგენია.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 17 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, სალოკომოტივო დეპოს დაევალა უბედური შემთხვევის №ტ-1 აქტის შედგენა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და 2007წ. 9 მარტს შპს „საქართველოს რკინიგზამ“ შეადგინა წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელის დაავადება გადალღილობით იყო გამოწვეული, შ. ხ-შვილის ავადმყოფობის განვითარება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიწყო, რაც ადასტურებს საწარმოს ბრალეულობას.

სალოკომოტივო დეპოს 2002წ. 14 მარტის №78 ბრძანების საფუძველზე, შ. ხ-შვილი გათავისუფლდა თბომავლის მემანქანის თანამდებობიდან.

მოსარჩელეს, სსე ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე, შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხი განესაზღვრა 80%-ით.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად ჩათვალა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა და ზიანის მიმყენებლის ბრალი.

სააპელაციო სასამართლომ ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებლად მიიჩნია შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის მასალების თანახმად, შ. ხ-შვილი სამუშაოდან გათავისუფლდა 2002წ. მარტიდან;

2001წ. 9 სექტემბრისათვის მისი საშუალო ხელფასი შეადგენდა 349,06 ლარს, ხოლო 2003წ. სექტემბრიდან თბომავლის მემანქანის ხელფასი გაიზარდა 353,58 ლარამდე, რაც მხარეებს შორის სადავოდ არ გამხდარა;

„შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულების მე-11

მუხლის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შ. ხ-შვილს სარჩოს სახით უნდა ანაზღაურებოდა ხელფასის -349,06 ლარის 80%, რაც 18 თვის განმავლობაში შეადგენდა 5 025,6 ლარს.

ვინაიდან 2003წ. სექტემბრიდან ხელფასის ოდენობა შეადგენდა 353,8 ლარს, აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ 2007წ. პირველ მარტამდე 42 თვის განმავლობაში მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა 11877,6 ლარი, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „საქართველოს რკინიგზას“ შ. ხ-შვილის სასარგებლოდ სარჩოს სახით ერთდროულად უნდა დაკისრებოდა 16903,2 ლარის გადახდა.

ვინაიდან 2007წ. 11 აპრილისათვის პირველი კლასის თბომავლის მეძანქანის საშუალო ხელფასი განისაზღვრა 616 ლარით, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს „საქართველოს რკინიგზამ“ შ. ხ-შვილს უნდა აუნაზღაუროს 616 ლარის 80% და სარჩოს ოდენობა განისაზღვრა 492,8 ლარით. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის დამატებითი ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მოპასუხე ორგანიზაციას შ. ხ-შვილის სასარგებლოდ დააკისრა მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება 2004წ. მარტიდან 116 ლარის ოდენობით.

სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სკ-ის 408-ე მუხლი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილების გამოტანისას სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესები, აგრეთვე, სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 408-ე მუხლი, ვინაიდან აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ყოველვიურად სარჩოს გადახდას, ხოლო სარჩოს გადახარისხების წესს არეგულირებდა მაშინ მოქმედი 1999წ. 9 თებერვლის №48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-11 და მე-12 პუნქტები.

კასატორმა ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია, გასაჩივრებული გადაწყვეტილება შ. ხ-შვილის სასარგებლოდ 2004წ. მარტიდან მკურნალობის ხარჯების ყოველთვიურად 116 ლარის შპს „საქართველოს რკინიგზისათვის“ დაკისრების ნაწილშიც, ვინაიდან, მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილშიც სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი. აღნიშნული ნორმის თანახმად, ზიანის ანაზღაურება ხდება წინასწარ შემდგომ გადასახდელი თანხებიდან და არა ადრე გაწეული ხარჯებიდან. ამასთან, საქმეში არსებული სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული არ არის მოსარჩელისათვის ყოველთვიურად მედიკამენტების საჭიროების შესახებ, შესაბამისად, გადაწყვეტილება მიიღო საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, რის გამოც მოითხოვა მისი გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება.

საქართველოს მთავრობის 2007წ. 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი. აღნიშნული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ამ წესით, საქართველოს შრომის კოდექსითა და სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში. აღნიშნული დადგენილებით ახლებურად მოწესრიგდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების წესები. 2007წ. 6 თებერვლის საქართველოს პრეზიდენტის №93 ბრძანებულებით კი ძალადაკარგულად გამოცხადდა პრეზიდენტის 1999წ. №48

ბრძანებულება, შესაბამისად, სასამართლომ მართებულად არ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესები.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა, რომ მოსარჩელე ყოველთვიურად იხდიდა მედიკამენტებში 116 ლარს, ასევე სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული არ არის მოსარჩელისათვის ყოველთვიურად მედიკამენტების საჭიროების შესახებ.

საქართველოს ომის ვეტერანთა საერთაშორისო კლინიკური ჰოსპიტალის მიერ გაცემული ავადმყოფის სტაციონალური ბარათის ამონაწერიდან (ფორმა №27) დასტურდება, რომ შ. ხ-შვილს მკურნალობისათვის სისტემატურად ესაჭიროება სხვადასხვა მედიკამენტები. შპს „ავერსი ბიოფარმის“ ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, აღნიშნული მედიკამენტების ღირებულება 116.27 ლარს შეადგენს.

კასატორს მითითებული ფაქტობრივი გარემოების მიმართ არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, იგი არ მიუთითებს ისეთ მტკიცებულებაზე, რაც გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, შესაბამისად, ის გარემოება, რომ მოსარჩელეს 2004 წლიდან ყოველთვიურად ესაჭიროებოდა მკურნალობის ხარჯები 116,27 ლარის ოდენობით სსსკ-ის 407-ე მუხლის საფუძველზე, სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ვინაიდან აღნიშნული ნორმის თანახმად, ზიანის ანაზღაურება ხდება წინასწარ, შემდგომ გადასახდელი თანხებიდან და არა ადრე გაწეული ხარჯებიდან.

სკ-ის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუძცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს, მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ.

დაზარალებულის მკურნალობის ხარჯები არის დადებითი ზიანი და დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს როგორც მკურნალობის შემდეგ, ისე წინასწარ, აღნიშნული დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მოითხოვს მას დაზარალებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 12 მარტის გადაწყვეტილება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-671-1001-07

11 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემაღგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. გ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. დ-შვილის მიმართ მატერიალური ზიანის – 18449,86 ლარისა და მორალური ზიანის – 50 000 ლარის ანაზღაურების თაობაზე შემდეგი საფუძვლებით: ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2006წ. 24 აგვისტოს განაჩენით დგინდება, რომ მოპასუხემ ბრალეული მოქმედებით, ავტომანქანის მართვის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევით მოახდინა ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, რომლის შედეგად მოსარჩელემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები. 2005წ. 8 ნოემბრიდან 2006წ. მარტამდე ნ. გ-შვილი იყო უმუშევარი, 2006წ. 3 თებერვალს მას ჩაუტარდა ოპერაცია, რომლის სარეაბილიტაციო პერიოდი შეადგენდა 7-8 თვეს, თუმცა სარჩელის აღძვრამდე კი მას აკრძალული ჰქონდა ფიზიკური დატვირთვა. ავადმყოფობის გამო მოსარჩელემ იძულებით შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების შემდეგი ხელშეკრულებები: 2005წ. 4 აპრილსა და 31 ოქტომბერს ხ. ნ-შვილთან დადებული 7000 ლარიანი ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნა ამავე წლის 10 ნოემბერს; 2005წ. 1 ნოემბრის ექვსთვიანი ხელშეკრულება შპს „აგარაჯგუფთან“ თვეში 1000 ლარის, სულ 6000 ლარის ანაზღაურებით, მოიშალა 2005წ. 11 ნოემბერს; 2005წ. 1 ნოემბრის ხელშეკრულება ინდივიდუალურ მეწარმე „თ. მ-შვილთან“ 1 წლის ვადით, ყოველთვიურად 200 ლარის სულ – 2400 ლარის ვადად. ამდენად, მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა 15400 ლარი. სკ-ის 411-ე მუხლის და 413-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მოსარჩელემ მოითხოვა მკურნალობის ხარჯების – 3049,86 ლარის ანაზღაურება, ასევე მორალური ზიანის – 50 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და განმარტა, რომ მზადაა მოსარჩელეს აუნაზღაუროს მხოლოდ ოპერაციის ხარჯები. რაც შეეხება მკურნალობის ხარჯებს, ნ.გ-შვილს სარჩელში მითითებული დაზიანებები რომ ჰქონოდა, აღნიშნული ავტოსაგზაო შემთხვევის დროსვე გამოვლინდებოდა, მოსარჩელემ კი მკურნალობა სტაციონარულად მხოლოდ სამი თვის შემდეგ დაიწყო. ასევე უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის ნაწილში, რადგან მხარეს შეემდო 8 ნოემბრის შემდეგ განეახლებინა საადვოკატო პრაქტიკა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007წ. 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. გ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შ. დ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის – 15400 ლარისა და მკურნალობის ხარჯების – 3049,86 ლარის ვადა, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც შ.დ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 11 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ შ. დ-შვილმა ავტომანქანის მართვისას თავისი ბრალეული მოქმედებით, მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევით, მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რამაც გამოიწვია ნ. გ-შვილის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, კისრის ძალების დაზარალებული ტრავმა, მალის რკალების ფრაგმენტული მოტეხილობა, რომლის მკურნალობის ხარჯებმა შეადგინა 3049,86 ლარი. აღნიშნული დაზიანების გამო ნ.გ-შვილმა შეწყვიტა 2005წ. 4 აპრილსა და 31 ოქტომბერს ხ. ნ-შვილთან, 2005წ. 1 ნოემბერს შპს „აგარაჯგუფთან“ და ინდივიდუალურ მეწარმე „თ. მ-შვილთან“ დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები, რის შედეგად მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა 15400 ლარი. პალატამ მიიჩნია, რომ, სკ-ის 411-ე და 413-ე მუხლების თანახმად, მოსარჩელის მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დასაბუთებულია და საქალაქო სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა. სსკ-ის 102-103-ე მუხლებზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ, 2005წ. 4 აპრილის ხელშეკრულების შესაბამისად, საადვოკატო მომსახურების ღირებულება – 4000 ლარი ნ.გ-შვილს ხ.ნ-შვილისაგან მიღებული აქვს. სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 319-ე მუხლით და ასევე დაუსაბუთებლად ჩათვალა შ.დ-შვილის მოსაზრება, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება, რადგან აღნიშნულ გარიგებაში მხარეებს თანხის გადასახდელად საბანკო ანგარიში არ მიუთითებიათ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შ. დ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ არ დააკაყოფილა კასატორის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების შესახებ, რათა ამ უკანასკნელს საქმის მასალების სათანადოდ გაცნობის შესაძლებლობა მისცემოდა, ვინაიდან ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ დაიდო 2007წ. 10 ივლისს და წარმომადგენელს საქმის მასალების გაცნობისა და პოზიციის ჩამოყალიბებისათვის გონივრული ვადა არ ჰქონდა. სასამართლოს მსჯელობა ეხება დელიქტური ვალდებულების არსებობისას ზიანის ანაზღაურებას, თუმცა გასაჩივრებული განჩინება, სკ-ის 992-ე და 999-ე მუხლების ნაცვლად, ეყარება ამავე კოდექსის 411-ე და 413-ე მუხლებს სახელშეკრულებო ვალდებულებების თაობაზე. სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა აპელანტის მიერ მითითებულ სკ-ის 409-ე მუხლზე და არ გაითვალისწინა, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისათვის მოსარჩელემ შეუსაბამოდ დიდი ოდენობის თანხის ანაზღაურება მოითხოვა. სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა სარჩელის მითითება, რომ 2005წ. 4 აპრილის ხელშეკრულებით განსაზღვრული 4000 ლარი მოსარჩელეს უკვე მიღებული ჰქონდა და ითხოვდა 2005წ. 31 ოქტომბრის მიუღებელ შემოსავალს. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, იგი უმუშევარი იყო 2006წ. მარტამდე. არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოებს არ უმსჯელიათ მიუღებელი შემოსავლის მიზეზობრიობასა და ქრონოლოგიაზე, რადგან სასარჩელო განცხადებიდან ჩანდა, რომ მოსარჩელე მხოლოდ 4 თვე იყო უმუშევარი. სასამართლომ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა ნ.გ-შვილის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების საფუძველზე ისე გაიზიარა, რომ არც ხ.ნ-შვილი და არც შპს „აგარაჯგუფისა“ და ინდივიდუალური მეწარმე „თ. მ-შვილის“ წარმომადგენლები მოწმის სახით არ დაუკითხავს და სათანადოდ არ გამოურკვევია, შეესაბამებოდა თუ არა სარჩელში დასახლებული გარემოებები სინამდვილეს. კასატორმა ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რომლებიც უარყოფდნენ მოსარჩელის მიერ წარდგენილ მასალებს, ვინაიდან ზემოხსენებული ხელშეკრულებები და სამედიცინო ცნობები მიუწვდომელი იყო მისთვის, სასამართლოს კი შესაძლებლობა არ მისცა მხარეს მისი დაზმარებით გამოეთხოვა მტკიცებულებები და აღნიშნულისათვის გადაედო საქმის განხილვა. შ.დ-შვილმა ცნო სარჩელი 3049,86 ლარის ნაწილში, თუკი დადგინდებოდა, რომ სხეულის დაზიანებები და მათი მკურნალობის აუცილებლობა გამოწვეული იყო ავტოავარიით და არა რაიმე ფიზიოლოგიური პათოლოგიისა თუ სხვა მიზეზით, რაც საერთოდ არ გამოკვლეულა. სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია იმ გარემოებაზე, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა 2005წ. 8 ნოემბერს, 10 ნოემბერს მოსარჩელემ შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებების მხოლოდ ნაწილი და 14 ნოემბრამდე საავადმყოფო აქტივ კი არ წარმოუდგენია საქმეში იმის დასადასტურებლად, რომ იცოდა თავისი დაზიანების ხარისხი. ამდენად, თუ მხარემ 14 ნოემბრამდე არ იცოდა თავისი დაზიანებების შესახებ, მაშინ რატომ შეწყვიტა ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები 10 ნოემბერს. აღნიშნულზე სასამართლოს არ უმსჯელია.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი დადგენილი გარემოებები: შ. დ-შვილმა ავტომანქანის მართვისას თავისი ბრალეული მოქმედებით მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევით მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რამაც გამოიწვია ნ. გ-შვილის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, კისრის მალეების დაზურული ტრავმა, მალის რკალების ფრაგმენტული მოტეხილობა, რომლის მკურნალობისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3049,86 ლარი. აღნიშნული დაზიანების გამო ნ.გ-შვილმა შეწყვიტა 2005წ. 4 აპრილსა და 31 ოქტომბერს ხ. ნ-შვილთან, 2005წ. 1 ნოემბერს შპს „აგარაჯგუფთან“ და ინდივიდუალურ მეწარმე „თ. მ-შვილთან“ დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები, რის შედეგად მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა 15400 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის ფარგლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო პალატა არ იზიარებს საკასაციო საჩივრის არგუმენტებს მათი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო, კერძოდ:

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ადვოკატს არ მისცა გონივრული ვადა საქმის გაცნობისა და პოზიციის ჩამოყალიბებისათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 11 ივლისის სხდომის ოქმით დასტურდება, რომ შ.დ-შვილის წარმომადგენელმა იშუამდგომლა საქმის განხილვის გადადების თაობაზე იმ მოტივით, რომ მას მხოლოდ წინა დღეს – 2007წ. 10 ივლისს გაუფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ამგვარი გარემოება არ შეიძლება განდეს საქმის განხილვის გადადების საფუძველი, ვინაიდან მხარეს საქმის არსებითი განხილვის თარიღის თაობაზე გონივრულ ვადაში ეცნობა და მას შესაძლებლობა ჰქონდა, დროულად ეზრუნა ადვოკატის მომსახურებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად განმარტა და გამოიყენა სსკ-ის 215-ე მუხლი, რომლის თანახმად მხარის შუამდგომლობის საფუძველზე საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

კასატორი უთითებს რა მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნათა გასაქარწყლებლად მის მიერ მტკიცებულებათა წარდგენის შეუძლებლობაზე, ვერ ასაბუთებს ამ მხრივ სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის მე-4 მუხლისა და 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეები ვალდებული არიან თვითონ განსაზღვრონ სარჩელისაგან თავდაცვის საშუალება და ამტკიცონ გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ მათ პოზიციას, შესაბამისად, ფაქტების მტკიცების ტვირთი ეკისრებათ რა მხარეებს, სასამართლო მტკიცებულებების შეგროვებას და მათ გამოთხოვას ინკვიზიციური წესით არ ახორციელებს. ამ მხრივ სასამართლოს შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებში და, შესაბამისად, მტკიცებულებათა გამოთხოვაც და მოწმეთა დაკითხვაც მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებია. კასატორი ვერ უთითებს, მის მიერ ამგვარი შუამდგომლობების საქმის განხილვის კანონით გათვალისწინებულ ეტაპზე წარდგენისა და სასამართლოსაგან არასწორი რეაგირების ფაქტზე.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების არგუმენტად კასატორი მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ სკ-ის 992-ე, 999-ე და 409-ე მუხლების გამოუყენებლობას. საკასაციო პალატა ამ ნაწილში იზიარებს კასატორის მოსაზრებას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს დავის სამართლებრივი შეფასებისას უნდა გამოეყენებინა აღნიშნული ნორმები, ვინაიდან სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ვალდებულება, აუნაზღაუროს დაზარალებულს ზიანი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მოშლა, დადგენილია სწორედ სკ-ის 999-ე მუხლით, თუმცა არასრული იურიდიული დასაბუთება არ შეიძლება განდეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, თანახმად სსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა.

რაც შეეხება სკ-ის 409-ე მუხლს, აღნიშნული ნორმით, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელე მხარე ითხოვს არათანაზომიერად დიდ დანახარჯებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისათვის, რაც მის მიერ მიყენებული ზიანის ექვივალენტური არ არის. კასატორის ეს მოსაზრება ყოველად დაუსაბუთებელია, ვინაიდან მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის ანაზღაურება მისი ნატურით რესტიტუციით შეუძლებელია ან კიდევ, როცა ნატურით რესტიტუცია, ანუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია, მაგრამ საამისოდ საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები. კასატორი სადავოდ მიიჩნევს რა მისთვის დაკისრებული თანხის თანაფარდობას მიყენებულ ზიანთან მიმართებაში, ვერ ასაბუთებს, თუ რა კავშირშია მისი არგუმენტი მოცემულ დავასთან დაკავშირებით, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება მიუღებელ შემოსავალს და არა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

კასატორი ასევე სადავოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სასამართლოს მიუღებელი შემოსავლის დაკისრებისას არ შეუფასებია ის ფაქტი, რომ მოსარჩელე მხოლოდ ოთხი თვე იყო უმუშევარი. ამ არგუმენტის გაზიარება გაუმართლებელია, ვინაიდან მოთხოვნის საფუძველად დასახელებულ ხელშეკრულებათა მოშლა განაპირობა რა მიყენებულმა ზიანმა, ამ ხელშეკრულებათა დადების მომენტი ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა ზიანის დადგომას. მითითებული ხელშეკრულებები გულისხმობდა გარკვეული ვადის (6 თვის) განმავლობაში ეტაპობრივად მომსახურებას და არა ნაწილ-ნაწილ ცალკეული მოქმედებების შესრულებას. კოტრაპენტ მხარეთა მიერ მათი მოშლა სწორედ ზემოაღნიშნული ბრალეული მოქმედების შედეგად მოხდა და, შესაბამისად, დაზარალებული მხარისთვის მიუღებელია არა მხოლოდ მისი შრომისუუნარობის განმავლობაში მისაღები შემოსავალი, არამედ მოშლილი ხელშეკრულების მთელი დროის განმავლობაში მისაღები შემოსავალი.

კასატორი უთითებს, რომ სადავო მიუღებელი შემოსავლის წარმოშობაში შ.დ-შვილის ბრალეულობა არ იკვეთება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემულ საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე დადგენილია და მხარეს სადავოდ არ მიუჩნევა ის ფაქტი, რომ შ. დ-შვილმა ავტომანქანის მართვისას თავისი ბრალეული მოქმედებით, მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევით მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რამაც გამოიწვია ნ. გ-შვილის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. აღნიშნული დაზიანების გამო ნ.გ-შვილმა დროებით შეწყვიტა პროფესიული საქმიანობა და მოშალა მომსახურების ხელშეკრულებები, რომელთა ღირებულებაც წარმოადგენს სადავო მიუღებელ შემოსავალს.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები შეესაბამება ზიანის მიყენებისას სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მომწესრიგებელ ნორმათა შემადგენლობას, კერძოდ, სკ-ის 411-ე მუხლით ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო, ხოლო ამავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

მოცემულ შემთხვევაში არსებობს ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი კომპონენტები: მართლსაწინააღმდეგო მოქმედება – ავტომანქანის ექსპლუატაციის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანება, დამდგარი ზიანი – ხელშეკრულებების მოშლა, ბრალი – ავტომანქანის ექსპლუატაცია მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევით, მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის – ხელშეკრულებების მოშალა კონტრაქტის ჯანმრთელობის დაზიანების და შრომისუუნარობის გამო. ზიანის მიმყენებელი მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება გათავისუფლდეს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან(სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი). პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებათა არარსებობისას ზიანის მიმყენებელმა ზიანი უნდა აანაზღაუროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 11 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ ას-962-1266-07

20 მაისი, 2008წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, ხელშეშლის აღკვეთა.

აღწერილობითი ნაწილი:

2003წ. 25 ივლისს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ა. ჯ-შვილმა მოპასუხე ვ. რ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით, მოპასუხის მიერ კედლის ძირში არსებული გაზონისა და თუთის ხის აღება და სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების წარმოებისას ხელშეშლის აღკვეთა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ა. ჯ-შვილი ცხოვრობს თბილისში, ... ქ. №18-ში მდებარე ერთსართულიან სახლში. მომიჯნავე სახლთმფლობელობის მეზობელმა ვ. რ-ძემ XX საუკუნის 70-იან წლებში თავისი სახლის რეკონსტრუქციის დროს მიწის მოთხრის გზით დაადაბლა მისი ეზო მოსარჩელის სახლის მზიდი კედლის მთელ სიგრძეზე, რის შედეგადაც კედლის საძირკველი დარჩა მიწის ზედაპირის ზემოთ. წლების განმავლობაში არაერთი მოთხოვნის მიუხედავად მოპასუხემ კედელი არ გაამაგრა, რის გამოც ა. ჯ-შვილის საცხოვრებელ სახლს საძირკველი გამოეცალა, კედელზე გაჩნდა გამჭოლი ბზარები, თავად კედელი გადაიხარა მოპასუხის სახლისკენ.

გარდა ამისა, კედლიდან 60 სმ-ის დაშორებით დგას თუთის ხე, რომლის ფესვებიც აზიანებს სახლის საძირკველს. 2002წ. თებერვალში მოპასუხემ მოსარჩელის კედლის მიმდებარედ მთელ სიგრძეზე მოაწყო ყვავილების გაზონი, რომლის მორწყვის შედეგად წყალი ჩაედინება საძირკველში და ეს კიდევ უფრო აზიანებს მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის კედელს. 2002წ. 25 აპრილის მიწისძვრამ კედელი მიიყვანა ავარიულ მდგომარეობამდე, რაც მიზეზობრივ კავშირშია მოპასუხის არამართლზომიერ ქმედებასთან.

ზემოაღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად ა. ჯ-შვილმა მიმართა შესაბამის ორგანოებს, კერძოდ, თბილისის ყოფილი ლენინის რაიონის აღმასკომს, ასევე თბილისის მერიის საქალაქო სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობას. პირველ შემთხვევაში მოპასუხეს დაეკალა საძირკველის გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარება, რაც მან არ განახორციელა, ხოლო გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 18.09.02წ. პასუხით ა. ჯ-შვილის განცხადებაში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა, თუმცა გამგეობამ მას განუმარტა, რომ მატერიალური ზარალის დადგენისა და იძულებითი წესით ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენდა.

სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა სკ-ის 412-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამოძვევი მოქმედების უშუალო შედეგს. მოსარჩელის მტკიცებით, მიწის მოთხრის შედეგად დამდგარი ზიანი ვ. რ-ძისათვის წინასწარ იყო სავარაუდო, იგი აღნიშნული მომენტიდანვე ირწმუნებოდა, რომ სახლის გასამაგრებელ სამუშაოებს ჩაატარებდა, თუმცა მისი დაპირება უშედეგო გამოდგა.

ვ. რ-ძის მიერ მიყენებული ზიანის ოდენობის განსასაზღვრად მოსარჩელემ საჭიროდ მიიჩნია საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნა. ამასთან დაკავშირებით მოსარჩელემ მიუთითა სკ-ის 408-ე მუხლზე, რომლის მიხედვით იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 409-ე მუხლის შესაბამისად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან მისთვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

მოპასუხე ვ. რ-ძემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ა. ჯ-შვილის საცხოვრებელი სახლი 70-იან წლებში აშენდა. იგი აშენებულია ტექნიკური დარღვევებით. სახლს აქვს უნებართვო მიშენება, რომელიც სადავო თუთის ხესთან ახლოსაა. თუთის ხე მიშენებამდე იყო დარგული. აღნიშნული სახლი დაზიანებულია მიწისძვრის შედეგად, სახლს არა აქვს სარტყელი, რის გამოც სეისმურად არამდგრადია. ა. ჯ-შვილი ვერ ასაბუთებს, კონკრეტულად, რა ზიანი მიაყენა მოპასუხემ, შესაბამისად, არ ღვინდება, ყველა ის დაზიანება, რაც სახლს გააჩნია, არის თუ არა მოპასუხის ბრალით გამოწვეული.

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004წ. 24 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ჯ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ჯ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში აპელანტმა ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა დააკონკრეტა და მოპასუხისათვის 6000 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2004წ. 16 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. ჯ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოწინააღმდეგე მხარე ვ. რ-ძის გამოუცხადებლობის გამო გაუქმდა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004წ. 24 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2005წ. 17 მარტის გადაწყვეტილებით ა. ჯ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, მხარეს ეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს მის მიერ მითითებული გარემოებები, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. გაზონის მორწყვისა და ატმოსფერული ნალექების შედეგად მოსარჩელის სახლის საძირკველს შესაძლოა გარკვეული საფრთხე ექმნებოდა, მაგრამ აღნიშნული დაზიანება სარწმუნოდ არ ღვინდებოდა, გარდა ამისა, ზიანის ოდენობას, ასევე ამ ზიანის მოპასუხის მიერ ანაზღაურების ვალდებულებას, მხარე ვერ ადასტურებდა.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის სახლისათვის მიყენებული დაზიანება არ შეიძლებოდა მთლიანად მოპასუხის ბრალით ყოფილიყო გამოწვეული, რამდენადაც საქმეზე ღვინდებოდა, რომ სახლი ძალიან ძველი იყო, ამასთან, გასათვალისწინებელი იყო თბილისში 2002 წელს მომხდარი მიწისძვრის სიძლიერე.

სკ-ის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების შედეგად. სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულება არ არსებობდა, ამასთან, არ დასტურდებოდა მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც ზიანის ანაზღაურების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ჯ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტის მითითებით, რაიონული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ მოპასუხის ახსნა-განმარტებებს და ყურადღება არ მიაქცია საქმეში არსებულ ვ. რ-ძის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს. სასამართლომ ა. ჯ-შვილის სახლის დაზიანების მიზეზად მიუთითა მისი სიძველე და თბილისში 2002 წელს მომხდარი მიწისძვრის სიძლიერე, მაშინ როცა 2002წ. მიწისძვრამდე დიდი ხნით ადრე აღნიშნულ კედელს უკვე გააჩნდა ბზარები. ამას ადასტურებდა თბილქალაქალმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს საპროექტო კანტორის 1983წ. დასკვნა. აღნიშნული დასკვნის მიხედვით, შენობის მარჯვენა ტორცულ კედელზე შეიმჩნეოდა ბზარები, კედლის დეფორმაცია იმით იყო გამოწვეული, რომ მისი ფუნდამენტი №20 საცხოვრებელი სახლის მხრიდან მთლიანად იყო გაშიშვლებული და ასფალტის სარინელის უქონლობის გამო ფუნდამენტის ქვეშ ჩაედინებოდა ზედაპირული წყლები, რაც ხელს უწყობდა გრუნტის სუფოზიას. დასკვნაში აღნიშნული იყო ისიც, რომ საძირკველის გაშიშვლებამ №20 საცხოვრებელი სახლის მხრიდან გარკვეულწილად შეამცირა გრძივი კედლის სეისმდედგობა და ხელი შეუწყო გრძივ და განივ კედლებს შორის კავშირის რღვევას.

აპელანტის აზრით, მოპასუხე ვალდებული იყო მიწის მოთხრისთანავე შეესრულებინა მისი საცხოვრებელი სახლის გამაგრებითი სამუშაოები, რის განხორციელებასაც იგი განზრახ თავს არიდებდა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ექსპერტის დასკვნით განისაზღვრა ა. ჯ-შვილის საცხოვრებელ სახლზე დაზიანებული კონსტრუქციების აღდგენა-გამაგრების სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაანგარიშება 7314 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ჯ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2005წ. 17 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ა. ჯ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ვ. რ-ძეს ა. ჯ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 3657 ლარის ოდენობით, ვ. რ-ძეს აეკრძალა მისი ეზოს მეშვეობით ა. ჯ-შვილის საცხოვრებელი სახლის საძირკველზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების ხელშეშლა, მასვე დაევალა გამწვანების გაზონისა და თუთის ხის აღება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია ვ. რ-ძის მიერ ა. ჯ-შვილის საცხოვრებელი სახლის მარჯვენა კედლის გასწვრივ მიწის საფარის მოცლის ფაქტი, რის შემდეგაც ა. ჯ-შვილის

მიერ მთელ სიგრძეზე მიმაგრებული ბეტონის გარსი, რომელიც მისი განმარტებით წარმოადგენდა სარინელს, დარჩა უფუნქციოდ.

სააპელაციო სასამართლომ ადგილზე დათვალიერებით, აგრეთვე სასამართლო საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტიზის 2006წ. 7 აგვისტოს დასკვნის მიხედვით დადგინდალად ჩათვალა ის გარემოება, რომ თბილისში, ... ქ. №18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კედლის ძირში ვ. რ-ძის მიერ მიწის მოთხრის შედეგად ფუნდამენტის გაშიშვლებასა და კედლების დეფორმაციას შორის არსებობდა ნაწილობრივი მიზეზობრივი კავშირი. შესაბამისად, არსებობდა სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. კანონის აღნიშნული ნორმის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ, რადგან მოცემულ შემთხვევაში სკ-ის 128-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე სხვა პირისაგან (მოწინააღმდეგე მხარისგან) მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება ა. ჯ-შვილს წარმოეშვა გასული საუკუნის 70-იან წლებში, მისი უფლების ხელყოფა გრძელდება დღემდე.

სასამართლომ ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას მიუთითა საქმეში არსებულ ექსპერტის დასკვნაზე, რომლის თანახმად ა. ჯ-შვილის საცხოვრებელ სახლს ესაჭიროება 7314 ლარის ღირებულების სამუშაოების ჩატარება. იმის გათვალისწინებით, რომ ვ. რ-ძის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი დგინდებოდა ნაწილობრივ, მან მიზანშეწონილად მიიჩნია მოწინააღმდეგე მხარეს დაკისრებოდა დაზიანების აღმოსაფხვრელად დადგენილი ხარჯების ნახევარი – 3657 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია ა. ჯ-შვილის მოთხოვნა კედლის გამაგრებითი სამუშაოების წარმოებისას მოპასუხის ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე და განმარტა, რომ სკ-ის 174-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი ვალდებული არიან პატივი სცენ ერთმანეთს. სამოქალაქო კანონმდებლობა უკრძალავს მესაკუთრეებს უფლების ბოროტად გამოყენებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ვ. რ-ძის მხრიდან ადგილი ჰქონდა.

რაც შეეხებოდა მოთხოვნებს მოპასუხის მიერ კედლის ძირში არსებული გაზონისა და თუთის ხის ალების შესახებ, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტის საცხოვრებელი სახლის კედლის მწვავე დაზიანების გათვალისწინებით, მის გასწვრივ არსებული აღნიშნული გაზონი უნდა აღებულიყო, რამდენადაც შესაძლებელი იყო მას გამოეწვია აპელანტის საცხოვრებელი სახლის ჯდენა და კედლების შემდგომი დეფორმაცია. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ა. ჯ-შვილის საცხოვრებელი სახლის მარჯვენა განაპირა კედლის გვერდიდან 0.78 სმ-ის დაშორებით არსებული თუთის ხე არ აკმაყოფილებდა სამშენებლო ნორმებისა და წესების 4.12 პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი სახლის გარე კედლიდან ხის ტანის ღერამდე საჭირო 5-მეტრიანი მანძილის არსებობის მოთხოვნას, თუთის ხის ალების მოთხოვნის ნაწილშიც ა. ჯ-შვილის სარჩელი ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. რ-ძემ (წარმომადგენელი მ. ნ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მის მიერ სადავო კედლის სიგრძეზე ყვავილების გაზონის მოწყობასა და დამდგარ ზიანს შორის ნაწილობრივი მიზეზობრივი კავშირის არსებობის თაობაზე, რამდენადაც აღნიშნული გაზონი 6 წლის წინაა გაკეთებული, კედლის დეფორმაცია კი 70-იანი წლებიდან შეიმჩნევა.

კასატორის მითითებით, მოცემულ დავაზე ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ შენობის ორივე მხარეს აღინიშნება გამჭოლი ბზარები, მისი ბრალეულობის შემთხვევაში კი სახლი მხოლოდ ერთ მხარეს დაზიანდებოდა. ამასთან, საინჟინრო-ტექნიკურმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ა. ჯ-შვილის სახლის მშენებლობისას არ იყო გათვალისწინებული ანტიისეისმური ღონისძიებები, ა. ჯ-შვილის მიერ დარღვეულ იქნა საზღვარი, ... ქ. №18-ში მდებარე სახლის კედელი განთავსებულია ... ქ. №20-ის სახლთმფლობელობის საზღვარზე.

კასატორის მტკიცებით, ა. ჯ-შვილის სახლი გაზონის მოწყობამდეც ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მოპასუხის მიერ მიწის მოთხრამდე სახლს გააჩნდა დაზიანებები, რომელთა შემდგომი განვითარების თავიდან აცილების მიზნით მოეწყო ბეტონის კედელი, რაც ტექნიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია. სამშენებლო ნორმებისა და წესების თანახმად ზედაპირული წყლების ფუნდამენტში ჩადინების ასაცილებლად სახლს ირგვლივ უნდა ჰქონდეს სარინელი და არა ბეტონის კედელი. იმ

დროისათვის არსებული დაზიანებების აღმოსაფხვრელად უნდა მოწყობილიყო საძირკვლის გამაგრება ქვემოდან ბეტონის შესხმით. ასეთი სამუშაო ა. ჯ-შვილს არ განუხორციელებია.

გარდა ამისა, კასატორი ა. ჯ-შვილის მიერ მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტს უკავშირებს მისთვის მიწის ამოღების ფაქტის გაგებას და აღნიშნულის გათვალისწინებით სარჩელს ხანდაზმულად მიიჩნევს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით ასევე გაასაჩივრა ა. ჯ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების სახით 3657 ლარის ნაცვლად 7314 ლარის დაკისრება, ასევე მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხისა და ყველა ხარჯის ანაზღაურება.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მოწინააღმდეგე მხარისათვის დაზიანების აღმოსაფხვრელად დადგენილი ხარჯების ნახევრის – 3657 ლარის დაკისრების თაობაზე. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა ემყარება საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მე-4 პუნქტს, რომლის მიხედვით ვ. რ-ძის მიერ მოთხოვნილი მიწის შედეგად ფუნდამენტის გაშიშვლებასა და კედლების დეფორმაციას შორის არსებობს ნაწილობრივი მიზეზობრივი კავშირი, ხოლო თუ რა ოდენობით, ასეთის დადგენა დღეისათვის ექსპერტიზით ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელია. კასატორის მოსაზრებით, დასკვნის ეს ნაწილი გამომდინარეობს დასკვნის პირველ პუნქტში ჩამოყალიბებული იმ უსწორო დებულებიდან, თითქოს სახლის კედლების დეფორმაცია გასული საუკუნის 70-80-იან წლებში კედლის ძირში ფუნდამენტის გაშიშვლებით არის გამოწვეული.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა მოწინააღმდეგე მხარისათვის მის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯის, კერძოდ, ექსპერტიზის საფასურის დაკისრების აუცილებლობა, რამდენადაც აღნიშნული საფასური მხოლოდ მან გადაიხადა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორ ვ. რ-ძის წარმომადგენელმა მ. ნ-შვილმა უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე გამწვანების გაზონისა და თუთის ხის ალების მოთხოვნების ნაწილში და მოითხოვა აღნიშნულ ნაწილში საკასაციო წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. რ-ძის (წარმომადგენელი მ. ნ-შვილი) შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შეწყდეს წარმოება ვ. რ-ძის საკასაციო საჩივარზე გამწვანების გაზონისა და თუთის ხის ალების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 16 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, ამ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ვ. რ-ძის საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ა. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, ვ. რ-ძეს ა. ჯ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს ა. ჯ-შვილის მიერ გადახდილი ექსპერტიზის საფასურის ნახევარი – 147.5 ლარი, დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ვ. რ-ძის წარმომადგენელმა მ. ნ-შვილმა უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე გამწვანების გაზონისა და თუთის ხის ალების მოთხოვნების ნაწილში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ვ. რ-ძეს მ. ნ-შვილისათვის მინიჭებული აქვს სარჩელზე ნაწილობრივ ან მთლიანად უარის თქმის უფლებამოსილება. აღნიშნული რწმუნებულება ვადაშია და მარწმუნებლის ან რწმუნებულის მხრიდან წარმომადგენლობის შეწყვეტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება.

სსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

მოცემულ შემთხვევაში კასატორმა ვ. რ-ძემ გამწვანების გაზონისა და თუთის ხის ალების მოთხოვნების ნაწილში წარმომადგენლის მეშვეობით საკასაციო საჩივარზე უარის თქმით მოახდინა

სსკ-ის ზემოაღნიშნული მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

სსკ-ის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე, 272-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნევს, რომ გამწვანების გაზონისა და თუთის ხის აღების მოთხოვნების ნაწილში ვ. რ-ძის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო მოცემულ ნაწილში უნდა შეწყდეს საკასაციო საჩივრის წარმოება.

საკასაციო სასამართლო 399-ე და 378-ე მუხლების საფუძველზე განუმარტავს კასატორს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დანარჩენ ნაწილში, კერძოდ, ა. ჯ-შვილის სასარგებლოდ 3657 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურებისა და ვ. რ-ძისათვის მისი ეზოს მეშვეობით ა. ჯ-შვილის საცხოვრებელი სახლის საძირკველზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების ხელშეშლის აკრძალვის შესახებ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში სადავოა, თბილისში, ... ქ. №18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კედლის ძირში ვ. რ-ძის მხრიდან მიწის გამოღებასა და ა. ჯ-შვილის სახლის კედლების დეფორმაციას შორის არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი, რაც სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობისათვის აუცილებელი პირობაა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ადგილზე დათვალიერებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2006წ. 7 აგვისტოს ექსპერტის დასკვნის ერთობლიობაში შეფასების შედეგად გამოტანილ დასკვნას თბილისში, ... ქ. №18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კედლის ძირში ვ. რ-ძის მიერ მოთხრილი მიწის შედეგად ფუნდამენტის გაშიშვლებასა და კედლების დეფორმაციას შორის ნაწილობრივი მიზეზობრივი კავშირის არსებობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ ადგილზე დათვალიერების შედეგად გამორკვეულია, რომ ა. ჯ-შვილისა და ვ. რ-ძის საცხოვრებელ სახლებს ჰყოფთ საერთო კედელი, რომელიც ა. ჯ-შვილი სახლისათვის მზიდი კედელია. აღნიშნული მზიდი კედელი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული, კედლის მთელ სიგრძეზე და ჭერზე აღინიშნება დაზიანებები და ბზარები, საყრდენი კედელი დაახლოებით 5-10 სანტიმეტრით დაცილებულია ჭერს, ამასთან, ა. ჯ-შვილის საცხოვრებელი სახლის სხვა ოთახებს აღინიშნება გაცილებით მცირე ბზარები, ვიდრე მზიდ კედელს. 2006წ. 7 აგვისტოს ექსპერტის დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქ. №18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კედლის ძირში ვ. რ-ძის მიერ მოთხრილი მიწის შედეგად ფუნდამენტის გაშიშვლებასა და კედლების დეფორმაციას შორის არსებობს ნაწილობრივი მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორ ვ. რ-ძის მსჯელობას იმის შესახებ, რომ მას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ უნდა დაეკისროს, რამდენადაც ა. ჯ-შვილის საცხოვრებელი სახლის მარჯვენა განაპირა კედელს მის მიერ მიწის მოთხრამდეც გააჩნდა დაზიანებები, სახლის ყველა კედელი დაზიანებულია, ექსპერტის დასკვნის თანახმად, სახლი არ არის აშენებული სეისმურ რაიონებში მშენებლობის დროს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად. როგორც უკვე აღინიშნა, სააპელაციო სასამართლოს მიერ ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგენილია, რომ ა. ჯ-შვილის საცხოვრებელი სახლის კედელი განსაკუთრებით მწვავედ დაზიანებულია სწორედ ვ. რ-ძის მომიჯნავე მხარეს, ხოლო აღნიშნული სახლის სხვა კედლებზე აღინიშნება გაცილებით მცირე ბზარები. ის გარემოება, რომ საქმეზე ჩატარებულმა საინჟინრო-ტექნიკურმა ექსპერტიზამ დაადასტურა ა. ჯ-შვილის სახლის მშენებლობისას ანტისეისმური ღონისძიებების გაუთვალისწინებლობა, არ გამორიცხავს, თავის მხრივ, მოპასუხის მიერ მოთხრილი მიწის შედეგად ფუნდამენტის გაშიშვლებასა და კედლების დეფორმაციას შორის ნაწილობრივი მიზეზობრივი კავშირის არსებობას, როგორც ეს საქმეზე ჩატარებულმა ექსპერტიზამაც დაადასტურა. საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასება იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სადავო შემთხვევაში ა. ჯ-შვილის საცხოვრებელ სახლზე გამოწვეული ზიანი წარმოადგენს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ქმედების ერთობლივ შედეგს. იმავე მოტივით საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორ ა. ჯ-შვილის მოთხოვნას სახლზე მიყენებული მთელი ზიანის ვ. რ-ძისათვის დაკისრების

შესახებ. 2006წ. 7 აგვისტოს ექსპერტის დასკვნის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №18-ში მდებარე ა. ჯ-შვილის საცხოვრებელი სახლი არ არის აშენებული სეისმიურ რაიონებში მშენებლობის დროს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად. გარდა ამისა, ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომდევლობის ინსტიტუტის 2004წ. 20 აგვისტოს დასკვნის მიხედვით, ზედაპირული წყლების ფუნდამენტში ჩადინების ასაცილებლად საჭიროა გრძივი კედლის ქვეშ საძირკველის გამაგრება ბეტონის შედგმით და საძირკველის გაძლიერების შემდეგ მის მთელ სიგრძეზე ბეტონის სარინელის მოწყობა, წარსულში სამუშაოები განხორციელდა მითითებული გრძივი კედლის ქვეშ საძირკველის გასამაგრებლად მის პარალელურად ბეტონის ჩასხმით ძირში შედგმის გარეშე. აღნიშნული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში ა. ჯ-შვილს, როგორც დაზარალებულს, თავის მხრივ, შეეძლო, შეემცირებინა მიყენებული ზიანი, რაც არ განუხორციელებია. სკ-ის 415-ე მუხლის მიხედვით, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში თავიდან აცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. მოცემულ შემთხვევაში როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ბრალის არსებობის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დაზიანების აღმოსაფხვრელად დადგენილი ხარჯების – 7314 ლარის ნახევრის – 3657 ლარის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორ ვ. რ-ძის მსჯელობას სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე. ამ შემთხვევაში მოპასუხის ქმედებით გამოწვეულ სახლის დაზიანებასა და მოსარჩელის შესაბამისი უფლების დარღვევას დენადი ხასიათი აქვს და დროში განგრძობადია. იმის მიუხედავად, რომ ა. ჯ-შვილის საცხოვრებელ სახლზე, კერძოდ, ვ. რ-ძის მომიჯნავე მხარეს არსებულ კედელზე მიწის საფარი გამოეცალა და ფუნდამენტი გაიშვლდა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, აღნიშნული ქმედებით სახლზე ზიანის მიყენება, რომლის აღმოსაფხვრელად ვ. რ-ძემ არაფერი იღონა, კვლავ გრძელდება. შესაბამისად, ა. ჯ-შვილის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ სკ-ის 1008-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულად ვერ ჩაითვლება.

საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორ ა. ჯ-შვილის მსჯელობას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ვ. რ-ძეს ა. ჯ-შვილის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი ექსპერტიზის საფასურის – 295 ლარის ნახევარი – 147.5 ლარი, რამდენადაც სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, მხარეს ეკისრება მეორე მხარის მიერ გაღებული სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუკი გადაწყვეტილება გამოტანილია ხარჯების გამღები მხარის სასარგებლოდ, თუნდაც მოწინააღმდეგე მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე ნორმის თანახმად, თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ა. ჯ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო საქმის მასალებით დგინდება მოსარჩელის მიერ საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯების სრულად გაღება, კერძოდ, საქმეში არსებული საექსპერტო საქმიანობის მიღება-ჩაბარების აქტისა და სალაროს შემოსავლის ორდერის თანახმად, შესრულებული საექსპერტო სამუშაოს საფასური – 295 ლარი მთლიანად გადახდილია ა. ჯ-შვილის მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. რ-ძეს ა. ჯ-შვილის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი ექსპერტიზის საფასურის ნახევარი – 147.5 ლარი და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 410-411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ვ. რ-ძის (წარმომადგენელი მ. ნ-შვილი) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. შეწყდეს წარმოება ვ. რ-ძის საკასაციო საჩივარზე გამწვანების გაზონისა და თუთის ხის აღების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 16 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. ამ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. ვ. რ-ძის საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. ა. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
5. ვ. რ-ძეს ა. ჯ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს ა. ჯ-შვილის მიერ გადახდილი ექსპერტიზის საფასურის – 295 ლარის ნახევარი – 147.5 ლარის ოდენობით;
6. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. ნასყიდობა

ნასყიდობის ხელშეკრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-881 1189-07

23 იანვარი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: ნასყიდობის ფასის გადახდა.

აღწერილობითი ნაწილი:

2004წ. 28 მაისს მოსარჩელე მ. უ-შვილსა და მოპასუხებს - ა. ფ-ასა და გ. ჩ-ძეს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება ქ. თბილისში, ... გამზირი №111-ში მდებარე უძრავ ქონებაზე. ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, ნასყიდობის საგანი მხარეთა მიერ შეფასებულია 77350 ლარად. ხელშეკრულებას ხელს აწერენ მხარეები და დადასტურებულია ნოტარიუსის მიერ.

2006წ. 10 აგვისტოს მ. უ-შვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების - ა. ფ-ასა და გ. ჩ-ძის მიმართ, სადაც მან განმარტა, რომ მას და მოპასუხებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ფასი მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული იყო 90 000 აშშ დოლარით. მოპასუხებმა ხელშეკრულების დადებისთანავე მას გადაუხადეს 32 000 აშშ დოლარი და ამის გარდა კიდევ 7000 აშშ დოლარი. მოსარჩელე განმარტავდა, რომ მოპასუხებს მისთვის გადასახდელი ჰქონდათ დარჩენილი თანხა და სასარჩელო განცხადებაში მოითხოვა, მოპასუხებს - ა. ფ-ასა და გ. ჩ-ძეს დაკისრებოდათ ნასყიდობის ფასის დარჩენილი თანხისა და მიუღებელი შემოსავლის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2007წ. 3 აპრილის გადაწყვეტილებით მ. უ-შვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელე მ. უ-შვილმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, სადაც მან განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ გადაწყვეტილება არაკანონიერად იყო გამოტანილი. სააპელაციო საჩივარში აპელანტმა მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007წ. 3 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2007წ. 18 სექტემბრის განჩინებით მ. უ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და უცვლელი დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007წ. 3 აპრილის გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არსებითად სწორად იყო გადაწყვეტილი და არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007წ. 18 სექტემბრის განჩინებაზე მ. უ-შვილმა შეიტანა საკასაციო საჩივარი, სადაც მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონოა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007წ. 12 სექტემბრის განჩინების გაუქმება. კასატორმა მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ორი მოწმიდან დაკითხა ერთ-ერთი და ამით დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი. სააპელაციო სასამართლომ კი არ გაითვალისწინა მისი მოთხოვნა დაკითხულიყო მოწმის სახით გ. დ-ავა. აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმის გამო, რომ იგი ესწრებოდა ნასყიდობის ფასის შეთანხმებას. მხარეებს შორის უძრავ ნივთზე ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 90000 აშშ დოლარით. მოწინააღმდეგე მხარე უარს აცხადებს აღნიშნული თანხის გადახდაზე. მათი მტკიცებით, ნასყიდობის ფასი არაა 90000 აშშ დოლარია, არამედ – 77350 ლარი, რაც არასწორია. სააპელაციო სასამართლომ კი არ გაითვალისწინა მისი მოთხოვნა, რაც მას არასწორად მიაჩნია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007წ. 30 ნოემბრის განჩინებით მ. უ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის შემოწმების შედეგად თვლის, რომ მ. უ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და ამის შედეგად არასწორად სამართლებრივ-მატერიალური ნორმის გამოყენება ან განმარტება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მ. უ-შვილსა და მოპასუხეებს – ა. ფ-ასა და გ. ჩ-ძეს შორის 2004წ. 28 მაისს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება არასაცხოვრებელ ფართზე. ხელშეკრულება დამოწმებულ იქნა სანოტარო წესით და რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში. ხელშეკრულებაში, აგრეთვე, განისაზღვრა ნასყიდობის ფასი 77350 ლარის ოდენობით. ასევე დადგენილია, რომ მოპასუხეებმა თანხა გადაიხადეს ნაწილ-ნაწილ, კერძოდ, მოპასუხეებმა ხელშეკრულების დადებისთანავე გადაიხადეს 30000 აშშ დოლარი, ხოლო 2004წ. 16 დეკემბერს – 2000 აშშ დოლარი, 2004წ. 30 დეკემბერს 3000 აშშ დოლარი და 2005წ. 14 თებერვალს 5000 აშშ დოლარი.

სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებანი, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეულ სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

განსახილველი ნორმის თანახმად, სადავო ფაქტის (თუ რა ოდენობის თანხაზე იყვნენ შეთანხმებულები მხარეები) დადასტურება შეიძლება ამ შემთხვევაში კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით განსაზღვრული სამართლებრივი კრიტერიუმების მეშვეობით.

სკ-ის 183-ე მუხლი (სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი რედაქციის თანახმად) უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელი იყო სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება დამოწმებულ იქნა სანოტარო წესით, ასევე ნასყიდობის საგანი რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში.

მხარეთა მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით დადებული იყო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება და ამდენად, უძრავი ნივთის შექმნისათვის დადგენილი ფორმით შეთანხმდნენ ყველა აუცილებელ პირობაზე, მათ შორის ფასზე.

სკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

ამავე კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიწოდოს საქონელი.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

აღნიშნული მუხლის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობაა ფასი, რომელიც მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ფასი, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის გათვალისწინებით (კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი და მითითებული იმ მტკიცებულებებზე, რომლითაც დადასტურდებოდა მხარეთა შორის ფასის შესახებ შეთანხმების სიყალბე, რაც უნდა გამოეკვლია და არ გამოიკვლია ან არასათანადოთ გამოიკვლია სააპელაციო სასამართლომ) უძრავი ნივთის ნასყიდობის ფასის შესახებ შეთანხმება შეიძლება დადსტურდეს მხოლოდ ა. ფ-ასა და გ. ჩ-ძეს შორის 2004წ. 28 მაისს დადებული არასაცხოვრებელ ფართზე ნასყიდობის ხელშეკრულებით, რომლითაც განისაზღვრა ნასყიდობის ფასი 77350 ლარის ოდენობით.

ამრიგად, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ 7000 აშშ დოლარის გადახდით დასტურდება მხარეთა მიერ 90000 აშშ დოლარზე შეთანხმების ფაქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. უ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 18 სექტემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნასყიდობის ხელშეკრულება; მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-863-1174-07

2 აპრილი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ბინიდან გამოსახლება.

აღწერილობითი ნაწილი:

2002წ. 24 იანვარს ჯ. წ-ურმა სარჩელი აღძრა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების - შპს „კავუნიტექსისა“ და ო. ქ-ძის მიმართ გარიგების შეწყვეტის, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ო. ქ-ძის საცხოვრებელი ბინიდან გამოსახლების შესახებ. მოსარჩელემ განმარტა, რომ 2000წ. 22 ივნისს ჯ.წ-ურსა და შპს „კავუნიტექსს“ შორის დადებული შეთანხმების თანახმად, 2001წ. ბოლოსათვის მოპასუხეს მოსარჩელისათვის უნდა გადაეცა ქ.თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე კორპუსში 126 კვ.მ ოთხთახიანი საცხოვრებელი ბინა, რის სანაცვლოდ ჯ.წ-ურს შპს „კავუნიტექსისათვის“ უნდა ჩაებარებინა ქ.თბილისში, ... №1^ბ კორპუსში მდებარე მისი კუთვნილი №25 ბინა, ხოლო შპს „კავუნიტექსი“, თავის მხრივ, აღნიშნულ ბინას გადასცემდა ო. ქ-ძეს, რომელიც მშენებლობას აგურით უზრუნველყოფდა. ამ განზრახვით 2000წ. 13 ივლისს ჯ. წ-ურსა და ო. ქ-ძეს შორის სანოტარო წესით გაფორმდა ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვარტლის №1^ბ კორპუსში მდებარე №25 ბინის 5000 ლარად ნასყიდობის ხელშეკრულება. შპს „კავუნიტექსმა“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება საცხოვრებელი სახლის აშენების თაობაზე არ შეასრულა, ხოლო, საზოგადოების მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, მისთვის დამატებითი ვადის მიცემა უშედეგოა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2000წ. 13 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეთა ნების ნაკლის მქონე, მოჩვენებითი, თვალთმაქცური გარიგებაა და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, შესაბამისად, უნდა შეიცვალოს საჯარო რეესტრში აღნიშნულთან დაკავშირებით შეტანილი ჩანაწერი, ხოლო ბინა თავისუფალ მდგომარეობაში დაუბრუნდეს ჯ.წ-ურს, ასევე მოსარჩელემ მოითხოვა შპს სამშენებლო კომპანია „კავუნიტექსთან“ დადებული 2000წ. 22 ივნისის 1 ხელშეკრულების შეწყვეტა.

სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ყადაღის დადება ო.ქ-ძის სახელზე რიცხულ ქ.თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზირის მე-6 კვარტლის №1^ბ კორპუსში მდებარე ბინა №25-ზე.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002წ. 31 იანვრის განჩინებით ჯ.წ-ურის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო მოპასუხე ო. ქ-ძის სახელზე რიცხულ ქ.თბილისში, ... №1^ბ კორპუსში მდებარე ბინა №25-ს.

მოპასუხე შპს „კავუნიტექსმა“ სარჩელი ცნო და დაადასტურა, რომ ჯ.წ-ურსა და ო.ქ-ძეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულია, ო.ქ-ძეს ბინის ღირებულება მოსარჩელისათვის არ გადაუხდია. ჯ.წ-ურმა სადავო ბინა ჩააბარა შპს „კავუნიტექსს“, საზოგადოებამ კი, თავის მხრივ, გადასცა ო.ქ-ძეს აგურის ვალის გასასტუმრებლად.

მოპასუხე ო.ქ-ძემ სარჩელი არ სცნო და მიუთითა, რომ მხარეებს შორის სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო სამოქალაქო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. მან ბინის ღირებულება – 5000 ლარი ჯ.წ-ურს გადაუხადა და ბინის შეძენის შემდეგ იქ ცხოვრობს. მოსარჩელის მიერ ბინის გასხვისებისას გამოვლენილი ბინის ნაკლის შესახებ მისთვის ცნობილი არ ყოფილა და 2000წ. 13 ივლისის ხელშეკრულების საფუძველად ამავე წლის 22 ივნისის გარიგება არსად დაფიქსირებულა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002წ. 5 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ჯ. წ-ურის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელე ჯ. წ-ურსა და მოპასუხე ო. ქ-ძეს შორის 2000წ. 13 ივლისს ქ.თბილისში, ... №1^ბ კორპუსში მდებარე ბინა №25-ის თაობაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება; მოპასუხე ო. ქ-ძე თანმხლებ პირებთან ერთად გამოსახლებულ იქნა ქ.თბილისში, ... 1^ბ კორპუსში მდებარე ბინა №25-დან; შეწყდა მოსარჩელე ჯ. წ-ურსა და მოპასუხე შპს „კავუნიტექსს“ შორის 2000წ. 22 ივნისს დადებული №1 ხელშეკრულება; საჯარო რეესტრის სამსახურს დაევალა ქ.თბილისში, ... №1^ბ კორპუსში მდებარე ბინა №25-ის თაობაზე არსებულ ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და ხსენებული საცხოვრებელი ბინის მოსარჩელე ჯ. წ-ურის საკუთრებად აღრიცხვა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ჯ. წ-ურსა და შპს „კავუნიტექსს“ შორის 2000წ. 22 ივნისს დადებული №1 ხელშეკრულების შეწყვეტის ნაწილში არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილება ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, გამოსახლებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილების შეტანის თაობაზე საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხე ო. ქ-ძემ.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004წ. 12 ოქტომბრის საოქმო განჩინებით გაუქმდა ამავე სასამართლოს 2002წ. 5 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის განხილვა განახლდა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004წ. 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჯ. წ-ურის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სადავო 2000წ. 13 ივლისის ნასყიდობის

ხელშეკრულება, საჯარო რეესტრს დაევალა შესაბამისი ცვლილებების შეტანა რეესტრის ჩანაწერებში, ო. ქ-მე სადავო ბინიდან გამოსახლდა და იგი გადაეცა ჯ. წ-ურს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ო. ქ-მემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 12 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004წ. 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ო. ქ-მემ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006წ. 6 ივნისის განჩინებით ო. ქ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 12 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, რაც გამოიხატება იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ არ მიუთითა იმ მტკიცებულებებზე, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში. აღნიშნულით სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსკ-ის 249-ე მუხლის მეოთხე ნაწილის დანაწესი, რომლის ძალითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებებს და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ ფაქტობრივ გარემოებათა უტყუარად და ამომწურავად გამოკვლევისა და ანალიზის შემდეგ უნდა იმსჯელოს გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 12 ივლისის გადაწყვეტილებით ო. ქ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004წ. 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება; ჯ. წ-ურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002წ. 31 იანვრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა მოპასუხე ო. ქ-მის სახელზე რიცხულ ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვარტლის №1^ბ კორპუსში მდებარე №25 ბინას.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჯ. წ-ურსა და ო. ქ-მეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო შპს „კავუნიტექსთან“ შეთანხმების საფუძველზე და, რომ არა, შპს „კავუნიტექსსა“ და ჯ. წ-ურს შორის დადებული 2000წ. 22 ივნისის ხელშეკრულება №1, ჯ. წ-ურსა და ო. ქ-მეს შორის 2000წ. 13 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დაიდებოდა.

სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ ო. ქ-მემ ქ.ხონის აგურის ქარხნის მიერ მიწოდებული აგურის საფასურის სანაცვლოდ შპს „კავუნიტექსისგან“ საზღაურად მიიღო სადავო ბინა, ვინაიდან მიიჩნია, რომ სასამართლოს აღნიშნული დასკვნა ეფუძნება მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის – შპს „კავუნიტექსის“ წარმომადგენლის განმარტებას და არ არის დადასტურებული რაიმე სხვა მტკიცებულებით, ამასთან სააპელაციო სასამართლოს აზრით, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ო. ქ-მისთვის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს ცნობილი იყო, რომ ჯ. წ-ური აფორმებდა რა მის კუთვნილ ბინას ო. ქ-მის სახელზე, ამით ბინას შენატანის სახით აბარებდა შპს „კავუნიტექსს“, ხოლო ეს უკანასკნელი კი ამ შენატანს გადასცემდა ო. ქ-მეს აგურის საფასურში. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ შპს „კავუნიტექსსა“ და ჯ. წ-ურს შორის 2000წ. 22 ივნისის დადებული №1 ხელშეკრულებით არ დასტურდება ო. ქ-მის მონაწილეობა ამ ხელშეკრულების პირობების დადგენაში.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სასამართლომ არასწორად დაუკავშირა ერთმანეთს 2000წ. 22 ივნისისა და 2000წ. 13 ივლისის ხელშეკრულებები და არასწორად მიიჩნია, შპს „კავუნიტექსისა“ და ჯ. წ-ურს შორის 2000წ. 22 ივნისს დადებული №1 ხელშეკრულება რომ არ არსებულებოდა, ჯ. წ-ურსა და ო. ქ-ძეს შორის 2000წ. 13 ივლისის საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დაიდებოდა.

სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ ო. ქ-ძეს ჯ. წ-ურისათვის არ გადაუხდია ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული ბინის საფასური 5 000 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ჯ. წ-ურმა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულა მიიჩნია ის გარემოება, რომ 2000წ. 13 ივლისს ჯ. წ-ურსა და ო. ქ-ძეს შორის დადებული საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, ჯ. წ-ურმა ო. ქ-ძეს 5000 ლარად საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისში, ... №1 (ბ) კორპუსში მდებარე მისი კუთვნილი №25 ბინა, რომელშიც დღემდე ცხოვრობს ო. ქ-ძე.

კასატორი არ ეთანხმება ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წ-ურის მიერ „კავუნიტექსისა“ და ო. ქ-ძესთან დადებულ ხელშეკრულებებს შორის არ არის კავშირი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა – კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჯ. წ-ურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 12 ივლისის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ. წ-ურს შპს „კავუნიტექსისათვის“ არ გადაუცია ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვარტლის №1 (ბ) კორპუსში მდებარე მისი კუთვნილი №25 ბინა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2000წ. 13 ივლისს ჯ. წ-ურსა და ო. ქ-ძეს შორის დაიდო საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ჯ. წ-ურმა ო. ქ-ძეს 5000 ლარად საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისში, ... №1 (ბ) კორპუსში მდებარე მისი კუთვნილი №25 ბინა, რომელშიც დღემდე ცხოვრობს ო. ქ-ძე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს და გამოყოფს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც არ არის სადავო, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2000წ. 22 ივნისს შპს „კავუნიტექსისა“ და ჯ. წ-ურს შორის დაიდო ხელშეკრულება №1, რომლის თანახმად შპს „კავუნიტექსის“ კისრულობდა ვალდებულებას, 2001წ. ბოლომდე ჯ. წ-ურისათვის საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ახალშენისა და ჩიქოვანის ქუჩებს შორის მდებარე ტერიტორიაზე მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსში, №3 კორპუსის, მე-5 სართულზე, 126 კვ.მ ოთხოთახიანი ბინა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული ხელშეკრულების 6.1 პუნქტის თანახმად, მშენებარე ბინის ღირებულება ჯ. წ-ურს უნდა დაეფარა ქ. თბილისში, ... კვ 1 (ბ) კორპუსში მდებარე მისი კუთვნილი №25 ბინის შპს „კავუნიტექსისათვის“ ჩაბარებით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ 2000წ. 6 ივლისის ხელშეკრულების დამატება №1-ის თანახმად, შპს „კავუნიტექსის“ მიერ ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჯ. წ-ურს უნდა დაბრუნებოდა მის მიერ ჩაბარებული ბინა.

კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ ჯ. წ-ურს შპს „კავუნიტექსისათვის“ არ გადაუცია ქ. თბილისში, ... №1 (ბ) კორპუსში მდებარე მისი კუთვნილი ბინა №25-ში, ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტს, რომ 2000წ. 13 ივლისის ჯ. წ-ურსა და ო. ქ-ძეს შორის დადებული საცხოვრებელი სახლის ყიდვა-

გაყიდვის ხელშეკრულებით, ჯ. წ-ურმა ო. ქ-მეს 5000 ლარად საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისში, ... №1 (ბ) კორპუსში მდებარე მისი კუთვნილი №25 ბინა, რომელშიც დღემდე ცხოვრობს ო. ქ-მე. კასატორი ასევე დავობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წ-ურის მიერ „კავუნიტექსთან“ და ქ-მესთან დადებული ხელშეკრულებებს შორის არ არის კავშირი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებულ ფაქტებისა. ამრიგად, აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, სადავო ურთიერთობის სწორი კვალიფიკაციისათვის შეევაამოთ საკასაციო განაცხადში მოყვანილი და განსახილველი წინაპირობები, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში არსებობს ყველა მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს გარიგების თვალთმაქცურობაზე, რადგან რეალურად ანგარიშსწორება „კავუნიტექსსა“ და ქ-მის შორის განხორციელდა მისი (კასატორის) ბინის ხარჯზე ანუ „კავუნიტექსთან“ დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად, ამ უკანასკნელის დავალებით წ-ურმა გადასცა მის საკუთრებაში არსებული ბინა „კავუნიტექსის“ კრედიტორს, ქ-მეს, რის სანაცვლოდ „კავუნიტექსი“ კისრულობდა ვალდებულებას, აეშენებინა და გადაეცა ბინა წ-ურისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში „კავუნიტექსი“ კისრულობდა ვალდებულებას დაებრუნებინა წ-ურის ამჟამად ქ-მის საკუთრებაში არსებული თბილისში, ... №1 (ბ) კორპუსში მდებარე №25 ბინა.

ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მოყვანილი გარემოებები არ შეიცავს სკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის მაკვალიფიცირებელ ელემენტებს.

სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებანი, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეულ სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადსტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

განსახილველი ნორმის თანახმად, სადავო ფაქტის (თუ ვის გადასცა საკუთრებაში ბინა წ-ურმა და რა ოდენობის თანხაზე იყვნენ შეთანხმებულები მხარეები) დადასტურება შეიძლება ამ შემთხვევაში კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით განსაზღვრული სამართლებრივი კრიტერიუმების მეშვეობით.

სკ-ის 183-ე მუხლით (სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი რედაქციის თანახმად), უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელი იყო სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება დამოწმებულ იქნა სანოტარო წესით, ასევე ნასყიდობის საგანი რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში.

მხარეთა მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით დადებული იყო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება და, ამდენად, უძრავი ნივთის შეძენისათვის დადგენილი ფორმით შეთანხმდნენ ყველა აუცილებელ პირობაზე – მათ შორის ფასზე.

სკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

ამავე კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

აღნიშნული მუხლის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობაა ფასი, რომელიც მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ფასი, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის გათვალისწინებით (კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი და მითითებული იმ მტკიცებულებებზე, რომლითაც დადასტურდებოდა მხარეთა შორის ფასის შესახებ შეთანხმების სიყალბე და ასევე „კავუნიტექსისათვის“ ბინის საკუთრებაში გადაცემის ფაქტი, რაც უნდა გამოეკვლია და არ

გამოიკვლია ან არასათანადოთ გამოიკვლია სააპელაციო სასამართლომ) უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემა და ნასყიდობის ფასი შეიძლება დადსტურდეს მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებით და საჯარო რეესტრით.

ამრიგად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ 5000 ლარი არ შეესაბამება სადავო ბინის ნასყიდობის ფასს, არ შეიძლება წარმოადგენდეს ამ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველს.

სკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსაჩვენებლად დადებული გარიგებას არ მოჰყვება შესაბამისი იურიდიული შედეგი, რადგან ამ გარიგების მხარეებს არ გააჩნიათ იმის განზრახვა, რომ ამ გარიგების შედეგად დადგეს იურიდიული შედეგი.

იმ შემთხვევაში, თუ კასატორს მიაჩნია, რომ 2000წ. 13 ივლისის ვ. წ-ურსა და ო. ქ-ქეს შორის დადებული საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება არის მოჩვენებითი, ამ შემთხვევაში საქმეში არსებული მასალებით უნდა დასტურდებოდეს მოჩვენებითი გარიგების დროს გამოვლენილი ნების თავისებურებები, რაც გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, ამ გარიგებისათვის აუცილებელი შედეგის არარსებობაში და, მეორე, ამ გარიგებით გამოწვეული შედეგის მიმართ განზრახვის არქონაში. ამასთან ერთად უნდა არსებობდეს მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, თუ რამ განაპირობა მოჩვენებითი გარიგების დადება, რომელი შედეგის აცილებას ცდილობდა ორივე მხარე.

იმ შემთხვევაში, თუ კასატორს მიაჩნია, რომ 2000წ. 13 ივლისის ვ. წ-ურსა და ო. ქ-ქეს შორის დადებული საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება არის თვალთმაქცური, ამ შემთხვევაში საქმეში არსებული მასალებით უნდა დასტურდებოდეს თვალთმაქცური გარიგების დროს გამოვლენილი ნების თავისებურებები, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება სხვა გარიგების დაფარვის მიზნის არსებობაში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარეებს სურთ, მიაღწიონ სხვა შედეგს და არა იმ შედეგს, რასაც იძლევა მათ მიერ გარეგნულად გამოხატული ნება. ამდენად, თვალთმაქცური გარიგების დროს უნდა დადასტურებულ იქნეს გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ სხვა გარიგების დადების სურვილზე და ამ დაფარული გარიგებისათვის აუცილებელ ყველა წინაპირობის არსებობაზე. ამ შემთხვევაში გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. ამრიგად, კასატორი ვერ ადასტურებს იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობას, რომლებიც აუცილებელია სკ-ის 56-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის კვალიოფიკაციისათვის, კერძოდ, საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ სადავო გარიგების ბათილად ცნობაზე, რაც უნდა შეეფასებინა და არ შეაფასა ან არასათანადოთ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ.

ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. წ-ურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 12 ივლისის გადაწყვეტილება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ელექტროენერჯის ნასყიდობასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული ურთიერთობები

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-375-726-07

9 იანვარი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ს-ქმ სარჩელით მიმართა სასამართლოს სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ მიმართ და მიუთითა, რომ სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ დასავლეთის ფილიალის მიერ დამონტაჟებული საერთო კომუნალური მრიცხველის ჩვენებით ითხოვს მისგან ელექტროენერჯის საფასურის გადახდას, მაშინ, როდესაც მას გააჩნია ინდივიდუალური მრიცხველი, ამასთან მას და მოპასუხეს შორის არ დადებულა რაიმე იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რაც დაავალდებულებდა მოხმარებული ელექტროენერჯის საერთო მრიცხველის ჩვენების მიხედვით გადახდას. მოსარჩელემ მოითხოვა ელექტროენერჯის დარიცხვა როგორც წარსულში, ასევე დაყენებული ინდივიდუალური მრიცხველის მიხედვით; კომპანიის მიერ მის მიმართ 2006წ. 29 ივნისს წარმოდგენილი ვალის - 1237 ლარისა და 67 თეთრის უკანონოდ მიჩნევა; მოპასუხის მიერ ყველა შეტყობინებისა და ქვითრის შევსება სემეკის 2006წ. №1 დადგენილების მეცხრე მუხლის მიხედვით ყველა მონაცემის აღრიცხვით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006წ. 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბ. ს-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბ. ს-ძეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა 2002წ. 5 აგვისტოდან 2006წ. 7 სექტემბრის მდგომარეობით მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის - 465 ლარისა და 89 თეთრის გადახდა. სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ დაეკისრა 2006წ. 13 იანვრიდან ბ. ს-ძის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდა მოახდინოს ტექნიკურად გამართული ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების საფუძველზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გაასაჩივრა ბ. ს-ქმ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ბ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006წ. 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება; ბ. ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ დასავლეთის ცენტრალური ფილიალის ქუთაისის სერვისცენტრის მიმართ ბ. ს-ძის დავალიანება განისაზღვრა 1 ლარითა და 92 თეთრით. საგასახადო შეტყობინებებისა და ქვითრების სემეკის 2006წ. 17 იანვრის №1 დადგენილების მე-9 მუხლის შესაბამისად, შევსების ნაწილში დავის საგნის არარსებობის გამო, შეწყდა საქმის წარმოება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ 2003წ. მარტიდან 2005წ. სექტემბრის პერიოდში, მოსარჩელე მოიხმარდა ე.წ. „კომერციულ დენს“ და იხდიდა კიდევ შესაბამის თანხებს. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე თანხებს მოსარჩელეს, მართლაც უმართებულოდ არიცხავდა, კერძოდ, როგორცაა შეფარდებითი ჩვენება, კომუნალური დარიცხვა, ჩვენების კორექტირება, პირობითი მოხმარება, ვალის შესწორება და ა.შ. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ელექტროენერჯის მოხმარების თანხის დარიცხვისას დარღვეულია საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) 2005წ. 6 აპრილის №7 „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ საერთო მოხმარების მრიცხველი მქონე აბონენტის მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის გასაზღვრის დროებითი წესი. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხეს სასამართლოში არ წარმოუდგენია კანონის დაცვით შედგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხის მიერ ბ. ს-ძისათვის გასარჯული ელექტროენერჯისა და შესაბამისი თანხის დარიცხვის მართზომიერებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანია“, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო პალატა დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელის სიტყვიერ განმარტებას და არ იმსჯელა იმ საკითხზე, რეალურად იყო თუ არა ბ. ს-მე ე.წ. „კომერციული დენის“ მომხმარებელი და იხდიდა თუ არა იგი მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურს. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ გაურკვევია, თუ რას წარმოადგენდა ე.წ. „კომერციული დენი“ და აქვს თუ არა სხვა ორგანიზაციას ელექტროენერჯის დისტრიბუციის უფლება. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მოსარჩელისთვის თანხების დარიცხვის უკანონობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2007წ. 19 ოქტომბრის განჩინებით სს „ენერჯია XXI-ის“ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სს „ენერჯია XXI-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ სადავო პერიოდში (და აქვე აზუსტებს – დასაწყისში) არ იყო ინდივიდუალურად გამრიცხველიანებული და ითვლებოდა „საერთო მოხმარების მრიცხველის აბონენტად“. ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავოა 2002წ. 5 აგვისტოდან 2006წ. 7 სექტემბრამდე პერიოდი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ არ არის წარმოდგენილი კანონით მოთხოვნათა დაცვით შედგენილი ინდივიდუალური ბარათი ელექტროენერჯის მოხმარების თანხის დარიცხვის შესახებ.

მოსარჩელე სადავოდ ხდის სს „ენერჯია XXI-ის“ მიერ დარიცხული თანხის კანონიერებას, რომელიც განხორციელდა 2006წ. 29 ივნისის აქტით. ამდენად, ყურადღება გასამახვილებელია გარემოებებზე, რომლებიც მიუთითებენ ბ. ს-ძის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობასა და ღირებულებაზე, რაც დგინდება და რეგულირდება კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალური ნორმატიული აქტებით. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ შემთხვევაში არ არის არსებითი სააპელაციო სასამართლოს მიერ მოშველიებული ტერმინის „კომერციული დენის“ სამართლებრივი შინაარსისა და ბ. ს-ძისა და გარკვეული პირთა ჯგუფის მიერ ელექტრომომხმარების ფაქტის დადგენის კანონიერების საკითხის განხილვა.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად კანონის მოთხოვნათა დაცვით განისაზღვრა მოსარჩელის დავალიანება და რა ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებენ იმაზე, რაც უნდა შეესწავლა და შეეფასებინა სააპელაციო სასამართლოს, კერძოდ, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნულ ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2006წ. 17 იანვრის №1 დადგენილებით დამტკიცებული სს „ენერჯია XXI-ის“ საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე აბონენტების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი, რადგან ენერჯოკომპანიის მიერ გახარჯული ელექტროენერჯის საფასური მოსარჩელეს დაარიცხა აღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგ.

აღნიშნული წესების პრეამბულიდან ირკვევა განსახილველი ნორმატიული აქტის მიზნები, კერძოდ, მის მიზანს წარმოადგენს სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდა, აგრეთვე, საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე აბონენტების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრა.

ამრიგად, აღნიშნული წესები მიზნად ისახავს მომხმარებლის მიერ მოხმარებული (მიწოდებული) ელექტროენერჯის გადახდას და ინდივიდუალური მრიცხველის არარსებობის შემთხვევაში აბონენტის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი ითვალისწინებს ერთ შემთხვევაში მომხმარებლის ნებით საერთო მოხმარების მრიცხველით

სარგებლობის პირობებსა და საერთო მრიცხველზე აღრიცხული ელექტროენერჯის განაწილების წესს, ხოლო, მეორე შემთხვევაში, აღნიშნული ნების არარსებობისას, უმრიცხველო მომხმარებლის საერთო მრიცხველზე აღრიცხული ელექტროენერჯის გამოთვლის წესს, კერძოდ, განსახილველი წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საერთო მოხმარების მრიცხველზე მიერთებული ყველა უმრიცხველო მომხმარებლის ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, საერთო მოხმარების მრიცხველზე აღრიცხული ელექტროენერჯის (ტექნიკური დანაკარგების გამოკლებით) განაწილება აბონენტებს შორის განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, გარდა სამფაზა მომხმარებლებისა, რომელთაც უნდა გააჩნდეთ გამართული ინდივიდუალური ხელსაწყო და მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერჯია უნდა გამოაკლდეს საერთო მოხმარების მრიცხველზე აღრიცხულ ელექტროენერჯიდან.“

ამავე წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებულია მე-5 მუხლით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობისას გახარჯული ელექტროენერჯის გამოანგარიშების წესი.

როგორც გამომდინარეობს განსახილველი ნორმატიული აქტიდან, ელექტროენერჯის მომხმარებელი დგას ორი ალტერნატიული შესაძლებლობის წინაშე, რომლითაც განსხვავებულად რეგულირდება საერთო მოხმარების მრიცხველზე დაფიქსირებული ელექტროენერჯის გამოთვლის წესი.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო მრიცხველით სარგებლობის სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს მხარეთა შეთანხმება და მხოლოდ ამ შეთანხმებით განისაზღვრება აბონენტებს შორის საერთო მოხმარების მრიცხველზე აღრიცხული ელექტროენერჯის განაწილების წესი.

აღნიშნული წესი შეიძლება არათანაბარზომიერ პირობებში აყენებდეს აბონენტებს. ამასთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის №1/1/374,379 2007წ. 9 თებერვლის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, „... საერთო მრიცხველით სარგებლობა შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს ზოგიერთ მომხმარებელს...“ საერთო მრიცხველის გამოყენებასთან დაკავშირებული უთანაზომო ტვირთი, კიდევ უფრო მძიმდება ცალკეული მომხმარებლის არაკეთილსინდისიერი მოქმედების შედეგად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, ამ რისკის მატარებლები არიან ყველა მომხმარებლები, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული წესი და ამდენად, ამ წესის გამოყენება დაკავშირებულია მოსახლეობის მიერ უმრიცხველოდ დახარჯული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის ნორმატიულ მექანიზმთან.

ამდენად, ამ კატეგორიის აბონენტის მიერ შეიძლება არც იყოს გახარჯული იმ ღირებულების ელექტროენერჯია, რომლის გადახდაც მას უწევს. თუ ეს აბონენტი არ ასრულებს შეთანხმებულ პირობებს, გამოიყენება წესის მე-6 მუხლი.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ განსახილველი ნორმატიული აქტი, სპეციფიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ითვალისწინებს მოხმარებული ელექტროენერჯის გამოთვლის განსაკუთრებულ წესს, რაც თავისთავად ატარებს დროებით ხასიათს და დამოკიდებულია მომხმარებელთა გამრიცხვიანობასთან.

საკასაციო პალატა ამხვილებს ყურადღებას იმაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს დარიცხული თანხის კანონიერების საკითხი, რომელიც ეხება მოხმარებული ელექტროენერჯის დარიცხვის სპეციფიკას და იმ თავისებურებებს, რომლებიც ახასიათებს ზოგადად უმრიცხველო მომხმარებელსა და ელექტროკომპანიის უფლება-ვალდებულებებს.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და ამის შედეგად არასწორად სამართლებრივ-მატერიალური ნორმის გამოყენება ან განმარტება.

კერძოდ, კასატორი არ უთითებს (არ ასაბუთებს) რაში გამოიხატა სააპელაციო სასამართლოს მიერ პროცესუალური დარღვევები. არ უთითებს, არ ასაბუთებს უმრიცხველო მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გამოანგარიშების კანონიერებზე, რაც გამორიცხავდა და გააბათილებდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს.

ამრიგად, საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

ამასთან ერთად საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, არ განიხილა სასამართლომ და რომლებიც გამოირიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

სს „ენერჯია XXI-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 27 თებერვლის გადაწყვეტილება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ელექტროენერჯიის ნასყიდობასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული ურთიერთობები

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-527-872-07

30 იანვარი, 2008 წ., ქთბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: აქტების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ჭიათურმანგანუმი“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიმართ და მოითხოვა მოპასუხის მიერ 2003წ. 13-14 ნოემბერს შედგენილი აქტების ბათილად ცნობა მოსარჩელისათვის დამატებით დარიცხული კილოვატსაათების შესახებ. მოსარჩელე ორგანიზაციამ თავისი მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ 2003წ. 13 და 14 ნოემბრის №33 და №34 აქტები ელექტროენერჯიის აღრიცხვიანობის შემოწმების შესახებ შედგენილია არასწორად, რადგან ამოწერის შემთხვევაში აქტში უნდა იყოს აღნიშნული შენიშვნა ხელმოწერების შესახებ, რაც არ გაკეთებულა, აქტს ამავე დროს არ აქვს ბეჭედი, რის გამოც მას იურიდიული ძალა არ აქვს. გარდა ამისა, მრიცხველების გამართული მუშაობა ევალებოდა თავად მოპასუხეს და, თუ მრიცხველები წესრიგში არ იყო, ეს თავად მოპასუხის ბრალეული მოქმედებიდან გამომდინარეობს.

ქ. თბილისის კრჭ-ში-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004წ. 5 ივლისის გადაწყვეტილებით სს „ჭიათურმანგანუმის“ სარჩელს შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიმართ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ სს „ჭიათურმანგანუმისათვის“ დამატებითი დარიცხული კილოვატსაათების შესახებ 2003წ. 13 და 14 ნოემბერს გაფორმებული ელექტროენერჯიის აღრიცხვიანობის შემოწმების №33 და №34 აქტების ბათილად ცნობის თაობაზე ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო.

სს „ჭიათურმანგანუმი“ სააპელაციო საჩივარი შეიტანა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006წ. 13 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქ. თბილისის კრჭ-ში-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004წ. 5 ივლისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006წ. 13 იანვრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა სს „ჭიათურმანგანუმი“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 13 აპრილის განჩინებით სს „ჭიათურმანგანუმის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004წ. 5 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის უარსაყოფად მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: სს „ჭიათურმანგანუმი“ №33 და №34 აქტების ბათილობას ითხოვდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, რაც საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესაძლებლობას, ხოლო სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ შედგენილი აქტები არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტებს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აქტის შედგენას არ ასწრებოდა სს „ჭიათურმანგანუმის“ წარმომადგენელი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა ასევე, რომ სასამართლომ დავის გადაწყვეტისას გამოიყენა სკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლითაც მესაკუთრეს უფლება აქვს, თავისუფლად მართოს ქონება და მოსთხოვოს სხვა პირებს დაცულ იქნეს მისი საკუთრება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული აქტები არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ვინაიდან ისინი შესრულებულია კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ კერძო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, შესაბამისად, მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ გამოიყენა აღნიშნული ურთიერთობის გადასაწყვეტად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ასევე სწორად იქნა დადგენილი ფაქტი იმის თაობაზე, რომ აქტის შედგენას ესწრებოდა სს „ჭიათურმანგანუმის“ წარმომადგენელი და არ არსებობდა აღნიშნულის გამო მისი გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გასულია საგადასახადო კოდექსის 115-ე მუხლით დადგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის ამოწერის ვადა და, შესაბამისად, დაკმაყოფილებულია მათი იურიდიული ინტერესი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სს „ჭიათურმანგანუმის“ წარმომადგენელმა ლ.ს-შვილმა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 115-ე მუხლი, რომლის თანახმადაც გადასახადის გადახდელი ვალდებულია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწეროს საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებისთანავე და მისცეს მყიდველს მიწოდებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სს „ჭიათურმანგანუმის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და ამის შედეგად არასწორად სამართლებრივ-მატერიალური ნორმის გამოყენება ან განმარტება.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა თვლის, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც, საქართველოს სსკ-ის 394-ე მუხლის ”ე“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 115-ე მუხლი.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას და დამატებით განმარტავს, რომ იმ დროს მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა დღგ-ის გადახდევინების ფაქტი. ამრიგად, აღნიშნული ნორმით მოცემულია დამატებითი ღირებულების გადახდის გამონგარიშებისა და გადახდის წესის სამართლებრივი მექანიზმი, რაც არეგულირებს საგადასახადო ორგანოსთან არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს და ამდენად, ამ ურთიერთობაზე არ გამოიყენება. კონკრეტულ დავაში მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს არ წარმოადგენს დამატებითი ღირებულების გადახდის გამონგარიშებისა და გადახდის წესი.

იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტების კანონიერება, ელექტროენერჯის მიწოდების შესახებ ინსტიტუტის თანახმად, უნდა გათვალისწინებულ იქნას მიწოდებული ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის ფაქტი, მიწოდებული ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის მიზეზები და ელექტროენერჯის საფასურის გადახდაზე პასუხისმგებელი პირი (ამ საკითხის გარკვევისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს ბრალის საკითხი და მტკიცების ტვირთი).

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა ზემოაღნიშნული ნორმა და უნდა გამოეყენებინა ნასყიდობის ხელშეკრულების ინსტიტუტით გათვალისწინებული ნორმები და სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი 1998წ. 22 მაისს №27 ბრძანებით დადგენილი ელექტროენერჯის მოხმარების დროებითი წესები, კერძოდ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. უნდა აღინიშნოს, რომ, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ელექტროენერჯის ნასყიდობასთან დაკავშირებული ურთიერთობები ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებულია 1998წ. 22 მაისს №27 ბრძანებით დადგენილი ელექტროენერჯის მოხმარების დროებითი წესებით. აღნიშნული წესების 4.3.1 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, აბონენტის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ფულადი ანაზღაურება ხორციელდება აღრიცხვის ხელსაწყოების მიერ დაფიქსირებული მაჩვენებლების მიხედვით მოქმედი ტარიფებისა და სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ელექტროენერჯის მრიცხველი არის მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტროენერჯის მიწოდებისა და მისი საფასურის გადახდის პირობების შესრულების შემოწმების საშუალება ანუ აღრიცხავს და აჩვენებს მოხმარებულ ელექტროენერჯას.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ურთიერთობებზე ვრცელდება ნასყიდობის ხელშეკრულების ინსტიტუტი, მომხარებელს ეკისრება მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდის ვალდებულება. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობას მოჰყვება მომხმარებლის პასუხისმგებლობა. აღნიშნული პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა ენიჭება ელექტროენერჯის მრიცხველის სისწორის საკითხის დადგენას, კერძოდ, ელექტრომრიცხველის გაუმართაობა (არასწორი მაჩვენებელი) გამოწვეულია ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით. ზუსტად აღნიშნული ფაქტორები კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავენ ელექტრომრიცხველის გაუმართაობაზე პასუხისმგებელ პირებსა და ბრალეულობის საკითხს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად და 1998წ. 22 მაისს №27 ბრძანებით დადგენილი ელექტროენერჯის მოხმარების დროებითი წესების მოთხოვნათა დაცვით, უნდა შეამოწმოს გასაჩივრებული აქტების კანონიერება, რომელიც მოიცავს არა მარტო ამ აქტების კანონიერების ფორმალურ მხარეს, არამედ, მიწოდებული, მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის სისწორის შემოწმებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს ჭიათურმანგანუმის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 13 აპრილის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად; საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ელექტროენერჯის ნასყიდობასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული ურთიერთობები

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-762-1088-07

13 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დარიცხვის აქტის გაუქმება.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2006წ. 29 ოქტომბერს სარჩელი აღძრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელმა ი. ბ-ულმა მოპასუხე სააქციო საზოგადოება „თელასის“ მიმართ და მოითხოვა სს „თელასის“ მიერ 2006წ. 4 აგვისტოს განხორციელებული 10561,18 ლარის მოსარჩელისთვის დარიცხვის გაუქმება. მოსარჩელის განმარტებით 2006წ. 4 აგვისტოს სს „თელასის“ ენერგოზედამხედველობის სამსახურს საბიუჯეტო და კომუნალურ სექტორში აქტების დარიცხვის განყოფილების მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოს დაერიცხა 10 561,18 ლარი 2006წ. 22 თებერვლიდან 2006წ. 2 აგვისტომდე. დარიცხვა განხორციელდა „სემეკის“ 2001წ. 31 დეკემბრის №15 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდის გათვალისწინებით.

2006წ. 13 სექტემბერს სს „თელასის“ კომერციული დირექტორის წერილში აღნიშნულია, რომ 2006წ. 6 ივლისის „თელასის“ მიერ შედგენილ ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის სახელზე დარღვევის სახე განისაზღვრა „სემეკის“ 2001წ. 31 დეკემბრის №15 დადგენილებით დამტკიცებული საბონენტო, საბიუჯეტო და კომერციულ სექტორში აღურიცხავი ელექტროენერჯის დარიცხვის მეთოდის მე-8-1 მუხლის საფუძველზე, აღრიცხვიანობის დარღვევის პერიოდი განისაზღვრა მუხ. 2 „ბ.ბ.“-ს შესაბამისად, ხოლო დარიცხვა ნაწარმოებია მე-8-1 „ბ“, „ა“ მუხლის გამოყენებით.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მის მიმართ 10561,18 ლარის გამოთვლა და დარიცხვა მოხდა არასწორად, კერძოდ მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სასამართლოში ელექტროენერჯის მოხმარება ხდება ორი ძირითადი შენობის მიერ და აღრიცხვა კი წარმოებს უზენაეს სასამართლოს მრიცხველზე, შესაბამისად თანხის გადახდაც ხდება ამ მრიცხველის ჩვენების საფუძველზე. უზენაესი სასამართლოს მთავარი შენობის უკან მდებარე შენობაში რომელიც ასევე უზენაეს სასამართლოს ეკუთვნის განთავსებული იყო საერთო სასამართლოების მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი. 2006წ. გაზაფხულიდან დეპარტამენტმა შეიცვალა ადგილსამყოფელი და 2006წ. ზაფხულში განთავსდა უზენაესი სასამართლოს ძირითად შენობაში, ხოლო გამონთავისუფლებული შენობა დაიკავა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ. შენობაში განთავსებულია აგრეთვე უზენაესი სასამართლოს საცურაო აუზი და საუნა. ამ უკანასკნელის მოხმარებული ენერჯიაც აღირიცხება უზენაესი სასამართლოს მრიცხველზე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2006წ. 1 მარტის №7-ს №2 ბრძანების საფუძველზე საცურაო აუზის კომპლექსმა შეწყვიტა ფუნქციონირება ამას გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმავე ბრძანების შესაბამისად შეიზღუდა ელექტროენერჯისა და სხვა გამათბობელი საშუალებების მოხმარების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ელექტროენერჯის მოხმარება მკვეთრად შემცირდა წინა პუნქტთან შედარებით მოხდა მაჩვენებლის მკვეთრ ვარდნა, ამიტომ მოსარჩელეს არასწორად მიაჩნია მრიცხველის გაუმართაობის გამო დარიცხული გადასახადის გამოთვლა სემეკის

№15 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით არასწორად მიაჩნია დარღვევის პერიოდის განსაზღვრაც კერძოდ, ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე თუ აღრიცხვიანობის დარღვევის პერიოდი ზუსტად ვერ დგინდება, მაშინ მის ეკვივალენტურ პერიოდად გამოიყენება დარიცხვის მკვეთრი შემცირების პერიოდი, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ცნობილია, რომ ობიექტი სტაბილურად მუშაობს. მოსარჩელემ ასევე მიიჩნია, რომ დარიცხვის პერიოდში ობიექტი, კერძოდ კი ზემოაღნიშნული შენობები სტაბილურად არ მუშაობდა მოხმარების მკვეთრი შემცირება სწორედ ამ მიზეზით იყო განპირობებული და დარღვევაც აღნიშნული მეთოდის გამოყენებით განხორციელდა არასწორად. ამის გარდა მოსარჩელის აზრით ვინაიდან აბონენტს არ გააჩნია მრიცხველის გახსნის ან სხვაგვარად მარეგულირებლის ნახვის შესაძლებლობა, სწორედ „თელასის“ ვალდებულებაა მრიცხველის ჩვენებებისა და გამართული ფუნქციონირების შემოწმება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ მოითხოვა გაუქმდეს მოპასუხის მიერ 2006წ. 4 აგვისტოს აქტი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10 561, 18 ლარის დარიცხვის თაობაზე.

2006წ. 13 ნოემბერს მოპასუხე სს „თელასმა“ წარმოადგინა შესაგებელი სადაც არ ცნო სარჩელი შემდეგ გარემოებათა გამო, კერძოდ 2006წ. 6 ივლისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას სს „თელასის“ თანამშრომლების მიერ აღმოჩენილი იქნა, რომ მრიცხველი მუშაობდა ცლომილებით, სრულად არ აღწერდა მიწოდებულ ელექტროენერგიას. დეტალური შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მრიცხველის ჩ ფაზას არ მიეწოდებოდა ძაბვა, რამაც სწორედ გამოიწვია მრიცხველის ცლომილებით მუშაობა. ზემოაღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001წ. 31 დეკემბრის №15 დადგენილების საფუძველზე შედგენილი იყო ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტი №047245.

რაც შეეხება დარიცხვას - იგი განხორციელებულია სემეკის 2001წ. 31 დეკემბრის №15 დადგენილების მე-8 მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს კვტსთ-ების დარიცხვას აბონენტისაგან დამოუკიდებლად ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის დარღვევას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006წ. 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. გაუქმდა მოპასუხე სს „თელასის“ ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების 2006წ. 6 ივლისის აქტი №047245 და აღნიშნული აქტის საფუძველზე მოპასუხის მიერ მოსარჩელის მიმართ განხორციელებული დარიცხვა 10561,18 ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „თელასის“ წარმომადგენლებმა მ. ჯაფარიძემ და გ. წერეთელმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 25 მაისის განჩინებით სს „თელასის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006წ. 29 ნოემბრის გადაწყვეტილება.

პალატამ მიიჩნია, რომ 2006წ. 6 ივლისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას სს „თელასის“ წარმომადგენლის მიერ აღმოჩენილი იყო მრიცხველის ცლომილებით მუშაობის ფაქტი. სს „თელასის“ მიერ გამოვლენილ დარღვევაზე 2006წ. 6 ივლისს შედგა ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტი 3047245, რომლის საფუძველზეც 2006წ. 4 აგვისტოს მოპასუხის მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადასახდელად დაერიცხა თანხა 10561,18 ლარის ოდენობით. დარიცხული სადაო თანხის გამოთვლა და დარიცხვა მოპასუხის მიერ განხორციელდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001წ. 31 დეკემბრის №15 დადგენილების მე-8 მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს კვტ. საათების დარიცხვას აბონენტისაგან დამოუკიდებლად ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის დარღვევას.

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ აღრიცხვიანობის დარღვევა მოსარჩელის ბრალეული ქმედებით არ ყოფილა გამოწვეული. შესაბამისად, დაკარგული კვ. საათების დარიცხვა მოხდა ზემოხსენებული დადგენილების მე-8 მუხლის ბ.ბ. ქვეპუნქტის შესაბამისად აღრიცხვის ცლომილების გათვალისწინებით - შესწორების კოეფიციენტის გამოყენებით.

პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს და დავა უნდა გადაწყდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რომელიც არეგულირებს მოცემულ ურთიერთობებს, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) №15 დადგენილებით.

პალატამ ასევე განმარტა, რომ სს „თელასმა“ ისე შესწორების კოეფიციენტის მეთოდი და გაავრცელა დარიცხვის მკვეთრი შემცირება შემდგომ პერიოდზე, რომ არ მომხდარა დარიცხვის შემცირების სხვა ფაქტორების გამორიცხვა, ანუ აბონენტის სტაბილურად მუშაობის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 25 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „თელასის“ წარმომადგენელმა გ. წ-მა.

კასატორის აზრით, აღნიშნული განჩინება უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო: მიუხედავად იმისა, რომ როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ 2006წ. 6 ივლისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას აღრიცხვის კვანძი დარღვევით მუშაობდა და იგი მასში გატარებულ ელექტროენერგიას სრულად არ აღრიცხავდა. მიზეზი ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის აქტის გაუქმების არც ერთ სასამართლომ არ დაასახელა. თავად აქტის შედგენის სისწორე და მასში აღწერილი დარღვევის სამართლიანობა ეჭვის ქვეშ არც კი დამდგარა. შესაბამისად, თავად ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის აქტი №047245 ისე გააუქმეს, რომ ფაქტობრივად მასზე (მის სისწორეზე) არც კი უმსჯელიათ. ნათელია, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მოქმედება კანონის ფარგლებში არ ჯდება.

ასევე კასატორის აზრით, დავა მიმდინარეობს დარიცხვის აქტთან დაკავშირებით, რომელიც შედგა 2006წ. 4 აგვისტოს და რომლითაც სს „თელასმა“ სემეკის 2001წ. №15 დადგენილების საფუძველზე გამოითვალა ის კილოვატსაათები, რომლებიც მან მიაწოდა უზენაეს სასამართლოს და რომელიც აღრიცხვის კვანძის გაუმართაობის გამო ვერ აღწერა მრიცხველმა. კერძოდ: იმის გამო, რომ სადავო არ იყო ის ფაქტი, რომ აღრიცხვის კვანძი აბონენტის, ანუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბრალის გარეშე იყო დარღვეული - დარიცხვა განხორციელდა სემეკის 2001წ. №15 დადგენილების მე-8 მუხლის საფუძველზე („კვტ/სთ-ების დარიცხვა აბონენტისაგან დამოუკიდებლად ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის დარღვევისას“), რომელიც ითვალისწინებს კილოვატსაათების დარიცხვის სამ მეთოდს: ა) დარღვევამდე მოხმარებით; ბ). დარღვევის გამოსწორების შემდგომი მოხმარებით; გ). შესწორების კოეფიციენტის გამოყენებით. სს თელასმა გამოიყენა შესწორების კოეფიციენტით დარიცხვა სწორედ იმიტომ, რომ ეს მეთოდი ყველაზე უფრო სამართლიანად და სინამდვილესთან მიახლოებულად აძლევს საშუალებას აღრიცხოს დაზარალებული, მაგრამ მრიცხველის მიერ აღურიცხავი ელექტროენერგია. მოსარჩელე (უზენაესი სასამართლო), მიუხედავად იმისა, რომ არ ეთანხმებოდა განხორციელებულ დარიცხვის მეთოდს - არც იმას აკონკრეტებდა, თუ ზემოთ აღნიშნული დარიცხვის მეთოდებიდან რომელს მიიჩნევდა სწორად (სამართლიანად), არადა, შესწორების კოეფიციენტის გამოთვლით სს თელასმა მხოლოდ და მხოლოდ ცდომილების ის პროცენტი გამოთვალა, რომელიც უზენაესი სასამართლოს მრიცხველს ჰქონდა. ხოლო, თუ ცნობილია მრიცხველის ცდომილების პროცენტი და აგრეთვე კილოვატსაათების რაოდენობა, რომელიც ამ ცდომილებით მომუშავე მრიცხველმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღრიცხა, ძნელი არ არის აღურიცხავი კილოვატსაათების დადგენა.

კასატორის განმარტებით, მხარეებს შორის სადავო იყო აგრეთვე ე.წ. დარღვევის პერიოდი. უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულს არაფერს ამბობდნენ, ვერაფერს ამტკიცებდნენ, მიაჩნიათ, რომ დარიცხვის პერიოდად ძალიან დიდი დრო იყო აღებული. სემეკის 2001წ. №15 დადგენილებაში დარღვევის პერიოდი განსაზღვრულია როგორც „დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა იყო დარღვეული, ან ისეთი პერიოდი რომელიც გამოიყენება აღურიცხავად მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის გამოსათვლელად“. ამ განმარტების მეორე ნაწილში არსებული ჩანაწერი იმას მიანიშნებს, რომ დარღვევის პერიოდი აბსოლიტური სიზუსტით შეიძლება ვერც კი დადგინდეს.

ასევე, კასატორის განმარტებით, სემეკის 2001წ. №15 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის ბოლო აბზაცის თანახმად, „დარღვევის პერიოდის შეფასება ხდება ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის, სს „ეი-ი-ეს თელასის“ საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ“. სს თელასის წარმომადგენლებმა დარღვევის პერიოდი გამოთვალეს და ყველაფერი აღწერეს დარიცხვის აქტში, რაც გახდა კიდევ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საჩივრის სასამართლოში შეტანის მიზეზი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ის კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, მას უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდებოდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ძალაში დარჩებოდა როგორც აღრიცხვიანობის შემოწმების აქტი №047245, ასევე 2006წ. 4 აგვისტოს დარიცხვის აქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს 2006წ. 6 ივლისს სს „თელასის“ მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას შემდგარი აქტის კანონიერების საკითხი. როგორც კასატორი უთითებს, სასამართლომ ისე გააუქმა ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის აქტი, რომ ფაქტობრივად მასზე არ უმსჯელია. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს. სასამართლომ სადავო აქტი შეაფასა საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001წ. 31 დეკემბრის №15 დადგენილების საფუძველზე და მიიჩნია, რომ სს „თელასმა“ მოსარჩელისათვის თანხის დარიცხვა განახორციელა სემეკის აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის, „ბ.ბ“. ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევით. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს საკასაციო სასამართლოც.

როგორც კასატორი აღნიშნავს, სს „თელასმა“ სემეკის 2001წ. №15 დადგენილების საფუძველზე გამოითვალა ის კილოვატსაათები, რომლებიც მან მიაწოდა უზენაეს სასამართლოს და რომელიც აღრიცხვის კვანძის გაუმართაობის გამო ვერ აღწერა მრიცხველმა. კასატორის განმარტებით, დარიცხვა განხორციელდა სემეკის მითითებული დადგენილების მე-8 მუხლის სფუძველზე შესწორების კოეფიციენტის დარიცხვით. უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული ნორმის გამოყენებით კილოვატსაათების დარიცხვა სასამართლოს არ მიუჩნევია დარღვევად.

სასამართლოს მოსაზრებით, თანხის დარიცხვა წარმოებულია მითითებული დადგენილების მე-2 მუხლის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევით. მითითებული ნორმა ითვალისწინებს დარღვევის პერიოდად დარიცხვის მკვეთრი ვარდნის შემდგომი პერიოდის გამოყენების შესაძლებლობას ობიექტის სტაბილური მუშაობის შემთხვევაში. ანუ ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ნორმის გამოყენებისას აუცილებელია ორი ფაქტორის არსებობა – დარიცხვის მკვეთრი ვარდნა და ობიექტის სტაბილური მუშაობა. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს, რომ მკვეთრი ვარდნა გამოწვეული უნდა იყოს მრიცხველის გაუმართაობით და არა ობიექტის არასტაბილური მუშაობის გამო. ანუ თუ ობიექტი ერთი და იგივე დატვირთვით მუშაობს, მაგრამ ხდება დარიცხვის მკვეთრი ვარდნა, ასეთ შემთხვევაში ამის მიზეზი შეიძლება იყოს მრიცხველის გაუმართაობა, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ობიექტი თავისთავად ნაკლებ დატვირთვაზე გადავიდა, ბუნებრივია, მრიცხველის გამართულ მდგომარეობაში არსებობის შემთხვევაშიც მოხდება დარიცხვის ვარდნა. ასეთი შეიძლება იყოს ზამთრიდან გაზაფხულზე გადასვლის პერიოდი, როდესაც ობიექტი წვავს ნაკლებ ენერჯიას, აგრეთვე სხვადასხვა ტექნიკური გაუმართაობის გამო საწარმოს მუშაობის დროებით შეფერხება, გაჩერება ან საწარმოში მომხდარი ავარია. აღნიშნულ შემთხვევაში ყოველთვის ხდება დარიცხვის ვარდნა, რაც არ შეიძლება დაკავშირებული იყოს მრიცხველის გაუმართაობასთან. სწორედ ამიტომ ითვალისწინებს ზემოთმითითებული ნორმა, რომ უნდა არსებობდეს ობიექტის სტაბილური მუშაობის ფაქტი. ანუ დარიცხვის ვარდნა არ უნდა უკავშირდებოდეს ობიექტის მიერ ენერჯიის მონმარების შემცირების სხვა მიზეზებს და მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს ასეთი ფაქტორების არსებობა.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტაციას იმის თაობაზეც, რომ სასამართლოს მითითებით თუ ობიექტი არასტაბილურად მუშაობს ეს ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია შესწორების კოეფიციენტის გამოყენება. როგორც თვითონ კასატორი უთითებს აღრიცხვაში კილოვატსაათების დასადგენად აუცილებელია მრიცხველის ცდომილების პროცენტის დადგენა, აგრეთვე იმ კილოვატსაათების რაოდენობის ცოდნა, რომელიც ამ ცდომილებით მომუშავე მრიცხველმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღრიცხა. ამ შემთხვევაში სირთულეს წარმოადგენს სწორედ იმ პერიოდის გამოვლენა, რომლის განმავლობაშიც მრიცხველი მუშაობდა ცდომილებით. სწორედ ამ პერიოდის ხანგრძლივობითაა შესაძლებელი კილოვატსაათების დათვლა. ასეთ შემთხვევაში სს „თელასს“ შეუძლია შესწორების კოეფიციენტი გამოიყენოს გარკვეული პერიოდისათვის, მაგრამ ამ პერიოდისათვის უნდა გამოირიცხოს არასტაბილურობის გამომწვევის ფაქტორები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი და იგი უცვლელად უნდა დარჩეს

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

სს „თელასის“ წარმომადგენლის ვ. წერეთლის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 25
მაისის განჩინება.განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნასყიდობა გადახდის განვადებით

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ ას-547-780-08

26 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა:

მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ხელშეკრულებიდან გასვლა.

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ბ-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ზ. გ-ძის წინააღმდეგ. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2004წ. 11 ივნისს მასსა და ზ. გ-ძის წარმომადგენელ ვ. გ-ძეს შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით (სანოტარო აქტი №1-4350), ბინაზე მდებარე ... ბინა. იმავე წლის 21 ივნისს აღნიშნული ბინა საჯარო რეესტრში შეზღუდული საკუთრების უფლებით აღირიცხა მის სახელზე. ხელშეკრულების თანახმად, ნასყიდობის საგანი გაყიდული იქნა 14000 აშშ დოლარად, გადახდის განვადებით. ხელმოწერისთანავე გამყიდველს გადაუხადა 7000 აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენი 7000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა 2004წ. 25 დეკემბერს, რაც იმავე დღეს დამატებით დამოწმდებოდა სანოტარო აქტით. აღნიშნულის შემდეგ იგი გახდებოდა ქონების სრულუფლებიანი მესაკუთრე. მოპასუხემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულება. აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით მოსარჩელემ მოითხოვა მის მიმართ მოპასუხის ვალდებულების აღიარება, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად სადავო ბინის სრულუფლებიან მესაკუთრედ ცნობა და მოპასუხის გამოსახლება ბინიდან თანხმლებ პირებთან ერთად.

მოპასუხე ზ. გ-ემ შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იმავდროულად მოითხოვა ხელშეკრულების გაუქმება და მიღებულის მხარეთა მიერ უკან დაბრუნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 28 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ბ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ზ. გ-ძეს შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და მას დაეკისრა მოსარჩელისათვის 7000 აშშ დოლარის დაბრუნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 28 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა თ. ბ-ემ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008წ. 19 მარტის გადაწყვეტილებით თ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გადაწყვეტილება თ. ბ-ძის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში დარჩა უცვლელი, ხოლო ზ. გ-ძის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგინდა, რომ 2004წ. 11 ივნისს თ. ბ-ძესა და ზ. გ-ძის წარმომადგენელ, ვ. გ-ძეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების (მდებარე თბილისში, ..., ბინა)

ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 14000 აშშ დოლარით.

პალატამ ასევე დადგენილად ჩათვალა, რომ მხარეთა შეთანხმებით, მყიდველმა ხელმოწერისთანავე გადაიხადა 7000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 7000 აშშ დოლარი ხელშეკრულების თანახმად თ. ბ-ძეს უნდა გადაეხადა 2004წ. 25 დეკემბერს, რის შემდეგაც თ. ბ-ძე განდებოდა ბინის სრულუფლებიანი მესაკუთრე. მანამდე სადავო ბინა საჯარო რეესტრში შეზღუდული საკუთრების უფლებით აღირიცხა თ. ბ-ძის სახელზე.

ასევე დადგენილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი თანხა 7000 აშშ დოლარი, მყიდველის მიერ გადახდილი არ არის, სადავო ბინით კი სარგებლობენ მოპასუხეები.

პალატამ მიიჩნია, რომ დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა იმის შესახებ, რომ ზ. გ-ძემ დაკარგა დარჩენილი შესრულების მიღების ინტერესი. პალატამ განმარტა, რომ ზ. გ-ძემ თვითონ შექმნა ისეთი გარემოებები, რამაც გამოიწვია თ. ბ-ძის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა. ამდენად, მისი არგუმენტი, რომ მან დავის განხილვის დროისათვის დაკარგა შესრულების მიმართ ინტერესი, ვინაიდან გაიზარდა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, საფუძველს მოკლებულია.

დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა თ. ბ-ძემ.

კასატორის აზრით, განვადებით ნასყიდობის დროს ხდება საგნის გადაცემა ფასისი გადახდამდე, რის გამოც მას ჰქონდა სრული უფლება რომ გადაეცემოდა ნივთი ხოლო გადაუცემლობის შემთხვევაში გამოეთხოვა იგი უკანონო მფლობელობიდან, რასაც ის ითხოვდა თავისი სარჩელით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008წ. 19 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით ასევე გაასაჩივრეს ზ., თ., ნ. გ-ძეებმა და ვ. გ-ძემ.

კასატორების აზრით, მათ ხელშეკრულების შესრულება დაუკავშირეს განსაზღვრულ თარიღს 2004წ. 25 დეკემბერს, მაგრამ თ. ბ-ძის იერ არ შესრულებულა ნაკისრი ვალდებულება, რის გამოც, მათ დაკარგეს შესრულების ინტერესი ბინის გაზრდილი საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ თ.ბ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ზ., თ., ნ., გ-ძეებისა და ვ.გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილია 2004წ. 11 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული გარიგება წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულებას გადახდის განვადებით. სკ-ის 477-ე მუხლის თანახმად გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებულ საბუთებს და მიაწოდოს საქონელი, მყიდველი კი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს, თუ რა უფლება-მოვალეობანი წარმოემობათ მხარეებს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას. მოცემულ შემთხვევაში კი მხარეთა შორის დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით, ასეთ შემთხვევაში კი ხდება მხოლოდდა მხოლოდ თანხის გადახდის გადავადება, ნივთის გადაცემა კი ხდება ხელშეკრულების დადებისთანავე. სწორედ ნივთის გადაცემის მოთხოვნას აყენებს თ. ბ-ძეც, რაც სასამართლოს აზრით, გამომდინარეობს აღნიშნული ნორმის დანაწესიდან.

როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, 2004წ. 25 დეკემბრისათვის ორივე მხარეს უნდა შეესრულებინა ვალდებულებანი. თუმცა სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება არ განსაზღვრავს ამ პირობების შესრულების თანმიმდევრობას. ხელშეკრულების მიხედვით ორივე ვალდებულება უნდა შესრულდეს ერთსა და იმავე დღეს. ფაქტია, რომ არცერთ მათგანს ამ თარიღისათვის ვალდებულება არ შეუსრულებია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითოეულმა მათგანმა დაკარგა ხელშეკრულებიდან თუ კანონიდან მათთვის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გამყიდველი სკ-ის 505-ე მუხლის თანახმად ვალდებულია ფულის გადახდამდე გადასცეს ნივთი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თ. ბ-მესაც არ შეუსრულებია ხელშეკრულებაში მითითებული პირობა და მას ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნასყიდობის თანხის გადახდის ვალდებულება არ გაქარწყლებია. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი შეუძლებელი იგი გახდეს სრულუფლებიანი მესაკუთრე. ამდენად იგი ვალდებულია გამყიდველის მოთხოვნისთანავე შეასრულოს ეს ვალდებულება.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა თ. ბ-ის არაბრალეულობის ფაქტი ფულის დარჩენილი ნაწილის გადახდის ვადის გადაცილებაში. აღნიშნულის თაობაზე გამყიდველი უთითებს საკასაციო პრეტენზიად იმ ფაქტს, რომ სასამართლომ გაიზიარა თ. ბ-ის დარიცხვითი მოწმეების მოსაზრებანი, აგრეთვე იმას, რომ ამ უკანასკნელმა თანხა არ შეიტანა დეპოზიტზე. მაგრამ არ უთითებს თუ რა საპროცესო ნორმები იქნა დარღვეული სააპელაციო სასამართლოს მიერ ასეთი დასკვნის გაკეთებისას. ასეთ შემთხვევაში კასატორის მიერ ასეთი სახის მითითება არ შეიძლება მიჩნეული იქნეს დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად და სასამართლოს მიერ აღნიშნული ფაქტი დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს.

ასევე ვერ იქნება გაზიარებული კასატორის (გ-მის) მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მან უარი თქვა ხელშეკრულებაზე. სკ-ის 405-ე მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ზ. გ-მეს 2004წ. 25 დეკემბრიდან ხელშეკრულების შესრულება თ. ბ-მისათვის დღემდე არ მოუთხოვია. არც დამატებითი ვადა განუსაზღვრია მისთვის. ხოლო ის გარემოება, რომ ბინების ფასი გაიზარდა და ამიტომ შესრულებამ აზრი დაკარგა მისთვის, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად, მითუმეტეს რომ ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხი ზ. გ-მემ დააყენა მხოლოდდამხოლოდ სასამართლოში და მხოლოდ მაშინ, როდესაც აღიძრა თ. ბ-მის სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე. პალატა განმარტავს, რომ უძრავი ქონების ფასი ყოველწლიურად განიცდის ცვლილებებს, ამიტომ იგი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად.

სასამართლო არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ თ. ბ-მეს გადასახდელი ნაწილი არ გადაუხადია ანუ დარჩენილი თანხის გადახდის ვალდებულება მას ისევ გააჩნია. პალატა თვლის, რომ მიუხედავად თანხის გადახდა – არგადახდისა ნასყიდობის საგანი მყიდველს უნდა გადაეცეს ზემოთ მითითებული ნორმის საფუძველზე. პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ბინა სკ-ის 505-ე მუხლის საფუძველზე უნდა გადაეცეს თ. ბ-მეს. ამისთან, პალატა თვლის, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდის ვალდებულება მას არ შეუსრულებია და მხარის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში მოთხოვნა ვალდებულია შეასრულოს იგი. აღნიშნული ვალდებულების შესრულებამდე იგი ვერ იქნება მიჩნეული სრულუფლებიანი მესაკუთრედ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თ. ბ-მის სარჩელზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

თ. ბ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. ზ., თ., ნ. გ-ძეების და ვ. გ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008წ. 19 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდეს თ. ბ-მის სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

თ. ბ-მის სარჩელი ქ. თბილისში ... ქუჩაზე №4 კორპუსში მდებარე 30-ე ბინის მის მფლობელობაში გადაცემის ნაწილში დაკმაყოფილდეს, გამოსახლებულ იქნენ მითითებულ მისამართზე მდებარე ბინიდან ზ., თ., ნ. გ-ძეები, ვ. გ-ძე და ბინა გადაეცეს მფლობელობაში თ. ბ-მეს.

თ. ბ-მის სარჩელს ბინის სრულუფლებიანი მესაკუთრედ ცნობის თაობაზე უარი ეთქვას.

დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

9. ჩუქების ხელშეკრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-208-470-08

18 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ჩუქების და ნასყიდობის გარიგებათა ბათილად ცნობა, სადავო ბინაზე მესაკუთრედ ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ს-ქემ 2006წ. 31 იანვარს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – ნ. ს-ძის, გ. გ-შვილის, დ. ჭ-შვილის, ნოტარიუსების: ნ. ჯ-ძისა და ე. შ-შვილის მიმართ და მოითხოვა მის მიერ ნ. ს-ძისათვის ბინის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ასევე ც. ს-ძესა და გ. გ-შვილსა და შემდეგ ამ უკანასკნელსა და დ. ჭ-შვილს შორის დადებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და ბინის დაბრუნება მის საკუთრებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 30 მარტის გადაწყვეტილებით გ. ს-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. დ. ჭ-შვილის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, დ. ჭ-შვილის სახელზე რიცხული უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №25, ბ. №89 (წილობრივი მონაცემებით 60\5382) გამოთხოვილ იქნა გ. ს-ძის უკანონო მფლობელობიდან, გ. ს-ძე გამოსახლებულ იქნა აღნიშნული ბინიდან და ბინა გადაეცა დ. ჭ-შვილს; გ. ს-ძეს დ. ჭ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის (სარგებელი) ანაზღაურება, 2003წ. აგვისტოდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, თვეში 500 ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ს-ქემ და მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მთლიანად გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007წ. 13 დეკემბრის განჩინებით გ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007წ. 30 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, კერძოდ:

1994წ. 20 სექტემბერს გ. ს-ქემ თავისი კუთვნილი ბინა მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №25, ბ. №89, სანოტარო წესით დამოწმებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადასცა ქალიშვილს ნ. ს-ძეს; აღნიშნული ხელშეკრულება იმავეწ. 20 დეკემბერს აღრიცხული იქნა ქ. თბილისის ტექნიკური ინჟინერიის ბიუროში.

2002წ. 5 აგვისტოს ნ. ს-ქემ დედამის მიანიჭა კუთვნილი ბინის გასხვისების უფლებამოსილება; აღნიშნულის საფუძველზე ც. ს-ძესა და გ. გ-შვილს შორის დაიდო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება 2003წ. 10 აპრილს; გ. გ-შვილი აღირიცხა სადავო ბინის მესაკუთრედ;

2003წ. 18 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულებით გ. გ-შვილმა თავისი კუთვნილი ბინა გაასხვისა დ. ჭ-შვილზე; ბინაზე აღრიცხული იქნა დ. ჭ-შვილის საკუთრების უფლება;

ნ. ს-ქემ სადავო ბინაზე 2003წ. 10 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულება გ. გ-შვილთან დადო წარმომადგენლის (დედამისი) ც. ს-ძის მეშვეობით. ც. ს-ძე ნ. ს-ძის სახელით ხელშეკრულების დადებისას მოქმედებდა შესაბამისი მინდობილობით.

დადგენილია, რომ გ. ს-ძე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე 2003წ. ივლისიდან ცხოვრობს სადავო ბინაში და მასზე ახორციელებს ფაქტობრივ მფლობელობას, რითაც მესაკუთრე დ. ჭ-შვილს ადგება

ზიანი, ხელი ეშლება რა საკუთარი ნივთით მფლობელობასა და სარგებლობაში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან გაჩუქებული ნივთი დავის პერიოდში აღარ იმყოფებოდა ნ. ს-ძის საკუთრებაში (მის მიერ გასხვისებული იქნა გ. გ-შვილზე, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელმა გაასხვისა დ. ჭ-შვილზე), აღარ არსებობდა დასაჩუქრებულისგან გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ნ. ს-ძის მიერ სარჩელის ცნობა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის ნაწილში, არ წარმოადგენდა ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს, ვინაიდან მოპასუხეს აღარ გააჩნდა მატერიალურ-სამართლებრივი უფლება გაჩუქებულ ნივთზე;

სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად ცნო პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე გ. ს-ძეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი არ გააჩნდა, ვინაიდან სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შემთხვევაში ბინის დაბრუნების მოთხოვნის უფლება ჰქონდათ ამ გარიგების მონაწილე პირებს, ანუ გამყიდველებს, რომელთაც ერთ შემთხვევაში წარმოადგენდა ნ. ს-ძე, ხოლო მეორე შემთხვევაში გ. გ-შვილი; სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ გ. ს-ძე 2003წ. აგვისტოს თვიდან სადავო ბინაზე ახორციელებდა ფაქტობრივ მფლობელობას სამართლებრივი საფუძველის გარეშე, ხოლო აღნიშნული ბინის მესაკუთრე იყო დ. ჭ-შვილი, მას ჰქონდა უფლება მოეთხოვა ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა და თავისუფალ მდგომარეობაში დაბრუნება.

დ. ჭ-შვილის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, პალატამ განმარტა, რომ ვინაიდან გ. ს-ძე ხელს უშლიდა დ. ჭ-შვილს საკუთარი ნივთის მფლობელობაში და აღნიშნულით აყენებდა მას ზიანს, შეეძლო გაეჭირავებინა ბინა და მიეღო შემოსავალი, გ. ს-ძეს დააკისრა 2003წ. აგვისტოს თვიდან 500 ლარის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ს-ძემ.

კასატორის აზრით, მოცემულ შემთხვევაში საქმის განმხილველმა სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მან სარჩელით მოითხოვა გ. გ-შვილსა და დ. ჭ-შვილს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ასევე ნ. შტაინინგერსა და გ. გ-შვილს შორის დადებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და ხელშეკრულებების ბათილად ცნობით სადავო ბინა დაუბრუნდებოდა თავდაპირველ გამყიდველს ნ. ს-ძეს და შესაბამისად მისი მოთხოვნა ამ მხრივ იყო მართებული, ხოლო სასამართლოს მსჯელობა იმ შემთხვევაში იქნებოდა სწორი თუ კასატორი არ მოითხოვდა დასახელებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობას.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს მხრიდან იმის მტკიცება, რომ მას არ გააჩნდა იურიდიული ინტერესი გასაჩივრებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თვალსაზრისით, იყო მცდარი, ვინაიდან სარჩელის დაკმაყოფილებას შედეგად მოყვებოდა სადავო ნივთის მის სახელზე აღრიცხვა

კასატორის აზრით, აღნიშნული ხელშეკრულება დადებული იყო მოჩვენებით, რაზეც სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია. ასევე არუმსჯელობა, რომ გ. გ-შვილი არ იყო სადავო ბინის მესაკუთრე და შესაბამისად ამ ბინაზე საკუთრების უფლებას სხვა პირს ვერ გადასცემდა.

კასატორი განმარტავს, რომ მას არასწორად დაეკისრა ზიანის ანაზღაურება დ. ჭ-შვილის სასარგებლოდ, ვინაიდან იგი სადავო ბინაში ისე ცხოვრობდა რომ არც იცოდა დ. ჭ-შვილის არსებობის შესახებ, შესაბამისად ადგილი არც ჰქონია მისი უფლებების შელახვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გ. ს-ძესა და ნ. ს-ძეს შორის ჩუქების ხელშეკრულება დადებულია 1994წ. 20 სექტემბერს, ანუ მხარეთა შორის ჩუქების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობები წარმოშობილია ამ დროისთვის სკ-ის 1507-ე მუხლის თანახმად, სკ-ის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობების მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ, ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს. ვინაიდან, აქ მითითებულ გამონაკლის შემთხვევებს არ მომხდარა და არც კასატორის მიერ არ არის მითითებული აღნიშნულის თაობაზე, გამოყენებული უნდა იქნეს ძველი სამოქალაქო

სამართლის კოდექსის ნორმები. აღნიშნული ნორმატიული აქტის 268-ე და 269-ე მუხლები არ ითვალისწინებს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შესაძლებლობას. ამდენად, აღნიშნული ვრცელდება გ. ს-ძესა და ნ. ს-ძეს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე. მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდა დასაჩუქრებლის მიერ უმადურობის გამოვლენა არ ნიშნავს იმას, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა ახალი სამართლებრივი ურთიერთობა. სამართლებრივი ურთიერთობა რჩება იგივე, რაც მანამდე არსებობდა მხარეთა შორის, მაგრამ უმადურობა ჩაითვლებოდა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე შესაბამისი შედეგების დადგომის საფუძველად, თუ მასზე გავრცელდებოდა ახალი სკ-ის ნორმები, რაც მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელია. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმების საფუძველზე ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება დაუშვებელია.

რაც შეეხება ნ. ს-ძესა და გ. გ-შვილს შორის, ხოლო შემდეგ გ. გ-შვილსა და დ. ჭ-შვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობას, იგი შეიძლება მოთხოვნილი იქნეს იმ პირის მიერ, ვის მიმართაც შეიძლება შესაბამისი სამართლებრივი შედეგი დადგეს. ასეთი სახის შედეგი კი შეიძლება დადგეს მხოლოდ ნ. ს-ძე (შტაინინგერის) მიმართ. ამ უკანასკნელის სარჩელის არ არსებობის გამო შეუძლებელია სასამართლომ შეფასება მისცეს მხარის მიერ სადავოდ გამხდარ გარიგებებს. იმ პირობებში კი როდესაც არ ხდება ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, შეუძლებელია გ. ს-ძეს ხელშეკრულებათა ბათილად ცნობამ რაიმე სარგებელი მოუტანოს.

მოცემულ შემთხვევაში გ. ს-ძის სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულებათა ბათილობის თაობაზე არ წარმოადგენს აღიარებით სარჩელს. იგი მიჩნეულ უნდა იქნეს მიკუთვნებით სარჩელად, რადგან მოსარჩელე გაჩუქებული და შემდეგ გაყიდული უძრავი ნივთის დაბრუნებას ითხოვს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მსჯელობა სსკ-ის 180-ე მუხლის შესაბამისად იურიდიული ინტერესების არქონის არსებობის თაობაზე უსაფუძვლოა. მართალია როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებით არ ღებება გ. ს-ძისათვის სასურველი შედეგი, მაგრამ აღნიშნული განპირობებულია არა იმით, რომ მას 180-ე მუხლის შესაბამისად არ გააჩნია იურიდიული ინტერესი, არამედ იმით, რომ გ. ს-ძე ნასყიდობის ხელშეკრულების მხარე არ არის და ხელშეკრულების ბათილობის შედეგად მას სადავო ნივთი ვერ დაუბრუნდება სსკ-ის მე-2 მუხლის თანახმად საქმის განხილვას სასამართლო შეუძლება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. პალატა მიიჩნევს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით დადებით მხარის არც უფლება და არც კანონიერი ინტერესი არ დარღვეულა, ანუ სარჩელი აღძრული მოთხოვნის უფლების არმქონე პირის მიერ, რომელსაც სამართლებრივად არასათანადო მხარედ მოიხსენიებს სსკ-ის 84-ე მუხლი. ასეთი მხარის მიმართ კი სარჩელი არ შეიძლება განუხილველი დარჩეს, სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო, ამასთან სასამართლო ვალდებული არ არის შეცვალოს სათანადოთი არასათანადო მხარე.

პალატა ასევე განმარტავს, რომ არასათანადო მხარისათვის სარჩელზე უარის თქმა არ ნიშნავს იმას, რომ სათანადო მხარეს უფლება არ აქვს იდავოს მისი უფლების დარღვევის თაობაზე. მას შეუძლია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. ასეთ შემთხვევაში კი სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო საჩივარი არ კმაყოფილდება. შესაბამისად უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული გასაჩივრებული განჩინება.

საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

მოცემულ შემთხვევაში, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარზე თანდართული მასალები ამოღებული უნდა იქნეს საქმიდან და უნდა დაუბრუნდეს კასატორს, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

გ. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 13
დეკემბრის განჩინება;
ამოღებულ იქნეს საქმიდან მასალები და დაუბრუნდეს კასატორს.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

10. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ ას-542-775-08

12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

ინდ. მეწარმე „პ. ჯ-იამ“ სარჩელი აღძრა შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ, მოსარჩელემ განმარტა, რომ მასსა და შპს „საქართველოს რკინიგზას“ შორის ამ უკანასკნელის ფილიალის „თბილისის საბავშვო რკინიგზის“ მეშვეობით 1999წ. 15 ოქტომბერს დაიდო იჯარის ხელშეკრულება ხუთი წლის ვადით. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, 2004წ. 15 ოქტომბერს, მხარეების მიერ არ მომხდარა კანონით დადგენილი წესით გაუქმება და ავტომატურად ამოქმედდა ხელშეკრულების 6.2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულება გაგრძელებული იქნა კიდევ ხუთი წლით, ანუ 2009წ. 15 ოქტომბრამდე.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მოპასუხის კუთვნილი არასაცხოვრებელი 260 კვ.მ მდებარე თბილისში, ... ქ. №214-ში. შენობის საბალანსო ღირებულება ხელშეკრულების დადების დროისათვის შეადგენდა 1200 ლარს. მოსარჩელეს მოპასუხემ გადასცა ინვენტარის გარეშე ორი ოთახისაგან შემდგარი შენობა და რკინის კლონგებზე დაყრდნობილი ღია შენობა, რომელიც ფაქტიურად ამორტიზირებული იყო. მოიჯარეს შენობა დროებით სარგებლობაში გადაეცა კომერციული საქმიანობისათვის. ხელშეკრულების 2.2.3 პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელეს მიეცა უფლება ხელშეკრულების მიზნიდან გამომდინარე მოეხდინა იჯარის საგნის რეკონსტრუქცია და კეთილმოწმობა. მოპასუხის თანხმობით, მოიჯარემ საიჯარო ქონება გააუმჯობესა, რაშიც მის მიერ დახარჯული იქნა სულ 275 000 აშშ დოლარი. ნივთის გაუმჯობესების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი ფართი, რომელიც ამჟამად შეადგენს 460 კვ.მ, ნაცვლად 260 კვ.მ-სა. მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობა არ დამთავრებულა, მოპასუხემ 2005წ. 13 მაისის წერილით ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება იმ მოტივით, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000წ. 27 მარტის №1-198 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით დადგენილი წესის დაუცველად მოხდა ქონების იჯარით გადაცემა.

მოსარჩელის განმარტებით, ვინაიდან ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა მეიჯარის ბრალით, მას წარმოეშვა ვალდებულება, რომ მოსარჩელისათვის ანაზღაურებინა შენობის რეკონსტრუქციისა და კაპიტალურ რემონტზე დახარჯული თანხები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოპასუხეს დაკისრებოდა უძრავ ნივთზე მართლზომიერი მფლობელობის დროს გაწეული ხარჯები 495 000 (275 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი) ლარის, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისა და ფულადი მოთხოვნის წარდგენიდან სარჩელის წარდგენამდე (2005წ. 19 მაისიდან 2006წ. ივნისამდე) – 185 625 ლარის, 2006წ. 4 ივნისიდან ფულადი ვალდებულების შესრულებამდე ყოველთვიურად 14 850 ლარის, სახელმწიფო ბაჟი 5000 ლარის, ადვოკატის

მომსახურებისათვის გადახდილი 900 ლარის და იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელი დავის საგნის ღირებულების 4% - 27 225 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ინდ. მეწარმე „პ. ჯ-იამ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 14 აპრილის გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ინდ. მეწარმე „პ. ჯ-იას“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ინდ.მეწარმე „პ. ჯ-იას“ და შპს „საქართველოს რკინიგზას“ შორის ამ უკანასკნელის ფილიალის „თბილისის საბავშვო რკინიგზის“ მეშვეობით, 1999წ. 15 ოქტომბერს დაიდო იჯარის ხელშეკრულება ხუთი წლის ვადით.

ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, 2004წ. 15 ოქტომბერს მხარეების მიერ არ მომხდარა კანონით დადგენილი წესით გაუქმება და ხელშეკრულება გაგრძელებული იქნა ხუთი წლის ვადით.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მოპასუხის კუთვნილი არასაცხოვრებელი 260 კვმ მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №2\4-ში.

ხელშეკრულების 2.2.3 პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელეს მიეცა უფლება, ხელშეკრულების მიზნიდან გამომდინარე მოეხდინა იჯარის საგნის რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა. მოპასუხის თანხმობით მოიჯარე მსაჯარო ქონება გააუმჯობესა.

პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სკ-ის 405-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარემ შპს „საქართველოს რკინიგზამ“ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და ვადად შეწყვიტა იგი.

სასამართლოს შეფასება, რომ მხარეთა შორის იჯარის ურთიერთობა არ შეწყვეტილა, რადგანაც ინდ. მეწარმე „პ. ჯ-ია“ დღემდე იხდის ქირას და მოწინააღმდეგე მხარეს არ მოუთხოვია ნივთის დაბრუნება, პალატამ არ გაიზიარა და მიიჩნია, რომ ამ გარემოებების არსებობა სამართლებრივად ვითარებას არ ცვლის, რადგანაც აპელანტი სკ-ის 591-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე ვალდებულია საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც იხადოს ნივთის სარგებლობისათვის ქირა, მანამ სანამ არ დაუბრუნებს ნივთს უფლებამოსილ პირს.

პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების დასკვნა სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ და მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ექვსთვიანი ვადა არის არა პრეტენზიის წაყენების, არამედ სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური ვადა, რომლის დენა იწყება ქირაფლობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან. ამავე დროს პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია სკ-ის 163-ე მუხლი და ამ საფუძველით წარდგენილ მოთხოვნებზე კი გათვალისწინებულია, ამავე კოდექსის 128-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენელმა თ. კ-ძემ.

კასატორის განმარტებით, ინდ. მეწარმე „პ. ჯ-იას“ სარჩელზე სასამართლოს უნდა გაეკრძელებინა სკ-ის 573-ე მუხლით გათვალისწინებული 6 თვიანი ვადა ნაცვლად ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადა.

კასატორის აზრით, კონკრეტული დავა გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, კერძოდ მხარეებს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულებიდან, რის გამოც სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სკ-ის სპეციალური ნორმები, რომლებიც იჯარის ურთიერთობას აწესრიგებენ ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული 163-ე მუხლი, ზოგადი ნორმაა.

კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ წარმოდგენილ მტკიცებულებებს მცდარი სამართლებრივი შეფასება მისცა და შესაბამისად არასწორად დაადგინა რომ ვადაზე ადრე შეწყდა მხარეებს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება. ვინაიდან საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების უტყუარ დადასტურებას წარმოადგენს 2005წ. მაისიდან მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის სისტემატური გადახდა. ამიტომ ინდ. მეწარმე „პ. ჯ-იას“ მოთხოვნა რემონტზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ იყო უსაფუძველო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული საიჯარო ხელშეკრულება შეწყდა 2005წ. მაისში. აღნიშნული მოსაზრება სწორადაც რომ იყოს მიჩნეული, გაუგებარია, სასამართლოს მოსაზრებანი ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგებთან მიმართებაში. სასამართლო ერთის მხრივ მიიჩნევს, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია, მეორეს მხრივ კი აკმაყოფილებს სარჩელს. სკ-ის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. აღნიშნულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს სარჩელი თუ ვალდებული პირი უარს აცხადებს ვალდებულების შესრულებაზე, ანუ ვადის გასვლის შემდეგ მის ნებაზე დამოკიდებული ვალდებულების შესრულება. ამდენად, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება არასწორია.

პალატა იზიარებს კასატორის იმ მოსაზრებასაც, რომ ვინაიდან მხარეთა შორის არსებობდა სპეციალური სამართლებრივი (სახელშეკრულებო-იჯარის) ურთიერთობა, შეუძლებელი იყო სასამართლოს გამოეყენებინა სკ-ის 163-ე მუხლი. აღნიშნული ნორმა არეგულირებს სანივთო სამართლიდან გამომდინარე ურთიერთობებს, მოცემულ შემთხვევაში კი მხარეთა შორის სადავოა საიჯარო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნები, რაც მხოლოდდა მხოლოდ ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით შეიძლება გადაწყდეს.

პალატა ასევე მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ არასწორადაა განმარტებული სკ-ის 573-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსი. აღნიშნული ნორმის შესაბამისად გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო გაქირავებულს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დაქირავებულს უფლება აქვს წაუყენოს მას პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში. პალატა მიიჩნევს, რომ მითითებულ ნორმაში პრეტენზიის წარდგენა არ გულისხმობს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას. როგორც თვით ნორმიდან ირკვევა, აღნიშნულ პრეტენზიას წარუდგენს დაქირავებული გაქირავებულს და აღნიშნულ მუხლში საუბარი არ არის ამ ვადაში სარჩელის სასამართლოში წარდგენის თაობაზე. შესაბამისად ასეთ შემთხვევებში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს, თანახმად სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილისა.

რაც შეეხება იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხს, პალატა მიიჩნევს, რომ არც აღნიშნულ საკითხთან მიმართებაშია სასამართლოს მსჯელობა კანონშესაბამისი. როგორც მოსარჩელე მიუთითებს, მხარეთა შორის შეევეტილია იჯარის ხელშეკრულება შპს „საქართველოს რკინიგზის“ 2005წ. 13 მაისის წერილის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე შეწყვეტილად მიიჩნევდა საიჯარო ურთიერთობას მას უნდა შეესრულებინა ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე აუცილებელი პირობები (სკ-ის 564-ე მუხლი), კერძოდ მას უნდა დაებრუნებინა მფლობელობაში არსებული ნივთი და შესაბამისად შეეწყვიტა საიჯარო თანხის გადახდა. ასეთ გარემოებათა არსებობას ვერ ადასტურებს სასამართლო და მიიჩნევს, რომ შპს „საქართველოს რკინიგზის“ 2005წ. 13 მაისის წერილი წარმოადგენს ცალმხრივ ნებას, საფუძველზეც მხარეთა შორის შედგა გარიგება საიჯარო ურთიერთობათა შეწყვეტის თაობაზე და რის საფუძველზეც შეწყდა საიჯარო ხელშეკრულება. აღნიშნული ვერ იქნება გაზიარებული პალატის მიერ. სკ-ის 50-ე მუხლის თანახმად გარიგება მართლაც არის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. მაგრამ იმისათვის, რომ დადგეს გარიგების დადებით მისაღწევი შედეგი, უნდა მოხდეს გარიგებაში მხარეთა მიერ გამოსატყუი ნების რეალიზაცია. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებმა გამოხატეს ნება ხელშეკრულების შესაწყვეტად. მაგრამ იმის დასადგენად დადგა თუ არა ასეთი შედეგი უნდა შეფასდეს იმ ქმედებებით, რომელიც მხარეებმა განახორციელეს ასეთი ნების გამოხატვის შემდეგ.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ მოსარჩელე, რომელიც შეწყვეტილად მიიჩნევს ამ ურთიერთობას, არ აბრუნებს ნივთს. უფრო მეტიც, იგი არ წყვეტს იჯარის თანხის გადახდას და უთითებს 591-ე მუხლზე, რომლითაც მეიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში. პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა იცავს მეიჯარეს და არა მოიჯარის უფლებას და უფლების გამოყენება სწორედ მეიჯარეზეა

დამოკიდებული. აღნიშნული უფლების რეალიზებისათვის კი უნდა არსებობდეს მეიჯარის მიერ მისი ნივთის დაბრუნების და დაბრუნების დაყოვნებისათვის ქირის გადახდევინების მოთხოვნა მაინც. ასეთი მოთხოვნები კი მეიჯარეს არ დაუყენებია მხარის მიმართ არც პირადად და არც სასამართლოში, ასეთ გარემოებას ვერ ადგენს სააპელაციო სასამართლო.

აღნიშნული ქმედება არ შეიძლება ჩავთვალოთ მოსარჩელის მიერ 591-ე მუხლში მითითებული პირობის ნებაყოფლობით შესრულებად. იმ შემთხვევაშიც კი თუ მივეყვებით მოსარჩელის ლოგიკას და ხელშეკრულებას მივიჩნევთ შეწყვეტილად, მოსარჩელეს ნებაყოფლობით უნდა დაებრუნებინა ნივთი 564-ე მუხლის საფუძველზე, ანუ მას ასეთი მოქმედების შესრულებას კანონი ავალდებულებს და მან იგი არ შეასრულა. შესაბამისად შეუძლებელია მას შეესრულებინა ისეთი ქმედება, რასაც კანონი მას არ ავალდებდა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნივთის დაბრუნების დაყოვნებისათვის იჯარის ქირის გადახდის ვალდებულება მას წარმოეშობა მხოლოდ მოპასუხის მიერ ასეთი მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის იჯარის ხელშეკრულება არ შეწყვეტილა, ძალაშია და ვერ დადგება ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე მოთხოვნები მანამ, სანამ მხარეები რეალურად არ შეწყვეტენ მას.

პალატა თვლის, რომ შეუძლებელია მოსარჩელის მოთხოვნათა დაკმაყოფილება. რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე მიღებულ უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 14 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

ინდ. მეწარმე „პ. ჯ-ია“-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

11. მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების უფლება

გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

№ ას-865-1175-07

26 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონოდ დარიცხული თანხის დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი:

2007წ. 23 თებერვალს სსიპ სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელმა მ.შავშიშვილმა სარჩელით მიმართა ტყიბულის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – ქ. დ-ძისა და სს „ტყიბულნახშირის“ მიმართ და განმარტა, რომ 1985წ. 13 მაისს საწარმოო ტრავმის შედეგად გარდაიცვალა ქ. დ-ძის მეუღლე – თ. დ-ძე, რის გამოც თავად ქ. დ-ძესა და მის შვილს დაენიშნათ სარჩო მარჩენალის გარდაცვალების გამო. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ რომ

ქ. დ-მე მეუღლის გარდაცვალების მომენტიდან არ იყო შრომისუნარო და მას თავისი წილი სარჩო ეკუთვნოდა 1993წ. 7 ნოემბრამდე, სანამ მისი შვილი 8 წლის გახდებოდა. მოსარჩელის განმარტებით, საქმეში არსებული მასალებით არ არის დადასტურებული, რომ თ.დ-მე გარდაიცვალა საწარმოო ტრავმის შედეგად, შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა სს „ტყიბულნახშირის“ 1986წ. 26 ივნისის №190 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხე ქ. დ-მისათვის 1993 წლიდან სახელმწიფო სახსრებიდან არასწორად დარიცხული და მიღებული მთელი პერიოდის სარჩოს თანხის მოსარჩელის ფონდის სახაზინო ანგარიშზე აღდგენა.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 12 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სარჩელი დაკმაყოფილდა, უკანონოდ იქნა აღიარებული მოპასუხე სს „ტყიბულნახშირის“ მიერ მოპასუხე ქ. დ-მისათვის მარჩენალის გარდაცვალების გამო, ზიანის ანაზღაურების სახით სარჩოს დარიცხვა 1993წ. 7 ნოემბრიდან; მოპასუხეებს სს „ტყიბულნახშირის“ და ქ. დ-მეს სოლიდარულად დაეკისრათ 1993წ. 7 ნოემბრიდან უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხის სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახაზინო ანგარიშის სასარგებლოდ ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მხოლოდ ქ. დ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. სს „ტყიბულნახშირის“ მიმართ კი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. დ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 12 აპრილის გადაწყვეტილება ქ. დ-მისათვის სსიპ „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ სასარგებლოდ უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხების ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სარჩელი, მის სასარგებლოდ უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხების ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ სს „ტყიბულნახშირის“ 1986წ. 26 ივნისის ბრძანებით, მარჩენალის გარდაცვალების გამო, ქ. დ-მეს დაენიშნა სარჩო, როგორც 8 წლის ასაკამდე შვილის მოძვლელს. 1993წ. 8 ნოემბრიდან, ვინაიდან მისი შვილი გახდა 8 წლის, ქ. დ-მე, რომელიც მეუღლის გარდაცვალების მომენტიდან იყო შრომისუნარიანი, სარჩოს მიღების უფლებით აღარ სარგებლობდა, რის გამოც ამ პერიოდიდან სარჩოს მიღება იყო უკანონო.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სარჩოს სახით უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხების ანაზღაურების ნაწილში, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა არა სამოქალაქო კოდექსით, არამედ სპეციალური ნორმით საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის „შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის გზების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ №48 ბრძანებულების 61-ე მუხლით. სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარემ ვერ მიუთითა იმ გარემოებებზე, რაც გაცემული თანხის დაბრუნების კანონით გათვალისწინებული საფუძველი შეიძლება გამხდარიყო და ვერ წარმოადგინა ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებანი, შესაბამისად, ქ. დ-მისათვის თანხის დაბრუნების დავალდებულების საფუძველი არ არსებობდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენელმა – შ. კ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება გასაჩივრებულ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. დ-მემ, მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრები და თვლის, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქ. დ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ქ. დ-მის მეუღლე თ. დ-მე 1985წ. 13 მაისს გარდაიცვალა საწარმოო ტრავმის შედეგად. იმ დროს ქ. დ-მე იყო ორსულად. ბავშვის დაბადების

შემდეგ „საქნახშირის“ ადმინისტრაციის მიერ ქ.დ-ქს ბავშვის მოვლისათვის – 8 წლის ასაკამდე დაენიშნა სარჩო, როგორც უმუშევარს. დადგენილია, რომ ქ. დ-ქე სარჩოს მინც იღებდა ბავშვის 8 წლის შესრულების შემდეგ.

ასევე დადგენილია ქ.დ-ქს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დაუდგინდა ინვალიდობის ხარისხი. სასამართლომ არ გაიზიარა ქ. დ-ქის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მეუღლის გარდაცვალების მომენტიდან იყო შრომისუუნარო და შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის თარიღად ჩათვალია შემოწმებისათვის საჭირო საბუთების სამედიცინო სოცექსპერტიზის ბიუროში შეტანის დღე. ამდენად, სასამართლომ ქ.დ-ქე მეუღლის გარდაცვალების მომენტიდან მიიჩნია შრომისუუნარიანად და, შესაბამისად, ამ პერიოდის მის მიერ სარჩოს მიღება უკანონოდ.

რაიონულმა სასამართლომ სამართლებრივ საფუძველად გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესების 35-ე პუნქტის პირველი წინადადება, რომლის თანახმად ზიანის ანაზღაურების უფლებით სარგებლობენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც იმყოფებიან გარდაცვლილის კმაყოფაზე ან მისი გარდაცვალების დღისათვის უფლება ჰქონდათ მისგან მიეღოთ სარჩო.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს სამართლებრივი დასაბუთება ქ.დ-ქისათვის 1993 წლიდან სარჩოს დარიცხვის უკანონოდ ცნობის ნაწილში და ამ ნაწილში უცვლელად დატოვა გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, კერძოდ, სასამართლომ არასწორად განმარტა პრეზიდენტის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესების 35-ე პუნქტის პირველი წინადადება და არ გამოიყენა ამავე პუნქტის ბოლო წინადადება.

აღნიშნული წესების 63-ე პუნქტის თანახმად, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება ამ წესების ნორმები, გარდა 22-ე, 33-ე, 34-ე, 39-ე, მე-40 პუნქტებისა.

მითითებული ნორმების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულებით დამტკიცებულ წესებს მიეცა უკუქცევითი ძალა, გარდა ზემოთ აღნიშნული პუნქტებისა.

აღნიშნული წესების 35-ე პუნქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურების უფლებით სარგებლობენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც იმყოფებიან გარდაცვლილის კმაყოფაზე ან მისი გარდაცვალების დღისათვის უფლება ჰქონდათ მისგან მიეღოთ სარჩო, შეილი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადა, აგრეთვე ერთ-ერთი მშობელი ან ოჯახის სხვა წევრი, თუ ის არსად მუშაობს და ეწევა გარდაცვლილის შვილების, ძმების, დების ან შვილიშვილების აღზრდას 18 წლის ასაკის მიღწევამდე, პირები, რომელთა შესანახად გარდაცვლილი იხდიდა ან ვალდებული იყო გადაეხადა აღმინტი.

შრომისუუნარობად ითვლებიან: არასრულწლოვანი პირები 18 წლის ასაკამდე (სტუდენტები სასწავლებლის დამთავრებამდე, მაგრამ არა უმეტეს 23 წლის ასაკისა) ან უფრო მეტი ხნის, თუ ისინი დაინვალიდნენ 18 წლის ასაკამდე, 65 წელს გადაცილებული მამაკაცები და 60 წელს გადაცილებული ქალები. გარდაცვლილის მეუღლე ზიანის ანაზღაურების უფლებით სარგებლობს, მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა იგი.

მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ გარდაცვლილის მეუღლე ყველა შემთხვევაში სარგებლობს ზიანის ანაზღაურების უფლებით, მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა იგი, ანუ შრომისუუნარიანია თუ არა იგი. ამასთან, დადგენილია, რომ ქ.დ-ქე მეუღლის გარდაცვალების დროს იყო ორსულად, არ მუშაობდა და იმყოფებოდა გარდაცვლილის კმაყოფაზე, შემდგომ ზრდიდა გარდაცვლილის შვილს, ხოლო ინვალიდობა დაუდგინდა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ.

ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქ. დ-ქე უფლებამოსილია, ისარგებლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლის გარდაცვალების მომენტიდან იყო თუ არა შრომისუუნარო, შესაბამისად, მისი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება სსიპ – „საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ საკასაციო საჩივარს, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან კასატორის მიერ არ არის წამოყენებული დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია. კასატორი ვერ მიუთითებს იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც

განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესების 61-ე პუნქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს უკან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე, ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემების დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე. კასატორი ვერ მიუთითებს გარემოებებზე, რაც გაცემული თანხის დაბრუნების კანონით გათვალისწინებული საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. შესაბამისად, მას არ წარმოუდგენია ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებანი, რის გამოც ქ.დ-ისათვის თანხის დაბრუნების დავალდებულების საფუძველი არ არსებობდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

სსიპ „საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ წარმომადგენლის – შ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

ქ. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 12 აპრილის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

სსიპ „საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ სასარჩელო მოთხოვნა ქ. დ-ისათვის 1993წ. 7 ნოემბრიდან ზიანის ანაზღაურების სახით სარჩოს დარიცხვის უკანონოდ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების უფლება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-907-1214-07

13 მაისი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემაღენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე) ,

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და ზედმეტად გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი:

2007წ. 13 თებერვალს ტყიბულის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა მოპასუხეების – გ. ქ-ძისა და სს „ტყიბულნახშირის“ გაკოტრების მმართველის, მესამე პირების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა გ. ქ-ძისათვის მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების მიზნით სარჩოს დანიშვნის შესახებ სს „ტყიბულნახშირის“ 2000წ. 19 ოქტომბრის

№250 ბრძანების ბათილად ცნობა და აღნიშნული ბრძანების საფუძველზე მიღებული სარჩოს თანხის უკან დაბრუნება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ „საქნახშირის“ დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995წ. 15 ოქტომბრის №429-ა ბრძანებულების მე-6 პუნქტის თანახმად, საქნახშირის დეპარტამენტის შახტებში 1992 წლამდე დასაქმებული მუშახელისათვის ტრავმით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას ახორციელებდა საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. 1997წ. „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის თანახმად, დეპარტამენტ „საქნახშირის“ სისტემის შახტებში 1992 წლამდე მომხდარი ავარიების შედეგად დასახიზრებულ და დაავადებულ მუშაკებზე დანიშნულ რეგრესულ პენსიებს 1997წ. განმავლობაში სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი გასცემდა დეპარტამენტ „საქნახშირის“ გაანგარიშების საფუძველზე. ბიუჯეტის ყოველწლიური კანონების, ფონდსა და „ტყიბულნახშირის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და საზოგადოებიდან მოწოდებული სახელობითი სიების საფუძველზე, სადაც გაანგარიშებული იყო თითოეული მიმღების სარჩოს ოდენობა, ფონდი ახდენდა შესაბამისი თანხების დაფინანსებას. 2006 წლიდან „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002წ. 31 დეკემბრის №558 ბრძანებულებებში ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, 100%-იან სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოებში დაზარალებულთა აღრიცხვის, სარჩოს გაანგარიშებისა და ზიანის ანაზღაურების ფუნქცია დაეკისრა ფონდს. შესაბამისად, ფონდმა განახორციელა „ტყიბულნახშირის“ ხაზით სარჩოს მიმღებთა პირადი საქმეების მონიტორინგი, მათ შორის, შესწავლილ იქნა მოპასუხე გ. ქ-ძისათვის სარჩოს დანიშვნის შესახებ საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება. შესწავლით დადგინდა, რომ გ. ქ-ძეს, როგორც საწარმოო ტრავმით დაზარალებული და 1960 წელს გარდაცვლილი ი. ქ-ძის შვილს, სს „ტყიბულნახშირის“ 2000წ. 19 ოქტომბრის №250 ბრძანების საფუძველზე 2000წ. 10 ივლისიდან დაენიშნა ყოველთვიური სარჩო, თუმცა ის არ წარმოადგენს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს. გ. ქ-ძეს საერთო დაავადებით შესაძლებლობის შეზღუდვის ზომიერად გამოხატული ხარისხი წლების განმავლობაში დადგენილი აქვს მხოლოდ თითო წლით. მას მორიგი გადამოწმება უწყვედა 2006წ. 17 აგვისტოს, საქმეში წარმოდგენილი არ არის მიმდინარე პერიოდში მისი შესაძლებლობის შეზღუდვის დამადასტურებელი დოკუმენტი. „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 35-ე მუხლი შრომისუუნარო პირებში არ ასახელებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რაც ნორმატიული აქტის ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული. აღნიშნულის მიუხედავად გ. ქ-ძე არ წარმოადგენდა ბავშვობიდან ინვალიდს, რის გამოც სარჩოზე უფლებას ვერ მოიპოვებდა. მოსარჩელის მითითებით, იმავე ნორმატიული აქტის მე-10 მუხლის მეხუთე პუნქტით მას დადგენილი უნდა ჰქონდეს ბავშვობიდან ინვალიდის სტატუსი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება. ამდენად, მისი უფლება სარჩოს მიღებაზე ტყიბულნახშირის №250 ბრძანებით განსაზღვრულია კანონშეუსაბამოდ.

მოპასუხე გ. ქ-ძემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მისი მამა ი. ქ-ძე 1960წ. 12 დეკემბერს დაიღუპა მეთანის გაზის შახტაში აფეთქების შედეგად, როდესაც ის ორიწ. იყო. ამის შემდგომ მას დაენიშნა სარჩოს პენსია 18 წლის ასაკამდე, ხოლო სრულწლოვანების მიღწევამდე, 17 წლამდე დაინვალიდდა. სარჩოს თანხის დარიცხვა შეუწყდა შემდგომ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს კომისიაზე გაუტარებლობის გამო. 2000წ. 10 ივლისს იგი გატარდა აღნიშნულ კომისიაზე, რის შემდეგ მიმართა სს „ტყიბულნახშირის“ ადმინისტრაციას და ერთიწ. ვადით აღუდგა სარჩოს დარიცხვა.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 11 აპრილის გადაწყვეტილებით სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე გ. ქ-ძის მამა ი. ქ-ძე საწარმოო ტრავმის შედეგად 1960 წელს გარდაიცვალა. მამის გარდაცვალების დროისათვის მოპასუხე იყო 2 წლის, ხოლო სრულწლოვანების მიღწევამდე, კერძოდ, 1975 წელს გახდა ინვალიდი, რის გამოც სს

„ტყიბულნახშირის“ 2000წ. 19 ოქტომბრის №250 ბრძანებით მარჩენალის გარდაცვალების გამო დაენიშნა ყოველთვიური სარჩო.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მსჯელობა სარჩოს უკანონოდ დანიშვნის შესახებ არ ექვემდებარებოდა გაზიარებას, რადგან 2000წ. 19 ოქტომბრისათვის, სარჩოს დანიშვნის დროისათვის, მოქმედებდა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი“, რომლის 35-ე მუხლის თანახმად, შრომისუუნაროდ ითვლებოდნენ არასრულწლოვანი პირები 18 წლის ასაკამდე, თუ ისინი დაინვალიდნენ 18 წლის ასაკამდე. აღნიშნული ბრძანებულება სარჩოს მიღებისათვის არ მოითხოვდა პირის დაბადებიდან ინვალიდობის სტატუსის არსებობას.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 28 სექტემბრის განჩინებით სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 11 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე გ. ქ-ძის მამა ი. ქ-ძე გარდაიცვალა 1960 წელს. ი. ქ-ძის შვილს – გ. ქ-ძეს სს „ტყიბულნახშირის“ 2000წ. 19 ოქტომბრის №250 ბრძანების საფუძველზე 2000წ. ივლისის თვიდან დაენიშნა ყოველთვიური სარჩო. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო საკითხის გადასაწყვეტად, თუ რამდენად კანონშესაბამისი იყო გ. ქ-ძისათვის ბრძანებით დანიშნული სარჩო, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება. სააპელაციო სასამართლომ ამ ბრძანებულების 35-ე მუხლის საფუძველზე არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ გ. ქ-ძე, რომელიც, მოსარჩელისავე განმარტებით, 17 წლის ასაკში დაინვალიდდა, არ წარმოადგენდა სარჩოს მიღების უფლების მქონე სუბიექტს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ №48 ბრძანებულების 35-ე მუხლის ძალით ზიანის ანაზღაურების უფლებით მარჩენალის გარდაცვალების გამო სარგებლობდნენ შრომისუუნარო პირები, ხოლო იმას, თუ ვინ იყო შრომისუუნარო პირი, აკონკრეტებდა ამავე მუხლის ბოლო წინადადება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილია ტყიბულის მუნიციპალიტეტის საარქივო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად გ. ქ-ძე 1975 წელს იყო საშუალო სკოლის მოსწავლე და ამავე წლის 25 ივნისს დაამთავრა საშუალო სკოლის სრული კურსი. საქმეში ასევე წარმოდგენილი იყო ცნობა, რომლის თანახმად გ. ქ-ძე დაინვალიდდა 1975წ. 4 ივნისს 17 წლის ასაკში, სკოლის დამთავრებამდე. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ №48 ბრძანებულების 35-ე პუნქტის თანახმად, გ. ქ-ძეს სარჩო კანონშესაბამისად ჰქონდა დანიშნული როგორც ასაკის, ისე ინვალიდობის ფაქტორის გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ გაცემული თანხების უკან დაბრუნების შესახებ მოთხოვნის საკითხის გადასაწყვეტად სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 61-ე მუხლით, რომლის თანახმად ზიანის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების დაანგარიშდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე, ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემთა დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ვერ უთითებდა ვერც ერთ იმ გარემოებაზე, რაც გაცემული თანხების უკან დაბრუნების კანონით გათვალისწინებული საფუძველი შეიძლება ყოფილიყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 28 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ (წარმომადგენელი შ. კ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მითითებით, „საქნახშირის დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995წ. 15 ოქტომბრის №429 ბრძანებულების მე-6 პუნქტის თანახმად, საქნახშირის დეპარტამენტის შახტებში 1992 წლამდე დასაქმებული მუშახტისათვის ტრავმით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას ახორციელებდა საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი „საქნახშირის“ დეპარტამენტის გაანგარშებისა და სიების საფუძველზე. 2006 წელს დაზარალებულთა სარჩოს გაანგარიშებისა და ზიანის ანაზღაურების ფუნქცია 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოებში დაეკისრა სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს. ამ ფუნქციის დაკისრების შემდეგ ფონდმა მოახდინა „ტყიბულნახშირის“ ხაზით სარჩოს მიმღებთა პირადი საქმეების მონიტორინგი. კასატორის მითითებით, საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ გ. ქ-ძის მამა ი. ქ-ძე დაიღუპა 1960წ. 11 დეკემბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ტყიბულის რაიონული სასამართლოს 1961წ. 3 მარტის განჩინებით გ. ქ-ძეს დაენიშნა სარჩო სრულწლოვანებადღე იმ დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 473-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმად არასრულწლოვანებს ზიანის ანაზღაურება ეძლეოდათ თექვსმეტიწ. ასაკის მიღწევამდე, ხოლო მოსწავლეებს – თერამეტ წლამდე. გ. ქ-ძემ საშუალო სკოლა დაამთავრა 1975 წელს. ამ დროს იგი იყო 17 წლისა და 8 თვის და, ბუნებრივია, მას შეუწყდა სარჩოს მიცემა. ამის შემდეგ გ. ქ-ძემ შახტის ადმინისტრაციას წარუდგინა ტყიბულის სოცურუნველყოფის განყოფილების მიერ გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ იგი თითქოს არის მესამე ჯგუფის ინვალიდი საერთო დაავადებით და არა ბავშვობიდან ინვალიდობით, როცა ის სარჩოს უფლებას მართლაც მოიპოვებდა. კასატორის მითითებით, გ. ქ-ძე აშკარად საეჭვო დოკუმენტით მესამე ჯგუფის ინვალიდობის მიკუთვნების დროს აღარ სწავლობდა და თექვსმეტ წელს გადაცილებული იყო. ამასთან, იგი არასოდეს ფლობდა ინვალიდი ბავშვის სტატუსს. მიუხედავად ამისა, შახტის ადმინისტრაციამ 1975წ. 3 დეკემბრის №569 ბრძანებით გ. ქ-ძეს დაუნიშნა სარჩო და განუხლა სარჩოს მიცემა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გ. ქ-ძე საექიმო კომისიაზე აღარ გატარებულა და მას შეუწყდა სარჩოს მიცემა. ამ შემთხვევაში, მოქმედი ნორმების შესაბამისად, მოხდა მისი როგორც ინვალიდის რეაბილიტაცია. კასატორმა მიუთითა, რომ 2000წ. 13 ივნისს გ. ქ-ძე კვლავ გატარდა საექიმო კომისიაზე და დაუდგინდა მესამე ჯგუფის ინვალიდობა საერთო დაავადებით და არა ბავშვობიდან ინვალიდობით, რის საფუძველზე „საქნახშირის“ ადმინისტრაციის 2000წ. 19 ოქტომბრის №250 ბრძანებით კვლავ დაენიშნა სარჩო. კასატორის მიერ ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ ბრძანებაში სარჩოს დანიშვნის საფუძველად მითითებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება, რომელიც სარჩოს დანიშვნას მხოლოდ ბავშვობიდან ინვალიდებისათვის ითვალისწინებს. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ გ. ქ-ძისათვის სარჩოს დანიშვნის კანონიერების დადგენის დროს გამოიყენა პრეზიდენტის №48 ბრძანებულება და არა ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 473-ე მუხლი. კასატორისათვის მიუღებელია მოწინააღმდეგე მხარის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი ცნობა, რომ თითქოს გ. ქ-ძე დაინვალიდა 1975წ. 4 ივნისს 17 წლის ასაკამდე სკოლის დამთავრებამდე, რადგან საპენსიო საქმეში არსებული მასალები აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსისაა. კასატორის მოსაზრებით, ზემოთხსენებული ცნობა გაყალბებულია და საჭიროებს გადამოწმებას, რაც სააპელაციო სასამართლომ არ განახორციელა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია:

მოპასუხე გ. ქ-ძის მამა ი. ქ-ძე საწარმოო ტრავმის შედეგად 1960 წელს გარდაიცვალა. მამის გარდაცვალების დროისათვის მოპასუხე იყო 2 წლის. გ. ქ-ძემ 1975წ. 25 ივნისს დაამთავრა საშუალო სკოლის სრული კურსი. გ. ქ-ძე დაინვალიდა 1975წ. 4 ივნისს 17 წლის ასაკში, სკოლის დამთავრებამდე. სს „ტყიბულნახშირის“ 2000წ. 19 ოქტომბრის №250 ბრძანების საფუძველზე გ. ქ-ძეს 2000წ. ივლისიდან დაენიშნა სარჩო ერთდროულად 2000წ. 10 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე 88 ლარი, ხოლო 2000წ. 1 ოქტომბრიდან 2001წ. 13 ივნისამდე ყოველთვიურად სამთო მაშველის მებრძოლის საშუალო გამომუშაების 50%.

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ მოცემულ ურთიერთობაზე არ უნდა გაგრძელდეს საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი“. აღნიშნული ბრძანებულების 63-ე მუხლის თანახმად,

შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ამ წესის ნორმები, ამდენად, თავად აღნიშნული ბრძანებულებითაა განსაზღვრული მისი გავრცელება მის ამოქმედებამდე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ და სააპელაციო სასამართლომ სადავო ურთიერთობის განხილვისას სწორად იხელმძღვანელა მითითებული ბრძანებულებით.

საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 35-ე მუხლის თანახმად, მარჩენალის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების უფლებით სარგებლობენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ გარდაცვლილის კმაყოფაზე, ამავე მუხლით განსაზღვრულია, თუ ვინ მიეკუთვნება შრომისუუნარო პირს, მათ შორის, ასეთად გათვალისწინებულია არასრულწლოვანი პირები 18 წლის ასაკამდე (სტუდენტები სასწავლებლის დამთავრებამდე, მაგრამ არა უმეტეს 23 წლის ასაკისა) ან უფრო მეტი ხნის, თუ ისინი დაინვალიდნენ 18 წლის ასაკამდე.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ გ. ქ-ქემ საშუალო სკოლა დაამთავრა 1975წ. 25 ივნისს, ხოლო დაინვალიდა 1975წ. 4 ივნისს, სრულწლოვანებამდე. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ მიუღებელია მოწინააღმდეგე მხარის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი ცნობა 1975წ. 4 ივნისს სკოლის დამთავრებამდე დაინვალიდების შესახებ, საპენსიო საქმეში არსებული მასალები აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსისაა და ცნობა გაყალბებულია. სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოპასუხე გ. ქ-ქემ პირველივე ინსტანციის სასამართლოში წარადგინა 1975წ. 4 ივნისიდან მისი ინვალიდობის დამადასტურებელი ცნობა. იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ აღნიშნული ცნობა არასწორია და გ. ქ-ქემ 1975წ. 4 ივნისს არ დაინვალიდებულა, აწევს კასატორს, ხოლო მას არც ერთი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას არ მოუხდენია თავისი მტკიცების აღნიშნული ტვირთის რეალიზაცია, კასატორი მხოლოდ ზოგადი მსჯელობით შემოიფარგლება, რაც ვერ ჩაითვლება დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად.

ამდენად, კასატორი ვერ ასაბუთებს, რომ სს „ტყიბულნახშირის“ 2000წ. 19 ოქტომბრის №250 ბრძანება გამოცემულია კანონის დარღვევით და არსებობს მისი ბათილობის საფუძველი.

ასევე დაუსაბუთებელია კასატორის მოთხოვნა მიღებული სარჩოს თანხების უკან დაბრუნების ნაწილშიც. საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 61-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემების დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე. კასატორი ვერ ადასტურებს თანხის დაბრუნების ვერც ერთი ზემოჩამოთვლილი საფუძვლის არსებობას, რის გამოც ამ ნაწილშიც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 408-ე მუხლის მეხამე ნაწილით, 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 28 სექტემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების უფლება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
მ. ცისკაძე

დავის საგანი: სარჩოს დანიშნვის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, თანხის დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ „სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ს-ძისა და სს „ტყიბულნახშირის“ მიმართ სარჩოს დანიშნვის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და უსაფუძვლოდ გაცემული თანხის დაბრუნების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2006 წლიდან „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 და სსიპ „საქართველოს სოციალური დაცვის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ ჩამოყალიბების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2002წ. 31 დეკემბრის №558 ბრძანებულებებში ცვლილებებისა და დამატებების თანახმად დაზარალებულთა აღრიცხვის სარჩოს გაანგარიშებისა და ზიანის ანაზღაურების ფუნქცია სახელმწიფოს 100% წილობრივი მინაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში დაეკავა მოსარჩელეს, რომელმაც მონიტორინგის შედეგად შეისწავლა ნ. ს-ძისათვის სარჩოს დანიშნვის კანონიერება. შესწავლილი მასალების თანახმად, მოპასუხეს, როგორც საწარმოო ტრავმით დაზარალებულის მეუღლეს და შრომისუუნაროს დაენიშნა ყოველთვიური სარჩო 1998 წლიდან და აუნაზღაურდა 1994წ. ოქტომბრიდან 1998წ. აპრილამდე მიუღებელი 908,89 ლარი. ბრძანებაში მითითებულია, რომ ნ.ს-ძე მეორე ჯგუფის ინვალიდია 1975 წლიდან, რისი დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში არ ინახება, რაც არღვევს №48 ბრძანებულების 35-ე მუხლს. სოციალური დაზღვევის ტყიბულის ფილიალის ცნობა კი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მოპასუხის შეზღუდული შრომისუნარიანობის მქონე პირად აღიარებას. საქმეში არსებული გარდაცვალების მოწმობის მიხედვით, უ. ს-ძე გარდაიცვალა მიოკარდიუმის ინფარქტით. საქმეში არ მოიპოვება მუშაკის გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის დამადასტურებელი ცნობა, ამდენად, ნ.ს-ძისათვის სარჩოს დანიშნვის შესახებ სს „ტყიბულნახშირის“ 1998წ. 29 მაისის №174 ბრძანება, მიღებულია კანონის დარღვევით და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

მოპასუხე ნ.ს-ძემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 1975წ. აგვისტოდან იყო შრომისუუნარო, რის გამოც იმყოფებოდა გარდაცვლილი მეუღლის კმაყოფაზე. სკ-ის 1006-ე მუხლის შესაბამისად მოპასუხეს სადავო სარჩოს მიღების უფლება მოპოვებული აქვს. საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის ბრძანებულება მუშაკის გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის დადგენას არ ითვალისწინებდა, აღნიშნული მოთხოვნა წარმოიშვა 2003წ. 11 სექტემბრის №443-ე ბრძანებულებით შეტანილ ცვლილებებში, რომელსაც სადავო ურთიერთობის მიმართ უკუქცევითი ძალა ვერ მიენიჭება. ამასთან, სს „ტყიბულნახშირი“ არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და მის მიერ გაცემული ბრძანების ბათილად ცნობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათ შესაბამისად კანონსაწინააღმდეგოა.

მოპასუხე სს „ტყიბულნახშირმა“ სარჩელი არ ცნო და მიიჩნია, რომ ნ.ს-ძეს სარჩო დაენიშნა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 16 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, უკანონოდ იქნა აღიარებული სს „ტყიბულნახშირის“ 1998წ. 28 მაისის №174-ე ბრძანება ნ. ს-ძისათვის, მარჩენალის გარდაცვალების გამო, ზიანის ანაზღაურების სახით სარჩოს დანიშნვის შესახებ, მოპასუხეებს დაეკისრათ უსაფუძვლოდ მიღებული თანხის მოსარჩელისათვის სოლიდარულად გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ს-ძემ და სს „ტყიბულნახშირმა“ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 11 ივლისის განჩინებით სს „ტყიბულნახშირის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. ამავე პალატის 2007წ. 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კი ნ.ს-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მარჩენალის გარდაცვალების გამო, უკანონოდ დარიცხული და გაცემული თანხების უკან დაბრუნების ნაწილში გაუქმდა, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: აპელანტის მეუღლე უ. ს-ძემ სს „ტყიბულნახშირში“ მუშაობისას, 1957 წელს, მიიღო საწარმოო ტრავმა – სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, მსუბუქი ხარისხის თავის ტვინის კომოციო და მარჯვენა ფეხის ფოსოს მოტეხილობა. 1975წ. 21 აპრილს უ. ს-ძე მიოკარდიუმის ინფარქტით გარდაიცვალა. ნ.ს-ძეს შრომისუნარობის სტატუსი მიენიჭა 1975წ. 1 აგვისტოდან და სს „ტყიბულნახშირის“ ადმინისტრაციის 1998წ. 28 მაისის №174-ე ბრძანებით დაენიშნა სარჩო მარჩენალის გარდაცვალების გამო. სააპელაციო პალატამ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება, რომ აპელანტს სარჩო დაენიშნა უკანონოდ, მაგრამ არა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48-ე ბრძანებულების 35-ე მუხლის დარღვევით, რომელიც აპელანტისათვის სარჩოს დანიშვნისას მიღებული არ იყო, არამედ აპელანტის მეუღლის გარდაცვალების დროისათვის მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 473-ე მუხლის შესაბამისად. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიღებული სარჩოს დაბრუნების შესახებ მსჯელობისას უნდა ეხელმძღვანელა სარჩოს დანიშვნის დღისთვის მოქმედი 1985წ. 13 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის 55-ე პუნქტითა და „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. №48 ბრძანებულების 61-ე მუხლით. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს, სსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, დასახელებული ნორმებით გათვალისწინებული ნ.ს-ძისათვის გადახდილი თანხის დასაბრუნებლად საჭირო მტკიცებულებები არ წარუდგენია, რის გამოც აღნიშნული მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ.ს-ძემ და საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ ნაწილობრივ გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: 1957 წელს ნ. ს-ძის მეუღლე უ. ს-ძემ შახტაში მუშაობისას მიიღო საწარმოო ტრავმა, რის გამოც დაენიშნა სარჩო. უ.ს-ძე 1975 წელს გარდაიცვალა. 1998 წელს ნ. ს-ძეს შახტის ადმინისტრაციამ დაუნიშნა სარჩო, რა დროსაც არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ მეუღლის გარდაცვალებისას ნ.ს-ძე იყო შრომისუნარიანი, 34წ. და სამოქალაქო სამართლის კოდექსის 473-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ პირთა წრეს არ განეკუთვნებოდა. სასამართლომ იხელმძღვანელა რა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. №48 ბრძანებულების 61-ე მუხლით, არ შეაფასა ის გარემოება, რომ ნ.ს-ძეს სადავო სარჩო დაენიშნა ყალბი დოკუმენტების საფუძველზე, რაც მისი დაბრუნების წინაპირობაა. საპენსიო საქმეში არსებული მასალების მიხედვით, სარჩოს დანიშვნისას წარდგენილი იყო ცნობა, რომ მეუღლის გარდაცვალების მომენტისათვის ნ.ს-ძის მეორე ჯგუფის ინვალიდი იყო, თუმცა აღნიშნული გარემოების არსებობა არ დადასტურებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2008წ. 8 იანვრის განჩინებით საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, სსკ-ის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს უკავშირებს გარკვეულ შეზღუდვებს და ადგენს იმ დავათა კატეგორიებს, რომლებზეც შეტანილი საკასაციო საჩივარი საკასაციო სასამართლოს მიერ დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი. აღნიშნული დანაწესები მოცემულია სსკ-ის 391-ე მუხლში.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველით.

მოცემული დავის საგანია მარჩენალის დაკარგვისას არასწორად დანიშნული სარჩოს დაბრუნების მართლზომიერება. აღნიშნულ საკითხზე არსებობს სასამართლოს პრაქტიკა და იგი ემყარება სარჩოს დანიშნისას მოქმედი ნორმატიული აქტით ზიანის ასანაზღაურებლად გაცემული თანხების ამოღების წესს, რომელიც სადავო თანხების დაბრუნების შესაძლებლობას მხოლოდ ამ ნორმატიული აქტით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში ითვალისწინებს. აღნიშნული პრაქტიკა ასახულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში.

კასატორი ვერ ასაბუთებს და საქმის მასალებითაც არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ისეთი საპროცესო დარღვევით, რაც არსებითად იმოქმედებს საქმის შედეგზე, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ამ საფუძველითაც დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 391-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვები არ არის და უნდა დარჩეს განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 391-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველი დაუშვებლობის გამო.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების უფლება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-72-356-08

8 ივლისი, 2008წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მარჩენალის გარდაცვალების გამო სარჩოს დანიშნვის თაობაზე ბრძანების ბათილად ცნობა და უკანონოდ გაცემული თანხის სახელმწიფოსათვის დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი:

2007წ. 9 მარტს ტყიბულის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა მოპასუხეების – ს. ც-ძის, სს „ტყიბულნახშირის“ გაკოტრების მმართველის, მესამე პირების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ს. ც-ძისათვის სარჩოს დანიშნვის შესახებ სს „ტყიბულნახშირის“ 2002წ. 10 აპრილის №51 ბრძანების ბათილად ცნობა და უკანონოდ გაცემული თანხის სახელმწიფოსათვის დაბრუნება.

სარჩელის საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

„საქნახშირის“ დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995წ. 15 ოქტომბრის №429-ა ბრძანებულების მე-6 პუნქტის თანახმად, „საქნახშირის“ შახტებში 1992 წლამდე დასაქმებული მუშაკებისათვის ტრავმით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას ახორციელებდნენ საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და

სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. „საქართველოს 1997წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის თანახმად, „საქნაშპირის“ სისტემის შახტებში 1992 წლამდე მომხდარი ავარიების შედეგად დასახინჩრებულ და დაავადებულ მუშაკებზე დანიშნულ რეგრესულ პენსიებს 1997წ. განმავლობაში სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი გასცემდა დეპარტამენტ „საქნაშპირის“ გაანგარიშების საფუძველზე.

„შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 და „სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002წ. 31 დეკემბრის №558 ბრძანებულებებში ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, 2006 წლიდან სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოებში დაზარალებულთა აღრიცხვის, სარჩოს გაანგარიშებისა და ზიანის ანაზღაურების ფუნქცია დაეკისრა ფონდს. მოსარჩელის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა სარჩოს კანონსაწინააღმდეგოდ დანიშვნის გადაწყვეტილებები, მათ შორის, ს. ც-ძესთან მიმართებაში.

სს „ტყიბულნაშპირის“ ადმინისტრაციის 2002 წ. 10 აპრილის №51 ბრძანებით მოპასუხე ს. ც-ძეს დაენიშნა სარჩო მარჩენალი მეუღლის გარდაცვალების გამო. ს. ც-ძის მეუღლე რ. ც-ძე გარდაიცვალა 2001წ. 1 იანვარს. საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მეოთხე თავის შესაბამისად, გარდაცვლილი მარჩენალის ოჯახის შრომისუუნარო წევრებს ზიანი უნაზღაურდებათ, თუ მარჩენალის გარდაცვალება გამოწვეულია შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჯანმრთელობის დაზიანებით. პირის გარდაცვალების მიზეზობრივ კავშირს ადგენდა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიურო დაინტერესებული პირის მიმართვის შემთხვევაში. მოპასუხის მეუღლის – რ. ც-ძის გარდაცვალების მიზეზობრივი კავშირი წარმოებაში მომხდარ ტრავმასთან ს. ც-ძის პირად საქმეში დაფიქსირებული არ არის, რაც ს. ც-ძისათვის სარჩოს დანიშვნის შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია. ს. ც-ძეს ისე დაენიშნა სარჩო, რომ მისი მარჩენალი მეუღლის გარდაცვალებაში სახელმწიფოს ბრალეულობა არ არის დადგენილი. აღნიშნულის გამო ს. ც-ძე წლების განმავლობაში არასწორად იღებდა მეუღლის გარდაცვალების გამო დანიშნულ სარჩოს, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სარჩელი დაკმაყოფილდა. უკანონოდ იქნა ცნობილი სს „ტყიბულნაშპირის“ 2002წ. 10 აპრილის №51 ბრძანება ს. ც-ძისათვის მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების სახით სარჩოს დანიშვნის შესახებ. მოპასუხეებს – სს „ტყიბულნაშპირის“ და ს. ც-ძეს სოლიდარულად დაეკისრათ ამ ბრძანებით უსაფუძველოდ დარიცხული და მიღებული თანხის სსიპ საქართველოს სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სასარგებლოდ ანაზღაურება.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1966წ. 17 ივლისს მოპასუხის მეუღლემ რ. ც-ძემ მიიღო საწარმოო ტრავმა – მოტეხილობა მარჯვენა ფეხის ბარძაყის არეში. მოპასუხე სს „ტყიბულნაშპირის“ მას უნაზღაურებდა ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანს ყოველთვიური სარჩოს სახით. 2001წ. 1 იანვარს რ. ც-ძე გარდაიცვალა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით. სს „ტყიბულნაშპირის“ ადმინისტრაციამ 2002წ. 10 აპრილის №51 ბრძანებით მოპასუხე ს. ც-ძეს დაუნიშნა სარჩო მეუღლის გარდაცვალების გამო ისე, რომ დადგენილი არ ყოფილა კავშირი საწარმოში მიღებულ ტრავმასა და გარდაცვალების მიზეზს შორის.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე სს „ტყიბულნაშპირის“ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსი და „შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება ზიანის ანაზღაურებისათვის მიზეზობრივი კავშირის დადგენას არ მოითხოვს. სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგოდ, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამდენად, სამოქალაქო კოდექსი ამკვიდრებს ზიანის მიმყენებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ პირობებს: სახეზე უნდა იყოს ზიანი; იგი გამოწვეული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებით; უნდა არსებობდეს

მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის; ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღოდეს ბრალი. ერთ-ერთი ამ ელემენტის, კერძოდ, მიზეზობრივი კავშირის არარსებობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, მოცემულ შემთხვევაში ტრავმით მიყენებულ ზიანსა და გარდაცვალებას შორის, გამორიცხავს პირის (საწარმოს) პასუხისმგებლობას. შესაბამისად, 2002წ. 10 აპრილის №51 ბრძანება ს. ც-ძისათვის მარჩენალის გარდაცვალების გამო სარჩოს დანიშვნის შესახებ უკანონოა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2002წ. 10 აპრილის №51 ბრძანების საფუძველზე ს. ც-ძე იღებდა ყოველთვიურ სარჩოს 2002წ. აპრილის თვიდან, მაშინ როდესაც ამის ვალდებულება მოპასუხე სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს არ გააჩნდა. სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძველის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდეგში. ამ ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, აღნიშნული თანხა დაბრუნებულ უნდა იქნეს მოპასუხე სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდის სახაზინო ანგარიშზე როგორც უსაფუძვლოდ მიღებული ქონება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ც-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის მითითებით, პირველ რიგში, სასამართლოს სარჩელზე უარი უნდა ეთქვა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. სადავოა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება და სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მასზე ვრცელდება ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. გარდა ამისა, საწარმოო ტრავმასა და დაზარალებულის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას არ ითვალისწინებს იმ დროს მოქმედი კანონი და არც ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულებაში შეტანილ იქნა დამატება 2003 წელს, რომლითაც გათვალისწინებული იყო სპეციალური დასკვნის აუცილებლობა, მაგრამ აღნიშნულ მოთხოვნას ვერ გავავრცელებთ ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

აპელანტის მოსაზრებით, ასევე უკანონოა გადაწყვეტილება მიღებული სარჩოს უკან დაბრუნების ნაწილშიც. საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულების 61-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე. ასეთს კი მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

აპელანტის მოსაზრებით, სასამართლოს მოწინააღმდეგე მხარის სარჩელი წარმოებაში არც უნდა მიეღო, რადგან სოცფონდი არ იყო მაშინდელი ურთიერთობების მონაწილე, სარჩოს დანიშვნას, გაცემას, გაანგარიშებას ახორციელებდა სს „ტყებულნახშირი“. სოცფონდის მეშვეობით ზღებოდა მხოლოდ სარჩოს ჩარიცხვა, რის გამოც სოცფონდი სადავო ურთიერთობის მხარე არ არის. აღნიშნული გარემოება ასევე წარმოადგენდა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით ს. ც-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ტყებულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 30 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ არ დაეთანხმა ამ გარემოებების სამართლებრივ შეფასებას. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებით დამტკიცებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი არ ითვალისწინებდა სარჩოს დანიშვნისათვის მიზეზობრივი კავშირის დადგენას. გარდა ამისა, აღნიშნული წესის 61-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემების დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში ყალბი დოკუმენტის გაცემას ადგილი არ ჰქონია და შესაბამისად, არ უნდა მოხდეს გაცემული თანხების უკან დაბრუნება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ

(წარმომადგენელი შ. კ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ „საქნახშირის“ დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995წ. 15 ოქტომბრის №429 ბრძანებულების მე-6 პუნქტის თანახმად, „საქნახშირის“ დეპარტამენტის შახტებში 1992 წლამდე დასაქმებული მუშაკისათვის ტრავმით გამომწვეული ზარალის ანაზღაურებას ახორციელებდა საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. „საქართველოს 1997წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, საქნახშირის სისტემის შახტებში 1992 წლამდე მომხდარი ავარიების შედეგად დასახინრებულ და დაავადებულ მუშაკებზე დანიშნულ რეგრესიულ პენსიებს 1997 განმალობაში სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი გასცემდა „საქნახშირის“ გაანგარიშების საფუძველზე ფონდსა და „ტყებულნახშირის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად. 2006 წლიდან „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 და „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002წ. 31 დეკემბრის №558 ბრძანებულებებშიცვლილებებისა და დამატებების თანახმად 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოებში დაზარალებულთა აღრიცხვის, სარჩოს გაანგარიშებისა და ზიანის ანაზღაურების ფუნქცია დაეკისრა ფონდს. ამის შემდეგ ფონდმა სარჩოს დანიშვნის კანონიერების დადგენის მიზნით ჩაატარა მონიტორინგი, რის შედეგად გამოვლინდა სარჩოს კანონსაწინააღმდეგოდ დანიშვნის გადაწყვეტილებები, მათ შორის, სს „ტყებულნახშირის“ ადმინისტრაციის 2002წ. 10 აპრილს №51 ბრძანება ს. ც-ძისათვის სარჩოს დანიშვნის შესახებ.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ სარჩელზე უარის თქმის მოტივად არასწორად გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულება და აღნიშნული ბრძანებულების 61-ე მუხლი. №48-ე ბრძანებულების მე-4 თავის სათაურს – „ზიანის ანაზღაურება მარჩენალის გარდაცვალებისას“ მოგვიანებით დაემატა სიტყვები: „თუ გარდაცვალების მიზეზი გახდა ორგანიზაციაში მიღებული ტრავმა“, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გამოეყენებინა ბრძანებულების 46-ე მუხლი, რომელიც იმ დროს მოქმედი იყო. ამ მუხლის თანახმად, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიაზე შემოწმებისათვის გაგზავნა ხდება დამპირავების, პროფკავშირის, სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულების, სასამართლოს ან პირადად დაზარალებულის მიმართვის საფუძველზე, ორგანიზაციაში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტის ან სხვა საბუთის თანდართვით, რომელიც ადასტურებს უბედური შემთხვევის კავშირს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან. ს. ც-ძისათვის სარჩოს დანიშვნის დროს მოქმედი საექიმო-საექსპერტო კომისიის დებულების მე-17 მუხლის მე-3 აბზაცით საექიმო-საექსპერტო კომისია ვალდებული იყო დაედგინა, რა მიზეზობრივი კავშირი არსებობდა მარჩენალის სიკვდილსა და საწარმოო ტრავმას, პროფესიულ დაავადებასა და სხვა გარემოებებს შორის გარდაცვლილის ოჯახის წევრებისათვის პენსიის დანიშვნისა და ზარალის ანაზღაურების საკითხის გადასაწყვეტად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1966წ. 17 ივლისს მოპასუხე ს. ც-ძის მეუღლემ რ. ც-ძემ მიიღო საწარმოო ტრავმა – მოტეხილობა მარჯვენა ფეხის ბარძაყის არეში. მოპასუხე სს „ტყებულნახშირი“ რ. ც-ძეს უნაზღაურებდა ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანს ყოველთვიური სარჩოს სახით. 2001წ. 1 იანვარს რ. ც-ძე გარდაიცვალა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით. სს „ტყებულნახშირის“ ადმინისტრაციამ 2002წ. 10 აპრილის №51 ბრძანებით მოპასუხე ს. ც-ძეს დაუნიშნა სარჩო მეუღლის გარდაცვალების გამო ისე, რომ დადგენილი არ ყოფილა მიზეზობრივი კავშირი საწარმოში მიღებულ ტრავმასა და გარდაცვალების მიზეზს შორის.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის 2003 წლამდე მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებდა სარჩოს დანიშვნისათვის მიზეზობრივი კავშირის დადგენას.

სამოქალაქო სამართალი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის საკითხის განსაზღვრისას ემყარება ზიანის დადგომის, მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ბრალის, ასევე ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის ერთობლივად არსებობის აუცილებლობას. აღნიშნული ოთხი ელემენტიდან ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობას, ამდენად, თუ პირის გარდაცვალება დაკავშირებული არ არის საწარმოო ტრავმასთან, ორგანიზაციის პასუხისმგებლობა გამორიცხულია და, შესაბამისად, არც გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის სარჩოს დანიშვნის ვალდებულება არსებობს. ამდენად, არ შეიძლება ზემოაღნიშნული ბრძანებულებით რეგულირებული ურთიერთობა შეფასდეს სკ-ისაგან განყენებულად, რომლის 992-ე მუხლი ზიანის ანაზღაურებისათვის ერთ-ერთ სავალდებულო პირობად სწორედ მიზეზობრივი კავშირის დადგენას ითვალისწინებს. გარდა ამისა, აღნიშნული ბრძანებულების მე-3-5 მუხლები პირდაპირ მიუთითებს ზიანის ანაზღაურების პირობად დამქირავებლის ბრალზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ ბრძანებულების ნორმები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა ან არსებობს ამავე კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში გამოსაკვლევი, არის თუ არა რ. ც-ძის გარდაცვალება მიზეზობრივ კავშირში საწარმოო ტრავმასთან.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოპასუხე ს. ც-ძის შესაგებლისა და სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთ ძირითად მოტივს წარმოადგენდა სარჩელის ხანდაზმულობა, რაზეც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს კანონისმიერ ისეთ ვალდებულებით ურთიერთობას, რომლის მიმართაც სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას. ამის გამო ამ შემთხვევაში მის მიმართ სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი საერთო ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა უნდა გავრცელდეს, რისი გათვალისწინებითაც სარჩელი ხანდაზმული არ არის.

რაც შეეხება მეორე სასარჩელო მოთხოვნას – ზიანის ასანაზღაურებლად გაცემული თანხების დაბრუნებას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს.

საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 61-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემების დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე. დავის განხილვისას მოსარჩელეს არ მიუთითებია თანხის დაბრუნების არც ერთი ზემოჩამოთვლილი საფუძველი, ამასთან, თუნდაც საქმის ხელახალი განხილვისას დადგინდეს საწარმოო ტრავმასა და რ. ც-ძის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობა, აღნიშნული გარემოება სარჩოს სახით გაცემული თანხის უკან დაბრუნების საფუძველი ვერ გახდება, ამდენად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 14 დეკემბრის გადაწყვეტილება სს „ტყიბულნახშირის“ 2002წ. 10 აპრილის №51 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 14 დეკემბრის გადაწყვეტილება ს. ც-ძისათვის უსაფუძვლოდ დარიცხული და გაცემული თანხების მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩეს უცვლელად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების უფლება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-247-506-08

22 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, თანხის დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ „სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების – რ. ა-ძისა და სს „ტყიბულნახშირის“ გაკოტრების მმართველის მიმართ სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და ზედმეტად გადახდილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დაბრუნების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო: „საქნახშირის“ დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995წ. 15 ოქტომბრის №429-ა ბრძანებულებისა და „საქართველოს 1997წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის საფუძველზე 1992 წლამდე „საქნახშირის“ სისტემის შახტაში მომხდარი ავარიების შედეგად დასახიზრებული და დაავადებული მუშაკების რევერსულ პენსიებს 1997წ. განმავლობაში გასცემდა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი დეპარტამენტ „საქნახშირის“ გაანგარიშების საფუძველზე. 2006 წლიდან „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 და სსიპ „საქართველოს სოციალური დაცვის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ ჩამოყალიბების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2002წ. 31 დეკემბრის №558 ბრძანებულებებში ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, დაზარალებულთა აღრიცხვის სარჩოს გაანგარიშებისა და ზიანის ანაზღაურების ფუნქცია სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მინაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში დაევალა მოსარჩელეს, რომელმაც მონიტორინგის შედეგად გამოავლინა სარჩოს დანიშვნის თაობაზე კანონსაწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, რ. ა-ძეს სს „ტყიბულნახშირის“ ადმინისტრაციამ 1999წ. 5 აგვისტოს №246 ბრძანებით არასწორად დაუნიშნა სარჩო მარჩენალის გარდაცვალების გამო. მოპასუხის მეუღლე დ. ა-ძე შახტაში მუშაობისას მიღებული ტრავმით გარდაიცვალა. ზემოხსენებული №48 ბრძანებულების მეოთხე თავის შესაბამისად, გარდაცვლილი მარჩენალის ოჯახის შრომისუუნარო წევრებს ზიანი უნაზღაურდებათ, თუ მარჩენალი შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების საფუძველზე გარდაიცვალა,

ამდენად, ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით. პირის გარდაცვალების მიზეზობრივი კავშირი დგინდებოდა დაინტერესებული პირის მიერ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროსათვის მიმართვის შემთხვევაში. დ. ა-ძის გარდაცვალების მიზეზობრივი კავშირი წარმოებაში მომხდარ ტრავმასთან რ. ა-ძის პირად საქმეში არ არის დაფიქსირებული, რაც სარჩოს დანიშვნის შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

რ. ა-ძემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: უსაფუძვლოა მოსარჩელის მოსაზრება საწარმოო ტრავმასა და მარჩენალის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობის თაობაზე, კერძოდ: დ. ა-ძემ 1977წ. 2 მარტს შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიიღო საწარმოო ტრავმა, ჩაუტარდა მარცხენა ქვედა კიდურის ბარძაყის ამპუტაცია და, ვინაიდან ჭრილობა არ შეუხორცდა, განგრენით გარდაიცვალა. ამდენად, დ. ა-ძის გარდაცვალება პირდაპირ კავშირშია საწარმოო ტრავმასთან. ამასთან აღსანიშნავია, რომ სარჩოს დანიშვნისას სადავო მიზეზობრივი კავშირის არსებობა სავალდებულო არ არის.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სსიპ „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, უკანონოდ იქნა ცნობილი სს „ტყიბულნახშირის“ 1999წ. 5 აგვისტოს №246 ბრძანება, საქმის წარმოება მოპასუხე სს „ტყიბულნახშირის“ მიმართ შეწყდა სსკ-ის 272-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტისა და სკ-ის 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე, სამეწარმეო რეესტრიდან მისი ამოშლის გამო, რ. ა-ძეს დაეკისრა უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნება. რ. ა-ძეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში რ. ა-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 15 იანვრის გადაწყვეტილებით რ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, რ. ა-ძის მიმართ მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების სარჩოს დანიშვნის შესახებ სს „ტყიბულნახშირის“ 1999წ. 5 აგვისტოს №246 ბრძანების უკანონოდ აღიარებისა და მოპასუხისათვის ამ ბრძანების საფუძველზე დარიცხული და მიღებული თანხის მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურების, ასევე რ. ა-ძისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით 100 ლარის დაკისრების ნაწილში სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სადავო არ არის, რომ რ. ა-ძის მეუღლე დ. ა-ძემ საწარმოო ტრავმა მიიღო 1977წ. 21 მარტს. 1990წ. 23 იანვარს იგი გარდაიცვალა და რ. ა-ძეს, მარჩენალის გარდაცვალების გამო, სს „ტყიბულნახშირის“ 1999წ. 5 აგვისტოს №246 ბრძანებით დაენიშნა ყოველთვიური სარჩო. 1999წ. 5 აგვისტოსათვის რ. ა-ძე იყო ასაკით პენსიონერი. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო ბრძანების კანონიერების შემოწმებისას არასწორად იხელმძღვანელა სკ-ის 412-ე და 992-ე მუხლებით, ასევე „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 2003წ. შემდგომი რედაქციით, ვინაიდან სარჩოს დანიშვნისას, 1999წ. 5 აგვისტოს მოქმედებდა აღნიშნული ბრძანებულების პირვანდელი რედაქცია. სასამართლომ იხელმძღვანელა ბრძანებულების 35-ე, მე-15 მუხლებით და აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია რ. ა-ძე სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირი რომ იყო, არამედ მიუთითებდა მიზეზობრივი კავშირის დაუდგენლობაზე. პალატის მოსაზრებით, სრულიად კანონშესაბამისად, სსკ-ის 380-ე მუხლის საფუძველზე არ დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა საპენსიო საქმეში აღმოჩენილი ყალბი დოკუმენტის მომავალში, სხვა სასამართლო სხდომაზე წარდგენის შესახებ. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია, რომ, სადავო მიზეზობრივი კავშირის არარსებობის გამო, რ. ა-ძეს სარჩო არ უნდა დანიშნოდა. პალატამ მიიჩნია, რომ 1999წ. ბრძანებულების ნორმების მიზანი იყო შრომისუუნარი პირების სოციალური უფლებების დაცვა, რათა მარჩენალის გარდაცვალებისას მის კმაყოფაზე მყოფი პირები უსახსროდ არ დარჩენილიყვნენ. ამდენად, სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულება 2003წ. ცვლილებებამდე, ისევე, როგორც ამ ბრძანებულების ამოქმედებამდე არსებული 1985წ. მინისტრთა საბჭოს დადგენილება გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფთათვის სარჩელოს დასანიშნად მიზეზობრივი კავშირის არსებობის სავალდებულობას არ ითვალისწინებდა და აღნიშნული სავალდებულო გახდა

2003 წელს №48 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, რაც სადავო ურთიერთობაზე ვერ გავრცელდება. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაზე 2003წ. შემდგომ მოქმედი კანონი ვერ გავრცელდება. სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებული იყო, დაემტკიცებინა მიზეზობრივი კავშირის არსებობის სავალდებულობა, რაც ვერ იქნა დადასტურებული მის მიერ კანონით დადგენილი წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სს „ტყიბულნახშირის“ სადავო №246 ბრძანება კანონშესაბამისია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა რ.ა-ძისათვის გაცემული თანხების უკან დაბრუნების თაობაზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 61-ე მუხლი ითვალისწინებს რა ზიანის ანაზღაურებისათვის გადახდილი თანხის დაბრუნებას, კონკრეტულად განსაზღვრავს იმ პირობებს, რა შემთხვევაშიც აღნიშნული დასაშვებია. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს ზემოხსენებული ნორმის შესაბამისი გარემოების არსებობა სათანადოდ არ დაუდასტურებია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ რ. ა-ძის მეუღლემ შახტაში მუშაობისას მიიღო მარცხენა ბარძაყის ტრავმა, რის გამოც ჩაუტარდა ბარძაყის ამპუტაცია. 1990წ. 23 იანვარს იგი გარდაიცვალა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მეუღლის გარდაცვალების დროისათვის რ. ა-ძე 54 წლის იყო და საპენსიო ასაკი არ ჰქონდა. მოპასუხეს დადგენილი არ ჰქონდა არც შრომისუუნარობის სტატუსი, ამდენად, იმ დროს მოქმედი სკ-ის 473-ე მუხლის თანახმად, რ.ა-ძეს სარჩო არ უნდა დანიშნვოდა. ამასთან, რ.ა-ძემ შახტის ადმინისტრაციას სარჩოს დანიშვნის მოთხოვნით მიმართა 1999 წელს – მეუღლის გარდაცვალებიდან 9წ. შემდეგ. საპენსიო ფონდის ტყიბულის ფილიალის მიერ გაცემული №195 ცნობაში რ. ა-ძისათვის ასაკობრივი პენსიის დანიშვნის თარიღი 1991 წელი გადასწორებულია და მითითებულია 1989 წელი, რის გამოც სს „ტყიბულნახშირის“ ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ იგი მეუღლის გარდაცვალების დროისათვის შრომისუუნარო იყო. აღნიშნული ასევე დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ტყიბულის განყოფილების მიერ გაცემული წერილით. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ზემოხსენებული გარემოება და არ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. №48 ბრძანებულების 61-ე მუხლი, რომლის თანახმადაც წინასწარ გამიზნული ყალბი დოკუმენტების საფუძველზე მიღებული თანხა ექვემდებარება ამოღებას, ასევე არ გამოუყენებია სასამართლოს იმ დროს მოქმედი საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს 1985წ. 4 მარტის №131 ბრძანებულების მე-17 მუხლი, რომლის თანახმადაც სავალდებულოა მიზეზობრივი კავშირის დადგენა გარდაცვალებასა და შახტაში მიღებულ ტრავმას შორის.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და კასატორს სადავოდ არ გაუხდია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: რ. ა-ძის მეუღლე დ. ა-ძემ საწარმოო ტრავმა მიიღო 1977წ. 21 მარტს. 1990წ. 23 იანვარს იგი გარდაიცვალა და რ. ა-ძეს, მარჩენალის გარდაცვალების გამო, სს „ტყიბულნახშირის“ 1999წ. 5 აგვისტოს №246 ბრძანებით დაენიშნა ყოველთვიური სარჩო. 1999წ. 5 აგვისტოსათვის რ. ა-ძე იყო ასაკით პენსიონერი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ გამოკვლეულა დავის კანონიერად გადაწყვეტისათვის არსებითი ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ,

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულება 2003წ. ცვლილებებამდე, ისევე, როგორც ამ ბრძანებულების ამოქმედებამდე არსებული 1985წ. მინისტრთა საბჭოს დადგენილება გარდაცვლილის კმაყოფაზე მეოფთათვის სარჩოს დასანიშნად მიზეზობრივი კავშირის არსებობის სავალდებულობას არ ითვალისწინებდა და აღნიშნული სავალდებულო გახდა

2003 წელს №48 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, რაც სადავო ურთიერთობაზე ვერ გავრცელდება.

მოცემულ საკითხთან მიმართებით საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს შემდეგს: სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს ზიანის ანაზღაურების საფუძვლიანობის განმსაზღვრელი ისეთი აუცილებელი პირობების არსებობა, როგორცაა მართლწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის და ბრალი. მოცემულ შემთხვევაში სადავოს წარმოადგენს მიზეზობრივი კავშირის საკითხი.

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ შედეგი ნებისმიერი სხვა ფაქტორის ზემოქმედების შედეგად დადგება (სხვა პირის ბრალით, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან თუ ფორსმაჟორული გარემოებიდან გამომდინარე) და ის არ იქნება მიზეზობრივ კავშირში პირის კანონსაწინააღმდეგო განზრახ ან გაუფრთხილებელ ქმედებასთან, პირი გათავისუფლდება ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან. მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მხოლოდ იმ პირს ვისი ქმედების გამოც დადგა კანონსაწინააღმდეგო შედეგი. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი ისაა, რომ ზიანი უნდა წარმოადგენდეს ზიანის გამომწვევი ქმედების უშუალო შედეგს. ზიანი როგორც არ უნდა იყოს სავარაუდო წინასწარ, თუ იგი პირის უშუალო მოქმედებით ან უმოქმედობით არ იქნება გამოწვეული, ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა გამორიცხულია ანუ სხვაგვარად რომ ითქვას, რომ არა ეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი არ დადგებოდა.

მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობას ითვალისწინებდა ადრე მოქმედი კანონმდებლობაც. აღნიშნულს მოწმობს მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992წ. 29 აპრილის დადგენილება, რომლის თანახმადაც შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკისათვის მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ ორგანიზაციამ, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა მხოლოდ ამ ორგანიზაციის ბრალის არსებობის შემთხვევაში და მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, მიყენებულია თუ არა ზიანი ამ ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის გარეთ. მოცემული დადგენილებისა და ზიანის მიყენების დროს მოქმედი სკ-ის საფუძველზე სახელმწიფო დაზარალებული გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირებს, რომელთა წრესაც განსაზღვრავს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 473-ე მუხლი (1964წ. რედაქცია) სარჩოს დაუნიშნავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულის გარდაცვალება გამოწვეულია საწარმოო ტრავმით და არა ნებისმიერი სხვა გარემოებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მიყენებულ საწარმოო ტრავმასა და დაზარალებულის გარდაცვალებას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო თავისუფალი იქნება პასუხისმგებლობისაგან, შესაბამისად, დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, №48 ბრძანებულების 2003 წლამდე მოქმედი რედაქციის მე-4 პუნქტში 2003 წელს განხორციელებულ ცვლილებამდე, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობას გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ თუ პირის გარდაცვალების ფაქტი დაკავშირებული არ არის საწარმოო ტრავმასთან, ორგანიზაციის პასუხისმგებლობა გამორიცხულია და, შესაბამისად, არც გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის სარჩოს დანიშვნის ვალდებულება არსებობს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას რ. ა-ძის მიერ მიღებული სარჩოს უკან გამოთხოვის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სრულიად ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომელიც ეფუძნება 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 61-ე პუნქტს. მითითებული ნორმის მიხედვით, სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების გაუქმების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებისთვის გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს უკან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე, ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემთა დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე.

სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა ვერ დაასაბუთა თანხების უკან დაბრუნების კანონით გათვალისწინებული საფუძვლის

არსებობა. ამ მიმართებით ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის მითითება, რ.ა-ძის მიერ საპენსიო ფონდის მიერ გაცემული ცნობის გაყალბების თაობაზე და იმ გარემოებაზე, რომ რ.ა-ძე მეუღლის გარდაცვალების დროს არ იყო შრომისუუნარო და პენსიის დანიშვნას არ ექვემდებარებოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (137-ე მუხლი) ითვალისწინებს წარდგენილი საბუთის სიყალბის დადასტურების წესს, შესაბამისად, საბუთი ყალბად სწორედ ამ გზით შეიძლება იქნას მიჩნეული. რაც შეეხება შრომისუუნარობის საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 35-ე პუნქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურების უფლებით სარგებლობენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც იმყოფებიან გარდაცვლილის კმაყოფაზე ან მისი გარდაცვალების დღისათვის უფლება ჰქონდათ მისგან მიეღოთ სარჩო, შვილი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადა, აგრეთვე, ერთ-ერთი მშობელი ან ოჯახის სხვა წევრი, თუ ის არსად მუშაობს და ეწევა გარდაცვლილის შვილების, ძმების, დების ან შვილიშვილების აღზრდას 18 წლის ასაკის მიღწევამდე, პირები, რომელთა შესანახად გარდაცვლილი იხდიდა ან ვალდებული იყო, გადაეხადა ალიმენტი. შრომისუუნარობად ითვლებიან: არასრულწლოვანი პირები 18 წლის ასაკამდე (სტუდენტები სასწავლებლის დამთავრებამდე, მაგრამ არა უმეტეს 23 წლის ასაკისა) ან უფრო მეტი ხნის, თუ ისინი დაინვალიდნენ 18 წლის ასაკამდე, 65 წელს გადაცილებული მამაკაცები და 60 წელს გადაცილებული ქალები. გარდაცვლილის მეუღლე ზიანის ანაზღაურების უფლებით სარგებლობს, მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა იგი. დასახელებული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ გარდაცვლილის მეუღლეს ზიანის ანაზღაურების უფლება გააჩნია იმის მიუხედავად, მუშაობს და შრომისუუნარიანია თუ არა იგი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, რადგანაც საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს მიზეზობრივი კავშირი უ. ს-ძისათვის მიყენებულ საწარმოო ტრავმასა და მის გარდაცვალებას შორის. აღნიშნული საკითხის გამორკვევისას სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის დანაწესების (მე-4, 102-ე მუხლები) შესაბამისად უნდა განსაზღვროს მტკიცების ტვირთი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

რ. ა-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 15 იანვრის გადაწყვეტილება რ. ა-ძისათვის, მარჩენალის გარდაცვალების გამო, სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების კანონშესაბამოდ აღიარების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება რ. ა-ძისათვის უსაფუძვლოდ დარიცხული და გაცემული თანხების მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩეს უცვლელი;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების უფლება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-393-642-08

15 სექტემბერი, ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მარჩენალის გარდაცვალების გამო სარჩოს დანიშვნის თაობაზე ბრძანების ბათილად ცნობა და უკანონოდ გაცემული თანხის სახელმწიფოსათვის დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი:

2007წ. 9 მარტს ტყიბულის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა (ამჟამად საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური სუბსიდიების სააგენტო) მოპასუხეების – მ. ჭ-შვილის, სს „ტყიბულნახშირის“ გაკოტრების მმართველის, მესამე პირების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მ. ჭ-შვილისათვის სარჩოს დანიშვნის შესახებ სს „ტყიბულნახშირის“ 2001წ. 24 დეკემბრის №315 ბრძანების ბათილად ცნობა და უკანონოდ გაცემული თანხის სახელმწიფოსათვის დაბრუნება.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

„საქნახშირის“ დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995წ. 15 ოქტომბრის №429-ა ბრძანებულების მე-6 პუნქტის თანახმად, „საქნახშირის“ შახტებში 1992 წლამდე დასაქმებული მუშაკებისათვის ტრავმით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას ახორციელებდნენ საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. „საქართველოს 1997წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის თანახმად, „საქნახშირის“ სისტემის შახტებში 1992 წლამდე მომხდარი ავარიების შედეგად დასახინჩრებულ და დაავადებულ მუშაკებზე დანიშნულ რეგრესულ პენსიებს 1997წ. განმავლობაში სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი გასცემდა დეპარტამენტ „საქნახშირის“ გაანგარიშების საფუძველზე.

„შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვენების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 და „სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002წ. 31 დეკემბრის №558 ბრძანებულებებში ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, 2006 წლიდან სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოებში დაზარალებულთა აღრიცხვის, სარჩოს გაანგარიშებისა და ზიანის ანაზღაურების ფუნქცია დაეკისრა ფონდს. მოსარჩელის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა სარჩოს კანონსაწინააღმდეგოდ დანიშვნის გადაწყვეტილებები, მათ შორის, მ. ჭ-შვილთან მიმართებაში.

სს „ტყიბულნახშირის“ ადმინისტრაციის 2001წ. 24 დეკემბრის №315 ბრძანებით მოპასუხე მ. ჭ-შვილს დაენიშნა სარჩო მარჩენალი მეუღლის გარდაცვალების გამო. მ. ჭ-შვილის მეუღლე ვ. ჭ-შვილი გარდაიცვალა 2001წ. 26 თებერვალს. საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მეოთხე თავის შესაბამისად, გარდაცვლილი მარჩენალის ოჯახის შრომისუნარო წევრებს ზიანი უნაზღაურდებათ, თუ მარჩენალის გარდაცვალება გამოწვეულია შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჯანმრთელობის დაზიანებით. პირის გარდაცვალების მიზეზობრივ კავშირს ადგენდა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიურო დაინტერესებული პირის მიმართვის შემთხვევაში. ამასთან, განსაზღვრული იყო ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგი პირობები: უნდა არსებულიყო ზიანი; იგი გამოწვეული უნდა ყოფილიყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით; მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებულიყო მიზეზობრივი კავშირი და უნდა არსებულიყო ზიანის მიყენებლის ბრალი. მოპასუხის მეუღლის – ვ. ჭ-შვილის გარდაცვალების მიზეზობრივი კავშირი წარმოებაში მომხდარ ტრავმასთან მ. ჭ-შვილის პირად საქმეში დაფიქსირებული არ იყო, რაც მ. ჭ-შვილის სარჩოს დანიშვნის შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. მ. ჭ-შვილს ისე დაენიშნა სარჩო, რომ მისი მარჩენალი მეუღლის გარდაცვალებაში სახელმწიფოს ბრალეულობა არ ყოფილა დადგენილი. აღნიშნულის გამო მ. ჭ-შვილი წლების განმავლობაში არასწორად იღებდა მეუღლის გარდაცვალების გამო დანიშნულ სარჩოს, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 7 მაისის განჩინებით მოცემულ დავაზე დაინიშნა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა, რომლის 2007წ. 23 აგვისტოს პასუხის შესაბამისად, ჯ. ჭ-შვილის გარდაცვალების უშუალო მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო წარმოებაში მიღებული ტრავმის შორეული გართულება.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1986წ. 18 სექტემბერს მოპასუხის მეუღლემ ჯ. ჭ-შვილმა მიიღო საწარმოო ტრავმა – მარცხენა ფეხის წვივის ძვლის მოტეხილობა და ავადმყოფობის გამო წლების განმავლობაში იმყოფებოდა ექიმ-სპეციალისტთა ზედამხედველობის ქვეშ. ჯ. ჭ-შვილის გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა: გულ-ფილტვის ქრონიკული უკმარისობა, მესამე ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტი, ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია, მარცხენა ქვედა კიდურის ღრმა ვენების პოსტრავმატული თრომბოფლიეტი. აღნიშნულის გამო სს „ტყიბულნახშირის“ 2001წ. 24 დეკემბრის №315 ბრძანებით მოპასუხე მ. ჭ-შვილს დაენიშნა სარჩო.

რაიონულმა სასამართლომ ჯ. ჭ-შვილის საწარმოო ტრავმასა და გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა დადგენილად მიიჩნია საქმეში არსებული შპს „ტყიბულის ღიაგნოსტიკური ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ცნობისა და ამავე სასამართლოში ექიმ-სპეციალისტის მიერ მიცემული ჩვენების საფუძველზე. დასახელებული მტკიცებულებების მიხედვით ჯ. ჭ-შვილის გარდაცვალების მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო წარმოებაში მიღებული ტრავმის შორეული გართულება.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სკ-ის 992-ე მუხლზე და განმარტა, რომ პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამდენად, სამოქალაქო კოდექსი ამკვიდრებს ზიანის მიმყენებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ პირობებს: უნდა ზიანი; იგი გამომწვეული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით; უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის; ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღოდეს ბრალი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა ზიანის მიმყენებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ყველა პირობა, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნა არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტი არ დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მსჯელობას ჯ. ჭ-შვილის საწარმოო ტრავმასა და გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის თაობაზე, რამდენადაც საქმეში არსებული მასალები ამგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს არ იძლეოდა. ჯ. ჭ-შვილის საწარმოო ტრავმა მარცხენა ფეხის წვივის ძვლის მოტეხილობაში გამოიხატებოდა, მაშინ როდესაც მისი გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა: გულ-ფილტვის ქრონიკული უკმარისობა, მესამე ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტი, ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია და სხვა ისეთი დაავადება, რომელიც არ შეიძლებოდა საწარმოში მიღებულ ტრავმასთან მიზეზობრივ კავშირში ყოფილიყო. ამასთან, მიზეზობრივი კავშირის არსებობის დადგენის შესაძლებლობას არც საქმეში არსებული შპს „ტყიბულის ღიაგნოსტიკური ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ცნობა იძლეოდა, რადგან აღნიშნული ცნობით ჯ. ჭ-შვილის საწარმოო ტრავმასა და გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირი სარწმუნოდ არ დგინდებოდა და იგი მხოლოდ სავარაუდო მოსაზრებას შეიცავდა.

აპელანტის განმარტებით, სარჩოს დანიშვნისათვის მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობაზე მიუთითებდა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის 46-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების შესახებ განცხადების განხილვის დროს აუცილებელია დოკუმენტის წარდგენა, რომელიც ადასტურებს უბედური შემთხვევის კავშირის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. ასეთი დოკუმენტის მისაღებად საექიმო-საექსპერტო კომისიისათვის უნდა მიემართა დაზარალებულს ან ადმინისტრაციას, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 19 თებერვლის განჩინებით სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 11 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ არ დაეთანხმა ამ გარემოებების სამართლებრივ შეფასებას. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მ. ჭ-შვილისათვის სარჩოს დანიშვნის დროს (2001წ. 24 დეკემბრის მდგომარეობით) მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებით დამტკიცებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი არ ითვალისწინებდა სარჩოს დანიშვნისათვის მიზეზობრივი კავშირის დადგენას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქმის არსს ვერ შეცვლიდა ის გარემოება, თუ როგორი იქნებოდა ექიმ-სპეციალისტის მიერ გაცემული დასკვნა სიკვდილის მიზეზის თაობაზე. გარდა ამისა, აღნიშნული წესის 61-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემების დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში ყალბი დოკუმენტი არ გაცემულა და შესაბამისად, არ უნდა მოხდეს გაცემული თანხების უკან დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ (წარმომადგენელი შ. კ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სს „ტყიბულნახშირის“ 2001წ. 14 დეკემბრის №315 ბრძანების ბათილად ცნობა, აგრეთვე მ. ჭ-შვილისათვის უკანონოდ გაცემული თანხის სახელმწიფოსათვის დაბრუნების დავალებულიება.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ სარჩელზე უარის თქმის მოტივად გამოიყენა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება და განმარტა, რომ აღნიშნული ბრძანებულება მ. ჭ-შვილისათვის სარჩოს დანიშვნის დროს (2001წ. 24 დეკემბრის მდგომარეობით) მიზეზობრივი კავშირის დადგენას არ ითვალისწინებდა. სასამართლომ არ გამოიყენა ამავე პერიოდში მოქმედი საექიმო-საექსპერტო კომისიის დებულება, რომლის მე-17 მუხლის მე-3 აბზაცით საექიმო-საექსპერტო კომისია ვალდებული იყო დაედგინა, რა მიზეზობრივი კავშირი არსებობდა მარჩენალის სიკვდილსა და საწარმოო ტრავმას, პროფესიულ დაავადებასა და სხვა გარემოებებს შორის გარდაცვლილის ოჯახის წევრებისათვის პენსიის დანიშვნისა და ზარალის ანაზღაურების საკითხის გადასაწყვეტად. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მ. ჭ-შვილისათვის სარჩოს უკანონოდ დანიშვნით სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1986წ. 18 სექტემბერს მოპასუხე მ. ჭ-შვილის მეუღლე ჯ. ჭ-შვილმა მიიღო საწარმოო ტრავმა – მარცხენა ფეხის წვივის ძვლის მოტეხილობა. 2001წ. 26 თებერვალს ჯ. ჭ-შვილი გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა: გულ-ფილტვის ქრონიკული უკმარისობა, მესამე ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტი, ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია, მარცხენა ქვედა კიდურის ღრმა ვენების პოსტრავმული თრომბოფლევითი. სს „ტყიბულნახშირის“ 2001წ. 24 დეკემბრის №315 ბრძანებით მოპასუხე ჯ. ჭ-შვილს დაენიშნა სარჩო მეუღლის გარდაცვალების გამო ისე, რომ დადგენილი არ ყოფილა მიზეზობრივი კავშირი საწარმოში მიღებულ ტრავმასა და გარდაცვალების მიზეზს შორის.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის 2003 წლამდე მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებდა სარჩოს დანიშვნისათვის მიზეზობრივი კავშირის დადგენას.

სამოქალაქო სამართალი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას უკავშირებს ზიანის დადგომის, მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ბრალის, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის ერთობლივად არსებობის აუცილებლობას. აღნიშნული ოთხი ელემენტიდან ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს ზიანის მიყენებლის პასუხისმგებლობას. შესაბამისად, თუ პირის გარდაცვალება დაკავშირებული არ არის საწარმოო ტრავმასთან, ორგანიზაციის პასუხისმგებლობა საწარმოო ტრავმით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამო გამორიცხულია და არც გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის სარჩოს დანიშვნის ვალდებულება არსებობს. ამდენად, ზემოაღნიშნული ბრძანებულებით რეგულირებული ურთიერთობა ვერ შეფასდება სკ-ისაგან განყენებულად, რომლის 992-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. გარდა ამისა, აღნიშნული ბრძანებულების 3-5 მუხლები პირდაპირ მიუთითებს, რომ დამქირავებელი მხოლოდ ბრალეულად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზეა პასუხისმგებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ ბრძანებულების ნორმები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა ან არსებობს ამავე კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში გამოსაკვლევი, არის თუ არა ჯ. ჭ-შვილის გარდაცვალება მიზეზობრივ კავშირში საწარმოო ტრავმასთან, რის თაობაზეც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას. სასამართლოს ამგვარი დასკვნა უნდა გამომდინარეობდეს საქმეში არსებული მასალების ერთობლიობაში შეფასებიდან. სსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და მხოლოდ ამის შედეგად შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამასთან, აქვე გასათვალისწინებელია, რომ სსკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნის შეფასება, მიუხედავად მისი შინაარსისა, ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, რაც დასაბუთებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ.

რაც შეეხება მეორე სასარჩელო მოთხოვნას – ზიანის ასანაზღაურებლად გაცემული თანხების დაბრუნებას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს.

საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 61-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემების დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე. დავის განხილვისას მოსარჩელეს არ მიუთითებია თანხის დაბრუნების არც ერთი ზემოჩამოთვლილი საფუძველი, ამასთან, თუნდაც საქმის ხელახალი განხილვისას დადგინდეს საწარმოო ტრავმასა და ჯ. ჭ-შვილის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობა, აღნიშნული გარემოება სარჩოს სახით გაცემული თანხის უკან დაბრუნების საფუძველი ვერ გახდება, ამდენად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 19 თებერვლის განჩინება სს „ტყიბულნახშირის“ 2001წ. 24 დეკემბრის №315 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 19 თებერვლის განჩინება მ. ჭ-შვილისათვის უსაფუძვლოდ დარიცხული და გაცემული თანხების მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩეს უცვლელად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების უფლება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-173-440-08

15 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2007წ. 9 მარტს სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელმა დ. მ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ვ. კ-ძის, სს „ტყიბულნახშირის“ გაკოტრების მმართველის - ზ. ი-შვილისა და მესამე პირების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა სს „ტყიბულნახშირის“ ადმინისტრაციის 1996წ. 25 დეკემბრის №233 ბრძანების ბათილად ცნობა ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან და ბრძანების საფუძველზე მოპასუხეთა მიერ დასაფინანსებლად არასწორად მოთხოვნილი, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან დარიცხული მთელი პერიოდის სარჩოს თანხის დაბრუნება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ „საქნახშირის“ დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995წ. 15 ოქტომბრის №429-ა ბრძანებულების მე-6 პუნქტის თანახმად, „საქნახშირის“ დეპარტამენტის შახტებში 1992 წლამდე დასაქმებული მუშახელისათვის ტრავმით გამოწვეულ ზარალს ანაზღაურებდა საქართველოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სოცურუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. აღნიშნული ორგანიზაცია „საქართველოს 1977წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქნახშირის“ სისტემის შახტებში 1992 წლამდე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად დასახინრებულ და დაავადებულ მუშაკთა რეგრესულ პენსიებს გასცემდა „საქნახშირის“ დეპარტამენტის გაანგარიშების საფუძველზე წარმოდგენილი სიების შესაბამისად.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლიდან „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებისა და „სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002წ. 31 დეკემბრის №558 ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, 100% სახელმწიფო ფონდის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოებში დაზარალებულთა აღრიცხვის, სარჩოს გაანგარიშებისა და ზიანის ანაზღაურების ფუნქცია დაეკისრა ფონდს. ზემოაღნიშნული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ „ტყიბულნახშირის“

ადმინისტრაციის 1996წ. 25 დეკემბრის №233 ბრძანებით ვ. კ-ქს დაენიშნა სარჩო შახტში მუშაობისას მიღებული ტრავმის შედეგად 1984წ. 26 აპრილს მარჩენალი მეუღლის – პ. კ-ძის გარდაცვალების გამო.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მეოთხე თავის შესაბამისად, გარდაცვლილი მარჩენლის ოჯახის შრომისუნარო წევრებს ზიანი უნაზღაურდებოდა, თუ მარჩენლის გარდაცვალება გამოწვეულია შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჯანმრთელობის დაზიანებით. პირის გარდაცვალების მიზეზობრივ კავშირს ადგენდა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიურო დაინტერესებული პირის მიმართვის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში, ვ. კ-ძის მეუღლის – პ. კ-ძის გარდაცვალების საწარმოო ტრავმასთან მიზეზობრივი კავშირის დამადასტურებელი საბუთი ვ. კ-ძის საქმეში არ არსებობს, რაც მოსარჩელეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლზე მითითებით მიაჩნია სს „ტყიბულნახშირის“ ადმინისტრაციის 1996წ. 25 დეკემბრის №233 ბრძანების ბათილობის საფუძველად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა სს „ტყიბულნახშირის“ ადმინისტრაციის 1996წ. 25 დეკემბრის №233 ბრძანების ბათილად ცნობა ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან და ბრძანების საფუძველზე მოპასუხეთა მიერ დასაფინანსებლად არასწორად მოთხოვნილი, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან დარიცხული მთელი პერიოდის სარჩოს თანხის დაბრუნება.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: უკანონოდ იქნა აღიარებული სს „ტყიბულნახშირის“ 1996წ. 25 დეკემბრის №233 ბრძანება ვ. კ-ძის მიმართ, მარჩენლის გარდაცვალების გამო, ზიანის ანაზღაურების – სარჩოს დანიშვნის შესახებ; სს „ტყიბულნახშირის“ მიმართ საქმის წარმოება შეწყდა, სსკ-ის 272-ე მუხლის „ზ“ პუნქტისა და სკ-ის 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, სამეწარმეო რეესტრში მისი ამოშლის გამო; ვ. კ-ქს დაეკისრა ამ ბრძანებით უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ, ასევე სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის გადახდა ბიუჯეტის სასარგებლოდ.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. კ-ქმ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 21 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდის სამართალმემკვიდრე საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სარჩელი ვ. კ-ძის მიმართ სს „ტყიბულნახშირის“ 1997წ. 25 დეკემბრის №233-ე ბრძანების უკანონოდ აღიარებისა და ამ ბრძანებით დარიცხული და მიღებული თანხის ანაზღაურებაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ ვ. კ-ძის მეუღლე პ. კ-ქმ 1970 წელს სს „ტყიბულნახშირში“ მუშაობისას მიიღო საწარმოო ტრავმა – მარჯვენა წვივის მოტეხილობა. იგი გარდაიცვალა 1984წ. 26 აპრილს. მისი გარდაცვალების მომენტისათვის ვ. კ-ქმ იყო 59 წლის და იმყოფებოდა მეუღლის კმაყოფაზე.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ვ. კ-ქს სარჩო დაენიშნა სს „ტყიბულნახშირის“ არა 1996წ. 25 დეკემბრის, არამედ 1997წ. 25 დეკემბრის ბრძანებით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სკ-ის 992-ე და 412-ე მუხლების შესაბამისად, მარჩენალი მეუღლის გარდაცვალების გამო, სარჩოს დანიშვნისას აუცილებელი იყო მარჩენლის გარდაცვალების საწარმოო ტრავმით გამოწვეული ზიანის მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და მე-19 მუხლები, საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება, ვინაიდან ვ. კ-ძისათვის სარჩოს დანიშვნის მომენტისათვის - 1997წ. 25 დეკემბრისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება არ მოქმედებდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სს „ტყიბულნახშირის“ ადმინისტრაციის 1997წ. 25 დეკემბრის №233-ე ბრძანებით მხარეთა შორის წარმოიშვა სამართლებრივი ურთიერთობა, მარჩენლის გარდაცვალების გამო, ყოველთვის სარჩოს დაწესებით ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სააპელაციო

პალატამ მიუთითა, რომ ამ დროს მარჩენლის გარდაცვალებასთან საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობას იმჟამად მოქმედი სამართლის ნორმები არ ითვალისწინებდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ სსიპ „სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიერ დადგენილია, რომ ვ. კ-ძის მეუღლემ პ. კ-ქმ 1970 წელს სს „ტყიბულნახშირში“ მუშაობისას მიიღო საწარმოო ტრავმა – მარჯვენა წვივის მოტეხილობა, რომელიც გარდაიცვალა 1984წ. 26 აპრილს. მისი გარდაცვალების მომენტისათვის ვ. კ-ქე იყო 59 წლის და იმყოფებოდა გარდაცვლილის კმაყოფაზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. კ-ქეს სარჩო დაენიშნა სს „ტყიბულნახშირის“ 1997წ. 25 დეკემბრის ბრძანებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სკ-ის 992-ე და 412-ე მუხლებით და იმ დროს მოქმედი „საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის შრომითი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული დასახიჩრებით ან ჯანმრთელობისათვის სხვა დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის შრომითი და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1985წ. 13 თებერვლის № 56/პ-2 დადგენილებით, რომლის მე-8 პუნქტის შესაბამისად დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზარალი უნაზღაურდებოდათ გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ შრომისუუნარო პირებს.

აღნიშნულთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმები მარჩენლის გარდაცვალებისას სარჩოს დანიშვნის დროს გარდაცვალებასთან საწარმოო ტრავმის მიზეზობრივი კავშირის დადგენას სავალდებულოდ არ მიიჩნევდა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი საქართველოს სსკ-ის 393-ე მუხლის თანახმად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კ-ქეს სარჩო დაენიშნა სს „ტყიბულნახშირის“ 1997წ. 25 დეკემბრის ბრძანებით ვ. კ-ძის განცხადების საფუძველზე.

სადავო ბრძანების საფუძველზე სარჩოს დანიშვნის დროს მოქმედებდა არა „საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის შრომითი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული დასახიჩრებით ან ჯანმრთელობისათვის სხვა დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის შრომითი და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1985წ. 13 თებერვლის № 56/პ-2 დადგენილება, არამედ „უბედური შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების დროებითი წესების შესახებ“ 1993წ. 12 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №619 დადგენილება და „საწარმო-ორგანიზაციების მიერ საწარმოო ტრავმით გამოწვეული შრომითი დასახიჩრებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ 1993წ. 28 ივნისის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №502 დადგენილება. აღნიშნული დადგენილებები გაუქმებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 2 სექტემბრის №48 ბრძანებულებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა „შრომის მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი“ დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით, კერძოდ, აღნიშნული წესის 63-ე მუხლის თანახმად, შრომის მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად, ზიანის ანაზღაურების წესის ამოქმედების გამო, ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება ამ წესების ნორმები გარდა 22-ე, 33-ე, 34-ე, 39-ე, მე-40 პუნქტებისა.

კონკრეტულ შემთხვევაში განხილვის საგანს წარმოადგენს დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მის კმაყოფაზე მყოფი პირებისთვის სარჩოს დანიშვნის კანონიერების საკითხი.

იმის გათვალისწინებით, რომ სარჩოს დანიშვნის წესი რეგულირდებოდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მე-4 პუნქტით, ამავე ბრძანებულების 63-ე პუნქტის თანახმად, აღნიშნულ ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს ეს უკანასკნელი ნორმატიული აქტი.

ბრძანებულების მე-4 პუნქტის პირველ წინადადების თანახმად დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა.

განსახილველი ნორმა ითვალისწინებს სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ზიანის მიმყენებელისათვის იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, რომლითაც ხელყოფილ იქნა მუშაკის როგორც ჯანმრთელობა, ასევე სიცოცხლე. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს უფლებაადგენით ფუნქციას. განსახილველ ნორმაში მოშველიებულ ფრაზაში - „უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა“ უნდა ვიგულისხმოდეთ დამქირავებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით დაზარალებულნი, ანუ პირები, რომლებსაც დამქირავებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიადგად ზიანი (რაც გამოიხატა მარჩენლის გარდაცვალებაში).

აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ფაქტობრივი გარემოებები დაზარალებულის გარდაცვალებასა და დამქირავებლის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით მიყენებული ტრავმის შორის მიზეზობრივი კავშირის შესახებ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორი არ უთითებს ვ. კ-ძის მიერ მიღებული თანხის უკან დაბრუნების საფუძველზე, ამდენად, ამ ნაწილში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველები.

საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაგება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი ვ. კ-ძის მიერ მიღებული თანხის უკან დაბრუნების ნაწილში დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სსიპ „სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 21 იანვრის გადაწყვეტილება სს „ტყიბულნახშირის“ 1997წ. 25 დეკემბრის №233-ე ბრძანების უკანონოდ აღიარების არ დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას; დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს 2008წ. 21 იანვრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად; საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მარჩენლის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების უფლება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და უსაფუძვლოდ გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი:

ტყიბულის რაიონულ სასამართლოს 2007წ. 15 მარტს სარჩელით მიმართა სსიპ სოცდაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა, ც. კ-ძისა და სს „ტყიბულნახშირის“ მიმართ და მოითხოვა სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და უსაფუძვლოდ გაცემული თანხის უკან დაბრუნება. მოსარჩელის განმარტებით: საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995წ. 15 ოქტომბრის №429ა ბრძანებულების „საქნახშირის დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ მე-6 პუნქტის თანახმად, საქნახშირის დეპარტამენტის შახტებში 1992 წლამდე ახორციელებდა საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოცდაზღვევის სახელმწიფო ფონდი. 1997წ. „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, „საქნახშირის“ დეპარტამენტის შახტებში 1992 წლამდე მომხდარი ავარიების შედეგად დასახინჩრებულ და დაავადებულ მუშაკებზე აღნიშნული რეგრესული პენსიების გაცემა 1997წ. განმავლობაში ხდებოდა სოცუზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ „საქნახშირის“ დეპარტამენტის გაანგარიშების საფუძველზე, საზოგადოებიდან მოწოდებული სიების საფუძველზე თითოეული მიმღების სარჩოს ოდენობის მითითებით, ხოლო 2006 წლიდან დაზარალებულთა აღრიცხვის, სარჩოს გაანგარიშებისა და ზიანის ანაზღაურების ფუნქცია 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოებში დაეკისრა ფონდს.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ ამის შედეგად ფონდმა მოახდინა „ტყიბულნახშირის“ ხაზით სარჩოს მიმღებთა პირადი საქმეების მონიტორინგი, მათ შორის შესწავლილ იქნა მოცემულ საქმეში მოპასუხე გ. ქ-ძისათვის სარჩოს დანიშვნის კანონიერების საკითხი. საქმის შესწავლით დადგინდა, რომ ც. კ-ძე დაბადებულია 1938 წელს, რასაც ადასტურებს სოცუზრუნველყოფის ადგილობრივი განყოფილების მიერ გაცემული ცნობა. საქმეში წარმოდგენილია ც. კ-ძის მეუღლის ვ.კ-ძის საწარმოო ტრავმით გარდაცვალების მოწმობის დედანი, რომლის თანახმადაც ვ.კ-ძე გარდაიცვალა 1982 წელს. ვ.კ-ძეს გარდაცვალების დღისათვის კმაყოფაზე დარჩა მცირეწლოვანი შვილი მ. კ-ძე დაბადებული 1973წ. 27 მაისს, რომელსაც 23 წელი შეუსრულდა 1996 წელს, რის გამოც მასზე სარჩოს გაცემა შეჩერდა. ც. კ-ძემ მიმართა რა ტყიბულის სასამართლოს 1997 წელს, დაიდგინა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, რომ მეუღლის გარდაცვალების დღისათვის 1992 წელს (და არა 1982 წელს) იმყოფებოდა მის კმაყოფაზე. საქმეში არ არის წარმოდგენილი ც.კ-ძის დაბადების მოწმობა. ქორწინების მოწმობით ც.კ-ძის დაბადების თარიღია 1932 წელი, შესაბამისად, იგი როგორც 1932 წელს დაბადებული, ვერ იპოვებდა თავის წილად სარჩოს დანიშვნის უფლებას 1982წ.ათვის, რადგანაც არ იყო 50წ., ამდენად მას დასჭირდა მეუღლის გარდაცვალების თარიღის არასწორად მითითება (1992წ. ნაცვლად, 1982წ.ა).

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1964წ. სკ-ის 373-ე მუხლით ც.კ-ძე შრომისუუნაროდ ვერ ჩაითვლებოდა. გარდა ამისა, საქმეში არ არის წარმოდგენილი ვ. კ-ძის გარდაცვალების საწარმოო ტრავმასთან მიზეზობრივი კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის გამოც როგორც შვილის - მ. კ-ძის, ისე ც.კ-ძისათვის სარჩოს დანიშვნის გადაწყვეტილება კანონშეუსაბამოა. საქმეში არ მოიპოვება სარჩოს დანიშვნის გადაწყვეტილებაც, მოქმედი კანონმდებლობით კი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, თუ არსებობს სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან მიზეზობრივ კავშირში მყოფი შედეგი და მასში ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. პრეზიდენტის №48 ბრძანებულება ასევე ითვალისწინებს კმაყოფაზე მყოფი ოჯახის შრომისუუნარო წევრებისათვის ზიანის ანაზღაურებას, თუ გარდაცვალება გამოწვეულია წარმოებაში მიღებული ტრავმით.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 30 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ც. კ-ქმ და სს „ტყიბულნახშირმა“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით ც. კ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 30 მაისის გადაწყვეტილება ც. კ-ძისათვის უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხის სსიპ საქართველოს სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს გაცემული თანხის კ-ძისათვის უსაფუძვლოდ დარიცხული და მის მიერვე გაცემული თანხის სოცსუბსიდიების სააგენტოს სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ ც. კ-ქე იმყოფებოდა აწ გარდაცვლილი მეუღლის - ვ. კ-ძის კმაყოფაზე, ასევე დადგენილია, რომ ვლ. კ-ძის გარდაცვალების თარიღად მითითებულია არა 1992 წელი (როგორც ამას აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი აცხადებს, რის გამოც თავად აღნიშნულ გადაწყვეტილებას ყალბ დოკუმენტად მიიჩნევს), არამედ 1982წ. 28 ოქტომბერი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ ვ. კ-ქე ნამდვილად 1982 წელს გარდაიცვალა და ც. კ-ქე სადავო სარჩოს 1997წ. ივნისიდან ღებულობდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 1997წ. ივნისისათვის მოქმედებდა „საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ მუშებისა და მომსახურებისათვის შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესების გამოყენების შესახებ“ ინსტრუქცია, რომელიც სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1985წ. 13 თებერვლის №50/კ-2 დადგენილებით იქნა დამტკიცებული.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ც. კ-ქე, მართალია, გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირი იყო სარჩოს დანიშვნის დროისათვის და ეს სტატუსი მას ტყიბულის რაიონული სასამართლოს 1997წ. 3 აპრილის გადაწყვეტილებით მიენიჭა, მაგრამ 1997წ. „საწარმოების, დაწესებულებებისა, ორგანიზაციების მიერ მუშებისა და მომსახურებისათვის შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესების გამოყენების შესახებ ინსტრუქციის მე-8 მუხლი ზარალის ანაზღაურებისათვის დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში საკმარის პირობად არ მიიჩნევა მხოლოდ გარდაცვლილის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს, არამედ პირი ამავედროულად უნდა ყოფილიყო შრომისუუნარო.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, არ არსებობს სარჩელის მიკუთვნებითი ნაწილის (მიღებული თანხების უკან დაბრუნება) დაკმაყოფილების საფუძვლები, რადგან, საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულების 61-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხები, შეიძლება ამოღებულ იქნას უკან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე, ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემების დარღვევის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის ოდენობაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ც. კ-ქმ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება სარჩოს დანიშვნის ბრძანების კანონშესაბამოდ აღიარების ნაწილში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 1997წ. 3 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ც. ჭელიძე-კ-ძის მოთხოვნა და დადგენილ იქნა იურიდიულ მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ ც. კ-ქე იმყოფებოდა აწ გარდაცვლილი მეუღლის ვ. კ-ძის კმაყოფაზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ც. კ-ქე სადავო სარჩოს ღებულობს 1997წ. ივნისიდან.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 1997წ. ივნისისათვის მოქმედებდა „საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის შრომითი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული დასახიჩრებით ან ჯანმრთელობისათვის სხვა დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის შრომითი და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1985წ. 13 თებერვლის № 56/3-2 დადგენილება.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული დადგენილების მე-8 პუნქტის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოსარჩელე არ იყო შრომისუუნარო სადავო ბრძანებით სარჩოს დანიშვნის დროს, რადგან იგი არ იყო 55 წლის, რაც ამ დადგენილების თანახმად აუცილებელი იყო შრომისუუნარობის განსაზღვრისათვის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ც. კ-მე სადავო სარჩოს ღებულობს 1997წ. ივნისიდან.

სადავო სარჩოს დანიშვნის დროს მოქმედებდა არა „საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის შრომითი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული დასახიჩრებით ან ჯანმრთელობისათვის სხვა დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის შრომითი და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1985წ. 13 თებერვლის № 56/3-2 დადგენილება, არამედ “უბედური შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების დროებითი წესების შესახებ” 1993წ. 12 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №619 დადგენილება და „საწარმო-ორგანიზაციების მიერ საწარმოო ტრავმით გამოწვეული შრომითი დასახიჩრებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ” 1993წ. 28 ივნისის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №502 დადგენილება. აღნიშნული დადგენილებები გაუქმებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვალი №48 ბრძანებულებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა „შრომის მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი“ დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით, კერძოდ, აღნიშნული წესის 63-ე მუხლის თანახმად, შრომის მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება ამ წესების ნორმები, გარდა 22-ე, 33-ე, 34-ე, 39-ე, მე-40 პუნქტებისა.

მითითებული ნორმების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულებით დამტკიცებულ წესებს მიეცა უკუქცევითი ძალა, გარდა ზემოთ აღნიშნული პუნქტებისა.

აღნიშნული წესების 35-ე პუნქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურების უფლებით სარგებლობენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც იმყოფებიან გარდაცვლილის კმაყოფაზე ან მისი გარდაცვალების დღისათვის უფლება ჰქონდათ მისგან მიეღოთ სარჩო, შვილი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადა, აგრეთვე ერთ-ერთი მშობელი ან ოჯახის სხვა წევრი, თუ ის არსად მუშაობს და ეწევა გარდაცვლილის შვილების, ძმების, დების ან შვილიშვილების აღზრდას 18 წლის ასაკის მიღწევამდე, პირები, რომელთა შესანახად გარდაცვლილი იხდიდა ან ვალდებული იყო გადაეხადა ალიმენტი.

შრომისუუნარობად ითვლებიან: არასრულწლოვანი პირები 18 წლის ასაკამდე (სტუდენტები სასწავლებლის დამთავრებამდე, მაგრამ არა უმეტეს 23 წლის ასაკისა) ან უფრო მეტი ხნის, თუ ისინი დაინვალიდნენ 18 წლის ასაკამდე, 65 წელს გადაცილებული მამაკაცები და 60 წელს გადაცილებული ქალები. გარდაცვლილის მეუღლე ზიანის ანაზღაურების უფლებით სარგებლობს, მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა იგი.

მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ გარდაცვლილის მეუღლე ყველა შემთხვევაში სარგებლობს ზიანის ანაზღაურების უფლებით, მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა იგი, ანუ შრომისუუნარიანია თუ არა იგი.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული საფუძველით სადავო ბრძანების უკანონოდ ცნობა დაუშვებელია.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ სწორი შეფასება უნდა მისცეს საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ც. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 4 დეკემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას; საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მარჩენლის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების უფლება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-323-578-08

15 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ „სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა“ ტყიბულის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ს. გ-ისა და სს „ტყიბულნახშირის“ წინააღმდეგ და მოითხოვა ს. გ-ისათვის, მარჩენლის გარდაცვალების გამო, სარჩოს დანიშვნის შესახებ სს „ტყიბულნახშირის“ ბრძანების ბათილად ცნობა და ამ ბრძანების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოთხოვნილი სარჩოს თანხის ფონდის ანგარიშზე აღდგენა.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 27 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ს. გ-ემ და მისმა წარმომადგენელმა ნ. ბ-ემ და მოითხოვეს მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ს. გ-ისა და მისი წარმომადგენლის - ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 27 მარტის გადაწყვეტილება სს „ტყიბულნახშირის“ 2002წ. 11 ოქტომბრის №180 ბრძანების ს. გ-ისათვის მარჩენლის გარდაცვალების გამო, ზიანის ანაზღაურების სარჩოს დანიშვნის შესახებ უკანონოდ ცნობის, ს. გ-ისათვის სსიპ „საქართველოს სოც.დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ სასარგებლოდ უსაფუძვლოდ დარიცხული და მიუღებელი თანხების ანაზღაურებისა და ს. გ-ისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სარჩელი სს „ტყიბულნახშირის“ 2002წ. 11 ოქტომბრის ბრძანების №180 ს. გ-ისათვის, მარჩენლის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების სარჩოს დანიშვნის შესახებ უკანონოდ ცნობისა და ს. გ-ისათვის სსიპ „საქართველოს სოც.დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ სასარგებლოდ უსაფუძვლოდ დარიცხული და მიუღებელი თანხების ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ ს. გ-ის მეუღლე ჟ. გ-ემ 1964 წელს მიიღო საწარმოო ტრავმა და სს „ტყიბულნახშირი“ მისი ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანს უნაზღაურებდა ყოველთვიური სარჩოს სახით. 2002წ. 1 აპრილს ჟ. გ-ემ გარდაიცვალა.

სს „ტყიბულნახშირის“ 2002წ. 11 ოქტომბრის №180 ბრძანებით, მირუშა გ-ძეს დაენიშნა სარჩო მეუღლის გარდაცვალების გამო.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ აპელანტისათვის სარჩოს დასანიშნად აუცილებელი იყო მიზეზობრივი კავშირის არსებობა დამდგარ შედეგს, მარჩენლის გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტისათვის ყოველთვიური სარჩოს დანიშვნის თაობაზე სს „ტყიბულნახშირის“ ბრძანების კანონიერების შემოწმებისას რაიონულმა სასამართლომ შეცდომით გამოიყენა სკ-ის 412-ე და 992-ე მუხლები და მცდარად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება კოლიზიური იყო აღნიშნულ ნორმებთან მიმართებით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ რაიონულმა სასამართლომ შეცდომით აღიარა კანონსაწინააღმდეგოდ სს „ტყიბულნახშირის“ გადაწყვეტილება, ს. გ-ძისათვის, მარჩენლის გარდაცვალების გამო, ზიანის ანაზღაურების სახით სარჩოს დანიშვნის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიღებული თანხის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა არა სკ-ის 976-ე მუხლით, არამედ სპეციალური აქტით: 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 61-ე მუხლით, რომლის თანახმადაც ზიანის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს უკან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე; ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემთა დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ს. გ-ძისათვის თანხის დაბრუნების დავალდებულების საფუძველები არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სსიპ „სოციალური სუბსიდიების სააგენტომ“. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე, 992-ე და 976-ე მუხლები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ სსიპ „სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ს. გ-ძის მეუღლე ჟ. გ-ძემ 1964 წელს მიიღო საწარმოო ტრავმა და სს „ტყიბულნახშირის“ მისი ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების გამო ზიანს უანაზღაურებდა ყოველთვიური სარჩოს სახით. 2002წ. 1 აპრილს ჟ. გ-ძე გარდაიცვალა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სს „ტყიბულნახშირის“ ადმინისტრაციამ არ დაადგინა მიზეზობრივი კავშირი საწარმოში მიღებულ ტრავმასა და გარდაცვალების მიზეზს შორის. მიუხედავად ამისა, 2002წ. 11 ოქტომბრის №180 ბრძანებით, ს. გ-ძეს დაუნიშნა სარჩო მეუღლის გარდაცვალების გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული შემთხვევისათვის ბრძანებულება არ ითვალისწინებდა მიზეზობრივ კავშირს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ იმ დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით გათვალისწინებული ნორმების სწორი განმარტებისათვის აუცილებელია მივმართოთ ამავე ბრძანებულების პირველ პუნქტს, რომლითაც განსაზღვრულია აღნიშნული ნორმატიული აქტის რეგულირების სფერო, კერძოდ, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად, ეს წესი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, დასაქმებულ მუშაკთა შრომით მოვალეობის შესრულებისას საწარმოო ტრავმით, პროფესიული დავადებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს.

ამდენად, განსახილველი ბრძანებულების პირველი პუნქტი ითვლისწინებს დელიქტიდან წარმოშობილ სამართალურთიერთობის სამართლებრივ მექანიზმებს, რისთვისაც დამახასიათებელია დელიქტური ვალდებულებების ყველა ნიშან-თვისება.

ამ შემთხვევაში უნდა განიმარტოს რა თავისებურებები ახასიათებს ამ ნორმით მომწესრიგებელ ურთიერთობას, რაც მიგვითითებს საწარმოში მუშაკის მიერ მიღებული ზიანსა და მისი სიკვდილს შორის მიზეზობრივ კავშირის არსებობაზე.

„შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება განსაზღვრავს, რომ დამქირავებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანი შეიძლება მიადგეს არა მარტო მუშაკს, არამედ ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემთხვევაში მის კმაყოფაზე მყოფ პირებსაც, კერძოდ, ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესი განსაზღვრულია ამავე ბრძანებულების მე-2 პუნქტში, რომელიც ითვალისწინებს ზიანისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძველს, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად, დამქირავებელი მატერიალურად პასუხისმგებელია მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანისათვის, აგრეთვე, იმ საწარმოო ტრავმისათვის, რომელიც მოხდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე, სამუშაოზე ან სამუშაოს შემდეგ მგზავრობისას, დამქირავებლის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით.

ამავე ბრძანებულების მე-4 პუნქტის პირველ წინადადების თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა.

განსახილველი ნორმით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების წესი მოიცავს ყველა იმ სამართლებრივ ელემენტს, რაც გათვალისწინებულია ამავე ბრძანებულების პირველი და მე-2 პუნქტით.

როგორც განსახილველი ბრძანებულების მე-2 პუნქტი, ასევე მე-4 პუნქტის ითვალისწინებს სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ზიანის მიმყენებლისათვის იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, რომლითაც ხელყოფილ იქნა მუშაკის როგორც ჯანმრთელობა, ასევე სიცოცხლე. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს უფლებააღდგენით ფუნქციას. განსახილველ ნორმაში მოშველიებული ფრაზა „უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა“ გულისხმობს პირებს, რომლებიც წარმოადგენენ დამქირავებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედების მსხვერპლს, ანუ პირებს, რომლებსაც დამქირავებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიადგათ ზიანი (რაც გამოიხატა მარჩენლის გარდაცვალებაში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავაკვირებთ: განსახილველი ნორმა, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობისა და მისი დაკისრების ზოგად წესს, ითვალისწინებს დელიქტურ პასუხისმგებლობას, რომელიც დგება ზიანის მიყენების შედეგად, ამდენად დელიქტური პასუხისმგებლობა, როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის ერთერთი სახე, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას, რომლის სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს მიზეზშედეგობრივი კავშირი; მართლსაწინააღმდეგო ქმედება კონკრეტულ შემთხვევაში გამოიხატა დამქირავებლის მიერ ვალდებულების დარღვევაში.

კონკრეტულ შემთხვევაში განსახილველი ბრძანებულებით გათვალისწინებული პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ გარდაცვლილის კმაყოფაზე, წარმოადგენენ იმ პირებს, ვისაც ზიანი მიადგა მათი მარჩენლის გარდაცვალებით, დამქირავებლის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების შედეგად.

ამრიგად, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მიზეზშედეგობრივი კავშირი დამქირავებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის (დაზარალებულის გარდაცვალება).

აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ფაქტობრივი გარემოებები დაზარალებულის გარდაცვალებასა და დამქირავებლის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით მიყენებული ტრავმის შორის მიზეზობრივი კავშირის შესახებ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორი არ უთითებს ს. გ-მის მიერ მიღებული თანხის უკან დაბრუნების საფუძველზე, ამდენად, ამ ნაწილში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველები.

საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი ს. გ-ის მიერ მიღებული თანხის უკან დაბრუნების ნაწილში დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სსიპ „სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 21 თებერვლის გადაწყვეტილება სს „ტყიბულნახშირის 2002წ. 11 ოქტომბრის №180 ბრძანების ს. გ-ძისათვის მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების სარჩოს დანიშვნის შესახებ უკანონოდ ცნობის არ დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას; დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 21 თებერვლის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად; საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების უფლება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-319-574-08

16 ოქტომბერი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და ზედმეტად გაცემული თანხების დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ „სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა ტყიბულის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ნ. ც-ძისა და სს „ტყიბულნახშირის“ წინააღმდეგ და მოითხოვა ნ.ც-ძისათვის, მარჩენლის გარდაცვალების გამო, სარჩოს დანიშვნის სს „ტყიბულნახშირის“ ბრძანების ბათილად ცნობა და ამ ბრძანების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხების ფონდის ანგარიშზე აღდგენა.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

სასამართლომ დაადგინა, რომ ნ. ც-ძის მეუღლე, ა. ც-ძემ 1965წ. 25 ნოემბერს მიიღო საწარმოო ტრავმა თვალის არეში და გარდაიცვალა 1998წ. 18 სექტემბერს, დიაგნოზით – გულსისხლძარღვთა უკმარისობა, ათეროსკლეროზი, კარდიოსკლეროზი, რის გამოც, მარჩენლის გარდაცვალების გამო, ც-ძეს დაენიშნა სარჩო „ტყიბულნახშირის“ 1999წ. 17 მაისის №155 ბრძანებით.

სასამართლომ მიუთითა სკ-ის 992-ე და 412-ე მუხლებზე და განმარტა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენდა ზიანის გამოწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

რადგანაც არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგს, მარჩენლის გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის, სასამართლომ ნ.ც-ძისათვის სარჩოს დანიშვნა მიიჩნია უკანონოდ.

სასამართლომ ასევე მიუთითა სკ-ის 976-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე და დაადგინა, რომ მოპასუხენი ვალდებული იყვნენ მოსარჩელისათვის დაებრუნებინათ უსაფუძვლოდ მიღებული თანხა.

გადაწყვეტილებით უკანონოდ იქნა აღიარებული მოპასუხე სს „ტყიბულნახშირის“ 1999წ. 17 მაისის ბრძანება №155 ნ. ც-ძის მიმართ, მარჩენლის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების სარჩოს დანიშვნის შესახებ და ამ ბრძანებით უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხის სსიპ „საქართველოს სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ სახაზინო ანგარიშის სასარგებლოდ ანაზღაურება დაეკისრა მოპასუხე ნ. ც-ძეს.

სს „ტყიბულნახშირის“ მიმართ საქმის წარმოება შეწყდა საქართველოს სსკ-ის 272-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტისა და სკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის გამო.

სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ც-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 14 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება სს „ტყიბულნახშირის“ 1999წ. 17 მაისის №155 ბრძანების ნ. ც-ძის მიმართ მარჩენლის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების სარჩოს დანიშვნის შესახებ უკანონოდ აღიარების, ნ. ც-ძისათვის სსიპ „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ სახაზინო ანგარიშის სასარგებლოდ უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხების ანაზღაურებისა და ნ. ც-ძისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი ტყიბულნახშირის“ 1999წ. 17 მაისის №155 ბრძანების უკანონოდ აღიარებისა და ნ. ც-ძისათვის სსიპ „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ სახაზინო ანგარიშის სასარგებლოდ უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხების ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა აღნიშნულ საქმეზე რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ ნ. ც-ძის მეუღლე, ა. ც-ძემ 1965წ. 25 ნოემბერს მიიღო საწარმოო ტრავმა თვალის არეში და გარდაიცვალა 1998წ. 18 სექტემბერს, ღიაგოზით – გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა ათეროსკლეროზი, კარდიოსკლეროზი, რის გამოც სს „ტყიბულნახშირის“ 1999წ. 17 მაისის №155 ბრძანებით ნ. ც-ძეს დაენიშნა სარჩო მარჩენლის გარდაცვალების გამო.

პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტისათვის ყოველთვიური სარჩოს დანიშვნის თაობაზე სს „ტყიბულნახშირის“ ბრძანების კანონიერების შემოწმებისას რაიონულმა სასამართლომ შეცდომით გამოიყენა სკ-ის 412-ე და 992-ე მუხლები და მცდარად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება კოლიზიური იყო აღნიშნულ ნორმებთან მიმართებაში.

პალატის აზრით, სკ-ის 412-ე და 992-ე მუხლები განსაზღვრავს ზოგადად ზიანის ანაზღაურების საფუძვლებსა და წესს, მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დადგენილია კონკრეტული სამართალურთიერთობისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, ამიტომ, ეს აქტები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და, შესაბამისად, მოცემული დავა უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48-ე ბრძანებულების საფუძველზე.

პალატამ მიიჩნია, რომ 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების (2003წ. 11 სექტემბრამდე არსებული რედაქციით) შესაბამისი ნორმების მიზანი იყო შრომისუუნარო პირების სოციალური უფლებების დაცვა; იმის უზრუნველყოფა, რომ მარჩენლის გარდაცვალებას არ გამოეწვია შრომისუუნარო პირთა უსახსროდ დატოვება, რის გამოც ბრძანებულების მიხედვით, დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფ შრომისუუნარო პირებს ენიშნებოდათ სარჩო უპირობოდ, მიუხედავად დაზარალებულის გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა-არარსებობისა.

საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია ვალდებული იყო, დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფი შრომისუუნარო პირისათვის ანაზღაურებინა დაზარალებულის გარდაცვალებით მიყენებული ზიანი

მაშინაც კი, თუ დაზარალებული გარდაიცვლებოდა საწარმო ტრავმასთან უშუალოდ კავშირში არმყოფი მიზეზებით.

მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 2003წ. 11 სექტემბრის №143 ბრძანებულების შემდეგ გახდა აუცილებელი მარჩენლის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა.

2003წ. 11 სექტემბრის ბრძანებულება კი 1999 წელს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე გავლენას ვერ მოახდენდა.

შესაბამისად, პალატამ დაადგინა, რომ რაიონულმა სასამართლომ შეცდომით აღიარა კანონსაწინააღმდეგოდ სს „ტყებულნახშირის“ 1999წ. 17 მაისის №155 ბრძანება, ნ. ც-ძისათვის, მარჩენლის გარდაცვალების გამო, ზიანის ანაზღაურების სახით სარჩოს დანიშვნის თაობაზე.

ამასთან, პალატის აზრით, ბრძანების კანონსაწინააღმდეგოდ აღიარების შემთხვევაშიც გადაწყვეტილება ნ. ც-ძისათვის თანხის დაბრუნების დაკისრების ნაწილში არასწორი იყო.

პალატამ ჩათვალა, რომ მიღებული თანხის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა არა სკ-ის 976-ე მუხლით, არამედ სპეციალური აქტით, 1999წ.

9 თებერვლის №48 ბრძანებულების 61-ე მუხლით, რომლის თანახმად ზიანის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს უკან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე, ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემთა დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე. ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, არასწორად დანიშნული და გაცემული თანხის უკან დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში: თუ ანაზღაურების მისაღებად წინასწარ გამიზნულად გამოყენებულ იქნა გაყალბებული საბუთები ან გასაცემი თანხის ანგარიშში გაიპარა შეცდომა.

პალატის აზრით, მოსარჩელეს არ მიუთითებია გარემოებებზე, რაც გაცემული თანხის უკან დაბრუნების კანონით გათვალისწინებული საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, შესაბამისად, მას არ წარმოუდგენია ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებებიც.

ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ ნ. ც-ძისათვის თანხის დაბრუნების დავალდებულების საფუძველები არ არსებობდა.

პალატამ დაადგინა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 61-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და შეცდომით გამოიყენა სკ-ის 412-ე, 992-ე და 976-ე მუხლები.

აღნიშნული საფუძველებით სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში გააუქმა და გაუქმებულ ნაწილში მიიღო ახალი გადაწყვეტილება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ „საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ იმერეთის რეგიონული ცენტრის წარმომადგენელმა შ. კ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მოსაზრებით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი – საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება, ვინაიდან მოპასუხე ნ. ც-ძის მეუღლე ა. ც-ძე გარდაიცვალა 1998წ. 18 სექტემბერს, ე.ი. ბძანებულების გამოცემამდე, რომლის 35-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების საკითხი დგება მარჩენლის გარდაცვალების დღის მდგომარეობით, შესაბამისად, აღნიშნული მუხლი სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა, რადგან მას უკუქცევითი ძალა არ ჰქონდა.

კასატორის აზრით, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სკ-ის 412-ე და 492-ე მუხლები. ამასთან, მიუთითა, რომ ა. ც-ძე გულსისხლძარვთა მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა, რასაც არავითარი მიზეზობრივი კავშირი არ ჰქონდა საწარმოო ტრავმასთან.

კასატორის აზრით, სასამართლომ ასევე არ გამოიყენა იმ დროს მოქმედი მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს მიერ დამტკიცებული „საექიმო-საექსპერტო კომისიების მუშაობის შესახებ“ დებულების მე-17 მუხლის შესაბამისად, რომელიც მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობაზე მიუთითებდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ „საქართველოს

სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ იმერეთის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ №48 ბრძანებულების 2003 წლამდე მოქმედი რედაქცია 2003 წელს განხორციელებულ ცვლილებამდე არ ითვალისწინებდა მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობას გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის. აღნიშნული ბრძანებულების მე-4 პუნქტის მიხედვით, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა, ეხადა სარჩო.

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ შედეგი ნებისმიერი სხვა ფაქტორის ზემოქმედების შედეგად დადგება (სხვა პირის ბრალით, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან თუ ფორსმაჟორული გარემოებიდან გამომდინარე) და ის არ იქნება მიზეზობრივ კავშირში პირის კანონსაწინააღმდეგო განზრახ ან გაუფრთხილებელ ქმედებასთან, პირი გათავისუფლდება ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან. მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მხოლოდ იმ პირს, ვისი ქმედების გამოც დადგა კანონსაწინააღმდეგო შედეგი. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი ისაა, რომ ზიანი უნდა წარმოადგენდეს ზიანის გამოწვევი ქმედების უშუალო შედეგს. ზიანი როგორც არ უნდა იყოს სავარაუდო წინასწარ, თუ იგი პირის უშუალო მოქმედებით ან უმოქმედობით არ იქნება გამოწვეული, ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, ანუ რომ არა ეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი არ დადგებოდა.

მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობას ითვალისწინებდა ადრე მოქმედი კანონმდებლობაც. აღნიშნულს მოწმობს მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992წ. 29 აპრილის დადგენილება, რომლის თანახმადაც შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკისათვის მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ ორგანიზაციამ, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა მხოლოდ ამ ორგანიზაციის ბრალის არსებობის შემთხვევაში და მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, მიყენებულია თუ არა ზიანი ამ ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის გარეთ. მოცემული დადგენილებისა და ზიანის მიყენების დროს მოქმედი სკ-ის საფუძველზე სახელმწიფო დაზარალებული გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირებს, რომელთა წრესაც განსაზღვრავს სამოქალაქო სამართლოს კოდექსის 473-ე მუხლი (1964წ. რედაქცია), სარჩოს დაუნიშნავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულის გარდაცვალება გამოწვეულია საწარმოო ტრავმით და არა ნებისმიერი სხვა გარემოებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მიყენებულ საწარმოო ტრავმასა და დაზარალებულის გარდაცვალებას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო თავისუფალი იქნება პასუხისმგებლობისაგან, შესაბამისად, დაუსაბუთებელია სასამართლოს მოსაზრება, №48 ბრძანებულების 2003 წლამდე მოქმედი რედაქციის მე-4 პუნქტში 2003 წელს განხორციელებულ ცვლილებამდე, ბრძანებულება არ ითვალისწინებდა მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობას გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ, თუ პირის გარდაცვალების ფაქტი დაკავშირებული არ არის საწარმოო ტრავმასთან, ორგანიზაციის პასუხისმგებლობა გამორიცხულია და, შესაბამისად, არც გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის სარჩოს დანიშვნის ვალდებულება არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სს „ტყიბულნახშირის“ 1999წ. 17 მაისის №155 ბრძანების უკანონოდ აღიარების შესახებ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში უნდა გაუქმდეს, რადგანაც საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს მიზეზობრივი კავშირი ა. ც-ძისათვის მიყენებულ საწარმოო ტრავმასა და მის გარდაცვალებას შორის. აღნიშნული საკითხის გამორკვევისას სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის დანაწესების (მე-4. 102-ე მუხლების) შესაბამისად, უნდა განსაზღვროს მტკიცების ტვირთი.

რაც შეეხება ნ. ც-ძისათვის სსიპ „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ სახაზინო ანგარიშის სასარგებლოდ უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხების ანაზღაურების შესახებ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში, გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად და ამ ნაწილში სსიპ – „საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან კასატორის მიერ არ არის წამოყენებული დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია. კასატორი ვერ მიუთითებს იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესების 61-ე პუნქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს უკან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე, ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემების დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე. კასატორი ვერ მიუთითებს გარემოებებზე, რაც გაცემული თანხის დაბრუნების კანონით გათვალისწინებული საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, შესაბამისად, მას არ წარმოუდგენია ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებანი, რის გამოც ნ. ც-ძისათვის თანხის დაბრუნების დავალებულების საფუძველი არ არსებობდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე, 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სსიპ „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 14 თებერვლის გადაწყვეტილება, ნ. ც-ძისათვის მარჩენლის გარდაცვალების გამო, სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების კანონშესაბამოდ აღიარების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;

სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ც-ძისათვის უსაფუძვლოდ დარიცხული და გაცემული თანხების მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩეს უცვლელი;

საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მარჩენლის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების უფლება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-617-842-08

10 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, ზედმეტად გადახდილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ „სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების – ლ. გ-ძისა და სს „ტყობულნახშირის“ გაკოტრების მმართველის მიმართ, მარჩენლის გარდაცვალების გამო სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და ზედმეტად

გადახდილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დაბრუნების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო: „საქნახშირის“ დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995წ. 15 ოქტომბრის №429-ა ბრძანებულებისა და „საქართველოს 1997წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის საფუძველზე 1992 წლამდე „საქნახშირის“ სისტემის შახტაში მომხდარი ავარიების შედეგად დასახინჩრებული და დაავადებული მუშაკების რეგრესულ პენსიებს 1997წ. განმავლობაში გასცემდა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი დეპარტამენტ „საქნახშირის“ გაანგარიშების საფუძველზე. 2006 წლიდან „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 და სსიპ „საქართველოს სოციალური დაცვის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ ჩამოყალიბების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2002წ. 31 დეკემბრის №558 ბრძანებულებებში ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, დაზარალებულთა აღრიცხვის სარჩოს გაანგარიშებისა და ზიანის ანაზღაურების ფუნქცია სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში დაევალა მოსარჩელეს, რომელმაც მონიტორინგის შედეგად გამოავლინა სარჩოს დანიშვნის თაობაზე კანონსაწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, საწარმოო ტრავმით დაზარალებული და 1999წ. 10 ნოემბერს გარდაცვლილი უ. გ-ძის მეუღლე ლ. გ-ძისათვის სს „ტყიბულნახშირის“ ადმინისტრაციის მიერ 2000წ. 2 თებერვლის №33 ბრძანებით 1999წ. 10 ნოემბრიდან უკანონოდ დანიშნული ყოველთვიური სარჩო. 1996 წლიდან მოპასუხე იღებდა ინვალიდობის პენსიას, თუმცა აღნიშნული პერიოდის შემდეგ ლ.გ-ძის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ შემოწმების დოკუმენტი საქმეში წარმოდგენილი არ არის. ამდენად, № 48 ბრძანებულების 35-ე მუხლით შესაბამისად, მას სარჩო არ უნდა დანიშვნოდა. სადავო ბრძანება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

მოპასუხემ ლ.გ-ძემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 1981წ. დეკემბერში ტყიბულის ლენინის სახელობის შახტაში მუშაობის დროს მოპასუხის მეუღლე უ. გ-ძემ მიიღო საწარმოო ტრავმა და დაინვალიდა. 1996 წლიდან ლ. გ-ძე ცნობილ იქნა ინვალიდად, დაენიშნა პენსია და იმყოფებოდა მეუღლის კმაყოფაზე. 1999 წელს უ.გ-ძე გარდაიცვალა და სს „ტყიბულნახშირის“ სადავო ბრძანებით მოპასუხეს, მარჩენალის გარდაცვალების გამო, სავსებით სწორად დაენიშნა ყოველთვიური სარჩო. დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ლ.გ-ძე №48 ბრძანებულების პირველი თავის მეოთხე პუნქტით გათვალისწინებულ გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირს წარმოადგენდა. მოპასუხე სს „ტყიბულნახშირის“, სადავო სარჩოს დანიშვნისას, ლ.გ-ძის ინვალიდობის 1996წ. შემდგომ პერიოდში გადამოწმების დამადასტურებელი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს შემოწმების აქტის წარდგენა არ მოუთხოვია, წინააღმდეგ შემთხვევაში ლ.გ-ძე მას წარადგენდა. რაც შეეხება უ. გ-ძის გარდაცვალების მიზეზსა და მის მიერ მიღებულ ტრავმას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას, აღნიშნულის დასადგენად მიზანშეწონილია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007წ. 30 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს 2007წ. 25 ოქტომბრის განჩინებით საქმეში სსიპ „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება სსიპ „საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტო“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 20 მაისის განჩინებით სსიპ „საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა, რომ 1981 წელს ლ.გ-ძის მეუღლე უ. გ-ძემ მიიღო საწარმოო ტრავმა და წლების განმავლობაში იმყოფებოდა სამედიცინო ზედამხედველობის ქვეშ. 1999წ. 10 ნოემბერს უ.გ-ძე გარდაიცვალა. სს „ტყიბულნახშირის“ 2000წ. 2 თებერვლის №33 ბრძანებით ლ.გ-ძეს, მარჩენალის გარდაცვალების გამო, დაენიშნა სარჩო. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ლ.გ-ძისათვის სარჩოს დანიშვნისას აუცილებელი იყო მიზეზობრივი კავშირის არსებობა მარჩენალის გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის. პალატამ მიიჩნია, რომ მარჩენალის გარდაცვალების გამო შრომისუუნარო პირებისათვის სარჩოს დანიშვნის წესს განსაზღვრავდა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება, რომლის მიზანს წარმოადგენდა შრომისუუნარო პირების სოციალური უფლებების დაცვა, რათა მარჩენალის გარდაცვალების შედეგად მის კმაყოფაზე მყოფი შრომისუუნარო პირები უსახსროდ არ

დარჩენილიყვენ, ამდენად, სწორედ აღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფ შრომისუუნარო პირებს უპირობოდ ენიშნებოდათ სარჩო დაზარალებულის გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საწარმო ვალდებული იყო, დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფი შრომისუუნარო პირებისათვის დაენიშნა სარჩო დაზარალებულის გარდაცვალების მიზეზის გაუთვალისწინებლად. სასამართლოს მითითებით, სადავო მიზეზობრივი კავშირის არსებობა აუცილებელი გახდა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 2003წ. 11 სექტემბრის №443 ბრძანებულების მიღების შემდეგ, რომელსაც უკუქცევითი ძალა ვერ მიენიჭება და სადავო ურთიერთობაზე ვერ გავრცელდება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სსიპ „საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სადავო სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ სრულად არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში დასახელებულ გარემოებებზე. პალატამ არ გამოიყენა ლ.გ-ძისათვის სარჩოს დანიშვნის დროს მოქმედი საქემო-საექსპერტო კომისიის დებულების მე-17 მუხლი, რომლითაც კომისიას ევალებოდა, გარდაცვლილი მარჩენალის ოჯახის წევრისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას დაედგინა მიზეზობრივი კავშირის არსებობა მარჩენალის გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ „საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებას, თუმცა გადაწყვეტილება არსებითად სწორია, ამასთან, აღნიშნულ გარემოებაზე სათანადოდ იმსჯელა და კანონიერად შეაფასა პირველი ინსტანციის სასამართლომ, კერძოდ:

მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა რა მოპასუხე ლ.გ-ძის მეუღლე უ.გ-ძის საწარმოო ტრავმასა და გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირი, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაასაბუთა ამგვარი კავშირის არსებობა. ამავდროულად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულება 2003წ. ცვლილებებამდე გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფთათვის სარჩოს დასანიშნად მიზეზობრივი კავშირის არსებობის საგადასაბუთებლობას არ ითვალისწინებდა და აღნიშნული საგადასაბუთებლო გახდა 2003 წელს №48 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, რაც სადავო ურთიერთობაზე ვერ გავრცელდება, შესაბამისად, მიიჩნია, რომ დავაზე მიზეზობრივი კავშირის დადგენა საჭირო არ იყო. ამასთან, საკასაციო პალატა გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებისას ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ძალაში დატოვა მისი გადაწყვეტილება ფაქტობრივი დასაბუთების კუთხით და შეცვალა მხოლოდ მისი სამართლებრივი შეფასება. აღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, არ გააუქმოს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება, ვინაიდან იგი არსებითად სწორია და სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ძალაშია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება მიზეზობრივი კავშირის დადგენის შესახებ.

საკასაციო სასამართლო, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივარს უსაფუძვლოდ მიიჩნევს, ვინაიდან მოცემულ დავაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სრულად და ობიექტურად გამოკვლეულ იქნა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მიზეზობრივ კავშირს უ.გ-ძის საწარმოო ტრავმასა და გარდაცვალებას შორის. აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს არც სააპელაციო და არც საკასაციო საჩივარში პრეტენზია არ განუცხადებია. სსკ-ის 404-

ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და მისი დაკმაყოფილების კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება საწარმოო ტრავმებთან დაკავშირებულ დავებზე მიზეზობრივ კავშირის არსებობის საკითხს, საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს შემდეგს:

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს ზიანის ანაზღაურების საფუძვლიანობის განმსაზღვრელი ისეთი აუცილებელი პირობების არსებობა, როგორცაა მართლწინააღმდეგობა, ზიანი, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ შედეგი ნებისმიერი სხვა ფაქტორის ზემოქმედების შედეგად დადგება (სხვა პირის ბრალით, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან თუ ფორსმაჟორული გარემოებიდან გამომდინარე) და ის არ იქნება მიზეზობრივ კავშირში პირის კანონსაწინააღმდეგო განზრახ ან გაუფრთხილებელ ქმედებასთან, პირი გათავისუფლდება ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან. მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მხოლოდ იმ პირს, ვისი ქმედების გამოც დადგა კანონსაწინააღმდეგო შედეგი. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი ისაა, რომ ზიანი უნდა წარმოადგენდეს ზიანის გამომწვევი ქმედების უშუალო შედეგს. ზიანი როგორცაა არ უნდა იყოს სავარაუდო წინასწარ, თუ იგი პირის უშუალო მოქმედებით ან უმოქმედობით არ იქნება გამოწვეული, ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა გამორიცხულია ანუ, რომ არა ეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი არ დადგებოდა.

მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობას ითვალისწინებდა ადრე მოქმედი კანონმდებლობაც. აღნიშნულს მოწმობს მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992წ. 29 აპრილის დადგენილება, რომლის თანახმადაც შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაუროს იმ ორგანიზაციამ, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა მხოლოდ ამ ორგანიზაციის ბრალის არსებობის შემთხვევაში და მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, მიყენებულია თუ არა ზიანი ამ ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის გარეთ. მოცემული დადგენილებისა და ზიანის მიყენების დროს მოქმედი სკ-ის საფუძველზე სახელმწიფო დაზარალებული გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირებს, რომელთა წრესაც განსაზღვრავს სამოქალაქო სამართლოს კოდექსის 473-ე მუხლი (1964წ. რედაქცია) სარჩოს დაუნიშნავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულის გარდაცვალება გამოწვეულია საწარმოო ტრავმით და არა ნებისმიერი სხვა გარემოებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მიყენებულ საწარმოო ტრავმასა და დაზარალებულის გარდაცვალებას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო თავისუფალი იქნება პასუხისმგებლობისაგან, შესაბამისად, დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, №48 ბრძანებულების 2003 წლამდე მოქმედი რედაქციის მე-4 პუნქტში 2003 წელს განხორციელებულ ცვლილებამდე, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობას გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ, თუ პირის გარდაცვალების ფაქტი დაკავშირებული არ არის საწარმოო ტრავმასთან, ორგანიზაციის პასუხისმგებლობა გამორიცხულია და, შესაბამისად, არც გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის სარჩოს დაუნიშვნის ვალდებულება არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სსიპ „საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 22 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მიზეზობრივი კავშირი ჯანმრთელობის დაზიანებასა და შრომითი უსაფრთხოების წესების დაუცველობას შორის

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-407-653-08

7 ოქტომბერი, 2008წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სარჩოს დანიშვნა და დამატებითი ხარჯების ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2006წ. 7 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. ნ-ძემ მოპასუხე შპს „მეტროპოლიტენის“ (ამჟამად შპს „თბილისის მეტროს“) მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის სარჩოს სახით ყოველთვიურად 827 ლარის, ხოლო 2006წ. თებერვლიდან მოთხოვნის აღძვრამდე ერთდროულად 8970 ლარის, ასევე მკურნალობის ხარჯების – თვეში 100 ლარისა და სარჩელის აღძვრამდე ერთდროულად 1000 ლარის ანაზღაურება.

სასარჩელო განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ ქ. ნ-ძე 1967 წლიდან მუშაობდა თბილისის მეტროპოლიტენში მატარებლის მემანქანედ. 2000 წელს მის მიერ შრომითი მოვალეობის შესრულებისას მოხდა უბედური შემთხვევა, კერძოდ, მეტროსადგურ „ელექტროდეპოში“ შესვლისას მატარებლის მგზავრი თვითმკვლელობის მიზნით ლიანდაგში ჩავარდა და ადგილზე გარდაიცვალა. აღნიშნული შემთხვევის დროს მიღებული სტრესის შედეგად მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, რაც დასტურდება ყოველწლიური სამედიცინო გამოკვლევებით.

2005წ. 12 ივნისს ქ. ნ-ძემ სადგურ „ახმეტელის“ ჩიხიდან მატარებლის გამოყვანისას სადგურის ბაჟნის დასაწყისში მზლუდავ ღობესთან შენიშნა მოქალაქე, რომელიც გადადიოდა უგაბარითო ადგილზე (ღობის გარედან). მოსარჩელემ მისცა ხმოვანი სიგნალი და დაიწყო დამუხრუჭება, ამის მიუხედავად მოხდა შეჯახება, რის შედეგადაც მოქალაქემ მიიღო სხეულის დაჟეჟილობა ნეკნებისა და ჭ-შ არეში. მითითებულმა ფაქტმა ქ. ნ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.

2005წ. 13 ივნისიდან მოსარჩელე უშედეგოდ მკურნალობდა საავადმყოფოში პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ქრონიკული მიმდინარეობის დიაგნოზით. ზემოაღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით შედგა უბედური შემთხვევის აქტი.

2006წ. 16 თებერვალს შპს „თბილმეტროპოლიტენის“ გაერთიანებული ელდებოს უფროსმა წერილობით მიმართა თბილისის სპეციალიზებულ ფსიქიატრიულ სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს ქ. ნ-ძისათვის საწარმოო ტრავმის გამო ჯანმრთელობის დაზიანების პროცენტის, ხარისხის დასადგენად, რათა განესაზღვრათ საპენსიო განაკვეთი. აღნიშნული შემოწმების შედეგად მოსარჩელე 2005წ. 12 ივნისს მიღებული შრომითი ტრავმის გამო ცნობილ იქნა მე-2 ჯგუფის ინვალიდად 70% შრომისუნარიანობის დაკარგვით, უვადოდ. მოსარჩელის მითითებით, აღნიშნულის საფუძველზე, იგი სამუშაოსათვის უვარგისად მიიჩნეეს და სამსახურიდან გაათავისუფლეს. ამასთან, აცნობეს, რომ მისთვის პენსია უნდა გადაეხადა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. თავის მხრივ, სამინისტრომ განუმარტა, რომ შრომითი მოვალეობის შესრულებისას საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანი იმ დაწესებულებას უნდა აენაზღაურებინა, სადაც პირმა დაზიანება მიიღო, შპს „მეტროპოლიტენისათვის“ არაერთგზის მიმართვებს კი შედეგი არ მოჰყოლია.

სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“

მე-4, მე-11, მე-16, 24-ე პუნქტებზე და განმარტა, რომ დაზარალებულს ზიანი უნდა აუნაზღაუროდეს ყოველთვიური სარჩოს გადახდით იმ ვადით, რა ვადითაც დადგენილი აქვს შრომის უნარის ხარისხის დაკარგვა. განმეორებით საწარმოო ტრავმის შემთხვევაში, თუ ზიანი მიყენებულია ერთსა და იმავე დამქირავებლის მუშაობისას, ყოველთვიური სარჩოს ოდენობა გაიანგარიშება შრომის უნარის ხარისხის დაკარგული საერთო პროცენტიდან, რომელიც შეჯამებულია ორივე საწარმოო ტრავმის შედეგად. დამქირავებელი ვალდებულია ყოველთვიური სარჩოს გარდა დაზარალებულს აუნაზღაუროს დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006წ. 12 დეკემბრის განჩინებით ქ. ნ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

მოპასუხე შპს „თბილისის მეტრომ“ სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით, 2005წ. 12 ივნისს მომხდარი უბედური შემთხვევის ფაქტი სადავო არ იყო, მაგრამ საყურადღებოს წარმოადგენდა ამ ფაქტთან დაკავშირებით წარმოებაში შედგენილი უბედური შემთხვევის შესახებ აქტის შინაარსი, რომელშიც მითითებულია შემდეგი: „მოქალაქე ნასვამ მდგომარეობაში ძვრებოდა გადატიხრულ ადგილზე გვირაბისკენ“. მოპასუხის აზრით, აღნიშნული მითითება ნათელს ხდიდა შპს „თბილისის მეტროს“ მხრიდან უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესებულ აკრძალვას, რაც მოქალაქის ბრალეული მოქმედებით იყო დარღვეული. გარდა ამისა, ქ. თბილისის მერის 1994წ. 17 ივნისის №74 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მეტროპოლიტენით სარგებლობის წესები“ კრძალავდა მეტროპოლიტენში ნასვამ მდგომარეობაში შესვლას, ბაქნის კიდესთან არსებულ შემზღულველ ხაზს იქით გადასვლას, ლიანდაგებზე ჩასვლას, ლიანდაგებზე სიარულს და ა.შ. მოპასუხემ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-5 პუნქტზე, რომლის მიხედვით, მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ითვლება დამქირავებლის ბრალეულობით, თუ იგი მოხდა მისგან შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესების, ნორმებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა უგულვებელყოფით ან არასათანადო შესრულებით. მოცემულ შემთხვევაში უბედური შემთხვევის ფაქტთან დაკავშირებით შედგენილ დოკუმენტაციაში საწარმოს ბრალი არ იკვეთებოდა. განმეორებითი საწარმოო ტრავმის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხემ აღნიშნა, რომ 2000 წელს მომხდარი უბედური შემთხვევიდან გასული იყო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. ამასთან, დასახელებულ შემთხვევაშიც შპს „თბილისის მეტროს“ ბრალეულობა არ იყო დადგენილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 29 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. ნ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საქალაქო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის პერიოდში მოქმედი „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48-ე ბრძანებულების გამოყენება. აღნიშნული ბრძანებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანი უნდა აუნაზღაუროს იმ დამქირავებელმა, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა, ამ უკანასკნელის ბრალის შემთხვევაში. ამავე ბრძანებულების მე-5 პუნქტის თანახმად, მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ითვლება დამქირავებლის ბრალეულობით, თუ იგი მოხდა მისგან შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესების, ნორმებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა უგულვებელყოფით ან არასათანადო შესრულებით. კანონის დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, მოპასუხეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკისრებოდა ვალდებულება, თუ 2005 წელს მომხდარი უბედური შემთხვევა მისი ბრალით იქნებოდა გამოწვეული. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს 1997წ. 4 აპრილის №39 ბრძანებით დამტკიცებული „წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და აღრიცხვის დებულების“ შესაბამისად, უბედური შემთხვევის ფაქტი, უბედური შემთხვევის კავშირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან და უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზები უნდა დადასტურებულიყო უბედური შემთხვევის აქტის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისიის 2005წ. 13 ივნისის ტ-1 ფორმის №4 აქტით დგინდებოდა, რომ 2005 წელს მომხდარი უბედური შემთხვევა არ

იყო გამოწვეული მოპასუხის ბრალით, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

განმეორებითი ტრავმის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა საქალაქო სასამართლომ ხანდაზმულად მიიჩნია იმ საფუძველზე, რომ 2000 წელს მომხდარი უბედური შემთხვევიდან ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა გასული იყო. ამასთან, საწარმოს ბრალი არც აღნიშნულ შემთხვევაში იყო დადგენილი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ნ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ყოველთვიურად სარჩოს სახით 395 ლარის, ხოლო დამატებითი ხარჯების სახით 100 ლარის ანაზღაურება, შემდეგი საფუძველებით:

„თბილისის მეტროპოლიტენით სარგებლობის წესები“, მართალია, კრძალავს მეტროპოლიტენში ნასვამ მდგომარეობაში შესვლას, აღნიშნული წესები გამოკრულია ვაგონებზე და სავალდებულოა შესასრულებლად, მაგრამ ეს სრულიად არასაკმარისია წესების დაცვის უზრუნველსაყოფად. შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ 2000წ. ინსტრუქციის 3.5.1 პუნქტის თანახმად, სამსახურების და ქვედანაყოფების უფროსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენდა „მეტროპოლიტენის“ დაცვის პოლიციის ორგანოებთან ერთობლივად ზომების განხორციელება მეტროპოლიტენში მოქმედი წესების დარღვევის აღსაკვეთად და სადგურებსა და მატარებლებში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში მგზავრის მიერ დარღვეული ინსტრუქციის წესების აღკვეთა მეტროპოლიტენის პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენდა. სათანადო კონტროლისა და უსაფრთხოების წესების დაცვის შემთხვევაში მოქალაქისათვის აკრძალულ ადგილზე უბედური შემთხვევა არ დადგებოდა. აპელანტი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას განმეორებითი ტრავმის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისად სასამართლოს მეორე შემთხვევის დადგომის დრო – 2005 წელი უნდა მიეჩნია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 17 დეკემბრის განჩინებით ქ. ნ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 29 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-3 და მე-5 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანი უნდა აუნაზღაუროს იმ დამქირავებელმა, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა, ამ უკანასკნელის ბრალის შემთხვევაში. მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ითვლება დამქირავებლის ბრალეულობით, თუ იგი მოხდა მისგან შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესების, ნორმებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა უგულვებელყოფით ან არასათანადო შესრულებით.

მოცემულ შემთხვევაში საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისიის 2005წ. 13 ივნისის ტ-1 ფორმის №4 აქტი სააპელაციო სასამართლომ უბედური შემთხვევის დადგომაში მოპასუხის ბრალის არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებად არ მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შპს „თბილისის მეტროს“ მხრიდან არც „ქ. თბილისის მეტროპოლიტენში მგზავრებთან მომხდარი უბედური შემთხვევებისას გამოკვლევის ჩატარების, მათი აღრიცხვიანობის და მეტროპოლიტენის თანამშრომელთა მოქმედების წესების შესახებ“ ინსტრუქციის 3.5.1 პუნქტის მოთხოვნის დარღვევას ჰქონია ადგილი, რამდენადაც ქ. თბილისის მერიის 1994წ. 17 ივნისის №74 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მეტროპოლიტენით სარგებლობის წესები“, რომლითაც მგზავრებს ეკრძალებოდათ არაფხიზელ მდგომარეობაში მეტროპოლიტენის სადგურებში შესვლა და მატარებლით მგზავრობა, ბაქნის კიდესთან არსებულ შემზღვეველ ხაზს იქით გადასვლა, ლიანდაგებზე ჩასვლა და სხვა, გამოკრული იყო მატარებლის ყველა ვაგონზე, თვალსაჩინო ადგილას და სავალდებულო იყო შესასრულებლად ყველა მგზავრისათვის. ამასთან, უბედური შემთხვევის აქტში აღნიშნული შემზღვეველი ღობის არსებობა თავისთავად გულისხმობდა შპს „თბილისის მეტროს“ მხრიდან უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესებულ აკრძალვას, რაც მოქალაქემ დაარღვია.

განმეორებითი ტრავმის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ 2000 წელს მომხდარი უბედური შემთხვევა საწარმოო ტრავმად ვერ

ჩაითვლებოდა, რამდენადაც მის დადგომაში საწარმოს ბრალი არ დგინდებოდა. ამასთან, აღნიშნული შემთხვევის შედეგად ქ. ნ-ძეს შრომის უნარი არ დაუკარგავს.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ნ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, 2005წ. 12 ივნისიდან სარჩოს სახით მოპასუხისათვის ყოველთვიურად 395 ლარის, ასევე დამატებითი ხარჯების სახით 100 ლარის დაკისრება, შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ სადავო შემთხვევაში შპს „თბილისის მეტროს“ მხრიდან შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესების, ნორმებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნები დარღვეულად არ მიიჩნია და ჩათვალა, რომ უბედური შემთხვევა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მგზავრის მიერ თბილისის მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დარღვევამ გამოიწვია. ამგვარი დასკვნით სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო ის გარემოება, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მგზავრი ესკალატორამდე, ბაქნამდე ან ვაგონამდე არ უნდა მივიდეს, რადგან მისი არაადეკვატური ქმედება უბედურ შემთხვევას არ გამოორიცხავს. ასეთ მგზავრებზე კონტროლის დაწესება მეტროპოლიტენის სადგურის შესაბამის თანამშრომელთა მოვალეობაა, რაც მოცემულ შემთხვევაში მათი დაუდევრობის გამო არ განხორციელებულა და რამაც უბედური შემთხვევის დადგომა განაპირობა. კასატორმა ასევე მიუთითა, რომ მან შრომისუნარიანობა დაკარგა 2005წ. 12 ივნისის უბედური შემთხვევის შედეგად და არა 2000 წელს, როგორც ეს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა აღნიშნეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 17 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებებია:

მოსარჩელე ქ. ნ-ძე მუშაობდა შპს „თბილისის მეტროპოლიტენში“ (ამჟამად შპს „თბილისის მეტრო“) მატარებლის მემანქანედ.

2000 წელს მეტროს სადგურში მოხდა უბედური შემთხვევა, როდესაც მატარებელს მართავდა ქ. ნ-ძე, თვითმკვლელობის მიზნით ლიანდაგში ჩავარდა მგზავრი, რომელიც ადგილზევე გარდაცვალა.

2005წ. 12 ივნისს მეტროს სადგურ „ახმეტელის თეატრის“ ჩიხიდან გამოსვლისას სადგურის ბაქანის დასაწყისში შემზღულდავ ლობესთან მემანქანე ქ. ნ-ძემ შენიშნა მოქალაქე, რომელიც გადადიოდა უგაბარიტო ადგილას – ლობის გარედან. ქ. ნ-ძემ დაიწყო დამუხრუჭება, მაგრამ მატარებლის სარკე მოედო მოქალაქეს და გადააგდო ბაქანზე, რის შედეგადაც მოქალაქემ მიიღო სხეულის დაჟეჟილობა.

აღნიშნული უბედური შემთხვევის თაობაზე თბილისის მეტროპოლიტენის მიერ 2005წ. 12 ივნისს შემდგარ აქტში უბედური შემთხვევის მიზეზად მიეთითა შემდეგი: „მოქალაქე ნასვამ მდგომარეობაში ძვრებოდა გადატიხრულ ადგილზე გვირაბისკენ. გამოძავალმა მატარებელმა გაჰკრა სარკე და გადმოაგდო ბაქანზე“. ამავე შემთხვევის თაობაზე 2005წ. 13 ივნისს შემდგარ აქტში უბედური შემთხვევის მიზეზად ასევე მითითებულია მოქალაქის მიერ აკრძალულ ზონაში მოხვედრა.

დადგენილია, რომ 2005წ. 12 ივნისს მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ განაპირობა მემანქანე ქ. ნ-ძის სულიერი აშლილობა. 2005წ. 13 ივნისიდან იგი მკურნალობას გადიოდა სს „მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში“ დიაგნოზით: პოსტტრამატიული სტრესული აშლილობა ქრონიკული მიმდინარეობით, მნიშვნელოვნად გამოხატული ასთენო-დეპრესიული სინდრომი. 2006წ. 16 თებერვალს ქ. თბილისის სპეციალური ფსიქიატრიული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ ქ. ნ-ძეს მიენიჭა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი – ინვალიდობის მე-2 ჯგუფი, უვადოდ, პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი განესაზღვრა 70%-ით.

2006წ. 23 თებერვლის ბრძანებით ქ. ნ-ძე გათავისუფლდა სამუშაოდან.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ არ დგინდებოდა უბედური შემთხვევის დადგომაში შპს „თბილისის მეტროს“ ბრალი, რაც ამ შემთხვევის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-3 და მე-5 პუნქტების თანახმად ზიანის ანაზღაურების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ 2005წ. 12 ივნისის უბედური შემთხვევის დადგომაში შპს „თბილისის

მეტროს“ ბრალი გამოირიცხა იმის გამო, რომ შპს-ს მხრიდან დაცული იყო უსაფრთხოების ზომები შემზღვეველი ღირებულების სახით აკრძალვის დაწესების გზით, რაც დაარღვია მოქალაქემ. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მეტროპოლიტენით სარგებლობის წესები, რომლის თანახმად მგზავრს ეკრძალება არაფხიზელ მდგომარეობაში მეტროპოლიტენის სადგურში ჩასვლა და მატარებლით მგზავრობა, ბაქნის კიდესთან არსებულ შემზღვეველ ხაზს იქით გადასვლა, ლიანდაგზე ჩასვლა და სხვა, გამოკრულია მატარებლის ყველა თვალსაჩინო ადგილას და იგი სავალდებულოა ყველა მგზავრისთვის. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში თბილისის მეტროს ბრალი გამოირიცხება და მას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა აღნიშნულის გამო. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას არ იზიარებს.

სადავო არ არის, რომ მგზავრს ევალება მეტროპოლიტენით მგზავრობის წესების დაცვა, კერძოდ, მგზავრი არ უნდა შევიდეს აკრძალულ ზონაში, მით უმეტეს, როდესაც ეს ზონა შემოსაზღვრულია. ამ შემთხვევაში სადავოა ის გარემოება, თუკი მგზავრი დაარღვევს მგზავრობის წესებს და შევა აკრძალულ ზონაში, ევალება თუ არა ამაზე კონტროლი მეტროპოლიტენს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ მეტროპოლიტენი ქვეყანაში ერთ-ერთი სტრატეგიული სატრანსპორტო დაწესებულებაა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება და კონტროლია საჭირო მგზავრთა მიერ აკრძალული ქმედებების ჩადენის აღსაკვეთად და მგზავრობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამასთან დაკავშირებით „ქ. თბილისის მეტროპოლიტენში მგზავრებთან მომხდარი უბედური შემთხვევებისას გამოკვლევის ჩატარების, მათი აღრიცხვიანობის და მეტროპოლიტენის თანამშრომელთა მოქმედების წესების შესახებ“ შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ ინსტრუქციის 3.5.2 მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს, რომ მეტროპოლიტენის სამსახურების და ქვედანაყოფების უფროსები ვალდებული არიან, გამოირიცხონ უცხო პირების მოხვედრის შესაძლებლობა სავალ ლიანდაგებსა და გვირაბებში და ამით უზრუნველყონ მატარებლის უსაფრთხო მოძრაობა და მგზავრობის უსაფრთხოება. ამდენად, მეტროპოლიტენის ადმინისტრაციის პირდაპირი ვალდებულებაა, გამოირიცხოს უცხო პირთა მოხვედრის შესაძლებლობა გვირაბში და უზრუნველყოს მატარებლის უსაფრთხო გადაადგილება. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით მგზავრთა მიერ აკრძალული ზონის გადალახვის, გვირაბში მოხვედრისა და აკრძალული ქმედებების ჩადენის უკონტროლობას, რაც მეტროპოლიტენის ფუნქციონირებისა და მგზავრობის უსაფრთხოებისათვის დამღუპველია. შრომის კანონთა კოდექსის 139-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რომელიც მოქმედებდა უბედური შემთხვევის დადგომის პერიოდში, ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა ეკისრება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას. ახალი, 2006წ. 25 მაისის შრომის კოდექსის 35-ე მუხლის პირველი ნაწილი ასევე ითვალისწინებს, რომ დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. მოცემულ შემთხვევაში მეტროპოლიტენის მხრიდან დარღვეულია სწორედ ეს ვალდებულება, კერძოდ, მან ვერ უზრუნველყო ქ. ნ-ძისათვის შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა, მატარებლის უსაფრთხო გადაადგილება, რომელსაც მართავდა მემანქანე ქ. ნ-ძე, რამაც ქ. ნ-ძის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „თბილისის მეტროს“ ბრალი მოცემულ შემთხვევაში და არსებობს მიზეზობრივი კავშირი ქ. ნ-ძის მიერ ჯანმრთელობის დაზიანებასა და შპს „თბილისის მეტროს“ მიერ შრომის უსაფრთხოების წესების სათანადოდ დაუცველობას შორის.

რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს, გარდა ბრალეულობისა, არსებითად არ უმსჯელია მოთხოვნის საფუძვლიანობის სხვა საკითხებზე და არც ამასთან დაკავშირებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები დაუდგენია, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, თავად გამოიტანოს საქმეზე გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 17 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

12. შრომითი მოვალეობს შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-855-1168-07

24 აპრილი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
მ. ცისკაძე (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ერთჯერადი დახმარების ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

პ. ბ-ბემ 2007წ. აპრილში სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხე სს „ფეროს“ მიმართ და მოითხოვა მიუღებელი ერთჯერადი დახმარებისა და მომვლელისათვის გადასახდელი თანხის ანაზღაურება. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების საფუძველზე სს „ფეროს“ 2004წ. 31 მაისის №81 ბრძანებით ჯანმრთელობის მოშლასთან დაკავშირებით დაენიშნა ყოველთვიური სარჩო 185 ლარის და მასვე მიეცა ერთჯერადი დახმარება 1 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. მოსარჩელის მითითებით, სს „ფეროს“ ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არ არის მითითებული იმის თაობაზე, რომ მან დაკარგა შრომის უნარი 100%-ით და დაუდგინდა ინვალიდობის პირველი ჯგუფი, რაც ზემოაღნიშნული ბრძანებულების 33-ე პუნქტის შესაბამისად იძლეოდა საფუძველს, რომ მისთვის მიეცათ ერთჯერადი დახმარება ხუთი წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით და არა ერთიწ. თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, რაც მუშაკს ეძლევა შრომისუნარიანობის ნაწილობრივ დაკარგვის შემთხვევაში. მოსარჩელემ განმარტა, რომ სს „ფერო“ ვალდებული იყო ამავე ბრძანებულების 27-ე პუნქტის საფუძველზე მისთვის ყოველთვიურად დაენიშნა საყოფაცხოვრებო მომვლელის თანხა. მოსარჩელის მითითებით, მას მიღებული აქვს ერთი წლის ერთჯერადი დახმარება 2220 ლარის ოდენობით, ხოლო მიუღებელი დარჩა 4 წლის ერთჯერადი თანამდებობრივი სარგო 8880 ლარის ოდენობით, ასევე მიუღებელი აქვს მომვლელისთვის გადასახდელი 3 წლის თანხა, რაც შეადგენს 1260 ლარს. მოსარჩელის მითითებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2007წ. 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით, მაგრამ ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე ვრცელდებოდა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების წესები, ვინაიდან იგი მოპასუხისგან ითხოვს მიუღებელ 4 წლის ერთჯერად დახმარებას და ასევე მიუღებელ 3 წლის მომვლელის თანხას. მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველბად მიუთითა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007წ. 24 მარტის №53 დადგენილების პირველი მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტები, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 35-ე მუხლის მეექვსე ნაწილი, ასევე სკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი და 317-ე მუხლის პირველი ნაწილი. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007წ. 17 მაისის გადაწყვეტილებით პ. ბ-ბის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პ. ბ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 22 აგვისტოს განჩინებით პ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007წ. 17 მაისის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2004წ. 31 მაისს სს „ფეროს“ გენერალური დირექტორის №81 ბრძანებით „შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების საფუძველზე პ. ბ-ეს ჯანმრთელობის მოშლასთან დაკავშირებით დაენიშნა ყოველთვიური სარჩო 185 ლარის ოდენობით უვადოდ მდგომარეობის შეცვლამდე და მასვე მიეცა ერთდროული დახმარება ერთიწ. თანამდებობრივი სარგო 2220 ლარი ოდენობით. აღნიშნული ბრძანება მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2007წ. 1 მარტიდან გაუქმებულია „შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება, ხოლო „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007წ. 24 მარტის №53 დადგენილების 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად 2007წ. 1 მარტიდან შეწყვეტილი იქნა რა სხვა გასაცემლების გაცემის ვალდებულება, სააპელაციო პალატამ „შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 33-ე და 27-ე პუნქტებზე მითითებით მიიჩნია, რომ 2007წ. 3 აპრილს წარდგენილი პ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლოდ მიჩნევის თაობაზე გადაწყვეტილება სამართლებრივად დასაბუთებულია. სააპელაციო პალატამ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქართველოს შრომის კოდექსის 35-ე მუხლის მე-6 ნაწილის განმარტება, რომ აღნიშნული ნორმა არეგულირებს ამ კანონის მიღების დროისათვის დამსაქმებელსა და დასაქმებულ პირებს შორის ურთიერთობას და რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე არ წარმოადგენდა მოპასუხე საწარმოში დასაქმებულ პირს, რაც გამორიცხავდა ამ ნორმის საფუძველზე სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 22 აგვისტოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა პ. ბ-მემ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება. კასატორმა სსკ-ის 393-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილზე მითითებით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა კანონი. სასამართლომ გაითვალისწინა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007წ. 24 მარტის №53 დადგენილების პირველი მუხლის მეოთხე პუნქტი და არ გაითვალისწინა მეორე პუნქტის მოთხოვნა. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება დასაბუთებულად. ზემოაღნიშნული №53 დადგენილების პირველი მუხლის მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად აქ საუბარია 2007წ. 1 მარტის შემდეგ იმ ახალი გასაცემლების გაუქმებაზე, რომლებსაც ითვალისწინებდა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების ის დებულება, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებამონ-შ არსებობა-არარსებობის პირობებში გასაცემის დანიშვნის საფუძველს. კასატორმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა ძირითადი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სს „ფეროდან“ მას ეკუთვნოდა დარჩენილი 4 წლის თანამდებობრივი სარგო, კერძოდ, სს „ფეროს“ დირექტორის №81 ბრძანება, სადაც აღნიშნულია, რომ მას ჯანმრთელობის მოშლასთან დაკავშირებით მიეცა ერთიწ. ერთდროული თანამდებობრივი სარგო, მაგრამ კასატორის მოსაზრებით, მისთვის უნდა მიეცათ 5 წლის ერთდროული თანამდებობრივი სარგო, რაც მას არ მიუღია. მან დარჩენილი 4 წლის თანამდებობრივი სარგოს მოთხოვნით არაერთხელ მიმართა სს „ფეროს“ ადმინისტრაციას, მაგრამ სს „ფეროს“ თავისი ვალდებულება არ შეუსრულებია. მისმა წარმომადგენელმა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში საქმის წარმოებისას იშუამდგომლა მოპასუხისაგან მისთვის მიუწვდომელი დოკუმენტის გამოთხოვის თაობაზე, სასამართლომ

დაკმაყოფილა მათი შუამდგომლობა, მაგრამ ამ დოკუმენტის მიღება მაინც შეუძლებელი გახდა. აღნიშნული ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არასწორადაა მითითებული, რომ მას სს „ფეროს“ ბრძანება სადავოდ არ გაუხდია. კასატორის მითითებით, იგი ყოველთვის ხდოდა სადავოდ მოპასუხე ორგანიზაციის ზემოაღნიშნულ ბრძანებას და მხოლოდ მას შემდეგ მიმართა სასამართლოს, რაც მის განცხადებებზე პასუხი ვერ მიიღო მოპასუხისაგან. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაითვალისწინა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკისათვის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007წ. 24 მარტის №53 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის დეფინიცია. მისი აზრით, მოცემული დავა წარმოადგენს ვალდებულებით სამართლებრივ დავას და შესაბამისად გამოყენებული უნდა იქნეს ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები. მან ასევე მიუთითა შრომის კანონთა კოდექსის 35-ე მუხლის მეექვსე ნაწილზე. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ პ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 22 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, პ. ბ-ძე მუშაობდა სს „გ.ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“ №1 საამქროს საჩამოსმხმო მანქანის მემანქანედ. პ.ბ-ძეს სს ნ.მ-ძის სახელობის შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ 2004 წელს დაუდგინდა პროფდაავადება დიაგნოზით: მანგანუმით ქრონიკული პროფესიული ინტოქსიკაცია მეორე სტადია (პარკისონული სინდრომი).

საქმეში წარმოდგენილი პ.ბ-ძის ჯანმრთელობის შემოწმების ცნობით დადგენილია, რომ მას 100%-ით დაკარგული აქვს პროფესიული შრომისუნარიანობა. პ.ბ-ძე მოპასუხე ორგანიზაციიდან №1 საამქროს საჩამოსმხმო მანქანის მემანქანის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2004წ. 26 მარტს, პირადი განცხადების საფუძველზე, პროფესიული დაავადებით პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

სს „გ.ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“ გენერალური დირექტორი ნ.ჩიქოვანის 2004წ. 31 მაისის №81 ბრძანებით მას ჯანმრთელობის მოშლასთან დაკავშირებით დაენიშნა ყოველთვიური სარჩო 185 ლარის ოდენობით. ამ ბრძანებაში მითითებულია, რომ თანხის გადახდა დაიწყო 2004წ. 23 მარტიდან უვადოდ მდგომარეობის შეცვლამდე. ასევე მითითებულია, რომ დაზარალებულს მიეცეს ერთდროული დახმარება 1 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. პ.ბ-ძემ მოპასუხე ორგანიზაციისათვის 5 წლის თანამდებობრივი სარგოს დაკისრება მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულების 33-ე პუნქტის საფუძველზე. ამ ნორმის თანახმად შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით დაზარალებულს შრომისუნარიანობის ნაწილობრივ დაკარგვისას ეძლევა ერთჯერადი დახმარება 1 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, შრომისუნარიანობის სრული დაკარგვისას 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 2007წ. 3 აპრილს წარდგენილი პ. ბ-ძის სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა იმის გამო, რომ 2007წ. 1 მარტიდან გაუქმებულია „შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულება, და „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007წ. 24 მარტის №53 დადგენილების თანახმად 2007წ. 1 მარტიდან შეწყვეტილია სხვა გასაცემლების გაცემის ვალდებულება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „შრომის მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007წ. 24 მარტის №53 დადგენილების პირველი მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად 2007წ. 1 მარტის შემდეგ არ შეიძლება დაწესდეს ახალი გასაცემლები „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ

უფლებამონ-შ არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძვლებს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობს თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოებში. იმ პირებზე, რომელთაც ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაუწესდათ გასაცემები ამ პუნქტში მითითებული საფუძვლებით, ვრცელდება ამ წესის მე-3 მუხლის დებულებები.

ამ დადგენილების მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული „ზიანის ანაზღაურების სარჩო“ ექვემდებარება ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონ-შ მიერ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამ მუხლის მესამე პუნქტში კი აღნიშნულია, რომ დამსაქმებლის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდება დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული საქართველოს მთავრობის №53 დადგენილება არ ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მესამე თავის 33 პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარების სახით შრომისუნარიანობის სრული დაკარგვისას 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით გაცემის წესს, რადგან ამ დადგენილების მესამე მუხლის მე-2 პუნქტით შეწყვეტილ იქნა 2007წ. 1 მარტიდან სხვა გასაცემების გაცემის ვალდებულება, მათ შორის ერთჯერადი დახმარების. საქართველოს მთავრობის №53 დადგენილების მესამე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ სსიპ – სოციალური სუბსიდიების სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო) უზრუნველყოს „საქანაშირის“ დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995წ. 15 ოქტომბრის №429-ა ბრძანებულებისა და „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 42¹ პუნქტის საფუძველზე, 2007წ. 1 მარტამდე სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან ფონდში რეგისტრირებულ, აგრეთვე აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 2007წ. 1 მარტამდე პერიოდზე. ამ მუხლის მეორე ნაწილში კი პირდაპირაა აღნიშნული, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის წყდება სარჩოსა და სხვა გასაცემების გაცემის ვალდებულება 2007წ. 1 მარტიდან, ხოლო იმ პირების მიმართ, რომლებზეც არ განხორციელებულა მათი გაცემის ვალდებულების დაკისრება, მითითებული ვალდებულებები აღარ შეიძლება წარმოიშვას. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის სააგენტოს მიერ სარჩოს გაცემის ვალდებულების შეწყვეტის გამო დამატებით გაიცეს ერთჯერადი კომპენსაცია დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩოს – ექვსი თვის ოდენობით.

კასატორმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა ძირითადი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სს „ფეროდან“ მას ეკუთვნოდა დარჩენილი 4 წლის თანამდებობრივი სარგო. მან დარჩენილი 4 წლის თანამდებობრივი სარგოს მოთხოვნით არაერთხელ მიმართა სს „ფეროს“ ადმინისტრაციას, მაგრამ სს „ფეროს“ თავისი ვალდებულება არ შეუსრულებია. კასატორის მითითებით, იგი ყოველთვის ხდიდა სადავოდ მოპასუხე ორგანიზაციის ზემოაღნიშნულ ბრძანებას და მხოლოდ მას შემდეგ მიმართა სასამართლოს, რაც მის განცხადებებზე პასუხი ვერ მიიღო მოპასუხისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“¹ პუნქტის თანახმად კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

პ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 22 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-981-1282-07 20 ივნისი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და ზედმეტად მიღებული თანხების გადახდევინება.

აღწერილობითი ნაწილი:

2007წ. 9 მარტს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ წარმომადგენელმა დ. მ-შვილმა სარჩელით მიმართა ტყიბულის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების - ნ. ც-ძის, სს „ტყიბულნახშირის“ გაკოტრების მმართველ ზ. ი-შვილის მიმართ და მოითხოვა, მარჩენლის გარდაცვალებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მიზნით, სარჩოს დანიშვნის შესახებ სს „ტყიბულნახშირის“ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობა, ასევე ბრძანების საფუძველზე დარიცხული სარჩოს ფონდის სახაზინო ანგარიშზე აღდგენა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2006 წლიდან, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლისა და „სსიპ-საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ“ 2002წ. 31 დეკემბრის ბრძანებულებებში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შემდეგ, 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოებში დაზარალებულთა აღრიცხვის, სარჩოს გაანგარიშების, ზიანის ანაზღაურების ფუნქცია დაეკისრა ფონდს. აღნიშნულის შედეგად გამოვლინდა სარჩოს დანიშვნის თაობაზე უკანონოდ მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, სს „ტყიბულნახშირის“ ადმინისტრაციის 1999წ. 2 თებერვლის ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ნ. ც-ძეს, მარჩენლის გარდაცვალების გამო, სარჩო დაენიშნა. ნ. ც-ძის მეუღლე ზ. ც-ძემ მადაროში მუშაობისას ტრავმა მიიღო და 1995წ. 5 ოქტომბერს გარდაიცვალა. მოსარჩელის მტკიცებით, ნ. ც-ძეს მარჩენლის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად ყოველთვიური სარჩო ისე დაენიშნა, რომ მისი მეუღლის გარდაცვალების ფაქტის საწარმოში მომხდარ ტრავმასთან მიზეზობრივი კავშირი არ დადგენილა.

ტყიბულის რაიონულმა სასამართლომ 2007წ. 16 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა, სს „ტყიბულნახშირის“ 1999წ. 2 თებერვლის ბრძანება, ნ. ც-ძისათვის მარჩენლის გარდაცვალების გამო სარჩოს დანიშვნის შესახებ, კანონშეუსაბამოდ ცნო და მოპასუხეებს სოლიდარულად დააკისრა ამ ბრძანების შესაბამისად უსაფუძვლოდ დარიცხული თანხის სსიპ „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ სასარგებლოდ ანაზღაურება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ჰქონდა სს „ტყიბულნახშირის“ შესაბამისი ბრძანების უკანონოდ აღიარების იურიდიული ინტერესი, ასევე ჩათვალა, რომ, ვინაიდან ტრავმით მიყენებულ ზიანსა და გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირი დადგენილი არ ყოფილა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნით, გამორიცხული იყო საწარმოს პასუხისმგებლობა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ნ. ც-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე ტრავმასა და

გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის მიზნით, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დანიშვნა. აპელანტის მტკიცებით, რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა კონონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ კი, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის ბრძანებულების ნაცვლად, სკ-ის ნორმებით იხელმძღვანელა. აპელანტმა ასევე აღნიშნა, რომ „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ ბრძანებულების 61-ე მუხლი ზიანის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხის დაბრუნებას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა.

2007წ. 2 ოქტომბერს საქმეში „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ ნაცვლად, მისი უფლებამონაცვლე - სოციალური სუბსიდიების სააგენტო ჩაება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ც-ძისა და მის წარმომადგენელ ნ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა სს „ტყიბულნახშირის“ 1999წ. 2 თებერვლის № 20 ბრძანების უკანონოდ ცნობისა და ამავე ბრძანებით ნ. ც-ძისათვის უსაფუძვლოდ დარიცხული თანხების მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურების დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1960წ. 17 მარტს ზ. ც-ძემ საწარმოო ტრავმა მიიღო, რაზედაც შედგა აქტი და ამ უკანასკნელს განესაზღვრა ინვალიდობის მესამე ჯგუფი, პროფესიული შრომის უნარის 100%-ით დაკარგვით. ზ. ც-ძე 1995წ. 5 ოქტომბერს გარდაიცვალა. ნ. ც-ძეს, სს „ტყიბულნახშირის“ 1999წ. 2 თებერვლის № 20 ბრძანებით, მარჩენლის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად, ყოველთვიური სარჩო დაენიშნა. სააპელაციო პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის ბრძანებულებით უნდა ეხელმძღვანელა, რომლის 35-ე და მე-15 მუხლების საფუძველზე ნ. ც-ძე წარმოდგენდა სარჩოს მიღების უფლების მქონე სუბიექტს, ამასთან აღნიშნული ბრძანებულება გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი მეუღლისათვის სარჩოს დასანიშნად მიზეზობრივი კავშირის არსებობას არ ითვალისწინებდა. მიზეზობრივი კავშირის არსებობას არც აღნიშნული ბრძანებულების მიღებამდე მოქმედი მინისტრთა საბჭოს დადგენილება ითვალისწინებდა. ამგვარი კავშირის არსებობის აუცილებლობის პირობა მხოლოდ 2003წ. ცვლილებებით იქნა შემოღებული.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენელმა შ. კ-შვილმა. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ისეთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ნ. ც-ძისათვის სარჩოს დანიშვნის მომენტიდან მიღებული არ ყოფილა. კასატორის მტკიცებით, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985წ. 4 მარტის № 131 დადგენილებით, რომლის მე-17 მუხლში გათვალისწინებულია კომისიების ვალდებულება - დაადგინონ მიზეზობრივი კავშირის არსებობა მარჩენლის სიკვდილსა და საწარმოო ტრავმას, პროფესიულ დაავადებას, ფრონტზე ყოფნასა და სხვა გარემოებებს შორის, გარდაცვლილის ოჯახის წევრისათვის პენსიის დანიშვნისა და ზარალის ანაზღაურების საკითხის გადასაწყვეტად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008წ. 21 მარტის განჩინებით საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენელ შ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და თვლის, რომ სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენელ შ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

ნ. ც-ძის მეუღლემ, ზ. ც-ძემ, 1960წ. 17 მარტს საწარმოო ტრავმა მიიღო, რაზედაც აქტი შედგა და ზ. ც-ძეს ინვალიდობის მე-3 ჯგუფი განესაზღვრა, პროფესიული შრომის უნარის 100%-ით დაკარგვით;

ზ. ც-მე 1995წ. 5 ოქტომბერს გარდაიცვალა. ნ. ც-მეს, მარჩენალის გარდაცვალების გამო, სს „ტყიბულნახშირის“ 1999წ. 2 თებერვლის ბრძანებით ყოველთვიური სარჩო დაენიშნა.

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ მოცემულ ურთიერთობაზე ვერ გავრცელდებოდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის ბრძანებულება, რადგანაც აღნიშნული ნორმატიული აქტი ნ. ც-მისათვის სარჩოს დანიშვნის შემდეგაა მიღებული.

ზემოაღნიშნული ბრძანებულების 63-ე მუხლის მიხედვით, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ამ წესების ნორმები, შესაბამისად, თავად კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრულია მისი გავრცელება მის ამოქმედებამდე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ და სააპელაციო სასამართლოს დავის გადაჭრისას სწორედ ამ ბრძანებულებით უნდა ეხელმძღვანელა.

№48 ბრძანებულების 2003 წლამდე მოქმედი რედაქციის მე-4 პუნქტის მიხედვით, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა, ეხადა სარჩო.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ, ვინაიდან აღნიშნულ პუნქტში 2003 წელს განხორციელებულ ცვლილებამდე არ იყო ჩაწერილი ფრაზა, „თუ გარდაცვალების მიზეზი გახდა ორგანიზაციაში მიღებული ტრავმა“, ბრძანებულება არ ითვალისწინებდა მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობას გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურება არის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფორმა. კერძო სამართალი, ზიანის ანაზღაურების (იქნება ეს დელიქტით, ხელშეკრულების დარღვევით თუ საწარმოო ტრავმით გამოწვეული ზიანი) ვალდებულების წარმოშობის საკითხის განსაზღვრისას ეყარება ზიანის დადგომის, მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ბრალის, ასევე ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის ერთობლივად არსებობის აუცილებლობას. აღნიშნული ოთხი ელემენტიდან ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობას, ამდენად, თუ პირის გარდაცვალების ფაქტი დაკავშირებული არ არის საწარმოო ტრავმასთან, ორგანიზაციის პასუხისმგებლობა გამორიცხულია და, შესაბამისად, არც გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის სარჩოს დანიშვნის ვალდებულება არსებობს. №48 ბრძანებულების 2003 წლამდე მოქმედი რედაქციის მე-3 პუნქტის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად, დაზარალებულს ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანი უნდა აუნაზღაუროს იმ დამქირავებელმა, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა, ამ უკანასკნელის ბრალის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ „წესების“ საფუძველზე, დამქირავებელი მხოლოდ ბრალეულად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზეა პასუხისმგებელი. რაც შეეხება მე-4 პუნქტს, იგი გამომდინარეობს და ეყარება ბრძანებულების მე-3 პუნქტს და, ამდენად, თავდაპირველი სახითაც ბრალეულობის პრინციპს აღიარებდა. 2003წ. ცვლილებებით მისი ფორმულირება შეიცვალა და დაზუსტდა, შინაარსი კი უცვლელი დარჩა, არც ახალი მოთხოვნა ყოფილა შემოღებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ ბრძანებულების ნორმები.

სსკ-ის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა ან არსებობს ამავე კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაედოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში გამოსაკვლევი არის თუ არა ზ. ც-ძის გარდაცვალება მიზეზობრივ კავშირში საწარმოო ტრავმასთან, ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან საწარმოს ბრალეულობას სადავოდ დამსაქმებელი - „საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტო“ ხდის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის, კერძოდ კი, ექსპერტიზის ჩატარების ვალდებულება მას ეკისრება.

რაც შეეხება მეორე სასარჩელო მოთხოვნას – ზიანის ასანაზღაურებლად გაცემული თანხების დაბრუნებას, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს.

№48 ბრძანებულების 61-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ასანაზღაურებლად გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს უკან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე, ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემთა დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე.

დავის განხილვისას, მოსარჩელეს, საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს, არ მიუთითებია თანხის დაბრუნების არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი საფუძველი, ამასთან, თუნდაც საქმის ხელახლა განხილვისას დადგინდეს საწარმოო ტრავმასა და ზ. ც-ძის გარდაცვალების ფაქტს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობა, აღნიშნული გარემოება სარჩოს სახით გაცემული თანხის დაბრუნების საფუძველი ვერ გახდება, ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ც-ძისათვის უსაფუძვლოდ დარიცხული და გაცემული თანხების მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 284-ე, 410, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

სსიპ „საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ წარმომადგენელ შ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება ნ. ც-ძისათვის მარჩენლის გარდაცვალების გამო სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების კანონშეუსაბამოდ აღიარებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ც-ძისათვის უსაფუძვლოდ დარიცხული და გაცემული თანხების მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩეს უცვლელი;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

1. ვალის არსებობის აღიარება
2. ხელშეკრულებიდან გასვლა; ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები
3. ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია
4. ვალდებულების დარღვევა
5. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა
6. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

7. დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში

8. ნასყიდობა

- ელექტროენერჯის ნასყიდობასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული ურთიერთობები
- მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება
- ნასყიდობა გადახდის განვადებით
- ნასყიდობის ხელშეკრულება

9. ჩუქების ხელშეკრულება

10. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა

11. მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების უფლება

- მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების უფლება
- მიზეზობრივი კავშირი ჯანმრთელობის დაზიანებასა და შრომითი უსაფრთხოების წესების დაუცველობას შორის

12. შრომითი მოვალეობს შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება